



ବ୍ୟକ୍ତିତ୍ବ ଶହିତକୁଳ



# ବୁଝାଟିଛ ଶାହିତରକ୍ଷେତ୍ର

ଠିକ୍କାଶୀଳପାତା ଶ୍ରୀଶିଖର ପରୀକ୍ଷାପତ୍ର

ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପରିଚ୍ୟା  
ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପରିଚ୍ୟା  
ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପରିଚ୍ୟା

Երկողութ ծարագալուն նորամքեարյ ցամումիա տացուս ալճացոնտա դա դանշնուղըօտ պահպանուր հանատուսա, մշագյուղունոնտ ու պայլա աժրոնքալ շրջանու մունիշունու մըմբա- դրյանուս քալաւա պայլալա ազմունունու մունիս տեխնուղըօտա 1972 նուս պահպանուր ցամու- միունա. պայլունոնտ այսո ցանցրունուս դա ոյանց լուղանունուս րեժայքուտ դաստիամիունու ալճանուղը ցամումիա ամ մերու պահագու, սագաւ լուցիս պահուացուն մշագյուղունու մշագյուղունու դա դանշնուղըօտա ոյանց լուղանունուս մոյր, եռլու երկողունուս նշենիշնու ցանցրուն պահու ցանցրունա.

աշունուղը ցամումիաս ինչու դաշնումակիյ նշենիշնու ցանցրունունուն:

- տեխնուղըօտն ծեժգուր ցամումիատա մշանու ծովանուցրացուա;
- մոցոնցըօտն;
- երկողութ ծարագալուն մուրուրունուս ուստիորուա;
- մունիս ցեղալուգա.

ցամումիա լուսակրունունու: մունիս տաճամեժրուցտա, նատյօսաւտա մուրուրունուն, ացրուց մունիս մուրուրունուս ալճացունուս պայլա ուժա, մատ մերուն լուցան տայտակինունուս մոյր 1998 նուն ալճացունունու մունիս ունուրունունու դա մասիչ դաշնունոնտ մտացար լուցան կուղանունուս մոյր ամ ցամումիստունուս նշենիշնու մուրուրուն, րումելուու նոցնու ցանցրանչեա նարմանցընուն.

ցամումիանու մունիս ցանցրունու մունիս ցեղալուգուրուն ու, րումելուու նշենիշնուն սայարտալուս ցեղալուգուրուն ուղացուս սամսակուրուս ուսկըմիուղընուս ուրու նիյուանուս մոյր.

ցամումիաս տաճ ցանցրուս այժմու-գուսու, րումելուու նշենիշնու մունիս լուցիրամիուրուն մըմյունունուն, նշենիշնունու գունունունու ուսկըմիուղընուս մոյր.

պայլունոնտ, ցու նոցն ցանցրու սամսակուր ոյնցա մյուտալուստուն.

ԸՆԴՀԱԿ ՏԱԲՈՒԱՊԱՅՈՒՆԻ ՍԱՅՐՈՒ ՌԵԴԱՅՔՈՒՈՒ

ԲԱԺՄԱՑՈՒՅՆԻ ՀԱԽԱ ՇԱՅՈՒՄԱՆԻ

ՄՏԱՎԱՐՈՒ ԸՆԴՀԱԿ ՄՐԱՋԱՅՈՒՆԻ, ԿՐԵԱԿԱՐՈՒ ՌԵԴԱՅՔՈՒՐՈՒ ԲԱԺՄԱԿ ԷԱՅՈՒՎՈ, ԾԱՎԱԾԵՐԱ, ԾԱՎԱԾԵՐԱ ԿԵՎԻՆԻ ԱԿՐՈՅԱՅՈՒՆԻ, ՏԱՄԱԿԱ ԱԼԱՅՈՒՆԻ

## ივანე ლოლაშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილის დამზადების ღირებულები მემკვიდრეობა

ნიკოლოზ ბარათაშვილის სამწერლო მოღვაწეობა განისაზღვრება 12-ოდე წლით (მისი პირველი ლექსი თარიღდება 1833 წლის 18 მაისით და უკანასწერელი — 1845 წლის თებერვალ-მარტით). ასეთი მოცულე დროის განმავლობაში ამ გენუალურმა პოეტმა დაგვატოვა ძლიერ მცირე, მაგრამ ძრმად შინაარსიან და მაღალმხატვრული თხზულებანი (ლექსები, პოემა, თარგმანები და პირადი ნერილები), რომელთაც დიდად გაუთქვეს სახელი არა მარტო ჩვენში, საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. სამწუხაროდ, მან თავისი ლექსების ვერც ერთი ტაქტი ვერ ნახა დაბეჭდილი. 1832 წლის შეთქმულების შემდეგ საქართველოში მძიმე რეჟიმი დამყარდა. იმანად მხოლოდ რამდენიმე წიგნი დაიბეჭდა ქართულად, მათ შორის ორად ორი პოტურ თხზულება — ჩახრუხაძის „თამარიანი“ და შავთელის „აბდულმესიანი“. 1833-1845 წლები იყო ბეჭდვითი სიტყვის სიღარების ხანა. მაშინდელი მოღვაწე თაობა კიმაყოფილდებოდა ხელნაწერი უურნალების გამოცემით, საოჯახო ალბომების შედგენით და ლიტერატურულ შეკრებებში მონაწილეობის მიღებით.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსების ხელნაწერების სახით აკრცელებდა: ზოგს ხელნაწერ უურნალში ათავსებდა, ზოგს მეგობარი ქალების ალბომებში წერდა, ზოგს ცალკე ფურცელებად არიგებდა და ზოგსაც პირად ნერილებში პრთავდა. 1840-იანი წლებიდან მან დაიწყო კრებულების შედგენა და მეგობარ-ნათესავებს შორის გაუცელება. დღეისათვის ცნობილია რამდენიმე ასეთი კრებული: მაიკო ორბელიანისეული, ეკატერინე ჭავჭავაძისეული (1841-1843 წლებისა), ქეთევან ორბელიანისეული (იგივე ბარბარე ვეზირიშვილისეული), ქეთევან ერისთავისეული (რომელიც 1876 წელს დამწვარა) და თვით პოეტისეული შავთ სამუშაო ცალი, რომელიც დღეს ბარბარე ერისთავისეულ ვარიანტადა ცნობილი. ეს კრებულები ხელიდან ხელში გადადიოდა და სხვადასხვა ნუსხებად მრავლდებოდა.

### 1. პირველი ბეჭდვის ისტორია

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების დაბეჭდვის იდეა პირველად ჩასახულა 1846 წლის 14 იანვარს, როდესაც პოეტის მეგობრები შეკრებილან რევაზ ანდორინიაშვილთან სადილად ნინობა-დღეს. იმავე წლის 19 იანვარს ლევან მელიქიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო მეგობარი, გრიგოლ ორბელიანს სწერდა (დაწერილია რუსუ-

ლად, ქართული თარგმანი ეკუთვნის პ. უმიკაშვილს):

„14 იანვარს (კნეინ ნონის დღეობაზე) ჩვენ რამდენიმე ყმანვილი ქართველი რევაზ ანდრონიკაშვილთან ვიყავით სადილად. ჩვენთან იყო ყაფლანიც (იგულისხმება მომძე-რალი ყაფლან ორბელიანი; მას ნიკოლოზ ბარათაშვილი იხსენებს ლექსში „ლამზ ყა-ბაზზედ“, ი. ლ.), რომელსაც ვთხოვთ „სულო ბოროტო“ ქმდერა, მაგრამ წარმოიდგინე, არც იმან და არც ერთმა ჩვენგამა არათუ ზეპირად არ იცოდა ეს შვერიერი ლექსი, არც კი ვისმე ჰქონდა გადანაწერი და ყველანი გულით შეეწუბდით, რომ განსვენებუ-ლის შვერიერი ნინერები იკარგება. მაშინვე განვიზრახეთ განსვენებულის ყველა ლექსები დაბეჭდით ჩვენი ხარჯითა...“ (S491).

მეორე დღიდანვე ამ თაოსნობას სათავეში ჩაუდგა თვით ლ. მელიქშვილი: მან გამართა ხელმოწერა, ხუთ დღეში შეაგროვა ათასი მანეთი, შეუდგა ნიკოლოზ ბარა-თაშვილის ნანერების მოგროვებასაც. განუზრახავთ კრებულის გამოცემა ერთ წიგნად პოეტის სურათითურთ. საამისოდ მელიქშვილს გრ. ორბელინისათვის უთხოვია დაე-ნერა ნინაზტყვაობა წიგნისათვის, ბიგრაფია განსვენებულისა და ეპიტაფია მისი ძეგლისათვის“. მაგრამ ეს წამომწყება რატომდაც ვერ განხორციელ და. შეგროვილი ფული მოჰქმარდა პოეტის გადარიცხულ ღვახსა და საფლავის კეთილმოწყობას.

პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები ბეჭდურად გამოამზეურა გ. ერის-თავმა 1852 წელს უურნ. „ცისკარში“ (№4). აქ დაბეჭდა ოთხ ლექსი: „ბულბული ვარ-დზედ“, „ჩემი ლოცვა“, „ქალი“ („რად ჰყევდრი კაცხა“), „სულო ბოროტო“. მაგრამ უურნალის დაბურვის გამო სხვა ლექსების პუბლიკაცია იმავე წელს შეწყდა. მისი განახლება შეძლო ივ. კერესელიძემ 1857 წლიდან, როდესაც „ცისკრის“ ხელახალი გამოცემა დაიწყო. ამ დროიდან 1876 წლამდე (ე. ი. ბარათაშვილის ლექსების კრებუ-ლად გამოცემამდე) „ცისკარში“, „საქართველოს მოამბესა“ და „კრებულში“ გამოქვეყ-ნდა 25 ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“. მათი პირველი ბეჭდების ქრონოლოგია ასეთია:

„ცისკარში“ 1858 წელს დაიბეჭდა „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ („ომი საქარ-თველოს თავადაზნაურ-გლეხთა“), „გალობა სიტურფისა“ („შეკიშრობ ცრუმელსა“, „ჩევილი“ (№2), „ბედი ქართლისა“ (№9); 1860 წელს — „ფანტაზია“ („ვპოვე ტაძარი“) (№5), „ჩემს მერანს“ (№6), „საფლავი მეფის ირაკლისა“ (№7), „ჩემს ვარსკვლავს“ (№8), „თ. ე. ჭ.“ („თავადის ჭ. ძის ასულს ეკატერინას“) (№9), „საყურე“ (№10), „სული ობოლი“ (№11), „სატრიფოვ, მახსოვებს“ (№12); 1861 წელს — „თვალები“ („მიყვარს თვალები“) (№1), „ჩონ-გურს“ (№3), „აღმოხდა მნათი აღმოსავალს“ (№6); 1862 წელს — „ფიქრი მტკვრის პირზე“ (№1), „ნამოლენბ“ (№2), „ხმა იდუმალი (№3), „ჩემთ მეგობართ“ (№5), „სუმბული და მნირი“ (№9), „ჩინარი“ (№10), 1863 წელს — „ჩემს სატრფიალოს“ ( „არ უკიუნო, სატრფოო“) (№12).

„საქართველოს მოამბეში“ 1863 წელს დაიბეჭდა „შემოლამება მთაწმინდაზე“ (№1) და „მადლი შენს გამჩენს“ (№2), ხოლო „კრებულში“ 1872 (№7) და 1873 (№2) წლებში — „ზვირთები მოღუდუნებენ“ (ქეთევან) და „დამქროლა ქარმან“. ამ პირველნაბეჭდი ლექსების დენძები ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფები ან სანდო პირთა მიერ ავტოგრაფებითან გადანერილი ნუსხები. S491 ხელნანერში დაცუ-ლია პ. უმიკაშვილის ფრინად საყურადღებო ცნობა:

„ცისკარში“ რაც ბარათაშვილის ლექსებია დაბეჭდილი 1860 წლის დაწყებიდან, ეს ლექსები ჩემის ნაწერდებან არის. 1860 წლის ნინა კი არ ვიცი, საიდან დაუბეჭდიათ. მე გადმოვწერ ალექსანდრე ჩიქოვანის ხელით დაწერილი რევულითან, რომელშიც, მახსოვეს,

მოხსენებული იყო, რომ სარდიონ ალექსანდრე-მესხიევის „რევულითგან გადმოცნერებული რვეული გიორგი ჩიქოვანსა ჰქონდა და ილია ჭავჭავაძეს, ვეონებ, დაუკარგავს. იმ რვეულში ყველა ლექსი იყო, რაც მინახავს ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერი, ერთს გარდა, რომელიც „კრებულის“ 1873წ. პრეველ (უნდა იყოს მეორე, ი. ლ.) ნიმუშია (იგულისხმება „დაბქროლა ქარმან“, ი. ლ.). ამას გარდა იქვე იყო „ჩინარი“, რომელიც დაბეჭდილია „ცისკარში“ 1862წ. ოქტომბრის ნიმუში“ (ფ. 23v-24r).

3. უმიკაშვილი ამასცე წერს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა კრებულის მისეულ ხელნაწერ რვეულში, რომელიც დაცულია ცენტრარქივის ძველქართული ხელნაწერების კოლექციაში 820 №-ით (გვ. 91).

არსებობს სხვა ცნობაც, რომელიც ეკუთვნის ზ. ჭიჭინაძეს. მან 1890 წელს გამოქვეყნა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებაზე და კრებულში შეიტანა პოეტის ორი ახალი ლექსი — „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ („ძრნოდე კავკასო“) და „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩინის“. „ივერიის“ ახალი ამბების მიმომხილველმა ეს ლექსები საეჭვოდ აღიარა. მან კატეგორიულად უარყო პირველი ლექსის ბარათაშვილისეულობა. „ერთ ლექსს, — წერს იგი, — ენოდება „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ და, ჩვენ აზრით, ბარათაშვილის მუზას არა ატყვიორა. აზრი, შინაარსუც კი ამტკიცებს, რომ ძნელად თუ ნ. ბარათაშვილს დაწეროს“. ზ. ჭიჭინაძემ მეორე დღესცე (№3) უპასუხა „ივერიის“ კორექციონების შენიშვნით: „ბარათაშვილის პირველი ლექსი „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ დაბეჭდილია 1859წ. (უნდა იყოს 1858წ., ი. ლ.) „ცისკარში“ ნიკოლოზ ბარათაშვილის სრული სახელისა და გვარის მონერით. ეს ლექსი პირველს გამოცემაში არ შეუტანათ, რადგანაც ბარათაშვილის ლექსად არ უცვინათ გამომცემლებს. პ. უმიკაშვილისაგან ასე შევიტყვე. ამის გამო მე ვკითხე „ცისკრის“ რედაქტორად ნამყოფს ბ-ნ ივანე კერქესელიძეს და ამან გადმომცა, რომ ეს ლექსი მე ვთით ბარათაშვილის ხელთნიერობაზე გადავბეჭდე „ცისკარში“. ხელთანაწერი გრ. ორბელიანს დაუშენებულე კუთხილებისამებრ, რადგანაც ნიკოლოზ ბარათაშვილის ყველა ლექსს გრ. ორბელიან მაძლევდაო“..

ამ ცნობათა მიხედვით ირკვევა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ყველა ლექსი, რომელიც კი 1876 წლამდე დაიბეჭდა, სანდოა და მათ ავტოგრაფი ჰალა აქვთ.

1876 წელს გამოქვეყნდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების პირველი გამოცემა, რომელშიც დაბეჭდილია „ბედი ქართლისა“ და 30 ლექსი, მათ შორის — ორი ახალი ლექსი — „შენი დალალი“ და „ენიაზ ბარათაშვილის აზარფეშაზედ“. ნიგნმა დიდი ინტერესი აღძრა მკითხველ საზოგადოებაში. გაზ. „დროებაზ“ დაბეჭდა გ. თუმარიშვილის კუცელი რეცენზია (1876, №60-61).

1879 წელს ეს გამოცემა ხელახლა გადაიბეჭდა უცვლელად. მას მოპყვა 1886 წელს მესამე შეცვაბული გამოცემა (ტექსტები დასაბეჭდად მოამზადა პ. უმიკაშვილმა). მასში შეტანილია პოეტის რვა ნერლი და ის ხუთი ლექსი, რომელიც იონა მეუნარგიაშ აღმოაჩინა ეკატერინე ჭავჭავაძის არტვში („ივერია“, 1882, №4-5).

1890 წელს ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა მეორები გამოცემა. მან პოეტის კრებულს დაუმატა ორი ადრე დაბეჭდილი ლექსი — „ძრნოდე კავკასო“ და „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩინის“. ამის შემდეგ 1916 წლამდე, როდესაც დ. კარიჭაშვილმა აღმოაჩინა ეპიგრამა „ელენეს და მარიას“, პოეტის ნაწერებს არაფერი მიმატებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ პირად წერილებს, რომელიც ითვლის 1895 წლის გამოცემა. ეს უკანასწელი კი (რედაქტორები იყვნენ ე. თაყაიშვილი და დ. კარიჭაშვილი) მომზადებულია

დასაბეჭდად მოკლე ფილოლოგიური აპარატით იმდროინდელ მეცნიერულ დოკუმენტების  
თავისი ღირსებით ყველა წინა გამოცემაზე მაღლა დგას. მეცნიერული მნიშვნელობა  
მას არც დღეს დაუკარგავს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მნერალ-მოლვანენი დაინტერესდნენ ნიკოლოზ ბარა-  
თაშვილის ბიოგრაფიული საკითხებითაც (ისინი შეუდგნენ პოეტის პირადი წერილების  
პუბლიკაციას). ამ მხრივ გზა გავვალა ილია ჭავჭავაძემ. 1872 წლის 9 დეკემბერს მან  
კირილე ლორთქიფანიძე გაუგზავნა ურნ. „კრებულში“ დასაბეჭდად ნიკოლოზ ბარა-  
თაშვილის ოთხი (VII, XIII, XIV და XV) წერილი მაიკო ორბელიანისადმი ასეთი შენიშვნით:

„ეს ოთხი წიგნი, ნოვ. პარათაშვილისაგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი, გადმომ-  
ვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა, ქართულის ენისა და მნერლობის მოყვარემა.  
ვისაც ესმის, რაგვარ მნიშვნელობა აქვსთ ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტო-  
რიისათვის და თვით მნერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის, ის ჩვენთან  
ერთად გულითად მაღლობას მოახსენებს მაგა წიგნების პატივცემულს გარდმომცემ-  
ელსა.“

ეს წერილები დაბეჭდა აღნიშნული შენიშვნით 1873 წლის „კრებულში“ (№1, გვ. 99-113).

იმავე წლის „კრებულის“ მესამე ნომერში (გვ. 45-60) პ. უმიკაშვილმა გამოიკვეყნა  
პოეტის ოთხი (IV, V, VI, VIII) წერილი. მათ ერთვის რედაქციის შენიშვნა: „ეს ძვირფასი  
წიგნები მიწერილია თ. გრიგოლ ორბელიანთან, რომელსაც მათ დასაბეჭდად გადმო-  
ცემისათვის უგულითადეს მაღლობას ვუძლვით“ (გვ. 45).

დასახელებული რვაც წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებთან ერთად გა-  
მოკვეყნდა 1886 წელს, მესამე გამოცემაში. ამის შემდეგ ლექსებისა და წერილების  
პუბლიკაცია ტრადიციად დამკიდრდა.

1885 წელს იონა მეუნარგიამ გრ. ორბელიანის არქევში აღმოაჩინა ორ (II და XI)  
წერილი, რომლიბიც მან იმავე წელს გაზ. „დროებაში“ (№114) გამოიკვეყნა.

1893 წელს, როდესაც ქართველი საზოგადოება ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის  
გადმოსასვენებლად ემზადებოდა, ურნ. „კვალში“ (№7, გვ. 9-10; №10, გვ. 3-4, №11, გვ.5)  
პ. უმიკაშვილმა დაბეჭდა ქართული თარგმანები ოთხი (III, IX, X და XII) წერილისა მიხ.  
თუმანიშვილის და ზაქარია ორბელიანისადმი, ხოლო ორ წლის შემდეგ (1895 წ). იგივე  
ოთხი წერილი თარგმანების გარეშე გამოიკვეყნება პოეტის თხზულებათა მეხუთე გამო-  
ცემაში, ე. თაყაიშვილმა და დ. კარიქაშვილმა (გვ. 89-90, 105-109, 112-115). ამის შესახებ  
„კვალის“ ახალი ამბების მიმომზიდველი იუნივერსიტატი, რომ „ქართველთა შორის წერა-  
კითხების გამარცელებელ საზოგადოებას“, „შეუკრება პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვი-  
ლის დაუსტამბავი წერილები და პირებს მის გამოცემას“ (1895, №19). აღბათ, ამ „და-  
უსტამბავ წერილებში“ იგულისხმებოდა სწორედ ის ოთხი ახალი წერილი, რომლებიც  
დაემატა 1895 წლის გამოცემას წინა ორ (1886 და 1890 წლების) გამოცემასთან  
შედარებით.

ასეთია მოკლედ ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი ბეჭდვის ისტო-  
რია XIX საუკუნეში.

1876-1895 წლებში ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობისად-  
მი ინტერესი იმდენად გაიზარდა, რომ ქართველმა საზოგადოებამ მიიღო ხუთი გამო-  
ცემა. იმავე წლებში გაცხოველდა ძიება ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელანერების შე-  
საგროვებლად. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ მონინავე ქართველი ინტელიგენცია, წე-  
რა-კითხების გამარცელებელი საზოგადოება, მისი მესვეურები და აქტიური წევრები: გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, პ. უმიკაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ი. მეუნარგია, ზ.

ჭიჭინაძე, ე. თაყაიშვილი და დ. კარტაშვილი. მათ ყოველნაირ დახმარებას უწევდებოდნენ პოეტის ნათესავები და თანამედროვენ. ეროვნული მნიშვნელობის ამბავი იყო, რომ 1893 წელს ქართველმა ხალხმა დიდებით გადმოისცვენ განჯიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი და მშობლიურ მინას მიაბარა. რკინიგზის სადგურზე თავმოყრილმა ხალხმა მუხლი მოიდროკა სათაყვანებელი პოეტის ნეშტის წინაშე და ამით უკვდავების გვირგვინი დაადგა თაგანი ეროვნულ ღრმას. მაგრამ ისც უნდა ითვას, რომ XIX საუკუნის მწერალ-მოღვაწეებმა, ნიკოლოზ ბარათაშვილის გენის ახეთმა დიდმა დამფუასებლებმა, ვერ შეძლეს მისი ყველა ნაწარმოების, ყველა ავტოგრაფისა და ნუსხის თავმოყრის. ვერ კიდევ 1883 წელს ი. ჭყონია განს „დროებაში“ (№264) წერდა: „... ნ. ბარათაშვილის, ა. ჭავჭავაძისა და სხვათა ნაწერების ბედი ძლიერ გვაშინებს... ამ დღეებში „ცისკრის“ ერთ-ერთ ნომერში (თებერვლის წიგნი, 1858წ.) ლექსთა განყოფილებაში ნავანყდი ერთ ლექსს (ლაშქრობა ქართველთა კავკასზე), „ბედი ქართლისას“ ავტოგრაფისას. ვინ იცის რამდენი ამისთანა და ამაზე უკვეთეს ნაწარმოები დარჩა უდროოდ მიცვალებულის ნიჭს ნიკოლოზ ბარათაშვილისას და როგორ უწყალოდ ჰქონდა მათ თავგთა რაზმი პოეტის ვერდამფასებელთა კერძო პირთა სკივრებში“...

ი. ჭყონიას შიში ნაწილობრივ გამართლდა. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის ერთი ნაწილი დაკარგულია. არსებობს კ. მამაცაშვილის ერთი ცნობა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს დანერილი ჰქონია პოემა „ივერიელი“. 70-იან წლებში ზ. ჭიჭინაძეს თბილისის ბაზრობაზე ერთი მენტვროლმანისაგან შეუძენია ალ. ჩიქვავანის მიერ გადაწერილი რვეული ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებისა, იმავე მენტვროლმანეს ჰქონია მეორე რვეულიც, რომელშიც თითქოს მოთავსებული ყოფილა პოემა „ივერიელი“. იგი მას იმჯერად ვერ უყიდია, მაგრამ მერმე რომ მისულა, ვეღარ უცოვიათ. ასე დაკარგულა ჩვენთვის უცნობი პოემა. დაკარგულია აგრეთვე „სატრა“ (სატრფიალო ლექსი, მიღებილი ლაბიელის ქალისადმი), ლაიზევიცის ტრაგედია „იულიუს ტარანტიელი“, რომელიც პოეტს რუსულიდან უთარგმნა. რუსული სტატიები — «Письмо из деревни», «О папской власти(I. О возвышении папизма, II. О падении его)», რომელიც გამოიცემობა მ. თუმანიშვილს ხელნაწერ უურნაალში «Цветок Тифлисской гимназии», ყრმობისდროინდელი ებეგრამები, რომელებსაც ძლიერ აულელვებია მაშინდელი ჩინოვნებობა; 1844-1845 წლების ნაწერები და ზოგიერთი ცნობილი ლექსისა და წერილის ავტოგრაფები. არსად არა ჩანს ლევან მელიქშვილის ნაქონ ლექსები, მიმოწერა და სხვა მასალები, რომელთა შესახებ ცნობას გვაძლევს რ. ერისთავი. ალ ჩიქვავანის მიერ გადაწერილი ლექსები და პოემა „ბედი ქართლისა“, რომელიც ზ. ჭიჭინაძეს შეუძნია; საისტორიო ხასიათის ნაშრომი, რომელიც პოეტს კ. იოსელიანისათვეს გადაუცავა და მრავალი სხვა. ამიტომ არ არის გამორცხული, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ზოგიერთი ავტოგრაფი ან ნუსხა კვლავ გამოვლინდეს ჩვენ სიძელთსაცავების გაურჩეველ ფონდებში. ცნობილია, რომ ჩვენ მეცნიერებისა და მწერლების გულმოდგინე მუშაობის შედეგად გამომზეურდა მრავალი საყურადღებო მასალა ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესანავად. მაგ:

1924 წელს ს. გორგაძემ აღმოჩინა ნიკოლოზ ბარათაშვილის ყრმობისდროინდელი ნაწერები, 1933 წელს გ. ლეონიძემ — ავტოგრაფი ლექსისა „ძრნოდე კავკასო“, 1935 წელს ა. განერელიამ — ყრმობისდროინდელი ნერილი გრ. ორბელიანისადმი; 1937 წელს გრ. აბაშიძემ — ორ ნერილი ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი, 1945 წელს კ. მეგელიამ და შ. ჩხეტიამ — ავტოგრაფები იმ ნერილებისა, რომელიც დღემდე კ. უმიკაშვილის ასლების მიხედვით ქვეყნდება. ამასთან შ. ჩხეტიამ გულმოდ-

გინედ შეისწავლა საქართველოს ცენტრალური არქვის ფონდები და აღმოაჩინა მრავალი მასალა ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; ეს მასალები მანვე მეცნიერულად აღნიერა და გამოკვლევითურთ გამოქვეყნა. თავის დროშე ამ დიდ შრომას რეცენზიებით გამოქმაურნენ ჩვენი მეცნიერები პრესის ფურცლებზე. უკანაგრძელ ხანს ი. ბალახაშვილმა დაბეჭდა თარგმანი „შესხმა აგროკოლასი“, ერთი ფრაგმენტი ტაცი-ტუსის ობულებისა „აგროკოლას ცხოვრება“ და სხვა.

მიუხედავად ამისა, უნდა გავიმეოროთ გრ. აბაშიძის მოსაზრება: ახლა „ბარათაშვილის ნიგნებისათვის რაიმე უცნობისა და ახლის მიმატების იმედი ნაკლებად არის, რადგანაც ის კერები, სადაც მისი ავტოგრაფების არსებობა იყო საფიქრებელი, უკვე აღარ არსებობენ“. ამას ერთვის ისტო, რომ ახლა ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები უკვე თითქმის მთლიანადა აღწეროლი. მათში ნ. ბარათაშვილის რაიმე უცნობი ნაწერი არა ჩანს.

ამჟამად პოეტის მოლეული ლიტერატურული მემკვიდრეობა შეიცავს 41 ლექსს, 1 პოემას, 2 პროზაულ თარგმანსა და 18 პირად წერილს. აქედან ცხრა ლექსის („ჩინარი“, „მაღლი შენს გამჩენს“, „როს ბედნიერ ვარ“, „ცისა ფერს“, „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“, „ელენეს და მარიამს“, „ვარდი და ია“, „ნარგიზ და ყაყაჩო“, „კავკასიური მოთხ-რობა“), ერთი თარგმანისა („შაჟ შახი“) და ორი (II და XI) წერილის ავტოგრაფები დაკარგულია. მათ მაგიჭრობას ეწევიან წუსხები და პირველნაბეჭდი ტექსტები.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ობულებათა ავტოგრაფები და წუსხები დაცულია აკად. კ. კეკელიძის სახელმძღვანელოს ინსტიტუტის A(საეკლესიო მუზეუმის), H(საისტ-საეთნოგრაფიო საზ-ის), S(წერა-კითხვის გამაფაცელებელი საზ-ის) და Q(ახალ) ფონ-დებსა და მწერალთა არქვებში, პოეტ-აკადემიკოს გ-ლეონიძის სახელმძღვანელოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმისა და საქართველოს ცენტრალური არ-ქვის ხელნაწერთა კოლექციებში.

<sup>1</sup> რედაქტირა არ ვთანხმება აღნიშვნა და მიმჩნევა, რომ ეს ინფორმაცია გაუცემობის შედეგია. მასთან დაკავშირებით დაწერილებით ის. წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილის პირგრაფი“. გვ. 241-247.

1. ლექსი თქმული თ. 6. ბარათაშვილისაგან. — თფ, ექვთიმე ხელაძის სტ., 1876. VIII+63 გვ; 17 სმ. — (ქართული მწერლობა, ნ. 1).
2. ლექსი თქმული 6. ბარათაშვილისაგან. — მე-2 გამოც. თბ., გრ. ჩარკვიანის გამოც., ამბ. ენციკლიკოს სტამბა, 1879. — 64 გვ, 17 სმ.
3. ლექსი თქმული თ. 6. ბარათაშვილისაგან და მისი ნაწერები. — მე-3 შევს. გამოც. — თბ., გრ. ჩარკვიანის სტამბა, 1886. — VI+98 გვ, 17 სმ.
4. თავადის 6. ბარათაშვილის ლექსები. — მე-4 შევს. გამოც. თფ, ზ. ჭიჭიანაძის გამოცემა, მ. დ. როტინვის სტამბა, 1890. — IV+66 გვ; 22 სმ.
5. 6. ბარათაშვილის ლექსები და წერილები /ექ. თაყაიშვილისა და დ. კარტაშვილის რედაქციით. — მე-5 გამოც. — ტფ, გამოცემა ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოებისა №25, ნიგ. ამ. ქართ. მხანაგობის სტამბა, 1895. — XX+124+V გვ; 21 სმ.
6. ლექსები ნინახტყვაობით. — ბათუმი, გამოცემა სპ. ჭელიძისა №3, ი. ბ. მინკინს სტამბა, 1904. X+46+16 გვ; 21 სმ.
7. მოკლე ბიოგრაფია და რჩეული ლექსები. — ტფ, ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოების გამოცემა, სტ. „გუტენბერგი“, 1905. — 16 გვ; 17 სმ.
8. ლექსები. — ტფ, ელექტრონულები. „შორაპანი“, 1908. — 52 გვ; 12 სმ.
9. 6. ბარათაშვილის ლექსები და წერილები. — ტფ, ნიგნის მაღაზია „ცოდნის“ გამოცემა №45, „გუტენბერგის“ სტ. 1910. — 113+XVIII გვ; 22 სმ.
10. 6. ბარათაშვილის სრული ლექსთა კრებული. — სახალხო ბიბლიოთეკა, ნ. 2. — თბ., ამს. „შორაპანის“ სტამბა, 1910. — 77 გვ; 14 სმ.
11. 6. ბარათაშვილის რჩეული ლექსები 1816-1916 ნ. — ქუთაისი, გ. ლეშვაშელის გამოც., ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტ., 1916. — 20 გვ; 21 სმ.
12. ლექსები / რედ. დ. კარტაშვილი. — თბ., ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოების გამოც. №159 1919 ნ.. — VIII+49+X გვ; 28 სმ.
13. ლექსები; ბედი ქართლისა; წერილები / სამ. ფირცხალავას რედაქციით. — ტფ. სახელმწიფო სტ., 1922. — IX+245+VI გვ; 23 სმ.
14. 6. ბარათაშვილის ნაწერების სრული კრებული / რედ.: პ. ინგოროვა. — თბ., „ქართული ნიგნის“ გამოცემა, „ზარა ვოსტოკის“ სტ., 1930. — II+132 გვ; 17 სმ.
15. ლექსები. — თბ., სახელგამი, ცეკვაშირის სტ., 1937. — 82 გვ; 20 სმ. (სასკოლო ბიბლიოთეკა).
16. ლექსები; პოემა; წერილები / რედ.: ი. თავაძე, ა. განერელია; მხატვ. — ლ. გუდიაშვილი. — თბ.; „ფედერაცია“, 1939. — XCIII+176 გვ; 11 სმ. (ქართული კლასიკური მწერლობა).
17. თხზულებანი. — თბ.; სახელგამი, ბ. ს. კომბ-ჭი, 1945. — XXXI, 115 (5) გვ; 21 სმ.
18. თხზულებანი. — თბ.; სახელგამი, 1945. — VII, 169 (2) გვ; ილ; 27 სმ.

19. ნიკოლოზ ბარათაშვილი. (ლექსები და პოემა): საიუბრლებელი გამოცემა, 1845-1945 / რედ. ი. გრიშაშვილი. — თბ.; სახელგამისამართი, კომბ-ტი, 1945. — 115 გვ; 4 სმ.
20. ლექსები / რედ. ი. გრიშაშვილი. — თბ.: სახელგამი, ბ. ს. კომბ-ტი, 1945. — 114 (5) გვ; 13 სმ.
21. თხზულებანი. — თბ.; საბჭოთა მწერალი, 1954. — 154 გვ; 18 სმ.
22. ლექსები; პოემა. — ჩვენი საუნჯე, ქართული მწერლობა, ოც ტომად. ტ. 6. გვ. 99-142. თბ., 1960.
23. ლირიკა, 1817-1945. რედ. რ. ორჯონიშვილე. — თბ., ნაკადული, 1963. — 77 გვ; 6 სმ.
24. ლირიკა, — თბ.: ნაკადული, 1963. — 77 გვ; 16 სმ. (მსოფლიო პოეზიის ბ-კა).
25. თხზულებანი / სარედ. კოლ.: გრ. აბაშიძე, პ. ინგოროვა და სხვ.. — თბ.; საბჭ. საქართველო, ბ. ს. კომბინატი, 1968. — 286 გვ; 27 სმ.
26. ლექსები; ბედი ქართლისა: პოემა. პარიზი, 1968. — 142 გვ; 16 სმ.
27. ლექსები; ბედი ქართლისა. — პარიზი, 1968. — 139,4 გვ.: პორტ.; 18 სმ.
28. ლექსები; ბედი ქართლისა. — თბ.; საბჭ. საქართველო, 1968. — 92 გვ.: ილ.; 17 სმ.
29. ლექსები; ბედი ქართლისა; ავტოგრაფები / სარედ. კოლ.: გრ. აბაშიძე, პ. ინგოროვა და სხვ.. — თბ.: საბჭ. საქართველო, ფერ. ბ. სტ., 1968. — 147 გვ; 27 სმ.
30. ლექსები / თარგმნა რაინერ კირშმა. — თბ.; განათლება, 1968. — 130 გვ; 20 სმ.
31. ლირიკა. — თბ.: ნაკადული, ბ. ს. კომბ-ტი, 1968. — 71 გვ.; პორტ. 17 სმ.
32. თხზულებანი / აკავი განერელიას და ივანე ლოლაშვილის რედ.. — თბ.; საბჭ. საქართველო, ბ. ს. კომბინატი, 1972. 238 გვ; 21 სმ.
33. ლექსები. — თბ.: ნაკადული, ბ. ს. კომბ-ტი, 1976. — VIII, 63 გვ; 17 სმ.
34. თხზულებანი — თბ. საბჭ. საქართველო, ფერ. ბ. სტ., 1981. — 162 გვ; 16 სმ.
35. ლირიკა. — თბ.; ნაკადული, საქ. კპ. ცკ.-ის გამ. სტ., 1983. — 94 გვ; 10 სმ.
36. ლექსები; პოემა. — თბ.: საბჭ. საქართველო, ბ. ს. კომბ-ტი, 1988. — 128 გვ; 10 სმ.
37. ლექსები; ბედი ქართლისა; წერილები. თბ.: მერანი, „ სამშობლოს“ სტ. 1991. — 168 გვ; 10 სმ.
38. ერთტომეული. — გორი: ქართლი, სტ. №1, 1993. — 144გვ; 20 სმ.
39. ლექსები; ბედი ქართლისა; წერილები / სამ. ფირცხალავას რედაქციით. — ტფ., 1922. (რეპრინტული გამოცემა). რედ. სილოვან ნარიმანიძე, — თბ.: მერანი, კომპერატივი „ მწერალი“. 1993. 304.; 22 სმ.
40. თხზულებანი: სიმფონია-ლექსიკონითურთ. — თბ.: სახ. უნ-ტის

გამ-ბა, 1996. — 224 გვ.; 20 სმ.

41. თხზულებათა სრული კრებული; მოგონებანი; პორტრეტის ისტორია; გენეალოგია. — თბ.: პეტ, 2005. — 24 სმ.

### ცალკეული გამოცემები

42. ბედი ქართლისა, ისტორიული პოემა. — ბათუმი, გამოცემა ალ. ჭელიძისა №3, ვ. ჩანტლაძისა და ნ. ხვინგიას სტამბა, 1911. — 16 გვ.; 18 სმ.

43. ბედი ქართლისა, თქმული წელსა 1839-სა, ტფილისს (ავტოგრაფული გამოცემა). — თბ., გამოცემა ამხანაგობისა, ქართველთა ამს. სტამბა, 1916. — 64 გვ.; 18 სმ.

44. ბედი ქართლისა. — თბ., საბლიუტგამი, სახელგამის ბ. ს. კომპტი, 1945. — 21, 3 გვ.; ილ.; 20 სმ.

45. ბედი ქართლისა. — თბ.: საბჭ. საქართველო, მთავარპოლიგრაფგამ. 1-ლი სტ., 1958. 16 გვ.; 20 სმ.

46. მერანი. — თბ.; განათლება, 1968. 22 გვ.; ილ.; 26 სმ.

47. ბედი ქართლისა: პოემა — თბ.: ხელოვნება, ფ. ბ. ს., 1983. — 32 გვ.; 7 ფ. ილ.; 26 სმ.

48. ბედი ქართლისა: პოემა / გამომც.: გიული მიშელაძე, ბუბა კუდავა. თბ.: ოქროს კვეთა, 1994. — 32 გვ.; 10 სმ.

შედგენილია ლევან თაქთაქიშვილის მიერ

# ლექსები

1834-1845

## ლექსიმის ღეღნები

A – S 2516 (ავტოგრაფელი ქრებული 1843 წლისა).

B – H 2033 (ავტოგრაფელი ქრებული 1843 წლისა).

C – S 2701 (ავტოგრაფელი ქრებული 1841 წლისა).

D – S 2484 (მაიც თრბელიანისადმი გაგტაქნილი ლექსიმის ავტოგრაფები).

E – H 1115 (ავტოგრაფელი ქრებული 1842 წლისა).

F – ნ. ბარათაშვილის ლექსიმის 1876 წლის გამოცემა.

G – პირველნაბეჭდი ლექსიმი („ივერია“, 1882, № IV-V), რომლებიც გადმოღებულია ეპატერინე ჭავჭავაძის არქივში დაცული ავტოგრაფებიდან.

H – H 2417 (ავტოგრაფი 1844 წლისა).

H<sup>2</sup> – საქართველოს ლიტ. მემკეუმის ხელნაწერი № 16398 (ავტოგრაფი 1844 წლისა).

H<sup>2</sup> – H 572 (ავტოგრაფი 1844 წლისა).

I – პირველნაბეჭდი („თეატრი“, 1886, № 30, გვ. 337).

J – პირველნაბეჭდი („ცისქარი“, 1862, № 10, გვ. 144-145).

K – ბარათაშვილის პირველ წერილში ჩართული ლექსიმის ავტოგრაფები.

**შენიშვნა:** ზოგიერთ ლექსის ბოლოშე უწერია თრი თარიღი (მაგ.: „1835 [1843]“) პირველი თარიღი ეპუთვნის პოეტის და მიუთითებს დაწერის დროშე, მეორე კი აღდგენილია რედაქციის მიერ და აღნიშნავს ლექსის უკანასკნელი ვარიანტის შემუშავების დროს. ყველა ლექსის სქილითებში ერთგის ვარიანტები.

ბულბული ვარდებედ მჯდარი, ეტყოფა მას მსტვინავი:  
 „ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკინავი;  
 მაღირსე, თუ როგორ არს გაშლა შენი მღინავი,  
<sup>4</sup> მწუხრსა აქეთ აქ ვზივარ, ფურცლებზედა მკონავი!“

ასე ჰყეფდა ბულბული, ოდესცა ლამე ბნელი  
 მოიცვამდა ჭალებსა, ჰქრიდა ნიავი ნელი.  
 და როს სდუმდა ბულბული, მაშინ აღმოპხდა მთვარე,  
<sup>8</sup> ვარდმანც მაშინ მოპფინა სუნნელება მის არე.

მაგრამ მგოსანსა თურმე მოერთა, გლახ, რული.  
 აღმოპრნყინდა მთიებიც და ფრთოსანთ მხიარული  
 გალობა ჰყვეს ჰაერში, განაღვიძეს ბულბული;  
<sup>12</sup> ნახა ვარდი ფურცენილი და მყის მოუკვდა გული.  
 თვალი ემოსა ცრემლით, გული — სევდის საცლმითა,  
 ფრთა ფრთას ჰკრა და აღმაღლდა, მსტვინავი ლმობის  
 ხმითა.  
<sup>16</sup> უხმო ყოველთა სირთა: „მოდით და შემოკრბითა,  
 მისმინეთ, შემიპრალეთ, ვის მივმართო წყლულითა?“

„განთიადით ლამედმდე შევჰურფინვიდი კოკრობას,  
 არ ვზოგავდი სიცოცხლეს, უძილობას, გალობას;  
<sup>20</sup> მქონდა მცირე ნადილი, ვერ მივხვდი კი ძნელობას:  
 მსურდა გაშლა ვარდისა, არ ვჰელიქრობდი დაჭკნობას!“

ნელსა 1834.

I. ვარდებედ მეჯდა და იტყოდა მხტვინავი C. 3 მდინავი F. 7 მდევმდა ABCEF. 17 შევფრთხინვიდა ABCF. ვფაქტორობდა EF.

ზეირთები მოდუდუნებენ,  
ჭალები ბუჩქნარეობენ,  
ხშირი ლაპაზთა კიდეთა  
<sup>4</sup> მჩექფრად მდინარის ქსნისათა.

მიმქრქალებული მთოვარე მოწყენით პნათობს მუნ  
ქალსა;  
მდინარის ჰირზედ ზის იგი, ხელთა ჩონგურის  
მცყრობელი;  
გიშრისა თმანი ნაშალი ჰშვენიან სპეტაკ საცმელსა  
<sup>8</sup> და დამლერს იგი საკვდავად, ცხარეთა ცრემლთა  
მდენელი:

„ავ-ენანო, ოდეს დასცხრეთ,  
მმასვენოთ ეზდენ სული?  
რა გარგოთ, რომ შეიმურეთ  
<sup>12</sup> უბინოო სიყვარული?“

„გულის-სწორო, ერთის ცილით  
აგრე როგორ შეიცვალე,  
რომე ტრფობა ჩვენი ამ ხნით  
<sup>16</sup> მას აგრე მსწრაფლ ანაცვალე?“

„თუ ვერ მცნობდი, რად მეტყოდი:  
მე შენი ვარ საუკუნოდ?  
სიყმანვილეს რად მილხენდი,  
<sup>20</sup> თუ მოჰკლავდი ასე უდროდ?“

<sup>5</sup> მამქნალებული F. ნათობის ACE. <sup>6</sup> მდინარის პირზედ ზის იგი. რომელიცა ზის ნაპირისა C. 38ის ABEEF. <sup>9</sup> აფ-  
ქნანით ABCE. დაქსენერთ ABCEF. <sup>13</sup> გვლის-ძმწორით ABCE. <sup>16</sup> მპერაფლ ABCEF.

„რად შემიპყარ მე გლახ-გული,  
უმანკო და უზრუნველი?  
რად დამიჭვნე მე ყვავილი  
<sup>24</sup> ყმაწვილობის, ჯერ უშლელი?“

„ეს ნუგეშს მცემს, საყვარელო,  
რომე არის სხვა სოფელი;  
ოდეს სცნა, რომ ვარ უბრალო,  
<sup>28</sup> მოვედ, მოვედ, მუნ მოგელი!“

სდუმდა და მეცა ვიცან  
ქეთევან ჰაეროვანი,  
ქეთევან ნაქები გულით,  
<sup>32</sup> ნაქები მშვენიერებით.

ნეტა რა ქარმან დააზრო მისის სოცოცხლის ყვავილი?  
მეც ამატირა მის მხვედრმან, მაგრამ ვერ ვეცი ნუგეში:  
ქეთევან შუა ქსანშია მარად შეერთო ლელვილი;  
<sup>36</sup> მხოლოდ ისმოდა სახელი ამილბარისა ზვირთებში.

1835 / 1843]

---

21 მე გლახ-გული} ჩემი გელი C. 24 ყრმაწვილისი C. 24 ამ გაების შემდევ CE ავტოტრაფებში იკითხება:  
საყვარელი ხედა ოღებუ/ გვინას ჩემი კვლავ სინაილი, [რომ მშეოლისი მე სამარტე] მთამქეცენა კლას ხიტოსეა; (E-ში ქს სტროფი წამლილია). 25 ნეკეტ E. 27 მეტან ABCEF. 29 მსეუმდა ABCDEF. 32 მეტიოტრიმით C. 36 ამილბარისა CE (E-ში „ელიმბარისა“ წამლილია და ბევრიდან მიწერილია „ამილბარისა“).

პოი მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილი შენი,  
დამაფიქრველი, ვერანან და უდაბური  
ვითარ ჰშვერიან, როს მონამენ ცვარი ციური,  
⁴ ოდეს საღამოს დაჳშთენ ამოს ციაგნი ნელნი!

ვითარი მაშინ იდუმილობა დაისადგურებს შენს არე-მარეს!  
რა სანახავი წარუტყველს თვალთა მაშინ შენს ტურფას  
სერზედ მდგომარეს!

ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილი მოჳქენენ, ვითა  
ტაბლას წმიდასა,  
⁸ და, ვით გუნდრუკა სამადლობელსა, შენდა აღმევენ  
სუნნელებასა!

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნალვიანი,  
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი  
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,  
¹² რომ ჩემებრ იგიც იყო მნუხარ და სევდიანი!

ოჳ, ვით ყოველი, ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი,  
მინაზებული!  
ჰე ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს  
დაჩნეული!

აწცა რა თვალი ლაჳვარდს გიხილვენ, მყის ფიქრი  
შენდა მოისწრაფიან,  
¹⁶ მაგრამ შენამდინ ვერ მოაღნევენ და ჰაერშივე  
განიბნევიან!

მე, შენსა მჭვრეტელს, მავიწყდების საწუთოება,  
გულის-თქმა ჩემი შენს იქთა... ეძიებს სადგურს,  
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...  
²⁰ მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!

დაფიქრებული ვიდეგ სერზედა და ცათა მიმართ  
მზირალს ტრფობითა  
შემომერტყმოდა მაისის მნუხრი, აღმცესბი ნაპრალთ  
მდუმარებითა;

1 ას მთაწმინდათ, მთავ წმინდომ C(E-მი განწორებულია არსებულით C-ის წაითხვა). 2 დამაფიქრებული ABC. 3 შენიან AE. 5 დაემაღლიბა CF (E-მი ეს წაითხვა განწორებულია არსებულით). 7 ვითა ] რეა CBEF. 9 ნალვიანი ] სკელისა C(E-მი ეს სატყველი წამოიღია და თავში მიწოდება „ასელებიანი“. 13 იმ ] ას CE. 16 და მაქწვდინა შენსა წალძე მიმოიღოთ განახვებით CE (E-მი გაეპა წალძელია და გასწორებულია არსებულით). 18-20 CE ავერტრავებმ ეს ტაქტები იქანებია სხვა რევილისა გერას-ორბა ჩემი შენი იქთა... ზექნელსა საღგერის / ყამებს, როთა დაშთოს აქ ამაღება... / მაგრამ პარმიც განქარელების, ვერ მსენოს ჟენარეს CE (E-მი გვეჩო გასწორებულია არსებულით). 19 სამყოფს BP. დაპროთოს B. 20 მსენოენ ABEF. 22 აღმსები C.

ხანდისხან ნელად მქროლი ნიავნი ღელეთა შორის  
 აღმოკვენესოდენ

<sup>24</sup> და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა  
 ეთანხმებოდენ!

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,  
 ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება  
 არა იპოვოს და არ დაჰსნას გულსა ვაება;

<sup>25</sup> გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

სდუმდა ყოველი მუნ არე-მარე, ბინდი გადეკრა ცისა  
 კამარას.

მოსდევს მთვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო  
 მისა ამარა

გინახავთ სული ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით  
 მიქანცებული?

<sup>32</sup> მას ჰგავდა მთვარე ნაზად მოარე, დისკო-გადახრით  
 შუქმიბინდული!

ამგვარი იყო მთაწმინდაზე შემოღამება!

ჰოი ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვჰფიქრობდი  
 მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი!

<sup>36</sup> მხოლოდ გული ჰერძნობს, თუ ვითარი სძლვებით მას  
 შვება!

ჰოი საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად  
 სანუგეშებლად!

როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი  
 განსაქარვებლად!

მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას  
 შენგან მიიღებს,

<sup>40</sup> როს გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის  
 განანათლებს!

1836 [1843]

23 მხოლოდ ნააწილები ნეკავა მქროლისა CE(E-მა წამლითა და გამწოდებულია არსებული). 24 და შოგვერ ჩემნი ]  
 და მეტმარწინი CE(E-მა წამლი). 29 მედებდა ABEF. მედებდა კოველია არეალისა CE(E-მა განწორებულია არსებული).

30 მომსილეები BF. მისხა C. 31-32 C და Eავტოგრაფების კითხება სხვა რედაქტიათ: კოთა კინით და მშენებინები სელი  
 ლოკიათ მაქანიცების / და სხვა მსახ აქტერებით, მათ უფრო შევერ გიცემულია, მას პერიდ მოუმარტ შექმიბიდები  
 / დისკო გაქანილი, მინაბეჭდილი CE(E-მა ეს გემზე წამლითა და გამწოდებულია არსებული). 32 ნაბი მოარე ] სახე  
 მისრიათი E(წამლ), ნაბიდ მოერე ABE. პაბინელ E. 34 კუაქრომდი E. მიდევნია ABCEF. 37 ჰოი ხალაში,  
 მყუდრო, ხამოC.

ვისი ხმა არის ეს საკვირველი?  
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი?

- რად ვცან პირველად წუთისოფელი,  
<sup>4</sup> დავშთე ადგილი, სადაცა წრფელი  
რბილდა ნათლად დრო ყმანვილობის  
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის, —  
მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა  
<sup>8</sup> ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!

- ცხადად თუ სიზმრად, მე იგი მარად  
სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ჭირად:  
„ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენ,  
<sup>12</sup> ვინდლო იპოვნო შენი საშვენი!“  
მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ  
და მით კაეშანს ვერლა ვიშორებ!

- წუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა  
<sup>16</sup> შეუწყალისა სინიდისისა?  
მაგრამ მე ჩემში ვერ ვჰპოვებ ავსა,  
მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა.

- ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი  
<sup>20</sup> ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი?  
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,  
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?  
როს ვცნა მე შენი საიდუმლობა,  
<sup>24</sup> როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?...

1836

<sup>1</sup> საკერველი BE. 3 ვაჟან ABEF; უნი ხოუელი E(წამ). 4 დავშოვ ABEF. მეწორთა ABE, 7 მსდევებ ABEF. ვაჟანი F. ვაჟანი ABEF. 23-24-ე ტაქტები E-ში წერებულია: რომ მიეხედვ შენსა დევალენბას /რომ ვაჟანი ამ ხოუელად ჩემსა წილობას

## მია გ...სმან

- ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,  
 წაგართო ავის ენისა გესლმან;  
 სატრფონი მისნი, შემოგარენი
- <sup>4</sup> გარდახვენილსა დაგიხშო ეტლმან!  
 მაგრამ გაჩნს კიდევც გულში მის არე,  
 გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,  
 თუმც უცხო-უცხო თემად იარე,
- <sup>8</sup> მრავალი კარგი პნახე ამბავი.  
 მაგრამ რას პხედავ ან კრული ჩრდილოს?  
 აჰა, ის ღამე, ოდეს სატრფონი  
 ალამაზებდენ შე ნ ს ყაბახს ამოს,
- <sup>12</sup> შე ნ ი ს სიყრმისა თან-ზრდილი სწორნი.

[1836 წ., ზაფხული]

მიყვარს ყაბახის არე-მარე თვალად საამო,  
 მაისის ღამე მიბუნდვილი, გრილი და ამო;  
 მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე შუქით  
<sup>4</sup> მოჰუცენს ყაბახსა და კოჯორი დაპერის ნიავით,  
 და მომდინარე ხან ზეირთთ-ცემით, ხან ნელად მტკვარი  
 მოოხრავს შორით, ვით მიჯნური, უამთ მოჩივარი!

ამგვარი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე  
<sup>5</sup> ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე.  
 აქა გუნდ-გუნდად დარაზმულნი აქა-იქ ქალნი  
 პირად-პირადად სეირნობდენ, კეკლუც-მოსილნი,  
 და მათ გარემო შეპფრფინვიდენ ყმაწვილნი კაცნი —  
<sup>12</sup> ზოგნი დამძნილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი.  
 თვითონ ცის მთვარეც მონინებით ღრუბელთ ეფარა,  
 როს ქვეყნის მთვარეც მონინებით ღრუბელთ ეფარა.  
 შეეტრფოდენ და მას კი არა.

„თქვი რამ“, ეტყვიან ყაფლანს ზოგნი-ერთი ქალები,  
<sup>16</sup> „თუნდ თ ა ვ ს ა უ ფ ლ ა დ, ახლა პრანჭვას ნუ  
 კი მოჰუცები“!  
 ყაფლანც სულდეგმული აშიკობით დაიღილინებს  
 გულის საკვდავად და თან და თან ყელს მოიღერებს.  
 ვის არ პსმერია ლექსი ესე, როს მყის სევდები,  
<sup>20</sup> არა აპშლოდეს ჩვენსა ქალსა — ტრფობის ჭირები.

უეცრად მათში დავინახე თეთრკაბიან,  
 და მეყვესეულად მან მიმიღო ჩემნი ცნობანი.  
 არ ვიცი, ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა?  
<sup>24</sup> სად არს სილალე, სად არს ძალი გრილის გულისა!  
 ვნახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისლაც ერთი ი,  
 მას აქეთ თვალი ვეღარ მოვჰვარ და ახლა ერთი  
 დგას აქა კრძალვით, ვით ქურციკი, ვეფხვთა შორისა;  
<sup>28</sup> ყელი ყელყელობს, აღმგზნებელი გულთა ჭირისა!

9 აქა-იქ/აქ-იქ CG. 15 მხოჭე CG. 20 ამდონებს CG. 26 მოქვარ CG. 27 პხეგას CG.

თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომცინა;  
 ამან გამამხნო და გულს ძგერით წარვსდეგი წინა  
 და ასე ვუთხარ: „ნეტარ მე რომ მელირსა კვალად  
<sup>32</sup> სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენი ან მხიარულად!“ —  
 „გმადლობთ“, მითხრა მან, „რომ თქვენ მაინც

გახსოვართ კიდევ,  
 ახლა მ ო დ ა ა: ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ“. —  
 „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები  
<sup>33</sup> ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები!“. —  
 ამა სიტყვაზედ ვარდი ლაწვთზედ მყის აეფურცლა,  
 ამ დროს ნიავმანც თეთრი კაბა მიმოუქროლა  
 და ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა,  
<sup>40</sup> რომელთ სიამით ცნობა ჩემი წარილეს თვისდა.  
 ამ დროს მთოვარემც შუქი თვისო მისტება ბროლა,  
 რომელმან შვება სილამაზით ჰყინა ჩემს გულსა;  
 მაგრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრფოსა ქალსა,  
<sup>44</sup> რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი — თვალსა.

[1836-1841]

ნარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,  
 აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;  
 აქ ლპილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,  
<sup>4</sup> აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით;  
 ნელად მოლელაქს მოდუდუნე მტკვარი ანკარა  
 და მის ზეირთებში კრთის ლაუვარდი ციხა კამარა.

იდაყვ-დაყრდნობილ ყურს ვუგდებ მე მისსა ჩერიალსა  
 8 და ოვალო რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!  
 ვინ იცის, მტკვარო, რას პბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?  
 მრავალ დროების მონამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..  
 არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება  
 12 რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?...  
 მანც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი,  
 თუ არა ოდენ საწყაული აღუცებელი?  
 ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,  
 16 და, რაც მიეღოს ერთხელ ნატყრით, ისი ეკმაროს?

თვითონ მეჯენიც უძლეველი, რომელთ უმაღლეს  
 ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,  
 პშვილვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,  
 20 ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძროან  
 იბავ მინისოფის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან...  
 თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?  
 მისი სიცოცხლე — ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;  
 24 მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს  
 თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს  
 არ მისცეს წყვით თვის სახელი შთამომავლობას!..

1 წყლისა F. 4 აქაც შექნება C. 5-6 ცდა ეავთორაულმი იკითხვაა სხვა რედაქციით: „ლურჯად მოცელავს და დედენებს მტკვარი ანკარა/ჰერაკლიონი მონასთომის მხიად ზემოთთა ციხა კამარა“. E-ში კურ წაეტლი მეტ გაეტა და გაუქრინებას ასე: „მეგრინიტებან პრისის დაკარგდებისა კამარა“, მერმე თორევ (5-6) გაფი წაეტლა და მანისება მსაწებ მოუწვერა ანსებული წაითხვა. 6 პრისის ABF. 7 უკეთ ABCEF. 8 მრმაის ABF. ციხა C. 9 ბეგეზები ABCEF. 10 მრავალთა დროია C. 15 თავის C. 17 უძლეველი/მეტნიმდებარი CE (E-ში წამ). 18 F-ში იკითხება „არც ვარდ ასის და წინაშე არც ვინ აღედგის, რომელთ ხელთ ვპრისის კამდღები სრულის დღვენა“, 19 მეფოთვენ და ღრმაზინვენ/იგინის ღრმაზინება C. 24 მხიად უიქნი C. 25 თავის C. 26 მასებებ C. შთამომავლობას ABCE.

მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდ ბოლო მოედოს,  
<sup>28</sup> მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..

• • • • •

მაგრამ რადგანაც კაცნი გვეკვიან — შვილი სოფლისა,  
 უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.  
<sup>32</sup> არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
 იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.

1837 [1843]

---

27 ხოდელებ F. ენდა ABCEF. 28 მხტარი ABCEF. 30 მივდიოთ ABCEF. 31 რომ ] თე F. 32 და ხოჯლისთვის არა იშრეწეოს ] და ხოდელებ յо არარა არცონ F.

## წონგვრს

შენი მოთქმანი, კაეშნის ხმანი,  
ხანცა ოხვრანი, ხანც ამოსკვნანი,  
წარსარულთა დროთა მოგონებითა სულს აფიქრებენ!

<sup>4</sup> ჰოი ჩინგურო, ნეტავი ოდეს  
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,  
რომ უკუმყროდეს მე სევდიანსა გულისა სენი!

<sup>8</sup> მაგრამ სად ვნახო შენი ღიმილი,  
სიხარულითა გამოჩენილი?  
მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი!

1837

რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო?  
 მაინც გეტრფი, თუმცა ხშირადა მკლავო:  
 შეეთვისა სული შენსა მოღრუბლვას,  
<sup>4</sup> შეეჩვია გული სევდითა კრთოლვას!

ნუ გგონია, ბედსა მით დამიმწარებ,  
 რომ უეცრად ბუქით ნისლს მოიფარებ;  
 შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,  
<sup>8</sup> როს მიბჟუტვით ნისლით-გამო მონათებ.

რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,  
 მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო:  
 ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,  
<sup>12</sup> მალხინებელ დაბინდულის გულისა!

მოციმციმდი, მოდი, გამომედარე,  
 შენგან ბნელი გული გამომიდარე;  
 კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,  
<sup>16</sup> ნაპერწკალნი ეშისა მომაყარე.

1837

---

<sup>8</sup> ნისლით გამომინათებ F. 16 მამაყარე F.

## ნაკოლეონი

ნაპოლეონი გარდმოავლო თვალი ფრანციას  
 და თქვა: „აბაო, ხელმწიფებაშ რა შემიძინა?“

და რა იხილა თვისს დიდების მსხვერპლი თვის წინა,

<sup>4</sup> მისს მოლრუბლულს შუბლს შუქი რაღაც გარდაეფინა.

„ახლა კი ვმარა“, თქვა მან გულში, „სურვა აღმიხდა:  
 სახელი ჩემი ვასახელე ქვეყნის საოცრად,

შევმოსე ძალით საყვარელი ჩემის საშვენად

<sup>8</sup> და დავუმონე გულმტკიცენი მას სადიდებლად.“

„მაგრამ მე გვამში სული ვერდა მომთავსებია!  
 მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,

ხოლო მე უნდა მას მოვასხნა შარავანდედი;

<sup>12</sup> უამი ჩემია და უამისა მე ვარ იმედი!“

„მაგრამ ვინ იცის, იქნება, რომ ბედსაც მოვსწყინდე,  
 და სხვა მან ჩემის სახელითა დააგვირგვინოს!..

არა, არა მრჩამს, რომე ბედმა მე მიორგულოს:

<sup>16</sup> მე მან გამზარდა და თვისს გაწჭრთნილს რაღა მიხერხოს!“

„ვერა გაუძლებს ნაპოლეონ მეტოქეებსა!

რა გინდ ძლიერად, მეცნიერად, ვინ ხელმწიფებდეს,

მაინც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ ჩემოდნობდეს,

<sup>20</sup> თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს!“

ბეჭრი დღე გავა, რომ ჯერ ბეჭრი ვერ ვცნათ ჩვენ მისი!

თვითონ სკვედილიც მას უებროდ აღმოგვიჩინებს:

დამქრალი ცეცხლი და ზღვის ღელვა წარმოგვიდგინებს

<sup>24</sup> მისს ცეცხლსა სულსა და ზღვა-გულსა განსაკვირველებს!

1838

---

1 ფრანგიას ABEF. 2 პირები ABCEF. 5 პირები ACE. 8 დაუმონე ABCEF. 11 მოვასხა BF. მოვასხა BF. მოვასხა ABEF. 14 ხახულითა ] დიდებითა C. ფრანგია BCF.

## თავადის ჭ.ძის ასულს ეპ...ნას

ხმით მშვენიერით,  
 ტკბილის სიმღერით,  
 ჰაეროვანო, სულს ელჩინები!  
<sup>4</sup> თვალთ არონინებ,  
 გულს დააწყლულებ  
 და ღიმილითა ესალბუნები!

სადც ხარ, იმ არეს  
<sup>8</sup> მოჰვენ სიამეს,  
 უშენოდ მოსცდეს მხიარულება!  
 შენის ერთა,  
 სავსე ლხენითა,  
<sup>12</sup> ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!

მახსოვს სიამით,  
 ოდეს ტკბილის ხმით  
 ვარდსა და ბულბულს\* მოელხინარე,  
<sup>16</sup> ჰირმცინარითა  
 სინარნარითა  
 მგოსნის ყარიბს გულს ესხივმფენარე!

1839

<sup>9</sup> მომცემები ABEEF.

\* „ვარდი და ბულბული ლექსია სამღერალო, რესელიდინ ნათარჯმის თასს ჭავჭავაძისაგან“ (შენიშვნა 6. ბაზითამცილებები).

ვითა პეპელა  
არხევს ნელნელა  
4 სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,  
ასე საყურე,  
უცხო საყურე,  
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.

8 ნეტავი იმას,  
ვინც თავისს სუნთქვას  
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!  
შენის შერხევით,  
12 სიო-მობერვით  
გულისა სიცხეს განიგრილებდეს!

16 ჰონ, საყურეო,  
გრძნებით ამრეო,  
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?  
მუნ უკვდავების  
შარბათი ვინ სვის?  
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

მიყვარს, მიყვარს მე ტიკტიკი ჩვილის ყრმის,  
 მიყვარს სმენა უცნაურისა მის ხმის,  
 ოდეს იგი ენთა სასუფევლის  
<sup>4</sup> უალერსებს წიაღთა თავის მშობლის!

მის სოფელი უზრუნველობით შენობს,  
 გარდა დედის ალერსისას არრას ჰერძნობს,  
<sup>5</sup> ნებივრობით და ლიმილით სულდგმულობს,  
<sup>6</sup> ყოველსავე შეუპოვრად მჭვრეტელობს.

არა ჰერიქრობს იგი თავისს ცხოვრებას,  
 არ განიცდის იგი სანუთროს ვნებას;  
 იგი თავის სანუკველითა შობით  
<sup>12</sup> ამუნათებს თვისთა მშობელთ პირიქით.

იტიკტიკე ენთა უსუსურის,  
 იტიკტიკე, ვიდრე უამი დაგხარის,  
 ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,  
<sup>16</sup> არ გიცვნია სოფელი მომლერალი!

1839

<sup>2</sup> ესნაურის C. 5 პატენტი ABCEF. 7 მსულდგმულობს C. 9 ფიქრის ABCEF. 11 სანკუკლის C. 16 მომლერალი ] მომკერალი F.

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,  
 ნუ ვინ სჩივის თავისს უთვისტობას!  
 საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი,  
<sup>4</sup> ძნელდა პოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,  
 ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული,  
 მაგრამ ერთხელ დაობლებული სული  
<sup>8</sup> მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

არღა რა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;  
 ეშინიან, იკრძალვის, არღა იცის,  
 ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,  
<sup>12</sup> ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა!

ძნელი არის მარტობა სულისა:  
 მას ელტვიან სიამენი სოფლისა,  
 მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,  
<sup>16</sup> ოხვრა არის შვება უბედურისა!

1839

<sup>2</sup> მხიავის ABEF. <sup>4</sup> პპოვის ABEF. დაბარების F. 15 მხერისა ABEF.

\* \* \*

სატრაფოვ, მახსოვს, თვალი შენი  
 მშვენიერი ცრემლით კრთოდენ  
 და ბაგენი მდუმარენ  
<sup>4</sup> ხვაშიადსა მიმალვიდენ!

მაგრამ, სულო, იგი ცრემლი  
 არ სტიროდა ამ სოფელსა;  
 სახე შენი მოწყენილი  
<sup>8</sup> არა ჰგავდა ხორციელსა!

ან მივხვდი მე, უბედური,  
 თვალთა შენთა მეტყველებას:  
 თურმე ცრემლი უცნაური  
<sup>12</sup> მოელოდა ჩემს ობლობას!

ახლაც, ოდეს ვნახავ სადმე  
 ცრემლსა თვალთა მშვენიერთა,  
 გულამოსკვნით ვიგონებ მე  
<sup>16</sup> დღეთა ჩემთა ბედნიერთა!

1840

---

<sup>2</sup> პერიოდული ABDEF. <sup>6</sup> პერიოდი ADBE.

ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცოდომილი  
 და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ-ლელვილი!  
 ნუ თუ მამასა არღა ჰქონდეს გულის-ტკივილი,  
<sup>4</sup> ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?

ჰოშ, სახიერო, რად წარვიკვეთ მე სასოებას?  
 პირველ უმანკომ თვით ადამმაც სცოდა შენს მცნებას,  
 უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება,  
<sup>8</sup> გარნა იხილა სასუფევლის მან ნეტარება.

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,  
 დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა,  
 არა დაპქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,  
<sup>12</sup> არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სილრმე:  
 შენ უნინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე,  
 და ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთთ შენდა სათქმელად?  
<sup>16</sup> მაშა, დუმილიც მიმითვალენ შენდამი ლოცვად!

1840

---

<sup>6</sup> ქეცენდა ABF. 13- მხილავთ F.

აღმოშხდა მნათი აღმოსავალს, მზეებრ ცხოველი,  
 მცირითა შუქთ გარდუყარა ცასა ღრუბელი,  
 დიდ-სამქუჩარო, საავდარო, და მეც, გლახ-გული  
<sup>4</sup> მსწრაფლ განმითენა, შავ-ბედისგან დალამებული!

ნუ თუ აღმიჩნდი ცხოვრებისა ჩემის მნათობლად;  
 ნუ თუ შენ ჰერინ შვების სხივი ჩემს გულსა კვალად;  
 კვლავ აღმიტეხო გულის ჭირნი მიყრუებული  
<sup>8</sup> და განმიახლო ნეტარების დღეზ წარსრული?

მაშ, გამოპრენყინდი, მფინე შუქი ეგ საოცარი  
 და განანათლე კვლავ ცა ჩემი, ესრეთ საზარ!  
<sup>12</sup> მეცა ხელი ვპყო დაუანგებულს ჩემსა სანთურსა  
 და შევაერთო ფიქრნი ჩემი შენს ხმას ციურსა!

დავმდერდე მას დროს, როს ვარსკვლავი მშვენიერის ცით  
 მინეტარებდა სიცოცხლისა დღეთა სიამით;  
 მოვსთქვამდე, თუ ვით მიმეფარა იგი მსწრაფლ ღრუბელს,  
<sup>16</sup> ბოლოს ვუმდერდე შუქსა შენსა შვების მომფენელს!

ვპჰუცავ ძლიერსა სხივსა შენსა, ჰოქ, მნათო ჩემო!  
 ოდეს ვიხილო მცირე ბინდი შენს შუქს გარემო,  
 მყის დამიღამდეს ამ სოფლისა სიამოვნება  
<sup>20</sup> და შენთვის დავთმო ტრფობის წინდად ყოვლი დიდება!

1840

<sup>2</sup> მეორედის E. (წამ). 4 ვასტრაფლ ABEF. 15 მოვალეობამდე ABE, მოვალეობამდე F. ვასტრაფლ ABEF.

ჭაბუკო, ვიდრე ცხოვრების დღეთ დილა გინათებთ  
 და სიყვარული გულის ჭირთაც გისიამოვნებთ,  
 არ დაიჩრიოთ შავის ბედის მსწრაფლი ლახვარი  
<sup>4</sup> და შეუპოვრად წარიხოცეთ ცრემლიცა მწარი.

აჰყევით სოფელს, შეურჩენელს და მომღერალსა,  
 ნუ მოარიდებთ სიყმან ვილეს ტრფობისა ალსა!  
 სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმან ვილობდეს,  
<sup>8</sup> და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს!

მას ვაქებ, ვინცა თვის სიცოცხლე ასე ატარა,  
 რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოხმარა!  
 მაშინცა კმარა დადუმება გულის-ვნებათა,  
<sup>12</sup> კისრად ტვირთება წუთის-სოფლის მძიმე ზრუნვათა,

ოდეს მზის სხივნი შეგვიცვლიან ჩვენ დილას მას ნელს  
 და ცრუ სოფელი სიყვარულსაც შეჰყრის სარგებელს!  
 მხოლოდ ერთს გირჩევთ და გახსოვდეთ ესე თათირი —  
<sup>16</sup> მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი აქვს ჩემს გულს ეს ჭირი:

„არ შეემსჭვალოთ მოკისკასეს, კეკელა ქალსა,  
 სულის დამტყვევნელს და გრძნობათა ცრუდ-მომღერალსა!  
 აშიკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმარებს,  
<sup>20</sup> ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს!“

1841 [1843]

1 გინათებით F. 2 გინათონებით F. 3 მსწრაფლინი ABE. 4 და შეემოურად წარსიცემი ] ლხინიდ და გრვობდ  
 გარდიცალე E (წამლ.), და შეემოურად მოიწმინე E (წამლ.). 11 დაღმება გველის- ჩემბათა ] მეტყველე გველის  
 იქმოთა E (წამლ.) BE. 15 ე-ში წამლიადა მსოლოდ გაბათელებ ჩემბათ, ძმით, ერთი თამიბარი, შე მისი ურის ჯერ  
 აქამდინ ისვეგა ვგირი“ და მის მაგიერ იკათხება არსებული გადამ. 16 დაეკუთხა ამ გაეპის ხამი ვარაანგი: „მერწმუნეთ  
 წერ გველ ნაერა აქეს ქ მკეთი ჭირი“ E (წამლ.). აქრწმუნეთ, ძმით, ნაცადი მაქებ ეს გველის ჭირი“ E (წამლ.) და  
 არსებული წაკითხება. 17 არ შეემსჭვალო ქალის კეკელის მოკისკახება E (წამლ.), არ შეემსჭვალო კეკელი ქალის  
 მოკისკახება E.

\* \* \*

არ უკიუინო, სატრფოო, შენსა მღოსანსა გულის-თქმა:  
მოკვდავსა ენას არ ძალ-უძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,  
<sup>4</sup> საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო.

მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,  
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრთველი და ვარდი.

მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი,  
<sup>5</sup> რომ განაცოცხლო, შავარნო, მდელო, სიცხითა დამჭკნარი,

რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დილის ნამსა იშრობდეს,  
და ერთად შესხივებული შვებას მოჰუნდენ სიცოცხლეს,

არეს ავსებდენ სიამით მცენარეთ განმაცხოვლებლად,  
<sup>12</sup> იყვნენ მარადის, უხსნელად, სოფლისა განსათავებლად!

ნუ თუ ამ სულის წადილსაც პრქვა სიყვარული სხვათაებრ?  
მაშინ მზეც უსხივ-უცეცხლოდ შეიძლებს ნათვას  
ვარსკვლავებრ;

მაშინ ვარდიცა განთიადს ვერლარა გარდაიშალოს  
<sup>16</sup> და ცისა ცვარმან მდელოი არლარა გააბიბინოს.

მაშინ შენც სხვათა მოკვდავთა ბანვანთ მიემსგავსები!  
მაშ, რად ერჩევი მათ შორის და ციურთ დაედარები?..

მაგრამა მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწნელი,  
<sup>20</sup> და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დასდვან კაცთა სახელი!

1841

<sup>6</sup> ვლოდენ F. 8 ხიტით ] დამიხ D. 12 მარადის, უხნელად] მარადის, მარადის DBEF. გახათავებლად B, გამობუნებლად F. 13 პრქვა D. 14 გარსკლაებრ D. 15 გარდისა ვედარა D. 16 მღვდობა ABDEF. აღარა D. 20 დაპსლეინ ABEF.

ვჰპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;  
 მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი.  
 ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,  
<sup>4</sup> და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!

მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,  
 მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;  
 გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით,  
<sup>8</sup> ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!

მუნ გუნდრუკის წილ შევსწირავდი წმიდას სიყვარულს,  
 რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;  
 ამა სიამით, ნეტარებით, ესრეთ აღვსებულს  
<sup>12</sup> მეგონა, ვჰედავ სასუფეველს აქ დაშენებულს!

მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?  
 განპერა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;  
 მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,  
<sup>16</sup> მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!

მოისო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!  
 განა თუ დრომან დაპკრა თვისი მას ავი თვალი! —  
 არა! მოსძაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!  
<sup>20</sup> დამშთა მე მხოლოდ მის ლამპისგან ცეცხლი დამქრალი!

ვერდა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!  
 ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!  
 ესრეთ დამიხშო უკულმართმა ნუგეშის კარი,  
<sup>24</sup> და დავალ ობლად ისევ მწირი მიუსაფარი!

1841 [ოქტომბერი]

1 მესაფარი ] მესაწყნარი წ. (E-მი ქს სიტკა წამლიალია ფანქრით და თავშე მიწერილია „მესაფარი“). 7 ხადგომ ] ბერიობით წ DE. 9 შეკამწინავები ABDEFV. 10 საკურთხადსაკეპრისშეელ წ D, ხაეკროსტელ E, საკურთხად F, დაკამბებელი BD. 13 ვისმე D. 17 მპსწრაფლად ABDE. მპსწრაფლად მოისპო წ. 19 მოსძაგდა ABEF, მოპულდა D. 20 დამშთა მე მისგან მხოლოდ ცეცხლი იგი დამქრალი წ. D.

...ნა უორტვაიანობედ მომღერალი

ხმა საკრავისა,  
 ნელ-ნარნარისა,  
 სულს განახარებს,  
<sup>4</sup> და მშვენიერის  
 ენა ამიშლის  
 გულისა ჭირებს!

<sup>8</sup> ვჭრეტდი ლამაზსა,  
<sup>8</sup> სევდითა ნაზსა,  
 და შევეტრუფოდი;  
 ყოველთ გრძნობათა,  
 ყოვლთ გონებათა  
<sup>12</sup> მას მივაპყრობდი.

ღაწვნი ნაცრემლნი,  
 ტრუიალთ დამწველნი,  
 უფროს შვენოდენ;  
<sup>16</sup> თმანი ნაშალნი,  
 მკერდზედ დაყრილნი,  
 ემუქმებოდენ.

უუშუნა თვალნი,  
<sup>20</sup> გულთა მომკვლელნი,  
 მოცინარობენ;  
 პარანა ტუჩნი,  
 ვარდებრ ნაფურცლნი,  
<sup>24</sup> ლხენას მოჰბერვენ.

[184]

მიყვარს თვალები მიბნედილები,  
ეშხისა ცეცხლით დაქანცულები;  
მაგრამ როს უუჭვრეტი, ზამბახ-ვარდთ ველად  
4 განეწონვიან მათი ისრები.

მივხვდი, თვალებო, ჩემო მკვლელებო, მაგ თქვენსა ქცევას,  
მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდილის თქვენგან გაქცევას?

ვიცი, რომ ჰმტრობენ გულსა მგრძნობელსა,  
8 უწყალოდ სტანჯვენ უენო მსხვერპლსა,  
მაგრამ რა ისართ ზეცად აღმართვენ,  
მათშივე ჰპოვებს საკურნებელსა!

თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა ძლიერს ბასრობას,  
12 თუ არა სჭრეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას?

1842

7 მერიძენ ABF. 8 ქაბანჯენ ABF. 12 ქაბანჯელენ ABF.

### მ წ ი რ ი

სუმბულო, სად არს ფეროვნება შენი საამო,  
 რომ შენსა მჭვრეტელს არ გააჩნდა დილა, საღამო?  
 მარქვი, სადა არს სუნი შენი, ამო და ნელი,  
<sup>4</sup> რომლით ათრობდა სიცოცხლის უამთ ლამაზი ველი?

### ს უ მ ბ უ ლ ი

მნირო, ხომ ჰედავ, მოვჰკლებივარ ჩემს სამშობლოს გულს,  
 ჩემთ სწორთა ყვავილთ, მშვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს.  
 აგერ, მაისი ააყვავებს ტურფად ბუნებას,  
<sup>8</sup> მოვა ბულბული და დაუშტვენს სიცოცხლისა ხმას,  
 ხოლო მე, ხშული ბნელსა სადგურს და სევდიანსა,  
 ვეღარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილს მგოსანსა!

### მ წ ი რ ი

ნუ თუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას საამურს,  
<sup>12</sup> სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს;  
 სადაცა კაცი შენს შვენებას ესრეთ ინახავს,  
 რომ მზე ვერ გიჭვნობს და სიცივე ვერა დაგაზრავს?

### ს უ მ ბ უ ლ ი

მაგრამ მარქვ, რა არს ჩემთვის სახლი დიდ-მშვენიერი,  
<sup>16</sup> ვით გაალიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი?  
 არლა მევლება გარე წყარო ცივი, კამკამი,  
 არლა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი;  
 გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უალერსებს  
<sup>20</sup> და მაყვლის ბუტკი მზისა სხივთა არლა მიჩრდილებს.

61 სუმბული ] ქილის კავკაციური D. 5 პოემული ფარ D. 6 პარონითა ABDEF. 8 ხილის ხილის სიცოცხლის BDEF.  
 10 ტანილ D. 17 არდა ] რიმ არ D. 18 არ დამკაქმაბ D. 20 ურჩიდილების BDEF.

## მ წ ი რ ი

სუმბულო ტურფავ, მოიგონე მკაცრი ზამთარი,  
მისგან შენ ახლა იქმნებოდი უწყალოდ მკვდარი;

ნახე, რა ძალ-უძს შენთვის მზრუნველს კაცისა ხელსა,

<sup>24</sup> რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს ვერც თუ ფურცელსა.

## ს უ მ ბ უ ლ ი

ჰე მნირო, სოფლად ყოველსა აქვს უამი და ბოლო,  
მაგრამ ამას ვწუხ, რომ უუამოდ მეღების ბოლო!

ზამთრით ბუნება არა კვდება, სევდით იმოსვის,

<sup>28</sup> რომ თავისს საჭრფოს, გაზაფხულსა, განეშორების!

და მყის ვითარის შვენებითა კვლავ შეიფურცვლის,  
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყვარლის!

ახ, როდის ვნახო მეცა ველად ჩემი ბულბული,

<sup>32</sup> რომ განვიშალო კვლავ სიტურფით მისი სუმბული!

## მ წ ი რ ი

მშვიდობით, წავალ, მეც მოვძებნი ჩემსა ყვავილსა;  
ისიც შენსავით განაშორეს სამშობლო ველსა!

ვაი, თუ მასაც უდროდ აჭვნობს უწყალო ხელი,

<sup>36</sup> და არლა მომხვდეს სუნი მისი, ჭირთ უკუმყრელი!

1842

22 მიხეინ შენ ] რომლისხმან DE. იქნებოდი BF. 26 ვმწებ D. 27 პავლება ABEF. 28 თავის D. 29 და მყის ] მაგრამ DE (წამლი). 34 მენებრივ DE. სამშობლოს D. 35 გან AEF. 36 მამხედებ D.

\* \* \*

შენი დალალნი ყრილობენ გველად  
 სპეტაკს მკერდზედა, ტრუობისა ველად,  
 და თვალთა ჩემთა ადაფრიშებენ  
<sup>4</sup> ხან ნუგეშისთვის, ხან დასაწველად!

ოდეს ნიავი ლამაზ დალალებს  
 მიგიშლ-მოგიშლის და სიამოვნებს,  
 მაშინ ჩემს თვალებს აღაგზნებს შური  
<sup>5</sup> და, გლახ, ჩემს გულსა ის ავალალებს!

1842

\* \* \*

რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?  
 თუ ემდური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას,  
 რომ არ გემსჭვალვის საუკუნო ტრფიალებითა?  
<sup>4</sup> ჰგავს, არ პასუხს სცემ შენ მას სულით მშვენიერითა.

სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების  
 და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჭრების,  
 აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჭვალები,  
<sup>5</sup> ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები!

მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული,  
 რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული,  
 და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,  
<sup>6</sup> რად გრძამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფიობისა?

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,  
 მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.  
 მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,  
<sup>16</sup> ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!

მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ სანუკველი,  
 რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი!  
 მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება  
<sup>20</sup> და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება!

1842

3 ემჭვალვის ABF. 4 პსემ ABEF. 6 მპერაფლად ABEF. 7 მენაპმეჭვალები ABF. 8 წარმავალი ] უბოლოო E(წამლ.).  
 13 ჟკლავება EF. 15 მხოლოდ კავშირი ] დაქაუშირება E(წამლ.).

\* \* \*

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,  
უკან მომჩხავის თვალპედითი შავი ყორანი!  
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი  
<sup>4</sup> და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,  
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი  
დღენი!  
<sup>5</sup> ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,  
<sup>6</sup> ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა  
მხედარსა!

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და  
მეგობარსა!  
 ნულა ვიზილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს,  
ტკბილ-მოუბარსა;  
 სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა  
სამშობლო,  
<sup>12</sup> მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე  
საიდუმლო!

კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მიცე ზღვის ღელვას  
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიურსა ლტოლვას!  
 გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი  
<sup>16</sup> და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართა  
საფლავებს შორის,  
 ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს  
ცრემლი მწუხარის!  
 შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის  
<sup>20</sup> და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით,  
მიწას მომაყრის!

<sup>1</sup> თადებინწირული მხედარი E. 3 გაქაწი ABEF<sup>წ</sup>. 6 გაქაწი ABEF<sup>წ</sup>. 9 ჩემთმო ABF<sup>წ</sup>. 15 გაქაწი ABEF<sup>წ</sup>. 17 ჩემთა მამულში ] მშობელს მიწამი წ. 18 ნე დამიტირებს სატრფო სელისა, ნე დამეცეს მწუხარის წ. 20 მამაყრის ABF.

სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა, დამეცემიან  
 ციურნი ცვარნი,  
 ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი  
 მყივარნი!  
 გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის  
 სამძღვარი;  
<sup>24</sup> თუ აქამომდე არ ემონა მას, არც ან ემონოს შენი  
 მხედარი.

დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!  
 ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!  
 გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი  
<sup>28</sup> და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს, განნირული სულის-  
 კვეთება  
 და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც  
 დარჩება;  
 და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სონელე გზისა  
 გაუადვილდეს,  
<sup>32</sup> და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ  
 გამოუქროლდეს!

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,  
 უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!  
 გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი  
<sup>36</sup> და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

1842 [აპრილი]

<sup>23</sup> გამსწი ABEF ვ. 25 მოვაკედე ABF ვ. 27 გამსწი ABEF ვ. 29 ცედათ F. ჩემის ხელისა ქვე კეთება ვ. ქვე განწირელის ] ეს განწირება E (წამლა). 31 მემტება E. 35 გამსწი ABEF ვ. „მაისის 9-სა, 1842“ EB.

პნევმ ბარათავევის აზარვებაგედ

ამავსებ ღვინით,  
აგავსებ ლინით.  
შესვი? გაამოს!

1842

(კრისტე მ... პ... ძეს ბარათაევს)

მოვიდორეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,  
 და ცრემლთ დავანთხევ შენს სახელზე, მეცნი ხმოვანო!  
 ახ, რად არ ძალ-უძს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა,  
<sup>4</sup> რომ გარდმოჰქედო ახალს ქართლსა, შენს პირმშოს  
 შვილსა!

თაყვანს ვსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!  
 გახსოვს, სიკვდილის უამს რომ უთხარ ქართლს

დაობლებულს?

აჲა, აღსრულდა ხელმწიფური ან ჰაზრი შენი

<sup>8</sup> და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა ან შენი ძენი!

უამ-ვითარებით გარდახვენილთ შენთ შვილთ მიდამო  
 მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო.

მათი ცხოველი ტრაფიალებით აღსავსე სული

<sup>12</sup> უნდობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული,

და მუნით ჰშიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,  
 მშურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!

სადაც აქამდინ ხრმლით და ძალით ჰშლობდა ქართველი,

<sup>16</sup> მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს ან ხელი!

ან არლა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,

ვერდა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;

შავი ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,

<sup>20</sup> ან მოვეგვირიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!

მშვიდობა შენსა წმინდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,  
 უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!

ან მიჰევდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ-ნამაგსა

<sup>24</sup> და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!

1842

4 გარდმოხელო ABF. 5 ვმეუქმ. 7 ამრი F. 8 ვპამო A. ვპაჭამო BF. 15 ხმლით ABF. 23 მიხედა ABF. 24 ქმექმ ABF.

## სულო ბოროტო

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,  
ჩემის გონიერის და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?  
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,  
როსთვის მომიკალ ყმანვილის ბრძა სარწმუნობა?

ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმანვილკაცობას?  
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას,  
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი  
⁸ და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი!

მარქვი, რა იქმნენ საკვირველი ესე აღთქმანი?  
რად მომისიბლე, აღმირიე, წრიფელი ზრახვანი?  
სად ხარ, აღმშეფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,  
⁹ რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?

ნეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა  
ბრძად ვუმსხვერპლიდი, მივანდობდი ჩემთ გულის-თქმათა!  
მას აქეთ არის, დავუკარგე მშვიდობა სულსა  
¹⁰ და ვერც დელვანი ვნებათა მიკვლენ წყურვილსა!

განვედი ჩემგან, ჰოქ, მაცოთურო, სულო ბოროტო!  
რა ვარ ან სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,  
ჭკუთ ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?  
²⁰ ვაი მას, ვისაც მოპევდეს ხელი შენი მსახვრალი!

1843 [აგვისტო]

2 აღმაშფოთოად ] განსამწაროად წ. საკურველი ABF. 14 მივანდობდა, ვემსხვერდიდი BF. 20 ვაჩ A. ვიხანა წ.  
მოხელეს ABFV.

შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს,  
 გულსა დავიწვავ დასანაცრებელს  
 და მისია ფერფლსა, ვითა საკმეველს,  
<sup>4</sup> შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!

მისთ თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,  
 მისი ღიმია შვების მომცემი,  
 ჩემი წარმნებელი, მაცხონებელი,  
<sup>8</sup> განმაბრძნობელი, გამხელებელი!

ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა!  
 ყოვლინ კეთილნი მან შეიერთა,  
 სულსა მოჰბერა ცის ნიჭნი ქვეყნად  
<sup>12</sup> და თავის მკობად ქმნა იგი მგოსნად!

1843

---

<sup>4</sup> მევმეწორავ EF. 5 მხარობს EF. 12 3:06a F.

ომი საქართველოს თავდაც-აგნაურ-გლეხითა პირის-პირ დაღისტნისა და განვითარებისა  
ჩეხელითა, წელსა 1844-სა,

მდლანელიასა კვეთა დამარცხის მარშლის, მავალის დამიტრი თამაზის მის  
ორგანიზისა

ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა,  
შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენ ქართლისა სრულისა,  
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,  
და აღმორთმევად უწყალოდ შენს შორის ბოროტ  
სულისა!

ქართლითგან მოვალს მარადის მამულის მონა ლაშქარი,  
ნინ ერისთავი მიუძღვის, მიწასა გააქვს ზანზარი!  
კავკასო, ქართლოსს საფლავზედ არიან გაფიცებულნი,  
და მათ ნინ ვერდა დაუდგნენ ვერც შენი პირველ  
რჩეულნი!

სომხითით მოსჭექს სასარდლო, ძველთაგან სახელ-  
განთქმული,  
მის შორის ბრუნავს ცხოველად დავით სარდრისა კვლავ  
სული!  
ჰე, დალისტნელნო, სომხითის კედელი თქვენგან ნგრეულნი,  
<sup>12</sup> მის ძეთა თქვენის თავებით ყონ ახლად აღშენებულნი!

კავკასო, აპა კახნიცა, შენზედ გულ-ამლზრეულები,  
მეფის ირაკლის განვრთნილნი, გმირებად დასახულები!  
ნუ ჰე მებრძობა, ალხოცილ-იყვნენ მათ შორის ძველნი მამაცნი:  
ყოველსა დაპშთა შვილები, საშვილისშვილოდ ვაუკაცნი!

ნაუნჯინ ყმანიც მეფისა, თუშები მოუღალავნი,  
სდევნიან მტერთა მძვინვარედ, ვით მგელნი, ცხვართა  
მლალავნი!

თქვენ ჭირიმე, თუშებო, ბიჭობა თქვენ ქებულ ა,  
<sup>20</sup> მახვილი თქვენ მარადის დალისტნელთ ქედზედ ლესულ ა!

<sup>4</sup> ეწყალოდ ] მეწყალოდ  $H_1(H_1H_2)$ . 5 ქართლიდები  $H_2^2$ ; 8არ [...] ლაშქარი  $H_1^2$ . 8 დაკლები  $H_1^2$ . 9 პირქვები  $HH_1H_2^2$ .  
<sup>10</sup> პირქვავები  $HH_1^2H_2^2$ . 12 პერნი  $HH_1^2H_2$ ; 18 პერენიან  $HH_1^2H_2^2$ .

ამ გმირულს ჯარსა ერთობრივ ჰყავს ღირსი  
 წინამძღოლელი;

მან თავი დასდვა სპათათვის, სახელითა ჰქმნა სახელი

და საკადრისად გვარისა გამოჩნდა ნამდვილ ქართველად:

<sup>24</sup> მტერთ სიხარულით შეებმის მჭვრეტელთა საოცნებელად!

კავკასო, ძრნოდე! შეირყა ჩეჩენიც დასამხობელი!

ვის არა ალეტაცების სული ამ ამბვის მცნობელი?

ჰე, ძმანო, ნუ თუ არ გესმით მეფის ირაკლის ხმა

მაღლით?

<sup>25</sup> გიხმობთ: „ქართველნო, ჰეს, შაბაშ! კურთხევა თქვენდა  
 ზე მადლით!“

ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენ, ღირსი თქვენთა წინაპართა!

მეფესა თავი შესწირეთ, ვაგლახი ეცით წარმართთა!

აჩრდილნი ჩვენთა მამათა იშვებენ საიქიოსა

<sup>32</sup> და გიკურთხებენ სახელსა, მომავალთ შოსალხინოსა!

ხექტემბრის 23-ხა დღესა  
 1844 წელსა  
 ტფილის.

22 დაპირი გა H<sup>1</sup>H<sup>2</sup>. 24 „მტერთა შეცვალით“ H<sup>1</sup>-ში შეცვლილია არსებული წაკითხვით. 27 ქვე H<sup>2</sup>. 30 ვად H<sup>1</sup>. გაეკა „მეფესა თავი შესწირეთ, ვაგლახი ეცით წარმართთა“ H<sup>1</sup>აეტოვრაუში განწორებულია პოემის შექმნა ანუ „იმპერატორისა უმსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა“. ეს კანისკნელი წაკითხვა დაცვილია H<sup>2</sup>აეტოვრაუში მოვალეობის დაცვილია H<sup>1</sup>აეტოვრაუში.

განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე სდგას ალვის ხისა  
ნორჩი ახალი,  
მრავალ-შტოვანი, მაგრილობელი, ჰეროვანი, ტურფა, მაღალი.

საამო არის მის ჩრდილში ოცვნა, და მისთა ფოთოლთ  
შრიალთა სმენა

<sup>4</sup> და წყალთ დუდუნზე უკულმართისა ამა სოფლისა ჭირთა  
დათმენა!

მოქშუის მტკვარი, მოპქრის ნიავი და შრიალითა არხევს  
ჩინარსა,

და გადმოსცემენ სახიობასა, ტკბილის ოცნებით დამაძინარსა!  
მრნამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და  
უსულთ შორის

<sup>5</sup> და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის  
საუბრის!

ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა, მტკვარი მას ნორჩისა  
ფერხთა ევლების

და აღმოარხევს უფსკრულებიდამ და აღელვილი კლდესა  
ეხლების!

მაგრამ ჩინარი, მაღლად მჩინარი, დგას მედიდურად და  
სიამაყით

<sup>12</sup> და მხოლოდ თავსა გარდმო-გარდილებს სევდიანისა  
შერხევის სახით.

რამდენჯერ ქარი შეარხევს საროს, იმდენჯერ მტკვარი  
უმეტეს ოხრავს,

თითქოს სიშურით შეშფოთებული და კლდის პირებზე  
ზვირთთა შემუსრავს.

ესრედ იდუმალ, მაგრამ ძლიერად დაიტანჯების მარად  
მიჯნური,

<sup>14</sup> თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა ტრფიალებისა  
ცეცხლი ციური.

\* \* \*

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შავთვალებიანო,  
დღისით მზევ, ღამით მთოვარევ, წყნარო და ამოდ ხმიანო!  
შენის ლოდინით სულდგმულ ვარ, თაყვანს ვსცემ  
შენსა სახელსა;  
ა დედის ერთა ვარ, ნუ მომკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა!

ლარიბი ვინმე მოვსულვარ, სოფლისა მუშა საწყალი,  
ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად — ბასრი ხანჯალი;  
მე სხვა სიმდიდრე რად მინდა? მე შენი გულიც მეყოფის,  
ა მის ფასი კიდე საუნჯე ცას ქვეშეთ განა იმყოფის?

10 იანვარს.  
1845

<sup>3</sup> ქსელდგუმელვარ F; ვაჟებმ F. 5 მოვხრელვარ F.

## დამქროლა ქარმან სასტიკმან

დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი,  
 მაცხოვლებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღვსილი.  
 იგი ნადაგ ციურთა ცვართაგან იყო ნამილი;  
<sup>4</sup> დრომ უჟამურმან ან ცრემლით შესვარა მისი ადგილი.

ანცა თუ სადმე ვიხილავ მისს ფურცელს, მისსა დანაჭვნობს,  
 მოძულებული სიცოცხლე მყისვე კვალადცა დამატებობს.  
 მაგრამ მსწრაფლადვე გახშირდნენ მწარენ ჭირნი გულისა,  
 რა ფიქრთა წარმოუდგებათ დაკარგვა სიხარულისა.

[1845 წლის იანვარ-თებერვალი]

როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა,  
 ღიმილით გევხარ მაისის დღესა,  
 მე შენს თვალებში ვსჭრეტ სამოთხესა  
 და მათი მჭვრეტი ვიწვი ცეცხლითა!  
<sup>4</sup> არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ,  
 არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ,  
 არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

როს უბედურ მყოფს მე მოშორება  
<sup>5</sup> გონება-მტაცის მშვენიერების,  
 ვსოდი მოწყინებით უამთ მჭმუნვარების  
 და სევდა გლახ-გულს დამეფარება!  
 არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

<sup>12</sup> ხან ძილსა იკრთობს, ხან სევდით ოხრავს,  
 ხანცა ყოველს სულს ამხარულებს,  
 ხან სოკვდილს იწვევს, ხან შორით ოცნებს,  
 ხან ჰყვება სოფელს, ხან ცად მიფრნავს!  
<sup>16</sup> არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

<sup>3</sup> გმხებერებ G. გმხოვლი G.

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,  
 პირველად ქმნილსა ფერს  
 და არ ამ ქვეყნიერს,  
<sup>4</sup> სიყრმიდგან ვეტრფოდი.

და ახლაც, როს სისხლი  
 მაქვს გაცივებული,  
<sup>8</sup> ვფიცავ [მე], არ ვეტრფო  
 არ ოდეს ფერსა სხვას.

თვალებში მშვენიერს  
 ვეტრფი მე ცისა ფერს;  
 მოსრული იგი ცით  
<sup>12</sup> გამოკრთის სიამით.

ფიქრი მე სანატრი  
 მიმიწვევს ცისა ქედს,  
 რომ ეშნით დამდნარი  
<sup>16</sup> შევერთო ლურჯსა ფერს.

მოვკვდები, ვერ ვნახავ  
 ცრემლსა მე მშობლიურს,  
 მის ნაცვლად ცა ლურჯი  
<sup>20</sup> დამაფრქვევს ცვარს ციურს!

სამარეს ჩემსა როს  
 გარს ნისლი მოეცვას,  
 იგიცა შესწიროს  
<sup>24</sup> ციაგმან ლურჯსა ცას!

<sup>6</sup> გაეთქმულ G. 7 მე – G. 12 გამოძერის G. 17 მოვქვედები G.

\* \* \*

ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის, ბედნიერი ვარ მე, თასი:  
სამღერალო ვარ ტურფა ხელთ და მოსალხინო მართასი!  
მოვედით, სევდით მაშვრალნო, გასვათ სასმელი  
ღმერთასი,  
<sup>4</sup> და მყის გიქარვოთ გულისა, ვით ერთი, ჭირი ათასი.

## პედი ქართლისა

თქმული წელსა 1839-სა  
ტფილისს

### დედნები პრემისა

- A\_2517 (ავტოგრაფი, 1843 – 1844 წწ.)  
B\_2034 (ავტოგრაფი, 1843 – 1844 წწ.)  
C\_ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1876 წლის გამოცემა.  
E\_A 1258 (პირი, გადაწერილი XIX საუკ. 50 – 60-იან წლებში)  
F\_Q 439 (პირი, გადაწერილი XIX საუკ. II ნახევარში; შემოსულია მ. თუმბანიშვილის „არქივიდან“)  
G\_Fr 111 (პირი, გადაწერილი XIX საუკ. II ნახევარში)  
H\_პირველნაბეჭდი ტექსტი („ციხიარი“, 1858, №9, გვ. 1 – 14).
- შენიშვნა პირველი რედაქციის ხელნაწერთაგან (EFGH) გარიანტიქში  
მითითებულია მხოლოდ ლექსიკურად განსხვავებული წანაკითხები.

## კახთა შიმართ

ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით,  
თქვენში აღზდილა პატარა კახი მეფედ და გმირად;  
თქვენ გიყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალეს  
გულით,

<sup>4</sup> როს თქვენებრ მლხენი ევლინებოდა მტერსაც  
გამგმირად!

და რაც საყვარლის ჩვენის ირაკლის უამშან მეფობის  
მოუვლინა ან გამოხატვასა ჩემს ყმანვილობის, —  
მეც, ძმანო კახნო, თქვენ შემოგიძლვით მას არმაღანად,  
<sup>8</sup> ერთსულობისა, ვაჟკაცობისა, ლხინის საგანად.

როს თქვენებურად მამულის ლვინით გულს ახარებდეთ,  
ხელთ ჭამის მპყრობნი წარსულსა დროებს  
მოიხსენებდეთ  
და მორიგისად სმიდეთ წინაპართ შესანდობარსა,  
<sup>12</sup> მოიგონებდეთ ყარიბს მგოსანსაც, თქვენდა მბობარსა!

თ-ი ნ. ბ.

1-12 შესავალი „კახთა შიმართ“ არ არის EFGH ხელნაწერებში. 2 მეფია ABC. 10 წარსულია C. მოიხსენებდეთ ]  
მოიგონებდეთ BC.

## კართველი

„მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს  
 შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!  
 გულთა-მხილავო, შენ უწყი, რაც დღეს  
<sup>16</sup> საქართველოსა ჭირი მოადგეს!  
 მრავალ არიან, უფალო, მტერი  
 და წარიტაცონ შენი ცხოვარი!  
 გვესწრაფე, ჩენო ხელთ-აღმშერობელო,  
<sup>20</sup> და აღადგინე დღეს საქართველო!“ —

ასე ილოცდა მეფე ირაკლი  
 ბანაკსა თვისისა გულით მხურვალი.  
 ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი  
<sup>24</sup> მამულისათვის მეფისა ცრემლი!  
 ბატონს თვის ჯარი კრწანისის მინდვრად  
 დაეპანაკა სპარსთან საომრად!  
 პატარა კახი აღა-მაჰმალ-ხანს  
<sup>28</sup> უჰირებს შებმას ძლიერს, რისხვიანს.

ამ დროს გამოჩნდა სამხრეთით მტერი.  
 ცა მოწმენდილი, ცა მშვენიერი  
 ზე-დაპნათლიდა ბრძოლისა ველსა,  
<sup>32</sup> და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა  
 განამხნევებდა მამობრივის ხმით:  
 „ჰედავთ, ვითარის კადრიერებით  
 შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება!  
<sup>36</sup> საქართველოს დღეს გარდაუწყდება  
 თავისი ბედი და უბედობა!  
 დღეს ეჭირება მამულს მხნეობა!  
 დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,  
<sup>40</sup> ვითა თქვენგანი ერთი მხედარი:  
 დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,  
 ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!“ —

„შენი გამჩენის ჭირომე, შენი,  
<sup>44</sup> რომ გაგვაგონე კვლავ ხმა სალხენი!“  
 შებპლავლა მეფეს ჯარმა ერთის ხმით:

18 შენი C. 19 გევასწრაფე B. 25 ბატონს თვის ჯარი ] ქართველთა ჯართა BC. 26 დაებანაქათ BC. სპარსთა B.  
 27-28 მებ განხილებულ ადა-მამალ-ხანს ] ვაგარა ქახი ვაირებს შებმას EFGH. 28 ძლიერ A. 29 აღმოჩნდა A. 31  
 შე-დანათლადა ABC. 33 განამხნევებდა AB. 35 უსქულება BC. უსქულება A. 44. ხმა — A.

„ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით,  
ოღონდ შენ იყავ, მეფევ, დღეგრძელი!  
48 მტერი რა მტერი, ოდეს ქართველი  
ბატონს ირაკლის ნუგეშად ჰედავს;  
მისთვის სიცოცხლეს ვინდა დაზოგავს!“

ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს,  
52 ოდეს მოყმენი, ვით მამას შვილი,  
განუცხადებენ თავისს სიყვარულს!

დაპერეს ნაღარა, გული შეზარა  
და მტერთ საომრად ჯარნი შეჰყარა.  
58 ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა  
ვით არ აღგანთებს, გმირო ქართლისა!  
მხდალსა განამხნევს, მხენს განაღვიძებს  
და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს!

60 შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი:  
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,  
ეპეთნენ სპარსთა ივერთ მხედარი,  
და მტკვარსა შეჰრთეს სისხლისა ღვარნი!  
64 ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,  
ორნივ ომებში გაქეზებულნი.  
თამაზ, ერისენთ მოურავის ძე,  
და იოანნე, კახთ აბაშიძე,  
68 განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა;  
მეფის ირაკლის ღვანლი ყოველთა  
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას, —  
მაინც ვერ ჰედვენ ბოლოს ბრძოლისას.  
72 რა ნახეს ქართველთ, გაჭირდა საქმე,  
მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,  
ხრმალს ხელი იკრეს მამაპაპურად  
და დაერთვნენ თავისებურად!

76 ბინდმა გაპყარა მებრძოლნი მტერი,  
გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი;  
მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,  
მას გამარჯვება არღა ახარებს:  
80 ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის!

45 შეძლევდა ABC. 49 ჰედავს ] ჰედავს EFGH. 57 პინ გმირნი ქართლის EFGH. 58-59 განგალეიტბს, მხნევ, მხადლ, განგანებებს / და შენი, მოჯერო, სკალ შვაგიშვილის EFGH. მხადლო, განგამხნევს, მხნევ განგალეიტბს / და შენ, მოჯერო, სკალ შვაგიშვილის BC. 62 ეკვითნის EFGH. 63 და მტკანის კრთვიან EFGH. შერთოს ABCCEFGH. 66-67 თამაზ... კახთ აბაშიძე ] სომხეთის გმირი, კაფლაბისმეობი / და შათ მომარტნევდ ბარათმეობი BC. 76 გაძარა BC.

მრავალთ ყმანვილთ-კაცთ, ნუგეშთა ქართლისა და სამართვის! ან საფლავიცა არსად ჩანს მათოვის;

<sup>84</sup> ჰაერში განპტრა მათი სახელი  
და არსად უამთა მოწამე ძეგლი  
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა:  
დუმილნი ჰეფარვენ ერთგულთა ძეთა!..

<sup>88</sup> მაგრამ, ჰოშ გმირნო, ნუ შეშფოთდებით,  
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:  
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,  
საშვილიშვილოდ გარდაეცემის;

<sup>92</sup> ქართლი თქვენს ლვანლსაც ვერ დაიდუმებს,  
აღა-მაჲმად-ხანს ვიდრე ახსენებს!..

მეფემ უბრძანა თვისთა მოხელეთ:  
„გვიჯობს, რომ ახლავ ქალაქს მივიქცეთ  
<sup>96</sup> და ციხე ჩევენ მსწრაფლ გავამაგროთ,  
თვარემ ხვალ სიმხნით ვერა გავაწყოთ,  
აღა-მაჲმად-ხან რა აქა გვნახავს!  
ხომ იცით, ჯარი დიდ-ძალი ახლავს,  
<sup>100</sup> და იქნება, რომ ციხეში დავხვდეთ,  
ჩვენის ძალისა ფიქრი მიეცეთ“.  
ყველა ეთანხმა ამაზედ მეფეს;  
ქალაქს მოიქცნენ იმავე ღამეს,  
<sup>104</sup> და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა  
ექმნათ საჭურედ ჯართა ქართლისა!

გათენდა დილა მზისა აღმოსვლად,  
მაგრამ მნათობმან შუქისა ნაცვლად  
<sup>108</sup> ბნელი მოჰყინა ტფილისის არეს:  
აღა-მაჲმად-ხან მოადგა ციხეს,  
სამი დღე და ღამ ადგა მას ჯარით,  
მაგრამ ვერარა ავნო ვერსაით. —  
<sup>112</sup> დალონდა სპარსთა მეფე ბორგვილი,  
და თურმე ყოვლით იმედმიხდილი  
ქართლითგან წასვლას დააპირებდა;  
მაგრამ იუდა უამს ეძიებდა!  
<sup>116</sup> აჰა, მან იგი ან მოიხელთა  
და მუხთალისა ანგართა ხელთა  
აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი!

82 დაბხედებს B. დაბხედებს C. 83 მსახის A. ჩანს არს BC. 85 და... ძველი ] და ვამთ მოწამე ხალამე მეცლი BC. 91 განხდაცების BC. 96 მშრალე ABC. 97 თორემ სიმხნით კვრია გავაწყოთ EFGH. 101 — ე ხეროფის შემდეგ; ხაშ, ვერადაცებუ სარდარსა ქვემოებს, ] დროშე ივეტა ანრის წარკენების (წარუეცდებ) EFGH; მეცლავაგან ახრე ნაამბობაა რომ ზოგჯერ ხერხი ღონება BC. 104 მშრალე ABC.

- მან მტერთ უმსხვერპლა თვისი მოძმენი!
- 120 სცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა,  
 მოყმეთა თვისთა ეზდენ დამცრობა,  
 მყისვე აღენთო ხელმწიფე-გული,  
 მტერზედ ამაყად გამზადებული!
- 124 მაგრამ ცუდ იყო ყოველი ღონე:  
 აღა-მაჰმად-ხან, კვლავ თავმომწონე  
 შემოეპარა ციხისა კართა,  
 და მოევლინა მსწრაფლ ქართველთ ჯართა.
- 128 გაფოთებული ეძიებდა მას,  
 ვინცა ჰერანის ტახტს, ხელმწიფებას  
 ქართველთა შორის წაართვა ძალა.  
 მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა
- 132 მთიულეთისკენ თავისი ცხენი  
 და შეუმცირა სარსთ ტკბილნი დღენი!

### კარი მეორე

- მორბის არაგვი არაგვიანი,  
 თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,
- 136 და შეუპოვრად მოუთამაშებს  
 გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს.  
 ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო,  
 მობიბინენო, შვებით მომზირნო,  
 140 ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,  
 ოდეს შვენება თქვენი იხილოს,  
 რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,  
 რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს,  
 144 როგორ იქნება არ განისვენოს?  
 სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს!  
 ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,  
 გამოიღვიძებს — შუბლს განიგრილებს,
- 148 ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს:  
 „არაგვო, მაგ შენს გამწვანებულს მთებს!“ —  
 და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,  
 იგი იმისთვის აღარ დალონდეს!

152 მზე დამავალი მოჰქენს სიამეს

[120 მსუნა ABC; ქეთ სიმუხტლე BC; 121 ეზდენ სიმღებლე BC; 127 მსწრაფლ ქართველთა ჯართა] ქართველთა ჯართა BC, ქართლება ჯართა EFGH. 128 გამუოთებული EFGH. 129 თერანის A. 135 მომსახიან ABC. 138 ნაპირნო] აღვილონი BC. 146-147 თერანის ციხეს მთამოვებს ] და ნამთანარენის შემას განიგრილებს EFGH. 148 შესძახებს ABC. 149 გამწვანებულ ABC.

- მთიულეთისა ხეობის არეს,  
 და ამ მშვენიერს არაგვის პირებს  
 ძველი ჩარდახი ზედ გარდმოშეყურებს.
- 156 მუნ ბრძანდებოდა მეცე ირაკლი,  
 მოწყენის თვალით გარდმომზირალი;  
 დაფიქრებული თვისთა ზრახვათა  
 გა-ცა-ართობდა ქარვის მარცვალთა.
- 160 თან ახლდა მეცეს თავის მსაჯული,  
 ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული.  
 ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,  
 მეცის შინაყმა, ყმათ საყვარელი!
- 164 სადღა არიან ან ესე კაცნი,  
 რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნ?

- დიდხანს უჭკრეტდა მეცე მდუმარედ  
 არაგვის წყალთა, მდენთა მჩქეფარედ.
- 168 ბოლოს მახვრალმან უბრძანა მსაჯულს:  
 „შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს გულს,  
 შენ უწყი ქართლის ან ვითარება,  
 მისი ან ძალა, ყოფა-ცხოვრება.
- 172 ბერკვერ რჩევანი შენი, ვითა წყლულს,  
 მსალბუნებიან მე შენუხებულს;  
 ანც ჩემს სულის ტვირთს, ჩემს გულის წადილს,  
 შენ გაგიმულავნებ, ვით საყვარელს შვილს!
- 176 „არ მითვისებდა ქართველთა გული,  
 რომ ვიყავ მათი მეცე ეული;  
 ჩემი მეფობა ზე დავასრულე,  
 რომ ძლივს იგინი გავიერთგულე!
- 180 და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას  
 განუმზადებდი უამ-კეთილობას,  
 აი, მის ნაცვლად რაი მომაპყრეს  
 მე ჩემთა ძეთა და ვინ ახარეს!..
- 184 „ამიერითგან გაქეზებული  
 მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული  
 არ დაგვანწყნარებს სიამაყითა:  
 მას უამი შესწევს ყოვლის ღონითა;

159 გა-ცა-ართობდა ქარვის მარცვალთა ] კრიელებინის ართობს ქარვითა BC. 165 თათბირნი მათნი ] სულით მამაქნი BC. 178 ზე ] ბედ BC. 181 განუმზადებდი ABC. 182 ზე რა მამაჰყინებ BC. 183 მე ჩემთა ძეთა ] ჩემთა მეოდებმა BC. 185 გული ] სული BC. 186 მამაჰყინით BC. 187 მას ქამ შეწევს ყოვლის ღონითა ] იფი სარგებლობს ქარგის ქამითა EFGH.

- 188 ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს;  
 ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს,  
 და მტერი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,  
 როს ყმანი ჩემი ურთიერთს პბძარვენ!
- 192 მე თუმც კიდევ ვჰგრძნობ სულის სიმტკიცეს,  
 გარნა ღონები წელთ წარმიტაცეს;  
 შენი ირაკლი ის აღარა ვარ,  
 პატარა კახად რაც გინახვივარ!
- 196 აბა, რომელს შვილს ვხედავ ღირსეულს,  
 რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?..  
 ჰომა, ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად  
 ნულარ განსწირავ ქართველთა ტანჯვად!
- 200 აბა, რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?..  
 კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო!  
 ან განთქმულია რუსთა სახელი,  
 ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,
- 204 დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,  
 მტკიცე კავშირი, სარწმუნოება,  
 მას, მსურს, რომ მიცე მემკვიდრეობა,  
 და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!“
- 208 ამის გამგონი ჩვენი მსაჯული  
 უჭრეტდა მეფეს განცვიურებული:  
 მას არ სჯეროდა, რომ ირაკლის გულს  
 ჰედვიდა იგი ესთ შეცვალებულს.
- 212 „რისა მიბრძანებ“, ჰკადრა მან მეფეს,  
 „ბატონო, ღმერთი გადლეგრძელებდეს,  
 ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,  
 ეზდენ შენზედა მსასოებელთა!
- 216 ჯერ სამაგისო რა გვემართება,  
 რომ განვისყიდოთ თავისუფლება?
- იცი, მეფეო, რომე ივერნი  
 იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
- 220 სახელმწიფოსა ერთობა სჯულის  
 არარას არგებს, ოდეს მის შორის  
 თვისება ერთა სხვადასხვაობდეს.

189 დროს შემოქარებებ BC. 191 ყმანი ] ძენი EFGH. ურთიერთი პბძარუენ ] ერთომანერთა პკლენ BC. ბბარუენ AEFGH.  
 194 ანდანა BC; 195 რომ რაც BC. 196 აბა ] მარწე BC; სხვდავ BC. 198-199 მოა... განგვიდე ] პირ ღმერთის ვასდღლის შენია სამართლასა ] პარეგ, ღმერთი შექვედა ამ სახეჯერა EFGH. ღმერთი ამაგრე შეგთა სატანჯველთ ] ნედარ მოველდ საჭავლა ქართველი BC. 199 განმეტირავ A. 206 მას, შევის, რომ ] მას მონდ მისება BC; 207 მომეტებ BC. 210 მხერთად ABC. 211 მხედვიდა იგი ესთ შეცვალებულს ] ნახვდა ქმრეთ ის შემუროւებულ EFGH. 220 მხედვას A. 220-222 სახელმწიფოსა... სხვადასხვაობდეს ] სახელმწიფოსა ხჯლის ერთობა / არარას არგებს, ოდეს თვისება ] ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს BC.

- ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს  
 224 რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:  
 ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,  
 ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,  
 რაც მოისურვოს ქართველობამა?
- 228 მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ  
 მოუკლან გული ტანჯვათ იდუმალთ!  
 მაშინ ირაკლის სახსენებელი  
 ვინდა ახსენოს, ან საქებელი?
- 232 ნუ, ხელმნიფეო, მას ნუ ინებებ,  
 შენგან კი მაგას ნუ გაგვაგონებ  
 და, მერმე ვინც ვერ განაგოს ქართლი,  
 მაშინ მან უწყის, რაც ჰყოს კეთილი,  
 236 ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ,  
 უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ!“
- „ჩემო სოლომონ“, მეფემ უბრძანა,  
 „მე ეგ ყოველივ არ ვიცი, განა?  
 240 მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის  
 რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?  
 მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეცე,  
 თვისს დიდებისთვის სისხლთა აღმჩენეცე,  
 244 არამედ ვითა მამა კეთილი,  
 რომელსა ჰსურს, რომ თავისი შვილი  
 თვის სიცოცხლეშივ დაასახლვაროს.  
 ძნელ-არს ცხოვრება სამეფოსი, როს  
 248 უჭვრეტდეს იგი ომსა დღე-დღით!  
 აი, ხომ ნახე ან მაგალითი,  
 რა ჰქმნა ამ ერთმან დამარცხებამან!  
 კარგი, რომ კიდევ აღა-მაპმად-ხან  
 252 ქალაქს დასჯერდა განძვინებული,  
 სხვით არ აღივსო შან საწყაული!
- ახლა კი დროა, სოლომონ, რომა  
 მშვიდობა ნახოს საქართველომა.  
 256 მან საფარის ქვეშე მხოლოდ რუსეთის  
 ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის;  
 და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,  
 რომ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს

234-235 და მერმე- ქუთაისი ] და მერმე ქირილი ვანე ვერ განადის, [ შაშინ შან უწყის, რაც მოაგვაროს BC 242 გაფიქრობ ABC. 252 დაშეკერდა ABC. 259 რომ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს – EFGH.

260 საფლავთ ზედ ჩვენთა მამა-პაპათა,  
და განსვენონ აჩრდილთა მათთა!“

ვეღარ გაუძლო მსაჯულსა გულმან  
და ჰყაბდრა მეფეს აღშფოთებულმან:  
264 „განზრახვა შენი, მეცევ, მაკვირვებს!  
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს  
არად მიაჩინოთ უბედურება,  
თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება!“ —

- 268 „სულ მართალია, ჩემო სოლომონ,  
მაგრამ, აბა, თქვი, ქართველთა რა ჰყონ  
ამ უბედობის და დარღვევის დროს?  
აბა, ირაკლიმ რა მოაგვაროს  
272 მშვიდობისათვის საყვარელთ ყმათა?..  
აი, მივიღებ მე შენი რჩევათა  
და დავიდუმებ ჩემსა გულის-თქმას;  
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სოტყვას,  
276 რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,  
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“

ასე ირაკლი და მის მსაჯული,  
მამულისათვის გულ-მტკიცნეული,  
280 ქართლისა ბედა განსამართლებდნენ.

- ამ დროს აღმოშხდა ბადრი მთოვარე  
და სიამითა მოჰვინა არე.  
ცამ მოჭედილმან ვარს კვლავებითა,  
284 მთისა ჰერმან, სავსემ შვებითა,  
და მთვარის შუქზედ არაგვის წყალთა,  
თავისუფლებით ჩამომჩხრიალთა,  
გულს აუშალეს დარდები ბატონს,  
288 ოხვრა დაპმართეს, ვით კაცსა ლიტონს,  
მას მოაგონდა დრო ყრმანვილობის,  
განტარებული თვისთა კახთ შორის,  
როს ჯერ არ ეღო ტვირთი მეფობის,  
292 როს ჰქონდა უამი უზრუნველობის,  
და საყვარელი კახეთის გმირი  
იყო ნიადაგ მტერთა გამგმირი!

269 ჰარეფი ABC. 274 ჩემსა ] მე ჩემს BC. ჩემთ გელისტქმათა EFGH. 280-ი ტაქზოს შემდევ; ხოლო ქართველი მამული ჰყდოენდნენ BC (ეს ტაქზო არ არის EFGH ნებებში). 281 აღმოსხდა ] აღმოსხდა H. 285 შექმე A. 289 ქმაწვილობის BC. 292 ეღო ] ეღდე EFGH.

დიდხანს დაჰყოფდა ბატონი ჩუმად,  
 296 დაფიქრებული მწუხარედ და ღრმად.  
 შემდეგ უბრძანა სოლომონ მსაჯულს:  
 „ახლა კი დროა ჩვენს გაოხრებულს  
 ქალაქს ჩავხედოთ; მაგრამ ჯერ ერთი  
 300 მინდა ვიხილო კიდევ კახეთი,  
 შევიტყო კახთა საჭიროება,  
 ვსცნა ჰაზრთა მათთა ან ვითარება;  
 შენ კი აქედგან ქალაქში ჩადი  
 304 და დამახვედრე ჩემი სამზადი“.

დილაზე ადრე მოვალს მსაჯული  
 ქსნის ხეობაში, დაფიქრებული.  
 ვიდრემდის იყო შიშიანობა,  
 308 მას აქ ესახლა თავის სახლობა.  
 მეფის ჰაზრთაგან სულით ღელვილი,  
 ზრახვიდა გულში მამულის-შვილი:  
 „მადლობა, ღმერთო შენსა განგებას!  
 312 ერთს კაცს მოჰმადლებ ყოვლთა უფლებას  
 და მისს ერთს სიტყვას ჰმონებენ ერნა,  
 განურჩეველად სულელნი, ბრძენი,  
 და იგი მათს ბედს ისე განაგებს,  
 316 ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!  
 მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება  
 სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,  
 მისდევდე შენსა გულისკვეთებას  
 320 და უთრგუნვიდე თავისუფლებას?  
 შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,  
 რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,  
 და რად ივიწყებ, რომე მარადის  
 324 ერსა ეკუთვნის გულის-თქმა მეფის!..  
 იქნება მეფე ციხის გატეხას  
 აბრალებს მოყმეთ მუხანათობას?  
 იქნება ამან აპყარა გული  
 328 ბატონს ქართლზედა, შეუორგული?..  
 მაგრამ ირაკლიმ უკეთეს უწყის,  
 თუ ვით საყვარელ არს ქართველთ შორის.

300 მინდა ვიხილო ] მინდა რომ უნახი EFGH კოდვ ] კალად BC. 302 ვაჟინა ABC. 308-ი ტაეპის შემადგვ BC ემაგების „და მომავალმან აწ ქალაქისკენ [გამოიარა თავის ხახლისკენ]. 312 მომავალმე A. 313 მინებენ ABC. 315 იხე ] სხ BC. 316 კამათლებითა ვითა მძღვრდეს EPG. 324 მეფის გულის-თქმა ერსა ეკუთვნის BC.

მაშ რამ შეჰშფოთა მას გული მყარი,  
 332 ქართველებისთვის ესთ თანამკვდარი?..  
 მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება  
 უკეთ ფიქრობდეს, რაც გვეჭირება? —  
 ბეჭრ-ჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის  
 336 გონება ყმათა ვერა მიშვდების!

ამ ფიქრში იყო მსაჯული, ოდეს  
 მოადგა თავის სახლისა არეს.  
 ნინ მოეგება მას თავის ცოლი,  
 340 სათონ სოფიო, სულისა ტოლი;  
 ახლაც ბეჭრს ახსოვს მისი ზრდილობა,  
 შვენიერება, გულკეთილობა.  
 რა დაინახა მან თავის ქმარი,  
 344 სახეშეცვლილი, მონაწყინარი,  
 ამბავი ჰკითხა მყის ირაკლისა, —  
 ასე საყვარელ იყო ყოვლისა!

„ვეჭვობ, სოფიო, რომე ირაკლი  
 348 ქართველებზედა იყოს გულნაკლი;  
 მას ზედ ეტყობა, რომ მისი სული  
 ძლიერად არის აღელვებული!  
 მნარედ უპირებს ბატონი დასჯას  
 352 თავის შვილების ამა ურჩებას.  
 ვეჭობ, რომ იგი სამეფოს ქართლის  
 აძლევს საფარს ქვეშ რუსთა ხელმწიფის.  
 მაშინ უყურე ჩვენს დედაკაცებს,  
 356 როს საცხოვრებლად დიდვაცთა ცოლებს  
 ჰეტრეს ქალაქში გარდაასახლვენ!  
 მაშინ, სოფიო, რალა გინდათ თქვენ?  
 ხელმწიფეს ჰპოვებთ მამად კეთილად  
 და დედოფალსა დედისა ნაცვლად;  
 360 არ მოგაკლდებათ თავისუფლება,  
 განცხრომილება, ფუფვნეულება  
 მათთა სიმდიდრის პალატთა შორის!  
 364 ვერ გაიგონებთ მუნ ხმასა მტერის.  
 მრავალთ სიამეთ იხილავთ კვალად  
 ბანოვანთათვის გულგასართობლად.

მაშინ ვისალა მოესურვება,  
368 ნახოს ქართლისა კვლავ ამბოხება!“ —

„უნინამც დღე კი დამელევა მე!  
უცხოობაში რაა სიამე,  
სადაცა ვერ ვის იკარებს სული  
372 და არს უთვისო, დაობლებული?  
რა ხელ-ჰყის პატივს ნაზი ბულბული,  
გალიაშია დატყვევებული  
და ველად იგი ამხანაგთ შორის,  
376 ჭირსაც, ვით ლხინსა, ერთგვარ დამლერის?  
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,  
თუ მოაკლდება თავისუფლება?  
თავის მამულში მას გაჭირება  
380 სხვადასხვა რიგად ენუგეშება:  
მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის  
და გულსა გულის-პასუხი ესმის!  
რად დაგვრჩომია სხვაზედა თვალი,  
384 ოდეს მეფეცა და დედოფალი  
გვყვანან კეთილნი და ღირსეულნი  
და ვართ მათთანა შვილებრ ჩვეულნი?  
ჩვენის დედოფლის გულისა ნაცვლად  
388 მწუხარებათა სანუგეშებლად  
რასა ვიპოვით ჩვენს სიცოცხლეში?  
“

მსაჯულს ეგონა, რომე იგი გულს  
დედაკაცთაცა ჰპოვებს ცვალებულს,  
392 და, ან რა ნახა ცოლი ამ ჰპაზრით,  
გარდაეხვია მას მხურვალებით.

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,  
კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!  
396 რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ  
სულიცა თქვენ გამოჰყოლოდათ?  
ვინდა ჰყავს გულის შემატევიარი  
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?  
400 ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ

374 დატყვევებული AB. 386 და ვაკევართ შეიძლებრ გედ შეჩვეულნი EFG. 388 მწუხარებათა სანუგეშებლად ] მის შემძლებულის შრენის სანაცვლო EFG.

გარდაუცვალა მათ გული ცხოველ! —  
 „ჯანი გაპევარდეს ან შვილსაც, მამულს,  
 ოღონდ ვამორთ ჩვენს საკუთარს გულს.

404 რის ქართველობა, რა ქართველობა,  
 მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?“

რა მოახლოვდა ქალაქსა მეცვე,  
 დიდხანს უჭრეტდა ცრემლთა აღმჩენელე!

408 პალატნი მისნი გარდმინგრეულან,  
 სახლნი — სამშობლო დანაცრებულან!  
 მიდამო ჰედავს უპატრონობას,  
 აღოხრებასა და ნატამლობას!

412 დუშილი სუფეეს მის არემარე!  
 მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე,  
 შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართველთა:  
 იგი გადაპირჩა მხოლოდ სპარსელთა!

416 აღავსო კვალად ერმან ტფილისი,  
 რა მობრძანება სცნა ირაკლის;  
 ქალაქი ისევ ჩქარად აშენდა,  
 თუმცა ადრინდელს მრავალი აკლდა.

420 წარვიდენ წელნი მოსვენებისა  
 და კვლავ ირაკლიმ ხრმალი ბრძოლისა  
 აღილო ლეკთა შესამუსკრელად!  
 არც სპარსნი მორჩინენ დაუმარცხებლად;

424 სიბერის უამთა მოიცა ძალი  
 და შეაძრნუნა კვალად ოსმალი;  
 კვლავ ასახელა თავის სახელი,  
 მაგრამ ამაო იყო ყოველი:  
 428 დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის  
 გარდაიწყვიდა გულმან ირაკლის!

### დასასრული

402 გვერდებ ABC. 412 დუშილის შედავე EFG. შეუფებ ABC. 415 გადარჩა ABC. 417 შესა A, შესა BC. 428-429 დიდი ხანია გვლა ირაკლის ] გარდეწყვითა ბედი ქართლის BC.



## VARIA

ეპიტრამისა და ქრემიამსდროინდელი  
ნაწერების ღეღიები

- K – S5190 (გადაწერილი XIX საუკ. შეირე ნახევარში).  
L – H2684 (გადაწერილი მ. ოქტანიშვილის მიერ 1833-1834 წწ.).  
M – H3157 (ავტოგრაფი).  
N – ზობ. ოქტანიშვილის არქივიდან, ხელნაწერი № 34 (ძველი № 572).

## სახუმარო ეკიპირამა

ელენეს ღა მარმაშს

მე რად მაყველრით ფედოროვს? თქვენვე მოგხვდებათ  
სიძედა,  
არც იმაზედ ხართ უმცროსი, რაღას დასცინით ხანზედა?  
თუნდა კნეინა სოფიოს ჰერიტეტი: რამდენის წლისაც ხართ?  
<sup>4</sup> მაგას რომ ქმარი შეურთავს, დაბადებული ყოფილხართ!

თვარემ მეც გატყობთ საბერეს, წელიწადებსა ნუ იკლებთ;  
გაგთეთრებიათ თმებიცა, ტყუილად ზეთებს აბრალებთ;  
პაპუნაშვილი თქვენ ყმა თქვენ ლალაცა ყოფილა,  
<sup>5</sup> იმისი თქმითა მარიამ ოცდაათისა ყოფილა!

## ყრმობისღრმინდელი ნაწერები

ვარდი და 05

უტყვისა მინდორსა, მწვანოვანსა ნაზარდი,  
 ნაზად შეხროლი, გაფურჩქვნილი მუნ ვარდი  
 ხანცა იღიმვის, ხანცა ნაზობს წყნარადი,  
<sup>4</sup> სცექერს რხევით წყაროს მონაწწკარეს ტანადი.

„ზეფირო, მქროლე, განმაგრილე მღელვარე!“ —  
 მსუბუქად ჰქროდა ყვავილო ამაელვარე.  
 იაც სოსნადა, ნარნარადა მდგომარე  
<sup>5</sup> ვარდის ახლოსა უკლებლობსა მარადი.

ვარდი ამაყი იტყვის, წყნარი, მცინარი:  
 „იავ, წვრილძირავ, ნახე, შენთან ვინ არი,  
 ვით თავისუფლობ, ვითა ლალობ აქ მდგარი?  
<sup>12</sup> რად არ იცი, მეტრფის კაცად-კაცადი?“

იამან თმენა, სრულ მოსმენა ინება.  
 ვარდი ქარითა ბორბალითა იძრცვნება;  
 მაშინ შიშველი, გაფლიდული იხრება...  
<sup>16</sup> ეტყვის იასა: „ან ვგრძენ ჩემი ნაბადი“.

[1833 წ.]

<sup>4</sup> ქეცერს L.

ველსა ტურფასა, საამურსა ხმა ისმის  
 ხანცა ბულბულთა, ხანცა სირთა; ხანც ისმის  
 ბუჩქთ ზედ ნიავი მომფრინავი და ისმის  
<sup>4</sup> წყარო მგზავრთაგან მაშვრალთაგან მტკბარადა.

ყვავილი ორი მუნ მდგომარი ღაულაჟებს:  
 ყაყაჩო ნაზად, ალისფერად ბიბინებს,  
<sup>[ . . . . . ] \*</sup>  
<sup>8</sup> ნარგიზსაც ჰრწყამს წყარო, ჰქრის ზეფირი ანცადა.

ნარგიზმან შლილმან, ყვითლად მოსმან ფურცელი  
 გარდაიშალა, განაყვითლა მან ველი;  
 ჰრქვა ყაყაჩოსა ალისფერსა: „ხარ ჭრელი,  
<sup>12</sup> მითაც არ-მშვენი, ხარ მოხრილი ავადა“.

ყაყაჩო შეჰდა, განიფურჩქნა სუნელად,  
 ჰრქვა ნარგიზსა მოკამათესა ნელ-ნელად;  
 „შვენიერება გარეგანი არს მართლად  
<sup>16</sup> უშინაგანოდ ფუჭი ყოვლგან მარადა“.

[1833 ტ.]

\* გადამწერს აქ კრთი სტრიქონი გამოიწინა.

ბადრი მთვარე [შუქს] კავკასია მოჰყენს;  
 აულ და სტანცი მყუდრობს მთის დამრეცს;  
 მხოლოდ ვაჟუაცი ყაზახი ზისა  
<sup>4</sup> მარტოდ უძილო ტალავარს თვისსა. —

„ამაოდ ზიხარ, ყაზახო, ფიქრით,  
 უამთა მიმოსთვლი გულისა ძეერით;  
<sup>8</sup> ამაოდ უჭვრეტ სარკმლით ნაკადსა,  
 იდუმალ ელი სატრფოს ნახვასა“.

დადგა უამიცა ნახვის საწადი.  
 უკაბარდლოდ არს ისევ ნაკადი,  
 სადაც ბედნიერ ჰქმნა ჰირველ ნახვითა  
<sup>12</sup> მის მტანჯველ ქალმან სიყვარულითა;

სადაც ბრმად-ქმნილმან ქალისა ნდომით  
 ჰციცა, რომ განდგეს სარწმუნოებით,  
 მაპმადიანთა სჯული მიიღოს,  
<sup>16</sup> რომ ტურფა ფათი ჩქარად შეირთოს.

სჭვრეტს იგი ნაკადს, სარკმელს მდგომარე;  
 პხედავს მყის, რომე ტალაჭის არეს  
 დგას კაბარდელი, მჭმუხი, ფერ-ნაკლულ,  
<sup>20</sup> ფაჩვინიერ ლართით, ყაბალახ-ჩაცმულ.

იგი ძმა იყო კაბარდინკის მის;  
 ადრითვე ყუნაქ, მცნობარ ყაზახის,  
 იგი მისწვდა მათის ფარულს სიყვარულს;  
<sup>24</sup> გლახ, კამარდინკის ჰურის ცოუნებულს.

„ჩემს დასა ელი?“ უთხრა ყაზახსა:  
 „იგ ვერდა მოვა წყლისთვის ნაკადსა;  
 მაგრამ შენ მიეც შერთვის ფიცი მას:  
<sup>28</sup> აბა რას იტყვი?... აღსრულდეს, დრო არს“.

„ცან, რომელ ასულს მოგიცდით სამს დღეს;

<sup>3</sup> 380ხ L. 9 დაპხედება L. 14 განხედვებ L. 15 პხედვ L. 16 ფათი L. 23 მიმწერა L. 29 მეტო L.

თუ დაივიწყებ, ყაზახო, სჯულს შენს,  
 მინდა გაცნობო — მოვედი შენთან —  
 32 რომელ თვით ფათი იქმნება შენთან“.

მსნრაფლ განძქრა იგი, რა ჰრქვა ყაზახს ეს,  
 ვის სინიდისი ჰქეჯნიდა სამს დღეს,  
 თუ: ვით უმუხთლოს სჯულსა წმიდასა,  
 36 ან ვით მოაკლდეს მშვენიერს ფათსა?

უკვე სამმან დღემ განვლო ესია,  
 რომ მას დატანჯულს სევდა ესია:  
 შუალამისას სწყევიდა თვისს მხვედრს;  
 40 დაცემულია მარტოდ სარეცელს.

დაჰკრეს მის კართა და მანც გააღო;  
 კაპარდინელი პარკითურთ იყო;  
 ვით ლამე ბნელი, მხეცებრ საზარი,  
 44 ბუტბუტებს ჩუმად, თვალთმაელვარი:

„სამსახურს ახლავს ყუნაქს ჩემი და“.  
 თქვა და სარეცელის პირდაპირ დასდგა;  
 მოჰესნა პარკს პირი, ყაზახის ფეხთან  
 48 აღმოილო მყის ფათის თავი მან. —

„ქალს უპატივოდ არ აქვს სიცოცხლე,  
 შენ პატივი და სიცოცხლე სტაცე...  
 ან ჰკოცნენ მასა, თუნდა ყოვლს უამსა;  
 52 მშვიდობით, ღმერთმან მაგიერ გყოსა!“

მდუმრად დასცექერდა ყაზახი თავსა,  
 აბრიალებდა მხეცებრ თვალებსა;  
 დაეცა მის ნინ მუხლთა მოდრეეკით,  
 56 მკვდარსა ცოცხალი შეეხო ბაგით...

ბრნყინვენ კენწერნი სრულ კავკასისა.  
 დღეს, როს ნინაშე ქოვშის სახლისა  
 შეკრბენ ყაზახნი და ნახეს, აკლდა  
 60 ყაზახი ერთი, იგ ახალგაზრდა.

[1833 6.]

30 ხჯულს (კონკექტ.) 31 ქექ L. 32 ფათი L. 35 მხედლა L. 36 ფათი L. 39 მხედლა L. 46 დაქადგა L. 48 ფათი L. 50 შეგავ L. 53 დაქადგა L. 60 ახალგაზრდა L.

შპსება აბიდებოლასი  
საქსახმისა რომაელთამასა მხედართადმი  
თვისთა უნიტარუს ბრიტანია თანა

მეგობარ-ამანაგ(ნ)ნო.

რვა უკვე არს წელი, რომელ იპყრობთ თქვენ ბრიტანიასა ყოვლის შემძლებელის პრომისათვის და საქმენი თქვენ(ნ)ნი სათონ ეყვან მორნმუნეთა ძეთა მისთა. არა თუ მხოლოდ ჯერ იყო თქვენ და ძლევად მტერთა მრავალთა, არამედ თვით ბუნებისაცა!

ჰომ ღვანლნ აღურაცხველნო!

ჰომ სასწაულებრო მოთმინებაო!

კრაფოფილ არიან საბჭეფი და მხედრობაშ მისი ურთიერთარს. არა ყოფილან აქა არცა ჩემი და არცა თქვენი წინაპარი. არა სტყვითა სმენისაიანთა მხოლოდ ვემთავრეთ ჩვენ სრულსა ბრიტანიასა, გარნა ნამდვილად ვსდეგით მახვილითა ხელთა შინა ჩვენთა უკრანასკნელ ზღუდეთა ზედა მისთა. ჰოვნილ არს და ძლეულ არს ახალი მარად! როს განვლიდით კლდეთა მაღალთა და მდინარეთა ღრმათა, მხნენი თქვენგანი ეკითხოდენ ურთიერთას: ‘როს ვიომებთ? სადა არნ მტერნი?’ — აპა, იგინი... მოვიდნენ იდუმალთა სახლთაგან თვისთა და ემზადვიან, რათა ემსხვერპლონ გმირობასა თქვენსა. კვალაც ერთი ძლევა და მერმედ შესრულდების ყოველ!

ჰომ, საქებელ არს ესე, რომელ ჩვენ ვუწყოდით სვლა ბნელთა ტყეთა შორის და საშიშართა ჭაობთა შორის! გარნა უკეთუ ვივლტოდეთ ჩვენ, მაშინ ნარგვნებიდან ჩვენ თვით იგი, რამაცა ან ვიქებთ თავთა ჩვენთა.

ბრიტანთა უკეთეს ჩვენთა იციან ადგილნი თვისინი, აქვსთ უმეტესთა ჭამადი, გარნა ჩვენ გვაქეს ხელი და მახვილი. მაშასადამე, ჩვენს ყოველს ამა ლტოლვასა შინა არა არს დახსნაშ. აპა, ჩემი წესი: რომაელისათვის პატივი უსიყვარულე არს სიცოცხლისა, გარნა ან იგინ განუყრელ არიან. ხოლო უკეთუ სათანადო არს ჩვენდა სიკვდილი, მაშა, უსაქებელეს ყოვლისა არს მოკვდომა მუნ, სადაც არს დასასრული ბუნებისა.

უკეთუ თქვენ გქონდათ საქმე ერთა თანა უცნაურთა და მტერთა თანა ახალთა, მაშინ გითხრობდით მე მაგალითად სხვათა მხედართა რომაელთათა, გარნა ან საჭირო არს მოვიხსენოთ მხოლოდ საკუთარი საქმენი თქვენი. ვის ჰედავთ წინაშე თქვენსა? — მათ რომელთაცა ამას წინა წელსა, დროსა ოდენ ლამისასა ენებათ იდუმალ გარე-მოზღუდვად ერთისა ჩვენთაგანისა ლეგიონისა და განიბნივნენ მეყსეულად, რა უკვე ესმათ ხმანი გმირთა რომისათან. მრსწრაფლმან ლტოლვამან იხსნა იგინ სკვდილისაგან. ძლიერი მხეცი ეომვიან მონადირეთა, ხოლო მხეცი მხდალნი ივლტიან მათგან, შეესმისთ რა ტყეში ხმაშ მათი. ესრეთ მხნენი ძენი ბრიტანიისან ადრე უკვე დაეცნენ ცემათა ქვეშე თქვენთა, ხოლო ან დაშთენილ

არიან მოშიშნი და სულმოკლენი. იგინი არა გელოდენ თქვენ მუტნობეჭავა  
არამედ თქვენ სძებნეთ იგინი განჭირვებულნი დიდითა შიშითა და  
მზანი მოწყვეტად ხელთაგან თქვენთა და ნარჩენედითა თვისითა  
მოაქციონ ყურადღებას სოფლისა პრომაელთა გმირთა ზედა!

მეგობარ-ამხანაგნო! კვალადცა ერთას დღე დიდებისა და იყ-  
ვის დასასრული ომსა რვანლოვანსა და რესუბლიკა კმაყოფილ იქ-  
მნების თქვენ მიერ.

## Плач шахро по виси

*Отрывок из грузинского романа «Висрамиани», соч. С. Тмогвели*

Шах Моабад приехал из замка, но с ним не было уже солнцеобразной Виси. Шахро, мать ее, узнав это, вышла к нему навстречу. Она воскликнула, обливаясь слезами:

«Ах! Душа матери своей и все горести радостями заменяющая, от чего с собою не привез тебя Моабад, тебя непобеждаемую? Какая судьба постигла тебя?... А ты какую причину поведаешь мне тому, что не привез с собой Виси?» — возопила она, обратившись к Моабаду: «Где девал ты мое солнце? Зачем обезлунил небо?... Немедленно превращу в развалины дарбаз твой и рай твой в ад, если не возвратишь мне душу мою без всякого замедления. Вопию так, что и скалы станут сожалеть обо мне и смертные будут удивляться. Пролью из глаз моих водопад кровавый. Огорчу твое государство, если сию минуту-же не покажешь мне моей Виси. Сам бог отступится от тебя за кровь невинной Виси, и друзья твой станут твоими врагами». С воплем и плачем говорила она эти слова и Моабад заплакал, произнеся сквозь слезы:

«Как ни плач, как ни проклинай меня и не умоляй меня, а что сделано, то и сделано. О, еслиб этого не случилось со мною и бог не грозил бы мне!.. Я сам нарушил радость и честь свою. Ты не увидишь уже в живе лица твоей Виси. Ты узнаешь ее покрыто землею, ты увидишь ниспавший кипарис — увидишь горюющую над ним молодость, увидишь блестящий вид ее помраченным, измененным ржавчиною застывшей крови, увидишь и власы развеянные».

Услыша эту весть, Шахро упала без памяти и начала бить челом о землю. Дарбаз наполнился благовонным испарением кровавого озера, образованного ее слезами. Ядовитая стрела пронзила сердце Шахро, и она так молвила:

«О, тщетный, обманчивый мир! Ты ли похитил у меня драгоценное сокровище? Как я, так и ты любил ее как злато. Неужто позавидовал ты кипарису и пересадил его в вечный сад? Зачем, судьба, украсила ты его молодость и помрачила прелест его? О, земля, ты до сих пор пожирала только людей, а теперь и солнце и луну поглощаешь. Разве не довольно тебе, разве ты не насытилась еще? От чего сокрушила ты солнце мое?.. Она помрачила свет мой, — помрачила день мой. Луна лишилась блеска. Заботьтесь обо мне, небо и земля! Затем-ли столпились звезды, чтобы со мною разделить плач о Виси моей? О, свет матери своей, стройная пальма, солнцеобразная, яхонтоланитая, светловласая, будь истребительницаю моих горестей! Будь богинею и радостию мою. Тебя не стала и чем же мне успокоиться, чем увеселиться? Кто о моей скорби сожалеет? У кого искать подпоры?.. Соберу всех греков с Греции, индейцев с Индии, кто-нибудь из них поможет мне...»

Ах, моя Виси, райская царица!

Ах, моя Виси, Хатуни Туркистана!

Ах Виси — Хорасанское солнце!.. Луна Армении... Надежда царей!

Ах, Виси, зачем родила я тебя?..

## აღრიცხველი რედაქტორი

ვარდი და ბელაშვილი \*

ბულბული ვარდს შეაჯდა და ეტყოდა მსტკინავი:  
 „ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკინავი:  
 მიხმენ აჯა, მიჩვენე გაშლა ამოდ მლინავი!  
 მწუხარსა აქეთ აქა ვზი, ფურცელთ ზედა მკონავი.“

ესრეთ ჰყეფდა ბულბული, ოდეს ღამეცა ბნელი  
 მოიცვავდა წალკოტსა, ჰქონდა ნიავიც ნელი.  
 მაისმანც მალ-ფრთოსანმან, მიმოპფინა სუნნელი,  
 აღმოსვენდა მქრქლად მთვარე, დადუმდა ხმაც ყოველი.

ბულბულსაც მაშვრალს ყეფით ეწია მწარე რული.  
 აღმობრნწყინდა მთიებიც, ფრთოსანთაც მხიარული  
 გალობა ჰყვეს ჰაერში; განაღვიძეს ბულბული,  
 ვინ დაჰხედა გაშლილს ვარდს, და ვაქ, დასევა გული!

თვალი ემოსა ცრემლით, გული — სევდის სახმლითა,  
 ფრთა ფრთას ჰკრა და აღმაღლდა, მსტკინავი ლმობის ხმითა,  
 უხმო ყოველთა სირთა: „მოდით და შემოკრბითა,  
 მისმინეთ, შემიბრალეთ, ვის მივმართო წყლულითა?“

„განთიადით ღამემდე შევპფრფინვიდი კოკრობას,  
 არ ვზოგავდი სიცოცხლეს, არცა სტვინვას, გალობას;  
 მაქვნდა მცირე წადილი, ვერ მივჰევდი კი ძნელობას;  
 ვესთ განპილდეს, ვინც იწყებს თვისგან შეუძლებლობას!“

[1833 წ., 18 ივნისი]

\* მარტინ ლევანაშვილის მიხედვით.

ახ, მთაწმიდაო, მთავ წმიდაო, ადგილი შენი,  
დამაფიქტურელი, ვერანანი და უდაბური,  
ვითა შენობენ, როს მონამენ ცვარი ციური,  
\* ოდეს საღამოს დაშვენ ამოს ციაგი ნელი!

ვითარი მაშინ იდუმალობა დაისადგურებს შენს არე-მარეს!  
რა სანახავი წარუტყვავს თვალთა მაშინ შენს ტურფას  
სერზე მდგომარეს!  
ძირს გაშლილს ალმად ველსა ყვავილი მოჰვენენ რეცა  
ტაბლას წმიდასა  
\* და გუნდრუკს ღმერთთან სამადლობელსა შენდა აღკვევენ  
სუნნელებასა.

მახსოვს იგი დრო, შესატრფო დრო, როს სევდიანი,  
კლდევ ბინდ-მოსილო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი  
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,  
\* რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და ნაღვლიანი!

ახ, ვით ყოველი, ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი,  
მიმქრქალებული!  
ჰე ცაო, ცაო, ხატება შენი აწცა მაქვს გულსა ზედ  
დაწინეული!  
აწცა რა თვალი ლაუვარდს გიხილვენ, მყის ფიქრი  
შენდა მოისწრაფიან,  
\* და შენს წიაღში დაფიონ-მოსილს მიმოობითა განიპნევიან.

მე, შენსა მჭვრეტელს, მავინდების საწუთოება;  
გულის-თქმა ჩემი შენს იქთ... იქთ... ზესკნელსა  
სადგურს,  
ეძიებს, რათა დაპშოოს აქა ამაოება,  
\* მაგრამ ჰაერშივ განქარდების, ვერ სცნობს უცნაურს!

დაფიქრებული ვიდექ სერზედა და ცათა მიმართ  
მზირალს ტრფობითა  
შემომერტყმდა მაისის მწუხი, აღმვსები ნაკრალთ  
მდუმარებითა;

\* ინტერესულია L ხელნაწერის მიხედვით: 2 დამაფიქტურელი. 15 ლაჯვარდი. 20 პეტროს. 22 აღმები;

ანცნი ნიავნი, ნელიად მქროლნი, ღელეთა შორის  
 ალმოკვნესოდნენ  
<sup>24</sup> და მდუმარენი შემოგარენი მით ჩემსა გულსა  
 ეთანხმებოდენ.

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო!  
 ვინ მოგიზილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება  
 არა იპოვოს, არ ნუგეშ-ჰყოს გულთა ვაება,  
<sup>28</sup> გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

სდუმენ ყოველნი არე-მარენი; პინდი გადეკრა მთისა  
 კამარას;  
 მქრქალთ ღრუბელთ შორის სრიალებს მთვარე, მოსდევს  
 ვით ნუკრი მისი ამარას  
 ვარსკვლავი მარტო, მოციმციმარე; მისი ლიბრი არს  
 მინაზებული,  
<sup>32</sup> მაგრამ მით უფრო უსატრფოე არს, ვით დამაშვრალი  
 ლოცვით ქალწული.

ამგვარი იყო მთაწმინდაზედ შემოლამება!  
 ჰომ ადგილნო, მახსოვს, რასაც ვჰყიქრობდი  
 მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი;  
<sup>36</sup> მხოლოდ გული ჰერძნობს, თუ ვითარ სძლვენით მას  
 შვება!

ჰომ მიმწუხროო სატრფიალო, შენ დამშთი მხოლოდ გულში  
 საშვებლად!  
 როს ჭმუნვარება მომესევისა, შენდა მოვილტვი  
 განსაქარვებლად;  
 როს უტყვინი ჩემი აღმოხვრანი შემომახვევენ ფიქრიანობას,  
<sup>40</sup> მაშინ მზირალნ შენზედან თვალნ ითხოვენ შენგან  
 მისთვის მისნობას!

/1833

მიყვარს, ყაბახო, მყუდროება ღამისა შენის,  
თალხად ბეჭლისა მაისის დროს წყარის და ტფილის.  
ბეჭრჯერ მინახავს სახე შენ შვერერებით —

- <sup>4</sup> ძველის ახალთან, ახლის ძველთან შენობაებით;  
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე შუქით  
მოჰუნენს შენს არეს, თვით ბუნებით სავსეს სიამით,  
და მომდინარე მჭევლებითა ხუცილით მტკვარი
- <sup>8</sup> ზეირთთა აღატვევლს შორით სმენად დასამტკბობარი!

ამგვარი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე  
ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე,  
სადაცა მწყობრად დარაზმულნი აქა-იქ ქალნი

- <sup>12</sup> პირად-პირადად სეირნობდენ კეკლუ-მოსილნი  
და მათ გარემო შეჰქორფინვიდენ ყრმანვილნი კაცნი,  
ზოგნი დამძნილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი.  
თვითონ ცის მთვარეც მოწინებით ღრუბელთ ეფარა,  
<sup>16</sup> რომ ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა.

„სთქვი რამ“, იტყვიან, „ყაფლან, ყაფლან“ ერთინ  
ქალები,

„თუნდ თავსა უფლად! ახლა პრანჭვას ნუ კი მოჰყვები“.  
ყაფლანც მორჩილი სატრფოთა მათ დაიღილინებს

- <sup>20</sup> გულის საკვდავად და თან და თან ყელს მოიღერებს.  
ვის არ გსმენიათ მის ლმობით თქმა, როს მყის სევდები,  
კეკლუცნო ქალნო არ აგშლიათ გულად მკვიდრები?  
კილოს და კილოს ხორხში ამოდ დაირაკრაკებს
- <sup>24</sup> და მას ნიავი არე-მარეს შეამუშაკებს.

უეცრად მარჯვნივ დავინახე თეთრკაბიანი,  
მათ შორის მდგომი, ვინ მიმხადა მსნრაფლად ცნობანი.  
არ ვიცი, ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა?

- <sup>28</sup> სად არს გაბედვა, სად არს ძალი გრილის გულისა?  
ვნახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისლაც ერთი,  
მას აქეთ თვალი ვეღარ მოვჰვარ, და ახლა ერთი  
დგას აქა მწყაზრად, ვით ქურციკი, ვეფხვთა შორისა.

<sup>32</sup> ყელი ყელყელობს, დამფანტველი მსნრაფლ გონებისა.

\* პირველი რედაქცია, რომელიც ჩატარებით II წერილი, იქნება აღნა მექანიზმის შემდეგის მიხედვით („დროუბა“, 1885, № 114). მას ეძღვნის ემსიმწერელთ ვარაბეჭდით სხევაობით მიმართვა „მია გ...სთან“, რომელიც დაბეჭდილია აქვთ II წერილთან ერთად (გვ. 98-99).

თვალი შემასწრო მან ამ დროს მე და შემომლინა.  
 ამან გამამხნო, და გულს-ძგერით წარვსდეგი წინა  
 და ასე ვუთხარ: „ნეტარ, რომ მე მელირსა კვალად  
<sup>36</sup> სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენი ან მხიარულად.“ —  
 „გმადლობთ“, მითხრა მან, „რომ თქვენ მაინც  
     გახსოვვართ კიდევ,  
 ახლა მოდაა — ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ“. —  
 „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები  
<sup>40</sup> ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები“.

ამა სიტყვაზე ვარდი ღანკოზედ მყის აეფურცლა;  
 ამ დროს ნიავმანც თეთრი კაბა მიმოუქროლა  
 და ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა,  
<sup>44</sup> რომელთ საამით ცნობა ჩემი მიმხადეს თვისდა.  
 ამ დროს მთოვარემც შუქს მის ხალი აღუგზნობინა,  
 რომელმან ჩემს გულს სანდოობით შვება მოჰვინა;  
 მაგრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრფოსა ქალსა,  
 რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი — თვალსა!

[1836 წლის ზაფხული]

ჭაბუკო, ვიდრე დილა გინათებს ცხოვრების დღეთა  
 და სიყვარულის მტანჯსა ჭირებსაც ჰელენს სიამეთა,

არ დაიჩინო შავის ბედისა გულზედ ლახვარნი,  
<sup>4</sup> ლხინსა და ტრფობას გაატანინე ცრემლნიცა მწარნ.

არ მოართდო გული მღერალი ცეცხლს სიყვარულის,  
 არ ათავილო სიყმანვილეს აყოლა სოფლის!

სასაცილოა, რომ ბერიკაცი კვლავ ყმანვილობდეს,  
<sup>8</sup> გაუძლებელ არს, ოდეს ჭაბუკი ბერიკაცობდეს!

მას ვაქებ ვინცა თვის სიცოცხლე ესთ განატარა,  
 რომ ყოვლი უამი ხანის მიხედვით მიმოიხმარა!

მაშინცა კმარა შეაღვირება გულისა თქმათა,  
<sup>12</sup> კისრად ტვირთება ამა სოფლისა მძიმე ზრუნვათა,

ოდეს მზის სხივი შეგვიცვლიან ჩვენ დილასა მას ნელს  
 და ცრუ სოფელი თვით სიყვარულსაც შეჰყრის სარგებელს!

მხოლოდ გირჩევ მას დაიხსოვე ესე თათბირი,  
<sup>16</sup> თუმცა ჯერეთ მეც ამ სანუთოოსი ვარ მცოდნე მცირო,

მაგრამ მერწმუნე, გამოცდილი აქვს ეს ჩემსა გულსა:  
 არ შეემსჭვალო, ძმაო, უეცრად კეპელა ქალსა.

აშიკის ენა მას განახარებს, მას ასულდგმარებს,  
<sup>20</sup> ხოლო სიყვარულს მის გული ცვლადი ვერ მიიკარებს.

[1843]

\* იმპედება E აეტოვნასის მიხედვით, დედანის წამლილია ხათაური და დექსის აღრინდელი წანაკითხები: 7 რიმ ბერი  
 კაცი ] ოდებება ბერი; 12 ხოულისა ] ეხორნები; 14 შექრის ] შექმდების; 15 დაიხსოვე ] გაბხილებით. ტექსტი ნასწორებია  
 პოეტის მიერ მოგეიანებით (დაბდებით 1843 წელს).

შრპზენზე ლექსის „პავეპსი“ \*

მოახლებულა აღსასრული შენიც, კავკასო,  
თვალხარბო გმირო, გულ-უმაძლროვ, ბერო კაპასო.

[1842-1844 66.]

\* იმპედება E აკტოგრაფის მიხედვით.

დაო მაიკო!

ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წარმკითხველი მათ  
მოიგონებ პევრთა საამოთა დღეთა ყრმაწვილობისათა და შემიბრალებ  
შენს ყარიბსა ძმასა.

თ - ის ნ. პარათოვისაგან  
1841 წ.

---

\* იმპტერის ც ავტოგრაფის მიხედვით (ეძღვის 1841 წელს გადაწერილ დატებითა კრუბულის, პ. ინგოროვამ იგი პირად წერილი მოაქცია. ნ. ბარათაშვილი. თხმ. ქლ. ბანი, 1968, გვ. 173. აქედა დაბრუდილი მიხი ჭოტომინი).

# ნერილეპი

1831-1845

## წერილების ღეღწები

- 1 – საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის განსაკუთრებულ საქმეთა ფონდი № 171 (ფ. 79–80), ავტოგრაფი I წერილებისა.
- 2 – იმავე არქივის ძველქართულ ხელნაწერთა კოლექცია (ფონდი 1446), ხელნაწერი № 736 (ფ. 3r–9v), ავტოგრაფები V, VI, VIII და XVIII წერილებისა.
- 3 – S 2484 (ფ. 10r–18v), ავტოგრაფები III, VII, XIII–XV წერილებისა.
- 4 – Q 419 (ყოფ. 1718), ავტოგრაფები XVI–XVII წერილებისა.
- 5 – საქართველოს სახელმწიფო დიატერატურული მუზეუმის ხელნაწერები № № 16399–16402 (ყოფ. № № 9222/2–9225/2), ავტოგრაფები IV, IX–X და XII წერილებისა.
- 6 – გამ. „დროება“, 1885, № 114, პირველნაბეჭდი II და XI წერილებისა (ავტოგრაფები დაკარგელია).

## I. ბრიგოზ მრავლიანისადგი

Дражайший дядя!

Я получил ваше пис[ь]мо, с которым я очень обрадовался, и желаю вам всякого благополучия, чтоб вас видет[ь] здоровым . Но что о своих успехах писать, когда вы сами знаете; а [и]нструменты<sup>1</sup> ежели пришлете, очень благодарен буду. Чтож дальнее писать, дражайший дядя! Только что желать вас благополучным счастливым и проч.

Имею честь, прибыть любящий вас племянник Н. Баратов.

(მისამართი დანერილია მეოთხე გვერდზე):

Его Сиятельству Милостивому государю Григорию Орбелянову. \*\*

[1831, 3 სექტემბერი].

\* ეს წერილი 1968 წლის გამოცემაში არ არის დანახული ( იფ ნ. ბარათიშვილის თხმელიათაგან აპილი ქ. იმპერიუმი).

\*\* ძერუბაშვილი ია!

მე მოეიღვ თქვენი წერილი, რომელმაც ძალიან გამახარა, გასურვებით თქვენ ყოველივე ბეჭნიურებისა და ჯანმრთელობის. ჩემ წარმატებებზე რაღა მოგწერით, როდენი თქვენ თვითი იქით, თუ ხელასწიოებს გამოიიჩინათ, ასდღ დაღლიბები დაგრძნებათ. მეგა რაღა მოუწერით, მეორესას ძალა! ვისურვებ თქვენს კარგად ყოფნას და ბეჭნიურებისა და სხვ.

დამორიგებით პარაგავის თქვენი დიხა უდი ნ. ბარათიშვილი [ მისამართი]: მთ ბრწყინვალებას, მოწყალე ხელმწიფებ

გრიგოლ იორბელიანოვს.

## II. მასში

ტფილისი. გარეთუბან.  
 1837 წელსა თებერვლის...

საყვარელო ძიავ!

გთხოვთ მომიტევოთ ესდენს ხანს ჩემგან მოუწერელობა; ეს გარემოების ბრალია: ხან არ ვიცოდი ადგილი, თუ სად იმყოფებოდით, ხან საქმეებში გავერთოდი სამსახურსა გამო (ჯчиновник экспедиции суда и расправы) და ამასობაში ორშაბათი გამომეპარებოდა ხვალმეროდესაც მანდაური ფორტა მოდის. ასე, ძიავ, ვიცი მომიტევებ.

აგერ წელინად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდაირასპრავში<sup>1</sup> ნარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც ჰანციობში ყოფნის დროს, კოდა ბუშნულობა მისა მომდებარება მერქანტების მიერ და აღმოჩენილი იყო კურსის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო, და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგილებენ, მაშინ, როდესაც ფერხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს. ასე რომ, ჩემებურად კიდეც ვპხტი და კიდეც ვტანცაობ. მაგრამ რადგანაც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვსოხვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარც კი გავანიო ამ სხეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული ალარ იყო, რომ კიდევ შემენუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწესდი სამსახურში და დავუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯაჭვით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება! რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიპოვნიდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყრმანვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შკოლაა; ეს არის რომ კრუნა ჩინოვნიკების და მოკიდებული.

\* მე გარ მოხელე სახამართლოსა და განჩინების ქქსელისახა.

\*\* როდესაც ჩემი მომავალი წარმოადგინდებოდა.

17 ეკვ. 19 ვაკისხევე: 25-26 განვენერდება. და უმორჩილდება.

\*\*\* მოხელეები წრე არა ხელასყრელი მნეობრივი განვითარებისათვის.

ამისათვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩოშა  
სხარმაცები არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიტაროს! ეგ თვისება  
სხვისაც მეჯავრება. ჭეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა  
ვენა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!..

ამ წარსულს ზაფხულში, ერთს შეენირს, მთვარიან ღამეში,  
ყაბაზზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შვენებამ, ს ა ტ რ ფ ო თ  
მარაქამ, მათმან უნიდელებრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად გა-  
ნატკებს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრი, წარმიღეს გონება! კოჯორს  
ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერნმუნენით, თქვენ მომაგონდით, მაშინ  
მომაგონდა: „განცეცხლებულთა ლვინისგან შუბლთა კოჯორს ნიავი  
განგვიგრილებდეს“<sup>12</sup> და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ  
აღვწერ და გავუგზავნ ძია გრიგორის-მეტქ, და კიდეც აღვასრულე;  
მით უფრო ჩქარად, რომ ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს  
კაეშან.

შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყვარს იგი და ამისათვის მასზედ  
წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძლვის. აი:

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,  
წაგართო ა ვ ი ს ე ნ ი ს ა გესლმან;  
სატრფონი მისნი შემოგარენი  
გ ა რ დ ა ხ ვ ე ნ ი ლ ს ა დაგიხშო ეტლმან!  
მაგრამ გაჩინს კიდეც გულში მის არე;  
გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,  
თუმც უცხო და შორს თემად იარე,  
მრავალი კარგი ჰნახე ამბავი.  
მაგრამ რას ჰხედავ ან კრული ჩრდილოს?  
აპა, ის ლამე, ოდეს სატრფონი  
ალამაზებდენ შ ე ნ ს ყაბახს ამოს,  
შენის სიყრმისა თან ზრდილი სწორნი!

ლაშე ყაბახშედ

(იხ. აქვე გვ. 24-25)

ძიავ! ეს ლექსები დიდი ხანია დაწერილი მქონდა, მაგრამ  
ფონტის ვერ ვანდე კიდევ, რა ვიცი, როგორ მომხდარიყო?  
იქნებ დაკარგულიყო, და მერმე პ...

„არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან“<sup>13</sup>.

სხვებრ, გთხოვთ თქვენის ნიგნით მასიამოვნოთ რაიმე, იგი  
ჩემთვის ძვირფასია. მშვიდობით! ღმერთმა ინებოს, რომ კვალად  
მამულში გიხილოთ.

თქვენი უმორჩილესი 6. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი.

12 გაფეხავნა, 28 ქსერინა.

III. 20604 თეატრული 1

6-го августа 1838.

г. Тифлис

Милый друг! Не пеняй меня за молчание. Право, в нашем скучном от жаров, душном от пыли городе нет ничего любопытного. Я оживляюсь только по вечерам лунным, так прекрасным в Тифлисе! Вчера в один из этих вечеров пошел я бродить к Московской заставе; Вдруг я очутился на кладбище. Признаюсь, немножко смущился, когда я взглянул на это онемение: 11-ть часов ночи. Ни души! Кругом пустота вечная; луна тускло освещает могилы, как догорающая лампада усопшего. Тихо и медленно протекает Кура, как будто боясь нарушить покой в этом унылом мире... Ты теперь в раздолье, и я не хочу смущать тебя мрачными думами, которые навело мне на душу это зрелище небесно-земное! Но скажу, что прекрасное изобретение кладбище, а это необходимо, чтоб смертный порой читывал бы по нему свою жизнь: утешение несчастного — конец счастию!

Ну, обратимся к тебе.

Спасибо, брат, за письма, за удовольствие. Последнее из них читали мы с Захарием Орбелиановым<sup>2</sup>. Это была критика или лучше послание к сочинителю „ასტრა“ Прекрасно! Только, кажется, оно не достигнет цели, то есть, ты не узнаешь, кто это неведомое ასტრა. Это тайна сочинителя. Он писал ни для тебя, ни для света; писал для нее одной; Он и его понимает и он этим доволен. Что же ему больше? Нужды нет, понял ли ты его или нет? Мы все знаем только, что предмет украшает стихи. А если хочешь знать одно только значение слова „ასტრა“, то это очень просто: оно взято с французского astre, которое по нашему, ძვრმ თავუახა, значит: „მთები“. — ასე, ჩემთ ბატონ!

Скажу тебе новость, თუ არ გაჯაჭრდები. Я еду сегодня вечером в. д. Мцкнети. — зачем? — А затем, что он в там. Мать ее просила меня провести с ними несколько дней. Каковы должны быть эти дни? Ax? გაშ, გოვვდი, გგ!

---

\* ამ წერილს ზევიადან მ. თემანიშვილის ხელით მიწერილია აქტი მიღების თარიღი: [10 აგვისტო, დედოფლის წერთა].



## IV. ბრიტონ რობერტისადმი

საყვარელო ძმაო გრიგოლ, დამნაშავე ვარ შენთან დიდი, მაგრამ შენ რომ ჩემს ადგილს იყო, აღარ გამამტყუნებ. დიმიტრიევსკის ლექსები<sup>1</sup> გეთხოვნა, მთელი ქალაქი სულ შევაჯერე და ვერ ვიშოვნე. ნოტები ხომ თავის დღეშიაც არ ყოფილა! შევიტყეთ, რომ თურმე ფრანციულს სწავლობ. ერთმა ქალმა შემოგითვალა: „სპარსულად ნათქვამიათ: ოც და ათ ნელინადს უკან კაცი რომ ჩინგურს ისწავლის, საიქოს დაუკრავსო“. „რაზოლვორს“ და „ლრამმატიკას“ დამპირდა ერთი ჩემი ნაცნობი, ჯერ არ მოუტანია, ამას უუცდი თვარემ აქამდისინ გამოგიგ ზავნიდა. თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორე გითხრა, ბეჭრი ჭირიანობაა და ჭირიანობა. ორთვ ერთია, მაგრამ ჭირი, / ტყულია ამ / ხელად და ჭორი კი მართალი. დიდი დაძგერებაებია ქალებისა, დიდი აყალ-მაყალი, დიდი / ტირილი, დიდი ლამის თვევაები, დიდი წეულებაები ერთმანერთის ჯაჭრით. დაწვლლებით მოგწერდი ყოველს-ფერს, მაგრამ კვლავ იყოს, როცა მოცლით ვიქწები. ამ ამბავს დიდი / ანერა უნდა. ამ წიგნსაც საჩქაროდა ვწერ ბალატაში. ჩვენც / ახალს სახლებში გადავედით, ანჩისხატის უბანში, უნინ რომ აფხაზი<sup>2</sup> იდგა.

ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: ყიფიანგა<sup>3</sup> გარდმოთარგმნა რომეო დ ჯულიეტა<sup>4</sup> — შექსირის<sup>4</sup> ტრალედია, და მე ვთარგმნე იული ტარენტსკი<sup>5</sup> — ტრალედია ლეიზევიცისა<sup>5</sup>, თუ წაგრკითხავს, „ბიბლიოტეკაში“ იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მომენონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირეს.

მაიკო<sup>6</sup> ძალიან გწყევლის. არ ვიცი რა მოგინერია. ბალაშოვის სიკვდილს აქ ა ს ე გ ლ ო ვ თ ბ ე ნ, რომ ეს არის შავები არ აცვიათ, თორემ სხვა აღარა აკლიათ რა.

სხვა? — სხვა ამ ხელად ეს იყოს. — ნუ კი შემომწყები!  
შენ მარად და მარადის იქთაც ნ ი კ ო ლ ა თ ზ.

წელსა 1841-სა,  
 მაისის 28-სა დღესა,  
 ქ. ტფილისი

*მისამართი, დანერილი მეოთხე გვერდზე:*

Его Сиятельству, Милостивому Государю Григорию Дмитриевичу, Князю Орбелиану, Г-ну Капитану Грузинского grenaderского полка и Кавалеру. В Гории.\*\*\*

\* რომელ და ჯ ვლიერა

\*\* იულიეტ ტრიადებელი

\*\*\* მის ბრწყინვალების, მოწყვალე ხელმწყვეტების გრიგოლ დიმიტრის ქავად თობელიანს, ქართველ გრუნალერია ჰილებისა და ქართველის, ქორმა

5 პატარელი. 8 ქედი. 9 მაწოდე. 15 საჩქაროთ. 17 აბხაზი. 18 კაბანში. 21 მამეჭონა. 22 გამინჯე

საყვარელო ძმაო გრიგოლ, შენი წიგნი მომიტანა დიმიტრი ჯორჯაძემ! დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველების ქებამ. მანთ თქვენ და იქთ ანდრონიკოვი მილიციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავებს სახელი და ზღაპრული გმირობის ხმა დაიგდო მრთელს შედრობაში, თვარემ შენ თვითონ შეიტყობ დაწვლილებით. — მითამ როდის და რაში არა ვყოფილ-ვართ კარგი, მაგრამ ჩ ი მ ი-  
ჭ უ ნ ი მ!

მჯერა ს ა რ დ ლ ო ბ ა არღუთინსკისა<sup>4</sup>, საგინოვისა<sup>5</sup> და გურამიოვისა<sup>6</sup>, რადგანაც შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ; შენ დიპლომატობა ხომ ადრეუე ვიცოდი! ხუმრიობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უ ბ ე დ უ რ ე-  
ბ ა, რომელიც შეუდგების აღშფოთებას. შაპაშ, მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!

ძმაო გრიგოლ, ტფილისის ამბავი მაგთენი არაფერია. ცოტას ხანს დაპყვეს აქ ადლერბერლის<sup>7</sup> შვილება და, რაღა განგიმარტო, შენ მიჰევდები, რაც ადლერბერლის შვილები აქ იქნებოდენ. პოლკის კამანდერი გამოგიცვალეს, მაგრამ ეს განკარგულება მოხდა უზინარეს, ვიდრე გამოიძიებდენ ჩილაევის<sup>8</sup> სიმართლეს, რომელიც ვჰვენებ არ დადუმდეს. ყაფლანს ვაჟი ჰყავს, დიდს ნათლობას აპირებს ხანურად, თუმცა ხანებმა ნათლობა არ იციან. — ჩვენს დ ი დ ს პლატონს ძილში კატა დასწოლოდა ბაკენბარდზედ და ასე გაეთელა, რომ ველარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა; ვურჩევთ, რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის ფილოსოფიურს სახეს! სხვა ტფილისი ისევ ის ქალაქშა, უსარგებლო გონებისა და გულისათვის. ერთი ნუგეში ეს არის, რომ მშვენიერი დარებია.

ლიტერატურა ჩვენი ლეთით დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმანვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალ-უძა. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრაგიალებისა ყმანვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით!

ამ მცირე ხანში ერთი ლექსი დავწერე, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი. შენი ჰაზრი ჩემ თვის მარადის სახიამოვნოა.

[მოყვარილია მთლიანად ლექსი „ვპოვე ტაძარი“]

6 ქართველ-ფრან. 8 ხარღლობა ]+სარღლობა (მეორე სიტყვა წაშლილია). 16 მიხედვის 21 დაპირობება. 32 მხინავთ.

გიორგი<sup>12</sup> მომიკითხე, ვასილ<sup>13</sup> და სხვანი ჩვენი ნაცნობნი. მამა  
ეგნატიშ შემოგითვალა: „ქრისტემ გა-კურ-თხოს“! ჩვენიანებმა ყველამ  
მოგიკითხეს. მშვიდობით. ძალიან მინდა შენი ნახვა.

შენი ნ. ბ ა რ ა თ ო ვ ი

ნელსა 1841-ხა,  
ოპტონბრის 18-ხა,  
ქ. ტფილისი.

საყვარელო ძმაო გრიგოლ! ილია<sup>1</sup> მართლა ტყვედ არის შამილთან<sup>2</sup> ეს ამბავი აღრევე მინდოდა მომენტირა შენთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ყველას იმედი გვქონდა, რომ ან ეს ხმა ტყული იქნებოდა, ან ყაზიყუმიხელები<sup>3</sup> შეინახავდნენ დამშვიდებამდე. По официальному донесению Фезе<sup>4</sup> известно только то, что адъютант и его, князь Орбелиани, 20-го марта был послан в Андалан<sup>5</sup> с поручением и что его взяли там в плен.\* ხოლო ლევა, რომელმანც ეს ამბავი მოიტანა და რომელიც დამსწრე ყოფილა ილიას დაჭერაში, ამ, რა ილაპარაკა: ილიკო რომ დაუჭერათ, სინაქსაროვი<sup>6</sup> და ყაზიყუმუსხის ხანი<sup>7</sup> დაჭერილები ყოფილან. მეორეს დღეს შემოსულა ანდალალში თვითონ შამილ. ტყვები ნარუდგენიათ. ილიკოს თანა ჰყოლია ოცი, სულ დანკეპილი ყმანვილი ბიჭები, ავარელები<sup>8</sup>, ახმეტ ხანისაგან<sup>9</sup> გამოტანებულები; შამილს ოცისავესთვის ილიას თვალთ ნინ თავები დაუყრევინებია; ახტელელები<sup>10</sup> კი, რომელნც სინაქსაროვს მოჰყოლიან, დაუშიშვლებია და ისე გამოუყრია. შამილ ახმეტ ხანზედ ძალიან გაბრაზებული თურმეა და ასე უწყალოდ იმიტომ მოჰქცევია ავარელებს. აი, ილიკოს რა უთქვამს შამილისათვის: „შამილ! როგორ ეყადრება შენს სახელს მაგისთანა უწყალოება! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ტეშმარიტად ახლა მეც სიკვდილი მირჩევინა შენს ხელში ყოფნას!“ ვითომც შამილს სდომებია ილიას გამოშვება, მაგრამ, ესე ყოჩადად რომ უნახავს და ამის გვარის შვილობაც შეუტყვია, უფიქრია, რომ ეს კარგი ოფიცერი უნდა იყოს და იქნება რუსება ჩემს შვილში<sup>11</sup> გამიცვალონ. მაშინ შამილს უთქვამს ტყვეებისათვის, ილიასა და სინაქსაროვისათვის, რომ თქვენ ნუ რა გეფიქრებათო, მაგრამ თქვენს მამულს ვერა ნახავთ, ვიდრე ხელმიფე ჩემს შვილს არ მომცემსო. ახლა ილიკო დარღოშია<sup>12</sup>, სადაც შამილის ცოლ-შვილია და სიმაგრე, და კარგადაც თურმე ინახავს. ასე გასინჯე, გოლოვინის ცოლმაც<sup>13</sup> კი თქვა, რომ: მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისთანა პასუხს მისცემდა, ვითომც ილიას რომ უთქვამს სიკვდილი მირჩევინა შენს ხელში ყოფნასო. მახლას, ილიკო<sup>14</sup> ყოჩადად ყოფილა. ინ თერპ პრემიერი გადამდგრად გადასახმავს შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში. ეს არის, რომ იქნება ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა.

\* \*

\* ას ამდა ნამინიარ ან კეორგით საგანია. \*\* იმის სტრაქტინი მოურ წამდლადა, ტექსტის მოლაპანიდ წამოტენა ვარ სტრაქტინი, მაგრამ მანამისი გრაფიკული მასიურებელი მეორედა, ას მოსინერებით ამდენისგანმეტე მის მხრე (?) ანის, თაკა რეკვესტი გვერდების მიხედვის, მაგ უნდა ეტა ერთგული გარემონა და განვითარება და დაცვის, ას თუ მას მამამ მას განთავსებულება. მას უნდა, თავისი მიში და კლევითი გრაფიკული მობევანის გადასახმავს 21 სტრაქტინი შემდგარი ტექსტი საგადლაგვალო წაუმდა (წერილი ას აღმომატებილ, დამდგრადი და გამომატებილი). შპონის, 1969. № 7. გვ. 156-157).

<sup>\*</sup> ექნება რეფიციალური მისტერიელის ტელევიზიური შეხვედრი, რომ მას აღდეგანა, მიედიდება, 20 მარტი გაეგანისად იუკ

<sup>1</sup> დეკი რეფიციალური მისტერიელის მეტელის მიედიდება, რომ მას აღდეგანა და ის იუ ტევეც ჩაიცეც.

<sup>2</sup> 1969. 16 მარტი, გადასახმავის მისტერიელის 1 გამცემის, 3 გამიჯუ, გადასახმის.

Вот что поэт думает за Илико:

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი“  
მოყვანილია მთელი ლექსი

არ ვიცი, ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბეჭრი ცრემ-ლი, ტყული და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკვირვე-ლია იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე. ილიას დაჭრა რომ შევატყვე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქ-რებით და სურვილით და, რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცო-დი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დავნერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს რო-გორმე მივაწოდო; ვიცი, გულში ჩაიცინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა.<sup>15</sup>

ზაქარია ახტას არის, სინაქსაროვის ადგილს; იასეც<sup>16</sup> იქ არის ელისოს მილიციით და იმედებს ინერებიან ილიას გამოყვანისას, მაგრამ მე ჯერ ასე ჩქარა ვერა მგონია, მეტადრე ახლა, როდესაც შამილ ჯერ არსად ომობს და ილიაც თავის სახლში ჰყავს. ძმაო გრიგოლ, ყოველივე სოფელში ლეთის ნებაა და მწუხარებით, თვი-თონ იცი, ვერას ვუშველით ილიკოს. ჩვენი საფიქრებელი ეს არის, რომ ვიღონოთ რამ იმის გამოხსნისათვის.

ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქა-ურობისა. იმედია,<sup>17</sup> რომ პოზიტივ კეთილად წარმართავს ჩვენ გარე-მოებას. მინისტრს შვიდს მაისს მოველით ერვეანზედ. სხვებრ ჩვენი-ანები ყველანი კარგად არიან, მხოლოდ ფეფოს მწუხარება გვაწუ-ხებს ყველას. ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი ჩვენს დედაკაცებს ერთი ჰეგონიათ, მეტადრე ლეკის ტყვეობა.

მარად შენ ერთგული ნ. ბ ა რ ა თ ო ვ ი.  
მაისის 2-სა დღესა,  
1842 წელსა.

ელიზბარს ვმადლობ მოკითხვისათვის, მაგრამ ვწუხვარ, რომ მაგის საქმეს ყოველთვის ნაეს სდევს, ჯერ კიდევ არ უქნია მაგის-კენ პირი ბედსა. ოცნება დააბრუნეს მთავრობის სამინისტროს მიერთებით.\*\*\* ვიცი, როგორც გაჯაპრდები! მაგრამ მაგ გაჯაპრე-ბულს გულზე, გთხოვ, მიიღო მოკითხვა შენ მტერ-მოყვარე ქალე-ბისაგან.

აი. რას ფაქტობს მოუტი იდა, კი მაგისტრად.

\*\* ძელიან წერილის გენერი გრძელება თანხმევე გამოიდის ანშეიგბევ.

\*\*\* ფორმალური ხსახათის მოვალეობის ნაკლის გამოისაწონებლად.

5 რასაკერცველია. 7 ქანონი. 18 ეშველით. 23 კარგათ. 30 მხედებ.

## VII. მაიკო წრბელიანისადმი

ნელსა 1842-სა,  
ოქტომბრის 31-სა,  
ქ. ტფილისით.

საყვარელო და ო მაიკო<sup>1</sup>, მადლობელი ვარ, რომ რახაელს<sup>2</sup> ნიგნი დაშტყუე, გუშინ იასემ<sup>3</sup> მომიტანა. ამიტომ უფრო მიამა, რომ ნინა-დღეს ამ ნიგნზედ ლაპარაკი იყო და მეორეს დღეს უნდა მიმეტანა მანანასათვის. ასე ეგონა, რომ მე მაქვს. მაშ, რადგანაც ეს პირობა ალარულე, იმედი მაქვს ახლა, რომ მეორეც არ დაგავინყდება.

გოლოვინის ცოლი წავიდა და დარჩენ ჩვენი ქალები მონყე- სოლი. ხანდისხან ოხვრით მოიგონებენ იმის სახლში განტარებულს დროებს, თუმცა ოხვრის მიზეზი ყველასი ერთი არ არის. მხოლოდ გუშინსნინ იყო ვეჩერი შინაური, მაგრამ ძალიან მხიარული. ტასოს დღეობა იყო და ელენეს<sup>4</sup> სახლში გარდაიხადეს. მე, სწორე გითხოა, მეტად გავმხიარულდი, სრულიად უმიზეზოდ, უანგარიშოდ, ისე, მეც არ მოველოდი. — ბეჭრევრ მოგიგონე, დიდად მინდოდი, რომ იმ დროს აქ ყოფილიყავ...

მაგრამ სულ ამათა ჩემთვის. ეს ლამც წავიდა, ვითარცა სიზმა- რი. კიდევ მომნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მონყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მომძულებია ამდენი მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერავის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და წრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგუ- ლო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისიც გონება მრნამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გა- მომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი ცბიე- რებისა, წვეთი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდროვო თავი? ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება, დამწვარი ვლა- პარაკობ. ჭეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად, ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისიუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსა- ჯული. მოიგონე ცოტას ხანს დროი წარსულნი და მაშინ შემიბრა- ლებ. ყმანვილბითვე შეჩვეული რაზედმე სული ძნელადლა გარდაიც- ვლის ჩვეულებას, და ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

5 ბაზებანა. 9 გალავინის. 11 გვემინსწინ. 13 მეწორე. 14 კომიტეტი. 18 მამნახა. 21 მამტელებია. 27 განსჯა.

2 მემორიუმისა. 5 განსჯა. 14 მეწორისა

ძნელი არის მარტოობა სულისა:  
 მას ელტვიან სიამენი სოფლისა,  
 მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,  
 ოხვრა არის შვება უბედურისა!

შენ ავადმყოფობა შევიტყვე, რა დაგემართა? თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგ? მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთის-სოფლისა. დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა! აი, ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელი არაა! თუმცა აქმბაში არა ვარ, მაგრამ ეს წამალი სიზმარში მაქვს ნასწავლი და, თუ დამიჯერებ, იმედი მაქვს, რომ გარგოს.

გემდურები, რომ ნიგნს არა მწერ; ხომ იცი, მიამება, თუ მეტად-რე ბეჭრ ამბებსაც მომწერ. თუ ნინუცას, ანუ (რადგანაც ჯაფრობენ ზოგიერთი ქალები) ანნა ივანოვნას წიგნი მისწერო ან შენ თითონ ნახო, ჩემ მაგიერ მოკითხე და უთხარ: დიდად ვწუხვარ, რომ აღარ გაციებს-თქო. ილიას მალე ვნახავთ.

შენ მარად ერთგული ძმა ნ ი კ თ ლ თ თ ზ ბ ა რ ა თ ა-  
 შ ვ ი ლ ი

[პრველი გვერდის არშიაზე მინერილია]:

შენს გაზრდას, მაიკო, თუ გლუხარიჩი<sup>9</sup> ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ: რა ღმერთი გაგინურა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალაქისაკენ-თქო? როგორ აღარ აგონდება რა სასიამოვნო შენს პოეტურს სულსა-თქო?

### VIII. გრიგორ რობერტიანისადმი

საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავართ-  
 საო, ემირ-ავარო, ატტილას ტახტზედ მჯდომარეო!<sup>2</sup>

ჭეშმარიტად, არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მოუწერლო-  
 ბისა თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერლი წიგნი წავიკითხე, ცვე-  
 ლასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა; ჩემთან რომ  
 ფარატინი გამოგეგზავნა, ისიც დაპირების მეტი არა იყო რა. მე  
 ბინიანად მინდა შენთან ლაპარაკი და ხომ იცი, რომ საწყინოა ამის-  
 თანა ლაპარაკის გაცრუება. საკვირველია, რომ ქართველს კაცს,  
 რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს  
 შორსმხედველობა, რომ, როდესაც დაატყოს თავის თავს ვპერდე-  
 ბიო, პოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა  
 სოფელში, გამოიყვანოს კაცად და, როდესაც თვითონ დაეცეს (სა-  
 ბოლოო არა არის რა ამ სანუთოოში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს  
 შემძლებლობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლო-  
 ბით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მინვევს საუკეთე-  
 სოს ხევდრისაკენ. გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის  
 მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინაქს,  
 მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ლრე-კლდეს გამიყვანოს და  
 დავდგე გაშლილს ადგილს. ოჟ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ  
 მაშინ, რა ხემიიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი  
 მანდეტ მოჰქრის, ეცადე, რომა რენენკამფთან დამარიშვინო. ხომ ამ  
 პრობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის? ვიცი, დაგავიწყდა,  
 მაგრამ, არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა  
 გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება... მე ახლავ მიტყობს  
 გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განსჯას გამიტრიზავებ: ემირობა  
 მასხარად აიგდე და მომავალის დიდების ფიქრს რას უზავ? სხვებრ  
 შენ იცი.

ახლა ქალაქის ამბავს მოგწერ.

გუშინ შაპის ელჩი შემოვიდა, თუ გახსოვს, მირზა-სალი<sup>4</sup>, ევ-  
 როპის ენებზედ მოლაპარაკე, განვითარებული კაცი. მაზეგ რომ  
 სამშაბათია, დიდს ბალს უკეთებს მთავარმართებელი. მაგრამ ვინც  
 შენ გეგულება, არც ერთი ჩენი ქართველი ქალი აქ არის და  
 გაიხარე, რომ ბალში არ იქნებიან. Но и тут оне выигрывают; будь вместо  
 Мирза-Сали граф Чичероне<sup>6</sup>, оне тотчас бы приехали на бал\*. ბალის ამბავს შე-  
 გატყობინებ.

ჩ ვ ე ნ ი ლევან<sup>7</sup> ქუთაისში გააგდეს პორუჩენით. მე და შენში  
 დარჩეს (ისე კი არა, ბაკლანას რომ ხომალდი დაეღუპა)... გრიგოლ

\* შაგრამ ისინი აქეც შოგგბული არიან: აბა, მირზა-სალის ადგილის ქრაფი ჩიჩერინე იქთ, ისინი შაშინცე მოძრაბან-  
 დებოდნენ ბალშე.

<sup>8</sup> საკურაველია. 11 მომხეცე. 21 რედკამიან. 25 განსჯას. 31 სამაფათია.



მთავარმმართებელმა ლევან გაუგზავნა, ასი ოქრო გზის ჭარბებულდა და დაიბარა. იმასაც ეს უნდოდა. რასაკვირველია, რომ უარი აღარა სთქვა. დახე, ქვეყნის ოხრობას! შენ უკანასკნელი წიგნი ლევანთან მე გაცხსენ და წავიკითხე. ბეჭრი ვიცინე.

ილია კარგად არის, პარუჩიკობა გაიკრა, ას თუმნამდინ თავისი ჯამაგირი გამოუვიდა და წარდგენილია არმიაში. ამის სიწერეთელი ინაზებოდა, არ უნდოდა მილიციის მიღება და საქმე თავში ბოსტანია, გულში სიყვარული. დაიჯერე, ხუმრობა არ გეგონოს.

არ ვიცი ბუმაუნიკი და ქუდი მოგივიდა თუ არა. ეს კი ვიცი, რომ გიმზადებდენ.

კნიაზი ჭავჭავაძე<sup>12</sup> თავისი კნეინათი<sup>13</sup> მარტყოფს იყვნენ<sup>14</sup> ჯვარო-ბას. ამათ დასტაში იყვნენ სავარსამიძის ცოლი, სავრიჩის ცოლი და ბეზაკის ცოლი, ეს კი მუხრაოვანიდან გადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა უქმროდ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძრალიყავ და მუხროვანში, იმის ოთახში შუალამისას დაბადებულიყავ? იქიდგან კალასკაში კნიაზი და სავრიჩის ცოლი ერთად ისხდნენ წინ და კნეინა და სავარსამიძის ცოლი — ერთად უკან. დივოლი დიდი!

მამა ეგნატიმ<sup>20</sup> თავი დაგიკრა იმიერ-სოფლიდთგან. ერთი თვეა, რაც გარდაიცვალა. საწყალი! Вот человек, который, по своему положению в свете, более всех страдал. Минувшее проходило перед ним и вольновалось, как море-океан.\*\*

სხვა რაღა მოგნერო, მეც სამსახურში მივეშურები, և ვინახე და „И грустно, и скучно, и некому руку подать в минуту душевной невзгоды.“ \*\*\*

ჩემი ახალი ლექსი ეს არის:

[მოყვანილია მთლიანად ლექსი „ს უ ლ ო ბ ო რ ი ტ ი“]

ამით გავათაოთ ეს წიგნი, დრო აღარა მაქვს, და შემდეგ ბეჭრს მოვიწერები. ერთს ცუდა დროს ჩავიგდებ და, რაც ვიცი და არ ვიცი, სულ გავაჭრელებ. ახლა ფაცაფუცით არა მაგონდება რა. ახლა ვნახოთ, რასაც შენ მოიწერები.

სირცხვილია, რომ მაგ საშინელებაბში პოეზიაშ არ გაიღიძოს, და, თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და სტატისტიკა მაინც უბრძანე, რომ დაწერონ.

შენი მარადის ნ. ბ ა რ ა თ ი ვ ი

21 ავგустა, 1843

Тифლის.\*\*\*\*

\* ხაშმათლ დაწერილებით.

\*\* ამ აღმიახო, ნიმუშლის თავისი მდგრამარეობით საბოგადლებაში ყველაბეჭერი მტებად იტანჯებოდა. წარსელი მიღითება მის წანაშე და ლელავად, რიგორი ჩდვა-ო-ებან.

\*\*\* საერთოდ, აქ „ნაღველიანობა და მოწყვენილობა, სულიერი აფერიანების ფასს ხელს კურავის გაუწევის“.

\*\*\*\* 21 აგვისტო 1843. თბილისი.

2 რასაკურველია, მსოფლი. 11 მარტყობა. 13 მეტავანილია. 15 მეტავანში.

[პირველი გვერდის არშიაზე სწერია]

მამამ, ფეფომ<sup>22</sup>, კატომ<sup>23</sup>, ბაბალემ<sup>24</sup>, ნინუცამ<sup>25</sup> და აპლიპუტი-  
ლამ<sup>26</sup> მოგიკითხეს.

არ გებრალება, რომ მაია<sup>27</sup> ქვეშაგებად ჩავარდა? გიორგი<sup>28</sup>  
ზაქათალას გაგზავნეს ბატალიონის კამანდერზედ გამოსაძიებლად  
და ბატალიონსაც პირველს ამას აძლევენ.

Любезный брат Захарий! Отчего мы не переписываемся? Признаюсь, вопрос этот заставил задуматься. Что я тебя люблю, это аксиома, что и нелень писать, это доказывают занятия мои по службе. Какая же причина? А вот наконец напал: беспечность, врожденная слабость вообще грузин. სხვა, ძმათ, მიზეზი მე ამ ვიცი და შენ გამომარტე... ესეც კი არის, რომ რა მოგნერო?

Письмо твое, исполненное грусти и томления от бурного потока жизни, глубоко отзывалось в душе моей, хотя причины у нас к тому разные. Я был болен сильно, чуть не переселился в Елисейские поля. Не зная до того времени никакой болезни, я почувствовал странное влияние ее, быть может, на всю мою жизнь. Непостижимость цели нашего назначения, безграничность желаний человеческих и суета всего подлунного наполнили мне душу ужасною пустотою. Дай мне маленькое независимое состояние, я бы сейчас оставили свет и людей с их ненасытностью и мирно и покойно провел бы патриархальную жизнь в лоне простой природы, столь величественной и прекрасной в нашем отечестве. При этих грустных думах застало твое письмо меня, только что выздоровившегося. Вот почему я сочувствовал к тебе.

Дух человеческий, достигнув полного своего развития, совершив дела, ему свыше определенные склоняется наконец, утомленный покоя в тихой семейной жизни. Я бы отнес причину твоей скуки к этой гипотезе, если бы знал, что поприще твое совершилось. Но для тебя не наступало еще этого периода жизни. Управление Самурским округом сделалось для тебя уже вещью обыкновенною, однажды заведенным механизмом. Душа твоя ищет пищи новой, дух твой стремится к большей деятельности, сценам более сильным, более патетическим. И пока он достигнет своего назначения, ему скучно, грустно! Согласись, Захарий, что еще один случай, подобный Ричинскому<sup>3</sup>, и ты снова в волнений приятном, снова забудешь мир и покой семьянина. Углубись в себя и тогда, уверившись, что гром славы и звук оружия не имеют уже для твоего слуха магического значения, оставь службу, займись именем И это другая слава — сделать счастливыми своих крестьян, оставленных досих пор без господина — попечителя. Иначе, Захарий, помни, что и в жизни счастливого земледельца нет для тебя покою. Затрутся в военную трубу и снова ты не земледелец. Может быть, я ошибаюсь в причине твоей грусти, но я все таки ожидаю от тебя деяний громких!

კატო<sup>4</sup> დავნიშნეთ ნარსულს კვირას რევაზ ერისთავზედ<sup>5</sup> და ქორნილსაც საამაღლებოდ ვაპირებთ. დიდად მიხარიან. ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს. ათასი რომ ვიჩანგალოთ, ისევ საქართველოში უნდა დავაბოლოოთ ჩვენი ცხოვება და ამისთვის ჩემი აზრი ეს არის, რომ: რაც უნდა ვიურანცუცოთ, მაინც ძველი ოჯახი და კარგი დამკიდებულება რაც უნდა ნახდეს, ახალთან კიდევ მოვა! დავით ერისთავმა<sup>6</sup> სამაჭანკლოში ქორი გთხოვა და იმედი მაქვს, რომ ახალს მოყვრობას პატივსა სცემ.

35 ვიურანცუცოდ. 38 პატივს.



Любезный брат захарий. С восторгом поздравляю тебя с победою, совершением дела блистательного. Меня радует в особенности то, что мои ожидания начинают уже оправдываться. Я часто сказывал тебе, что явижу на челе твоем печать величия и славы.

Благодари за ружье. Оно стоит называться подарком Начальника Самурского округа. Но для меня оно значит более, как подарок от уважаемого и любимого брата.

Письма твоего, отправленного по почте, я еще не получал. Ожидаю с нетерпением.\* ჩვენ ყმან<sup>2</sup> ვილი კაცები<sup>3</sup> ილია, ლევან<sup>3</sup>, დავით, ბაკლანა (მითომ ესეც ყმან<sup>2</sup> ვილებშია), ზაქარია<sup>4</sup> და ალექსანდრე ერისთავი სულ წამოვიდნენ შამილის დასაჭერად. ესენ სულ სარდლები არიან ქართველთა ჯარისა. ყაფლან ხომ ასე ამბობს, რომ ესენ სულ წამომავლობით გიჟები არიან.

ეს შენ ლევი სადილად დავპატიუე კარგად და ერთი ოქროც ვაჩუქე დუშალიკში.

კატოს ქორნილი საპეტრეპავლობოდ გვექნება. არღუთინსკის დენერალ-ადუტანტობას ამბობენ, თუმცა გამოცხადებით არ არის, მაგრამ წიგნი მოსულა პეტერბურლიდგან. საკვირველიც არ არის. ვინც რამ უნდა ილაპარაკოს და აცა, თუ ეგ მართლა მონტევუკული არ გახდეს ამ ცოტას ხანში.

გიორგი თუ მანდ იყოს, კარგის სიყვარულით მომიკითხე.

სხვებრ ღმერთსა ვთხოვ შენს მარად და მარად მშვიდობას და გამარჯვებას ყოველს საქმეში.

შენი ერთგული ნ. ბ ა რ ა თ თ ვ ი

წელსა 1844-სა,

მაისის 10-სა,

ქ. ტფილისით.

### [დამატებულია ბოლოში]

მამამ, ფეფომ პირს გაკოცეს. კატომ მოგიკითხა: ისევ შენ, თორემ სხვანი ჩუსუმები არიან.

დავით ერისთავმა, სიძის ძმამ, სამაჭანვლოში ქორი გთხოვა. ზაქარიავ, ხომ იცი, ამათ მაგისტანები დიდად მიაჩინათ.

შენი გამარჯვება ქეთევანს <sup>12</sup> აქ გადავახდევინეთ. ხომ არ დაიჯერებ და შემპანსკებს თვლა აღარა ჰქონდა. ამისთანა წუნკმა ხანდისხან ასეც იცის.

\* საყვარელო მმათ ზაქარია! აღტაცებულ მოგილიურ გამარჯვებას, ბრწყინვალე საქმის შესრულებას. განსაკუთრებულ მახარებს ის, რომ ჩემ მოღოლინი უკვე მართლდება. აյս ხშირად გვებრებოდა, რამ შენ შეძლებ დიღებისა და სახელის აქცევაზე მეტე.

გმაღლობო თოვისმოვის. მას შეშენის სახელი სამურის თლაქის გამგის საჩუქრისა. მაგრამ შემთვეს ის უფრო შეტანილი, როგორც პატევებულისა და საყვარელი მმის საჩუქრის.

შეხი წერილი, რომელიც უოზტომ გამოიგენიანია, ჯერ არ მიაღია. მოუმატებლად ვეღოლდები.

II ხადილათ. 18 ივნი.

## XI. გრიგოლ რობელიანისადმი

საყვარელო ძმაო, გრიგოლ! სიზარმაცეში ანუ უნდომლობაში ნუ ჩამომართმევ ამდენს ხანს წიგნის მოუწერლობას. დრო არა მქონდა. შენ გაიცინებ, რასაკვირველია, იტყვი: „შენ, ჭიანჭველავ, რა საქმე გაქვსო?“ — კიდეც ამისთვის არა მცალიან, რომ ჭიანჭველა ვარ: ყოველთვის ჩემზედ მეტი და დიდი უნდა ავიკიდო. ესც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო? დედაკაცები ისევ ისინი; ჩვენი ყმანვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭრერად წამოვიდენ, ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი ბიჭი! ამისთანა ფართე ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეჰვედრია.

ვიცი გეწყინება, ქ[აიოსსრო] ყ[იფიანის] ცოლი<sup>1</sup> ჭკუაზე შესცდა, საწყალი! ტირილი მოგივიდოდა ამის ნახვაზედ. მგონია ვერ იცოცელოს.

ვიცი გეიამება, კ[ატო]<sup>2</sup> დავნიშნეთ რ[ევაზ] ე[რისთავ]ზედ<sup>3</sup>. რუსულად არის ნათქვამი (იქნება ქართულადაც იყოს და მე კი არ ვიცი): суженного конем не обнедешь.\* ქორნილი საპეტრეპავლობოდ გვექნება. იქნება არც კი იცოდე, როდის არის ეს დღე. — ექვს კვირას უკან, თ-ესტ. 29 იუნი.\*\*

ზ[აქარ]იას<sup>4</sup> და გ[იორგ]ის<sup>5</sup> კარგი საქორწილო გამოეგზავნათ. ზ[აქარ]ია იწერება, რომ გ[რიგოლ]მა სულ ბლუჟეულად იცისო. — კ[ატო]მ შემოგითვალა: ახლა შენ იციო, ეგებ დიდკაცობა, ესც შემთხვევა გამოდგომისაო, თუმცა კი სულ ერთია: თუნდ შენსა ჯიზ ბეში და თუნდ ჩემსა ჯიბეშიო. მე კი ეს ვიცი, რომ ე[რისთვე]ნათ რძალთან არა დაგვეკარგება-რა: კარგს ქიზგას გვაჩუქებენ. მაინც საჭიროა, ორმოც წელიწადს იქთ ცოლი აღარ ვარგა.

ეს წიგნები სულთანს გამოეგზავნა შენთან. რასაკვირველია, რცხვზედ შეატყობ, რომ დიდი ხნისაა. ამაში კი ჩემი უზუნველობაა მიზეზი, მაგრამ უფრო გულმავიწყობა: ვერა დროს ვერ დავეჩივ, რომ სამშაბათობით მოდიოდა შენთან ფოჩტა.

ეგ ბატონი ქართველთ სარდლები რომ წამობრძანდენ, ყაფლან მაგათზედ იცინის, ასე ამბობს: სულ ჩამომავლობით ჭირვეულნი არიანო.

ახალი ამბავი ანუ ჭირი ხომ გიყვარს: ამხელად ეს არის, რომ ნ[ინო] ალექსანდროვნა თდესაში მიდის 9 ივნისს. შენ მანდ გაჯავრდი. სხვებრ ვეცდები, რომ საკვლაოდ კარგი გატენილი წიგნი გამოგიგზავნო.

\* ხაბელის ტექნიკა ეკრ ავალი გაცრდა.

\*\* ფ. 29 იცისხს.

10 შექტედა. 29 წამობრძანდენ.

შენი მარად 6. ბ ა რ ა ი ა შ 3 ი მ ი  
წელსა 1844.  
მაის 23-სა,  
ქ. ტფილისით.

ფეფო]მ და მ[აშო]მ<sup>12</sup> მოგიკითხეს. ამათ შენ ხანობა<sup>12</sup> არად  
ეპტნავებათ. — გამდიდრდი თუ არა? — ესენ ამას მკითხავენ.  
შენს მაგივრად მე ვეტყვია: ვაი, შენს მტერსა-მეთქ!

## XII. გაქარიბა წრბელიანისადმი

უსაყვარლესო ძმაო ზაქარია! მომილოცავს პოლკოვნიკობა!<sup>1</sup> შენი წიგნი რომ მომივიდა, იმის მეორეს დღეს „ინგალიდებში“ ეწერა. მე ახლა ჩქარად ღენარლობის იმედიცა მაქვს. მაგრამ ამისთვის უთუ-ოდ უნდა დაღესტანში იმსახურო, თუნდ მაგ ადგილშიაც არა... და მერმე იცი, რა ვიფიქრე შენთვის? — კასპიის ობლასტის ნაჩალნიკობა! ვინ იცის! მე კი კარგადა მაქვს დაცდილი წინასწარ-თქმა! ეთიცემა თოვადი სუსტების გარდა და მომილოცავს იმედიცა მაქვს.

კატოს ერთი თოვეც არის ჯვარი დავწერეთ. — კარგი ქორწილი გარდვიხადეთ. მეორეს დღესვე წაიყვანეს კატო. ერთი ღამე და მეორე დღეს სადილად ქაიხოსრო მუხრანსკისას წავედით. — ოძისს რომ მივახლოვდით, სადაც ბიძინა ერისთავი<sup>4</sup> დგის, ლევან ერისთავი თავადებით, აზნაურებით, და იმერეთის მგალობლებით მოგვეგმუბა; ჩვენთან იყვნენ მანანა თავის ქალით, მაიკო, ყაფლან, მიხაკო, ალექსანდრე სუმბათოვი — მევვარე. რა დაბინდდა — შევედით ახალგორს. სასახლე ჭრაქებით იყო გაჩახჩახებული, მეიდანი — მაშ-ხალებით; ამ დროს ახალი არქეერი წულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა, აქ იყო და მგალობლები იმისნი იყვნენ. დევანოზი შემოსილი და ჯვარით მოგვეგმება გალავნის კარებში, დაპერეს ზურნას, სათარას<sup>5</sup> სიძლერა (თანა გვყვანდა), თოფის სროლა და ხალხის ჭდევა და ყვირილი საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა. ამასთან მთვარიანი ღამე და მშვენიერი მდებარეობა. — სასახლეში რომ შევედით და ყაფლანმა ქუდი მოიხადა და შეხედა ზალას, ერთი გულით წამოიძახა: ფუ... ეთი დავიძე?<sup>\*\*</sup> ბევრი გვიცინია.

რასაკვირველია, მეორე დღეს, პატარძლის ჩვეულებისამებრ, კატო ქვეშაგებში იწვა. მესამე დღეს ადგა. მზითევი გაშინჯეს, მაგრამ, ზაქარიაც, მრთელს ქართლში გაითქვა; თვარემ მანანა გეტყვის, როცა ნახავ. მეოთხე დღეს ნიშნები მოართვეს დედამთილმა, მაზლებმა, მულებმა და რძალმა, კარგი ნიშნებიც იყო. არქეერი ეზოში იდგა, კარაში ჭადრებს ქვეშ. იმ დღეს ამობრძანდა კატოს სანახავად, დალოცა და ერთი ოქროთ მოჭედილი დვთისმშობლის<sup>12</sup> ხატი აჩუქა. ხუთი დღე და ღამე სულ შექცევაში ვიყავით. მამუკაც აქ იყო და ძალიანაც გამხიარულდა. მერმე მე და მამუკა გორს გადავედით, იქ დაგვეცდნენ ელენე<sup>4</sup>, მანანა, რომელიც ორის დღის წინათ ჩვენზედ წავიდა, მელანია და ბევრნი სხვანი. ნათლობა ჰქონდათ ელიზბარის სახლებში, ესტატე ერისთავის შვილისა. იქმდგან ატენში გადავედით. კნიაზი ძალიან კარგად დაგვიხვდა; სულ შუშურები გვასვა. ერთის ლექსით, კარგად გავატარეთ დროება, მრთელი ორი კვირა.

მე და მამა ალევობას, რომ ამ თოვის ოხუთმეტს იყო, ვეწვივენით

<sup>1</sup> ქვეშა ანსებათი იქნება.

<sup>\*\*</sup> უა— ქა ხსხლდება?

<sup>3</sup> დღარნობის. 4 მხახურე. 6 წინასწარ. 10 ხადილათ, კარგათ. 24 რასაკურველი. 29 ამობრძანდა. 31 შემცველი.



კატოს. მანანა და ელენეც გარდმოვიდნენ სალოცავად. საუცხისებელი ქადაგი რობა იყო. ახალგორიძემ თორმეტი ვერსტია, მაღალს მთაზედ. ქალები ცხენებით, საწვიმრებით, ქოლგებით, დიდის ამალით, ოსურის სიმღერით ავედით სალოცავად. ის ლამე და მეორე დღეც იყო მშვენიერი. ძალიან მხიარულება იყო. ცოტა ნამოსვლის დროს მანანა ავად გახდა და იმან ცოტად დაგვიშალა მხიარულება. ზაქარიავ, სწორეს გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში, სანატრელს ოჯახშია. ძმების უმაგალითობა, თანხმობა, სიმღიდორე სახლისა და უვალობა! ამასთან რევაზ ზედ პკედება; ლევანისა ხომ სულია კატო და დავით ხომ იმის ნებივრობაშია! მე ეს მიამა, რომ მტერი ვერ გაიხარებს. თუ ღმერთი გვალირებს ერთად შეფრის, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა, უნდა ვენ ვივნეთ ამ შემოდგომაზედ, რომ ლაზათი გავწიოთ. მართალია სანა-დირო არ არის ყოვლის გვარისა.

ბეჭრი ვიცინეთ გრიგოლის ნიგნზედ; მანანას ნაუკითხე; ილიას ნიგნ ნი მოვიდა. ჩერვლონში არიან სულ ყველანი და ამ თოვის გასვლამდინ, მგონია, მოვიდენ. მთავარ-მართებელსაც ამ სამ დღეზედ მოელიან! ლუარსაბის ცოლი ანნა ძალიან ავად არის, საწყალი! სხვა ამბავი აქ ახალი და საშენო არა არის რა.

მშვიდობით, ღმერთსა ვთხოვ შენს კვალად და კვალად ბედნიერებას.

შენი მარადის ერთგული თ. ნ. ბ ა რ ა თ თ ვ ი

P.S. ზაქარიავ! ამ შენ გამოგზავნილს თოფსა თავის შესაფერი ერთი ნყვილი დამბაჩაც უნდა, თვარემ ობოლსავით დარწენილია და ამისათვის კაბინეტში ვერ გამიმართავს.<sup>21</sup>

დამავიწყდა: ივან კარლიჩი გარდაიცვალა. სალომე<sup>22</sup> კარგი ქვრივი დარჩა. სულ ყოველი თავის საცხოვრებელი ამას უანდერდა ვაკონს. თუ გიორგი ნახო, ჩემ მაგიერად დიდი მოკითხვა.

[შესამე გვერდის არშიაზე მინეროლია]

იაკიტემ ამ ნიგნის ცერაში ასე მითხრა: ჩემ მაგიერ მოკითხვა მის-ნერო და ასე შეუთვალე, რომ ცალკე ნიგნისათვის არა მცალიან, ბეჭრი საქმეები მაქვსო. აქ არის სასამართლოში სოვეტიკის თანამდებობაში დროებით დანიშნული.

[პირველ გვერდზე ჩამატებულია სხვა ხელით]

მეც მომილოცავს პოლკოვნიკობა. შენი ე ლ ი ს [...]

\* ქანიხანერია აქტით.

6 მეტორებს. 10 გაიხარეს. 14 წაკითხვა. 30 მასწერებო. 34 ხელმოწერა გაურკვევდია.

XIII. მაიკლ ლორენცისადმი

9-ს ოქტომბერი, 1845,

ქ. ნახიჩევანით.

საყვარელო დაო, მაიკლ! შენი წიგნი მომივიდა. დიდად მადლობელი ვარ. ვიცი, რომ გიყვარ-ვარ, მაგრამ, შენმა გაზრდამ, არც შენ ჩემსავით უყვარსარ ვისმე (ერთის მეტს). ნეტა, ვის ნათესავებს ემდური? თითქოს არავის იცნობდე! განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავებრი გრძნობა? — არა, რომ მებატიუები მანდ, რას მეპატიუები? ახლა ყველანი კარგად გიცანით: აი სამი თოვეა აქა ვარ და ძალლად არავინ მახსენა! ეჭ! მაგის დარდსაც გავუძლებ! აღარც მე მცალიან ვისთვისმე. ახლა მე ჩემი თავი ხელმნიფობას და საზოგადოობას შევსძლვენ: სულ ხომ ყმანვილობა არ იქნება? დრო არის როგიანის სამსახურისა. თქვენც გეყოფათ ბუზების ხოცვა. დიახ, ნურავის მოვაგონდები! იმისი არ იყოს, როგორც ერთ ქალს უბრძანებია, რომ აქ მოვნებინდნენ და გავყარეთო, ეგეც აგრე იყოს. მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩევნ წელს ოც და ექვსისა შევსრულდით და წინაც ჯერ ბეჭრი ნუგეში და სიამოვნება გვიძევს! ვაი, იმის ბრალი, ვინც ოცდა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის!..

კრიანოსნები გეთხოვნათ: მე დიდიხინია თავოზიდან ხუთი კრიანოსანი დავიბარე, აქამდისინ კიდეც უნდა იყოს მოსული კარანტინში (ოც და ათი ვერსია აქედაგან). მაგრამ ჯერ კი არ გამოგიგზავნით, სანამ ტასოს ნება არ გექნებათ, ამიტომ, რომ მაგისთანა კრიანოსანი ერთი უნდა იყოს და რაკი გამრავლდება, ლაზათი წაერთმევა. ხომ გაგიგონიათ:

რაკი ტურფა გაიაფდეს, აღარა ლირს აღარც ჩირად!

და რადგანაც ჰირველად ტასოს გამოვუგზავნე, ამისათვის, რომ არ ეწყინოს, მაგის თანხმობით უნდა იქონიოთ მაგისთანა კრიანოსანი; თუმცა გავავრდებით ამაზედ, მაგრამ მაინც მე კიდევ ასე მოგახსენებთ.

ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარის<sup>3</sup> ქებით. ვისიც წიგნი მოგვივიდა, მაგის ქება ეწერა. ნეტა ყველასათვის აგრე მალე როგორ გაგიუდებით? მაგის ამბავი ჩევნა გვკითხოთ: ეგ სულეიმან ხანმა გარდმოიყვანა სპარსეთიდგან, ორი დღე და ლამე აქ ჩვენთან იდგნენ; რაც ჟუნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულა.

ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა სჯობს? ეტყობა, კარგი სმენა ჰქონია! მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასათვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ მაგისთანა ხმა, აღარავის ექნებათ. ერთი, ორვეს სახე ნახეთ: ერთი

<sup>3</sup> მაშვიდა. 4 გამდამ. 11 მეტასდექნ. 13 უმამინება. 26 გამოუგებანე. 35 ქაჯობხო.

კაცია, მეორე — ჯოჯოხეთის მაშალა.

ახლა ნახჩევანში ერთი ახალი ლექსია, თვრამეტის წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩაბეგუმ ჰქვიან; ხანის ქალია ძალიან ლამაზი და მარილიანია; ბეჭრში ნარმოგიდეგნ ორლოვის ცოლს. საცოდავი დამწვარია თავის ქმრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს, რომ გაუშოს. საწყალი თორმეტის წლისა ყოფილა, რომ ძალად გაუთხოვებიათ. ამათი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რომანია! ამ ლექსში თავის თავს სტირის: ერთს ადგილას ამბობს: „ჩემო მშვენიერო ბახჩაო, მინდა მოვიდე, ვიმუსაიფო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო“. ამ ლექსს დავანერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნით. მგონია, სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის! ერთი ხმა არის კიდევ ძალიან სასიამოვნო, ჯაფარაბაც იცის და სათარამაც, როცა შეგხვდეთ, ასე უთხარით, რომ „ე. ი., მ უ ს ე-ლ მ ა ნ ნ ა მ ა რ ი ხ ა ნ ჯ ა ლ ზ ა ნ ი“ იმდეროს.

ერთი შეტატყობინე, რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა ნიგნს არა მნერს? ივანეს კიდევ არ დავემდურები, ამიტომ, შენის ძმის წყალობით, რაც ტვირთ ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დააპირა! მაგრამ ეს მაკვირვებს: არ ვიცი, რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკითხულობს? მაგრამ, ერთის მხრით, არც კი უნდა დავემდურო. ახლა ჩვენ ვიღას მოვაგონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახჩევანში! ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცის წლის კაცები არიან!

ტასო მოიკითხე და მადლობა უთხარ მოგონებისათვის. კატო მომიკითხე, მეტად ბეჭრს თურმე ლაპარაკობს! ეგ ხმ ნიგნს ვერ მომწერს და? ქართული იცოდა, ისიც დავიწყებია; რუსულიც ვერ უსწავლია, და არ ვიცი, რომელს ენაზედ დასწერს?

მაიკო, ეს რისაგან არის: რაკი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ ქართლითგან, მაშინვე ჭორაობა უნდა გაჩნდეს?

სხვებრ ღმერთსა ვთხოვ შენს ბედნიერებას. ნუ დამივიწყებ შენ მარადის ერთგული:

თ. 6. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

[შირველი გვერდის არშიაზედ მიწერილია პოეტის ხელით]:

აი ამ ქართულს ლექსს გიგზავნი, მდაბიურულად დაწერილს, როგორდაც ფიქრში მომივიდა. „მ ე ვ ა რ დ ა ჩ ე მ ი ნ ა ბ-ა დ ი“, იმის ხმაზედ.

ქმეოთხე გვერდის არშიაზე მიწერილია ნ. ბარათაშვილის ხელით:

არა, ის რა ფერი ლაქით დაგებეჭდა შენი წიგნი? იქნება ახლა მაგ ფერიც მოდა იყოს და მოსწონდეს ვისმე?

ქმეორე და მესამე გვერდის არშიებზე ლევან მელიქიშვილის ხელით მიწერილია:

უფალმა ნაჩალნიკმა<sup>12</sup> მოკითხვა შემოგითვალათ.

ტატო დღე და ღამე იხვეწება: თუ ლმერთი გწამს, გააშვებინე ქმარიო. მე, როგორც დამჯდარი კაცი, არა ვშვრები.

ସାଧୁବାର୍ଯ୍ୟରେ ଫାର, ମାତ୍ରା! ଇହିଦାଦ ବନ୍ଦୁଶ୍ଵାର, ରାମ ବେର ଗାମନିପାନ  
କ୍ଷେତ୍ର ମନ୍ତ୍ରମେଧେବାର. ମେ କିଛିଏ ଶ୍ଵେତରଙ୍ଗର ଉଲ୍ଲ-ଜମାରନ୍ତି ତା! କୁରୀନୀଳନ୍ଦନୀ  
ଜ୍ଞାନ ଆର ମନମ୍ବଲିନୀ ଏବଂ ରାମପା ମନମିଵା, ଉତ୍ସର୍ଗ ଗାମନଗିରାବନ୍ତି, ତଥିମ  
ଅଲାର ମିନନ୍ଦା. କ୍ଷେତ୍ର ଏହି ଉତ୍ସର୍ଗରେବା, ସନ୍ତୋର୍ଜ ଗଠିତରା, ତ୍ରାନ୍ତଜ୍ଞବିଦା ଏବଂ  
ଶ୍ରୀମନ୍ଦମନ୍ଦିରରେବିଲି ମେତ୍ରି ଆରା ଆରୋ ରା! ଲ୍ଲେବାନ୍ତି ଆବାଦ ଗାମିନ୍ଦା ଏବଂ ତାବାଦ  
ଦଲ୍ଲୁ ପ୍ରମ, ଉତ୍ସର୍ଗ ଦାବଲ୍ଲୁତ୍ତି ଶ୍ରୀମନ୍ଦମନ୍ଦିରାବାନ. ରାମାଚ ଏହି ନେଇଲାଗାରଙ୍କୁ  
ଶ୍ରୀଯୁଵଲିନୀ, ଏହି ଗାମନଗିରାବନ୍ତିନୀଲାବନ୍ତିନୀ, ଏହି ବିପ୍ରି ତୁ ରା ମନ୍ଦୁତ୍ତିରେ. ଏହି  
ଏରତି ପାତ୍ର ଗପ୍ତବାନ୍ଦା ପାତ୍ରକୁମାରନ୍ତି ଯୁଗରସକ୍ରୀଣି<sup>3</sup>, ଏହି ବିମନ୍ଦିରିରୁ ଏବଂ ଶେଷ  
ମତ୍ତେର, ରାମ କ୍ଷେତ୍ର ମାର୍ତ୍ତିନ ଦାଵରିରିଟ!

ମାତ୍ରା, ରାମ ଗାଜିକୁ ସାତକ୍ରମୀଲିନୀ, ରାତମ ଆରା ମନ୍ତ୍ରୀର? ଶ୍ରୀଲ ଏରତା,  
ତୁ ପିରାଦ ଗଠିତକ୍ଷଵାମି ଏବଂ ତୁନି ନିଗନ୍ତି ମନ୍ତ୍ରଗିନ୍ତିରା: ତୁ ଶେଷ ଅମଦାଵାର,  
ବେମ ପିତ୍ର, ଶ୍ଵେତନାଥାବ ସାଦିଦ୍ୱୀମନ୍ଦିର ଏବଂ, ତୁ କ୍ଷେତ୍ରି ପାରଗି ଅମଦାଵାର ଏବଂ,  
ରାତମ ଆର ମାନ୍ଦୁଗ୍ରଶେଷ ଏଥି ଦାବଲ୍ଲେବୁଲି ଗୁଲିଥିର?

ପିଲାତ୍ତ ପାତ୍ରକୁମାରଙ୍କୁ, ମନମିକିତକୁ, ଏବଂ ପିଲାତ୍ତ ଆରା... ରାମ ମନ୍ଦୁତ୍ତିରେ,  
ମନ୍ଦୁତ୍ତିରେ!

ଶେଷ ମାରାଦିଲୀ ଶୁଭବାଲ୍ଲେବେଲି ମମା ତୁ ଏ ତୁ ଏ.

[ମେହିତକେ ଗପ୍ତବାନ୍ଦା ପାତ୍ରକୁମାର କେଲିତ ଅଲକିଶ୍ରୀଲିନୀ ଅଫର୍ଜେଶାତିଲୀ ପିଲା  
ପାତ୍ରକାଳି:

ମାତ୍ରା ପରମପାଦିନି.

3 ମାତ୍ରମ୍ଭଲିନୀ, ମାତ୍ରମ୍ଭା. 4 କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷେତ୍ର. 6 କ୍ଷେତ୍ରମ୍ଭଲିନୀ. 14 [ମାତ୍ରମ୍ଭାଜୀବିନୀ, ଆରା...] ଦ୍ୱୟାନନ୍ଦି ମରାଜାଲିଖିତିରେ.

XV. მასვე  
10-სა აგვისტოს, 1845, მურუტს.

საყვარელო დაო, მაიკო! მართლა, თუ შენ თვითონ ავი ენა არა გაქნა, აბა, რა მოგაგონდება ჩემგან ასეთი წყენა, რომ დასანახავად აღარ გინდივარ? ზედ გეტყობა, რომ სტყუ, თვარემ, თუ მართალი იყოს, შორიდგანაც არ გენდომები. აი, ახლაც მინდა ერთი მართალი სტყვა ვსთქვა და შენ კი მაშინვე გაჯავრდები. ჩემი რა ბრალია? აი, ახლა ვსთქვათ: ჩვენს ყმანვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ და-მაყინყა იმათი სახელი? მაგრამ შენ მოგონე, რად მოუვიდათ?.. აი, აკი გითხარ, გაჯავრდები-მეთქ. არა, შენ რა გაჯავრებს. ეგ სწორეთ იმასა ჰგავს, რომ კაცს ლეთისწყალობა უთხრან და გაჯავრდეს. შენ რა? აგრე განითლებაც იქნება? მანანას ეგონება, სიანჩელით განით-ლდი, ივანე კი ჩაიცინებს. აბა, ნახე, შენვე აძლევ მიზეზს და მე კი მაბრალებ, მე რა ვსთქვი? ჯვრები ტყულად მიიღეს მეთქი იმათ... რამ დამავინყა?.. ოჟ, მამაგონდა: ილიამ, ალექსანდრე ერისთავმა და ლევანმა. ყველას მსარჩევლელი შენა ხარ! აბა ჩემზედ თქვას ვინმემ რამ ცუდი, თუ ნამომესარჩლო?

კარგი, შევრიგდეთ! ხელო-საქმეს თურმე მიკეთებთ, მაგრამ ვაი შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შეასრულოთ რა! (პატივისცემა კი არ გეგონოს, მრავლობითად რომ გეუბნები). რადგანაც ორნი მოსაქმენი ბრძანდებით, იმისთვის მოგახსენებთ. მე კი არა გთხოვთ და, თუ გამოგიგზავნით, ის მე ვიცი და ხელმწიფე იმჟერატორმა და, თუ არა და, ის თქვენ იცით და პაპუა ორჯორნკიძებ.

აბა რა გამოგიგზავნო? — ბრონეული, ყურძნი, ატამი, ხოხო-ბი, დურეჯი, ჯეირანი, აბრეშუმი, თუ სულ ყველა ერთად? აქაურ ფაბრიკებში და მაღაზიებში ამის მეტი არა არის რა.

ახალ-დანიშნულს თუ პატარაძლს სოფიოს მოხსენე, თუ შეგ-ხვდეს: ჩემი ზონარი რა უყო? ქმარი არას დაუშლის. მეორე სოფი-ოსაც უთხარ ჩქარა გამიკეთოს, ვინც მე ზონარს მომიქსოვს, აგრე ჩქარა გათხოვდება.

ნოვოლაი ალაპიჩი<sup>7</sup> და კატო<sup>8</sup> ქალაქშივე არიან თუ ნავიჭნენ? ამ თვის გასულს მეც ვაპირებ ყაზახში ნასვლას და თამართან<sup>9</sup> შევალ დილიჯანში რამდენიმე დღე. კარგად არ ვიცი, რომ დასევდიანებული [იქნება].

კარგი, დავიღალე ამდენი ლაპარაკით! არა [მცალიან].

შენი მარადის ერთგული [თუნდ ტ ა ტ ი და თუნდ ნ ი კ ი ლ-ო ი ზ].

<sup>4</sup> ქაბუკი. 5 კახოვეთი. 6 კახოვეთი. 9 მაწორეთ. 13 მაწორეთ. 14 მამიგონდა. 17 ვაჩ. 28 მამიქსოვს. 33-36 კადღარატედ ურმინ-დებში ჩამეტად ხიდებით დაღინების გამო აღდა აღარ იკითხება (აღდგენილია პირეულნაბეჭდი ტექსტიდან).

## XVI. ბაბალე საშინაშვილისადმი

23 აგვისტოს, მურუტი.

საყვარელო დაო ბაბალე! <sup>1</sup> შენ თვითონ მწერ, რომ ახლა ჩამოხველ ბორჯომიდან. და არ ვიცი, ვისთან მომენტია აქამდისინ წიგნი. ნუ ხარ ავყია, სულ მაგას გიშლი და არ იქნა, ვერ დაგაშლევინე. აბა, ვისთვის მომიწერია წიგნი, რაც წამოვსულვარ? თქვენმა მზემ, თქვენ რომ ნათესავები მყევხართ! განა არა, მოგაგონდებით! მე მაგისთანა მოკლე წიგნებისა არა ვიცი რა: თუ მწერ, რაც იცი და არ იცი, სულ მამნერე. ხომ იცი აქ ძნელად შევიტყობ მანდაურს ჭორებს. თუმცა შენ ჭორი არ გიყვარს, მაგრამ ჩემის გულისთვის, ვიცი, რომ გაიგონებ განგებ და მასიამოვნებ ამ უდაბურს ადგილს.

მე აქაური <sup>2</sup> რა მოგნერო? აქაური პირველი ფრანგისა ჯორაკის ქალი ბარბარე ბრძანდება. ამით წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა: თუ ღმერთი არ შემენია, გავსულელდები ამდენს თარაქამებში.

ახლა შენ იცი, როგორც წიგნებს და ამბებს არ დამაკლებ! მერმე მე ვიცი და მისს იმპერატორების დიდებულებამ. ამ ოთხი დღის წინათ თამართან ვიყავ დილიჯანში; პრინცს მოველოდი გატეხილს ხიდზედ, აღარ მოვიდა და იქ შევბრუნდი. გასულელებულა, სულ იცინის! მართლად, ორ დღე ვიყავ, ძალიან მხიარულად გავატარეთ დრო. ძალუა წინ მომიკითხე და უთხარ სენკოვსკი უკეთ არის.

ბატონ ძალუას ელისაბედს <sup>3</sup> მოკითხვას მოვახსენებ. შენმა მზემ, ბეჭრი რამ მაქვს მოსაწერი, მაგრამ ერთს სიტყვასაც არ მოვნერ, მინამ საკუთრად წიგნი არ მომივა ჭორა-ჭურაებით სავსე.

შენს გაზრდას, ბაბალე! წინა ალექსანდროვნა ჩემ მაგიერ მოიკითხე და ასე უთხარ: მატუხოვის ცოლმა მოგიკითხა-თქო. ჩვენი დროს გამტარებელი ეს არის, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ამისი ენა ჯერ არ მესმის.

მაგ სულელ მაიკოს უთხარ: რა ხანია თავის წიგნის პასუხი გამოვუგზავნე.

შენ მარადის თ. ნ. ბარა[თაშვილი].

23 აგვისტოს,  
 მურუტი.

<sup>3</sup> მამეწერი. 8 მამწერუ. 12 ბრძანდება. 23 მამივა. 25 გამდის. 29 გამოვეგბავნე.

## XVII. ალექსანდრე საგინაშვილისაღვი

ძმაო ალექსანდრე!<sup>1</sup> რომ მემდური, არ ვიცი კი; აქ რა არის, რა მოგწერო? შენ უნდა მომწერო წიგნი, რომ ტფილის გატენილია ამბებით. მამუკა აქ არ იყო და ჩქარა ნახავ შენ თითონ ქალაქში. რასაკვირველია, რომ შენ მაიორობა არ მოგივა: ყოველ წელიწადს ბორჯომში შეექცევი, ციცს ნიავს არ მიიდენ! მე რომ ბაბალესი ვიყო, ძალად გაგაგდებ დაღესტანში! საწყალს მაიორშობა არ ელირსა, არ იქნა. ქალაქიდან განჯა ორასი ვერსია, თუნდ გაჯავრდეთ, რას შეგე-პუებით.

მაგრამ ტყულად ვხუმრობ; Скучно, грустно\*.

შენი მარადის თ .ნ. ბ ა რ ა თ [ა შ ვ ი ლ ი]

\* მოწყებდობა და ნაღვლიანობა.

<sup>1</sup> ნახადეთ კულტურულია.

XVIII. გრიგოლ ლომელიანისადმი

[ნაწყვეტი ნერილისა, უთარილოა]

... აი, ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათაევს<sup>1</sup> ალბომში ჩავუწერე მისის თხოვნით. ისიც ამ ორ დღეს უკან მიღის პეტერბურლში с большим запасом сведений об исторической Грузии\*.

საფლავი ივერიისა

გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდევ დააწყარუნო ამდენი ხნის  
დადუმებული შენი სანთურო?\*\*

[1842 6.]

\* იხტორიული ხაქართულის ცნობათა დიდი მარაგიათ.

\*\* ეს წერილი თარიღდება 1842 წლით და ამიტომ შეცდლულია იგი ამ წლის წერილთა რიგში მოგვიქმია (შლი. 6. ბარათაშვილი, თბ., 1968, გვ. 181). მაგრამ რაკი იგი ფრაგმენტია, წერილთა კანონიკური რიგით არ დაემსახულოთ და ისკვე ბოლომი დაეტოვოთ.

# ტექსტისათვის

## I. ლექსიკის პეტიონი და ნუსხაზე

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ძირითადი დედნები, რომელთაც ანგარიში უნდა გაეწიოს კრიტიკული ტექსტის მოსამზადებლად, დაცულია ზემოთ დასახელებულ კოლექციებში 14 დასახელებით. მათი შიფრები და აღნერილობა ასეთია:

1. A ავტოგრაფი (S 2516) ცნობილია ე. თაყაიშვილის ვარიანტის სახელწოდებით; შეიცავს 88 გვერდს (ზომით 15,5X11,5სმ); ჩასმულია მუჟაოს მაგარ ყდაში; გადაწერილია წვრილი შედრული 1843 წელს (დაუწერელია 55-88 გვერდები); აღნერილია რამდენჯერმე.

კრებული იხსნება თავფურცლით, რომელსაც აქვს წარწერა: „ლექსი, თქმული თავადის ნიკოლოზ ბარათოვისაგან. 1843“. მოთავსებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით 26 ლექსი: „ბულბული ვარდზედ“, „ქეთევან“, „შემოლამება მთანმინდაზედ“, „ხმა იღუმალი“, „ფიქრის მტკვრის პირას“, „ჩონგურს“, „თავადის ჭ..ის ასულს კ...ნას“, „ჩემს ვარსკვლავს“, „ნაპოლეონ“, „საყურა“, „ჩჩივილი“, „სული ობოლი“, „სატრფოვ, მახსოვს“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემთ მეგობართ“, „აღმომხდა მნათი აღმოსავალს“, „არ უკისინო, სატრფოო“, „ვჰპოვეტაძორი“, „მიყვარს თვალები“, „სუმბული და მწირი“, „შენი დალა-ლი“, „რად ჟყვედრი ვაცხა“, „მერანი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „წრაზ ბარათავის აზარიფეშაზედ“ და „სულონ ბოროტო“.

პალეოგრაფიულ მხარეზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ კრებული პოეტს გადაუწერია ვიღაც ახლობელი და ძლიერ პატივსაცემი პირისათვის, ხელნაწერს აქვს ერთადეგროთი მინანერი: „ვიყიდე 1887 წელს პეტერბურგში ბუკინისტ პ. ი. ვორონინისაგან ნევის პროსპექტზე №54. ე. თაყაიშვილი“. აღბათ, კრებულის მფლობელთა ვინაობა ბუკინისტმა არ იცოდა, თორემ ე. თაყაიშვილი ამაზე სადმე რაიმე ცნობას მოგვაწოდებდა. მაგრამ ერთი რამ დამაფიქრებელია: როგორ მოხვდა ხელნაწერი პეტერბურგში? მისი თავდაპირველი მფლობელი ხომ არ იყო ეკატერინე ჭავჭავაძე? ცნობილია, რომ 1858 წელს ი. ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის დაუბეჭდავ წერილებს გაეცნო ცარსკოე სელოში, სადაც ეკატერინე ჭავჭავაძე ცხოვრობდა. აბა, გვიხსენოთ კოტეა აფხაზის მოგონება: „მახსოვს, ერთხელ, პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვერვიეთ ქალბ. დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს ქ. დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს, ბ. ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ს ა კ უ თ ა რ ი ს ე ლ ნ ა ნ ე რ ი. ეს ლექსები იყო: „ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგინთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმანვილი ჰპოდვედა ბარათაშვილით. კითხვა ისმის: რა ხელნაწერი გააცნო ეკატერინემ ილიას?

გადავხედოთ ჩვენამდე მოღწეულ ცნობებს.

1882 წელს ი. მეუნარგიამ ეკატერინეს არქივში აღმოაჩინა ნი-

კოლოზ ბარათაშვილის ავტობიოგრაფიული კრებული. დაწერილი ყოფილა „ერთ პატარა რვეულში ფერად ქაღალდზე“. ეს რვეული პოეტს გადაუწერია 1841 წელს. იგი თავის შემადგენლობით ჰგავს მაიკო ორბელიანისეულ კრებულს (C), ოლონდ იმ განსხვავა-ბით, რომ პირველ პოეტს შეუტანა ერთი ახალი ლექსი — „ნა... ფორტეპანზედ მომდერალი“. ბარათაშვილის ლექსებს ილია ამ კრებულით ვერ გაეცნობოდა, რადგანაც მასში შეტანილი ყოფილა „მერანი“, რომელიც 1842 წელს დაიწერა. ი. მეუნარგიას მიერ აღ-მოჩენილ „ლექსთა კრებულში“ კი შეუძლებელია „მერანი“ არსებუ-ლიყო, ვინაიდან ის კრებული გადაწერილი ყოფილა 1841 წელს. მაშია-ადამე, რჩება ვარაუდი, რომელსაც გამოთქვამენ პ. ინგოროვა და სხვა მკვლევარები: 1858 წელს ილიას და კოხტა აფხაზს ცარსკოე სელოში უნდა ენახათ ნიკოლოზ ბარათაშვილის ის ავტოგრაფული კრებული, რომელიც 1887 წელს პეტერბურგში შეიძინა ე. თაყაიშ-ვილმა.

ამას მხარს უჭერს ისიც, რომ ხელნაწერი დიდი მონიცეპითაა გადაწერილი და მასში შეტანილია ლექსები, რომელთაც ღრმა კვა-ლი დაატყვეს ილიას პირველი პერიოდის პოეტურ შემოქმედებას.

6. ბარათაშვილის ლექსებს დიდად ეტანებოდნენ 60-იანი წლებ-ის ქართველი პეტერბურგელი სტუდენტები. 1865 წლის 9 მარტს ნიკოლოზ ყიფიანი პეტერბურგიდან სწერდა თავის მამას — დიმი-ტრი ყიფიანს: „ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, „ქართლის ბედი“, „მტკვრის პირზედ“, „ფანტაზია“, „სულო ბოროტო“ და სხვა. ათასჯერ გადავიკითხე და კიდევ არ მეყო. ყოველს ამის სატყვაში, ყოველს ლექსში აზრსა ჰქედავს კაცი, გრძნობასა და ისეთი ძალა აქვს ამისს ლექსება, რომ არ შეიძლება არ დაღონდეს კაცი, როცა ის თავისს ტანჯვას გამოსთქვამს. მისი ლექსების პოპულარიზაციის პეტერბურგ-ში უეჭველია დიდად შეუწყო ხელი ეკატერინე ჭავჭავაძის სალონში, რომელიც ქართველ სტუდენტთა საკრებულოს წარმოადგენდა.

2. B ავტოგრაფი (H2033) ცნობილია ბარბარე ვეზირიშვილი-სეული ვარაონტის სახელწოდებით; მისი თავდაპირველი მფლობელი ყოფილა გრ. ორბელიანის რძალი, ზაქარიას მეუღლე, ქეთევან ორ-ბელიანი. კრებული შეიცავს ფურცელს (ზომით 19,5X12, 3სმ); ჩასმულია მუყაოს ყდაში; გადაწერილია ნიკოლი მხედრული 1843 წელს (დაუ-წერელია 33-58-ე ფურცელები); შემოსულია ე. თაყაიშვილის ნიგნია-ცავიდან; აღნერილია რამდენჯერმე.

რვეული იხსნება თავფურცლით, რომელსაც აქვს ნარნერა: „ლექსი, თქმული თავადის 6. ბარათოვისაგან“. შემდეგ მოთავსებულია ქრო-ნოლოგიური თანმიმდევრობით 27 ლექსი, დაწერილი 1834-1843 წლებში. ესენია: „ბულბული ვარდზედ“, „ქეთევან“, „შემოღამება მთანმინდ-აზედ“, „ხმა იღუმალი“, „ფიქრი მტკვრის პირზედ“, „ჩონგურს“, „თა-ვადის ჭავ-ის ასულს ეკ-ნას“, „ჩემს ვარსკვლავს“, „ნაპოლეონ“, „საყურე“, „ჩჩვილი“, „სული ობოლი“, „სატრფოვ, მახსოვს“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემთ

შეგობართ“, „აღმოჰქმდა მნათი“, „არ უკიუინო, სატრფოო“, „ვპოვებელი ჭაძარი“, „სუმბული და მნირი“, „მერანი“ (მაისის 9-სა, 1842“), „რად ჰყევდრი კაცხა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „მიყვარს თვალები“, „შენი დალალნი“, „კრიაზ ბარათავეის აზარფეშაზედ“ და „სულო ბოროტო“ (უთარილოა), „შევიშრობ ცრემლსა“ (უთარილოა).

ხელნაწერის დასასრულს (31v-32r) სხვა ხელით ჩანსროლია გ. დვანაძის ლექსი „დილა“, რომელსაც შეცდომით აწერია „თ. გ. ორბე-ლიანისა“. გრ. ორბელიანს ეს მინაწერი ფანქრით გადაუშლია და მიუწერია ქვეშ: „ტყულია“.

ხელნაწერის პირველ ფურცელზე მოთავსებულია ე. თაყაიშვილის წარწერა „ვნ. ბარბარე ვეზირიშვილისა“. ეს ბარბარე ასულია მელიტონ ბარათაშვილისა, დაი ჩვენი პოეტისა; დაიბადა 1826 წელს, გათხოვდა 1852 წელს პოლკოვნიკ დიმიტრი ვეზირიშვილზე.

3. С ავტოგრაფი (S 2701) ცნობილია მაიკო ორბელიანისეულ (გუნიასეულ) ვარიანტად; შეიცავს 17 ფურცელს (ზომით 17X12სმ); გადაწერილია წვრილი მხედრულით (დაუწერელია 14t-17v გვერდები); ყდა არა აქვს; აკლია ფურცლები; აღნეროლია რამდენჯერმე.

კრებულს აქვს თავფურცელი წარწერით: „1841 წელი, ტფილისი“ (I); მის მეორე გვერდზე მიწერილია: „დაო მაიკო!“ ეს ლექსები იქნიე ჩემეულად. ვიცი, რომ წამეთხველი მათი მოიგონებ ბეჭრთა საამოთა დღეთა ყმანვილობისათა და შემიბრალებ შენსა ყარიბსა მასა. თ. - ნ. ბარათოვისაგან“ (I). ამ მინაწერის ადრესატი არის მაიკო ორბელიანი, პოეტის მეგობარი და ნათესავი, რომელთანაც მას მიმმწერა ჰქონდა.

მეორე ფურცლიდან იწყება ლექსები: „ბულბული ვარდზედ“ („ივნისის 18-სა, 1833“), „ქეთევან“, „ძია გ. სთან“, „ლამე ყაბახზედ“, „შემოლამება მთანმინდაზედ“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „ჩონგურს“, „წემს ვარსკვლავს“, „ნაპოლეონ“, „საყურე“, „ჩჩვილი“ (წყდება ტაეპით „ამუნათებს თვისთა მშობელთ პირიქით“), „ჩემი ლოცვა“ (იწყება მე-9 ტაეპიდან „ცხოვრების წყაროვ“), დასაწყისი აკლია). სულ 12 ლექსია. მას უნდა აკლდეს კიდევ თრი ლექსი — „სული ობოლი“ და „სატრფოვ, მახსოვს“, შეიძლება მესამეც — „ნა... ფორტეპანოზედ მომღერალი“, რომელიც პოეტს ეკ. ჭავჭავაძისათვის იმავე წელს გადაწერილ კრებულში შეუტანა. ერთის გარდა ყველა ლექსი უთარილია.

С ავტოგრაფი აღმოჩნდა 1891 წელს. იგი მოქალაქე არეშიძეს ზ. ჭიჭინაძისათვის მიუტანია გასაცნობად, ხოლო უკანასკნელმა გაზ. „ივერიაში“ (1891, №79-80) დაბეჭდა ჭრცელი წერილი „ბარათაშვილის ლექსების რვეული“, სადაც შეხეხ კრებულში შეტანილ, რედაქციულად განსხვავებულ ლექსებს (ზოგიერთი მათგანის ვარიანტებიც გამოაქვეყნა). შემდეგ ეს კრებული ხელთ ჩავარდნია ნიგნებით მოვაჭრე ვინმე ლაზარევს, ხოლო 1895 წლის ახლო ხანში შეუძენია ვალერიან გუნიას. ამ უკანასკნელს ხელნაწერი დროებით უთხოვებია ნ. ბარათაშვილის თხზულებათა მეხუთე გამოცემის რედაქტორები-

სთვის. გამომცემლები (ე. თაყაიშვილი და დ. კარტაშვილის „შეკრიბნავენ: „სამწუხაროდ ჩვენდა, სხოლიობში ვერ ვუჩვენეთ განსხვავაზე ბანი ვ. გუნიას ვარიანტისა, რადგანაც ეს ვარიანტი მაშინ მივიღეთ, როდესაც უმეტესი ნაწილები ლექსებისა დაპეჭდილი იყო“ (გვ. XIV). 1916 წელს გა. საქართველოს რედაქტორს ს. შანშიაშვილს შეკითხვით მიუმართავს ვ. გუნიასთვის, თუ როგორ აღმოაჩინა მან ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფული კრებული. ვ. გუნიას დაუწერია პატარა მოგონება — „როგორ შევიძინე ნიკ. ბარათაშვილის ხელთნაწერი“, რომელიც 1916 წელსვე გამოქვეყნდა გაზ. „საქართველოში“ (№260). ვ. გუნიას წერილი საინტერესოა და რამდენადმე მივიწყებულიც. ამიტომ მცირეოდენი შემოკლებით აქვე მოვიყვანთ:

„ეს იყო დაახლოებით ამ ოცდარვა წლის წინეთ... ერთს ჩემს „ბაზრად ყოფნის“ დროს ჩვეულებრივ ვერვიე ჩვენს დაუცხრომელს მწიგნობარს ზაქარია ჭიჭიაძეს, რომელიც იმ ხანებში გარეთ ვაჭრობდა წიგნებით, ალექსანდრეს ბალის კუთხეში ხაზინის გვერდით ქუჩის ქვეშ გამართული — ნოტიო სარდაფი რომ არის... ზაქარიამ თავისებურის თავაზიანობით გამაცნო მის გვერდით მყოფი ვიღაც ლაზარევი, უკვე ხანში შესული კაცი, მაღალის ტანისა და ძლიერ გამხდარი. ლაზარევს ეტყობოდა ან ძველი ნაჩინოვნიკარი უნდა ყოფილიყო, ანდა ძველი ყაიდის აზნაური, რადგან მოძველებულ ტანსაცმელზე ახლად შეკერილი წითელი „ოკოლიშვიანი“ ქუდი ჰქონდა თავზედ კოხტად ჩამოფხატული შესაფერის „კოკარდით“. შემოდგმა იყო და უკვე ციოდა.

— ვალიკო ჩემო, მომმართა ზაქარიამ, შენ რომ საინტერესო წიგნებს დაეძებ, აი საინტერესო და უკეთესებზე უკეთესებიც ამას აქვს ხოლმე. ესეც წიგნებით ვაჭრობს; ხოლო ცოტა კრიუანგი და მეძვირეა. ან რა საკვირველია: არ უჭირს და ამიტომ ხელს აჭერს! — იოხენჯა ზაქარიამ.

— მაშ, თქვენსავით ორგონშიან წიგნებს ხომ არ შევინახამ! თუ იყოს, საინტერესო და ანტიკა რამ უნდა იყოს! აი, ყმაწვილო, თუ გინდა ანტიკა რამე, — და ამ სიტყვებით პალტოს ჯიბის უბიდან ამოილო ქაღალდში გახვეული პანია რვეული — აი ინტერესი ამაშია! Самкнязь Николай Баратов-ი გახლავთ. Извольте, полюбуйтесь и погордитесь, молодой человек! — და თან გადმომცა რვეული.

— შენ ფასი თქვი, ფასი! — უთხრა ზაქარიამ — თორემ ეგ, რაც რვეულია, შენზედ უკეთ ვიცით. შე დალოცვილო, ისე აფასებ, რომ კაცი ახლოს ვერ მოგიდგება!..

— ჲა, როგორია?! — თავმომწონედ დამეკითხა ლაზარევი, როცა შემატყო, რომ სხარულითა და მოზღვავებული აღტაცების გრძნობით ვიყავი გაბრუებული. მე ხელთ მეჭირა ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელთნაწერი.

— იყიდე, ვალიკო, გირჩევ იყიდო! მშვენიერი ხელთნაწერია, — მარიგებდა ზაქარია, — მე, რაცა ხანია, ვეღიჭინები, მაგრამ არ იქნა მაგის მორჯულება: 25 მანეთზე ნაკლებ ფეხს არ უცვლის! — ოხ-

წით და უმედოდ ნამოიძახა ზაქარიამ.

— გროშ კაპიტაც ვერ დავაკლებ! — გამაფრთხილა მოხუცმა.

— მე მოგარიგებთ, — ჩალიჩობს ზაქარია, — ვალიკო, მოდი ჟეიდი მანეთი მიეცი!

— დამაცადეთ, ბატონებო, — ძლივს ამოვილე ხმა. — მე ორჯერ ჟეიდ მანეთს მივცემ, მაგრამ ეხლა სამი მანეთის მეტი თან არა მაქვს. ამ კვირა 12 მან. მოგარომევთ. თუ თანახმა ხართ, აი, ინებეთ, ეს სამი მან. და ხელთნაწერიც თქვენთან დარჩეს.

— პო და კარგი სტყვაა, მე და ჩემმა ღმერთმა! — მემონმება ზაქარია.

ლაზარევს ბეჭრი არ უფიქრია. მყისვე გამომტაცა ხელიდან სამი მანეთი, ფული და რვეული ჯიბეში გააქანა და მოფერებულად დამირუსულა:

— ВЫ благородный, молодой человек, настоящий дворянин... квирорас მოხალ და თორმეტ მანეთს მომცემ, მეც რვეულს ჩაგაბარებ. ზაქარია ჟუ კაცი იყო, ეხლა თავდებიც იქნება.

ერთი კვირის შემდეგ ხელთნაწერი უბეში მედო. მთელი წელინა-დი დაქმონდა როგორც სასოება, როგორც წმინდა ნაწილი. ჩემი თავი უბედნიერეს კაცად მიმაჩნდა მთელს დუნიაზე. ბეჭრვერ გამჭირვებია, ბეჭრვერ სიმწარე და სუსტი კარზე მომდგომია და მუქართ კბილები დაუკრაჭუნებია, მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელთნაწერით გაჭირვებიდან თავის დაძრენა აზრადაც არასდროს მომსვლია, თუმცა ბეჭრი ფულიც უძლევიათ — ათი, ოცი და ოცდაათი თუმანიც.

ამ ქვეყნად ისე არ მყვარებია კაცი — ადამიანი და ისეთის თაყვანისცემით შემიმოსავს ვინმე, როგორც ილია ჭავჭავაძე, მაგრამ იმასაც უარი ვუთხარი ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელთნაწერის დათმობაზე. ბოლოს, როცა ხელთნაწერის პატრონობით ჭაბუკური გული ვიჟერე, დათიკო კარიჭაშვილის რჩევით, ეს განძი ძლვნად მივართვი ჩვენთა ეროვნულ განძთა მფარველს და მზრუნველს ქართველთა შორის ნ. კ. გამაფრცელებელ საზოგადოებას. ვალერ. გუნაა.

ხელთნაწერი შედგენილობითა და რედაქტიულად ფრიად მნიშვნელოვანია. მისი ორი ლექსი — „ძია გ...სთან“ და „ლამე ყაბაზზედ“ ჩვენამდე მიღწეულია მხოლოდ ამ C ავტოგრაფითა და იონა მეუნარგის პუბლიკაციით.

4. D ავტოგრაფი (S 2484) ნარმოადგენს სხვადასხვა ზომის ქაღალდზე დაწერილ 5 ლექსს, რომლებიც პოეტს წერილებთან ერთად გაუგზავნია მაიკო ორბელიანისათვის. ამჟამად ეს ლექსები და წერილები აკინძულია მაგარ, კოლენკორგადაკრულ მუყაოს ყდაში. ლექსები მოთავსებულია 2r-9v გვერდებზე. აღნერილია რამდენჯერ-მე. ადრე ფურცლები ჩადებული ყოფილა ორადმოკეცილი ქაღალდის ყდაში, რომელიც ახლა თავფურცლის მოვალეობას ასრულებს. მას აწერია ალექს. ჭყონიას ხელით: „ქართ. შ. წერა-კითხვის საზოგა-



დოებას შემოსწირა ელისაბედ გრიგოლის ასულმა საგინაშვილისა (ილია ჭავჭავაძის დამ, ი. ლ.). ავტოგრაფები თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. იქვე იკითხება სარჩევი. ყდაში დაცულია ხუთი ლექსი: „სატრიფოვ, მახსოვს“, „ვპოვე ტაძარი“, „დამქროლა ქარმანი“, „არ უკიუინო, სატრიფოო“, „ქილის ყვავილი და მწირი (სუმბული და მწირი)“. ყველა ეს ლექსი უთარილოა.

5. E ავტოგრაფი (H 1115) ცნობილია ერისთავისეულ ვარიანტად; შეიცავს 14 ფურცელს (ზომით 30,5X22,5სმ); ჩასმულია მუყაოს კოლენგორგადაკრულ ყდაში; დაზიანებული ფურცელები აღდგენილია; გადაწერილია მხედრულად გვერდის მარჯვენა მხარეს 1842 წელს; აღნერილია რამდენჯერმე.

კრებულს უძლვის თავფურცელი, რომელსაც აქვს წარწერა, შესრულებული ე. თაყაიშვილის ხელით: „ნ. ბარათაშვილის ლექსები, ავტოგრაფები“ (I). იმავე გვერდის თავკიდურზე ს. ფირცხალავის მიუწერია: „ბარბარე იაკობის ასულის ერისთავის ვარიანტი“. მეორე (IV) გვერდზე მოთავსებულია ზანდუკი:

„1. ბულბული და ვარდი, 2. ქეთევან, 3. შემოლამება მთანმინდაზედ, 4. ხმა იდუმალი, 5. ფიქრი მტკვრის პირზე, 6. ჩინგური, 7. ჩემს ვარსკვლავს, 8. ეკატერინეს, 9. ნაპოლეონ, 10. საყურე, 11. ჩჩვილი, 12. სული ობოლი, 13. სატრიფოვ, მახსოვს, 14. ჩემი ლოცვა, 15. ჩემთ მეგობართ, 16. აღმოპხდა მნათი, 17. არ უკიუინო, 18. ვპოვე ტაძარი, 19. სუმბული და მწირი, 20. მირბის, მიმაფრენს, 21. რად ჰყვედრი კაცსა, 22. საფლავი მეფის ირაკლისა, 23. მიყვარს თვალები, 24. შენი დალალნი, 25. ბარატაევის აზარფეშაზედ, 26. სულო ბოროტო, 27. შევიშრობ ცრემლსა“.

ამას მოხდებს ლექსები შემდეგი თანმიმდევრობით:

1. „ბულბული ვარდზედ“ („1834“), 2. „ქეთევან“ (უთარილი), 3. „ხმა იდუმალი“ („1836“), 4. „შემოლამება მთანმინდაზედ“ („1836“), 5. „ფიქრი მტკვრის პირას“ („1837“), 6. „ჩემს ვარსკვლავს“ („1837“), 7. „ჩჩვილი“ („1839“), 8. „სული ობოლი“ („1839“), 9. „სატრიფოვ, მახსოვს“ („1840“), 10. „ჩინგურს“ („1837“), 11. „თავადის ჭავ-ის ასულს ეკა-ნას“ („1839“), 12. „საყურე“ („1839“), 13. „ნაპოლეონ“ („1838“), 14. „ჩემი ლოცვა“ („1840“), 15. „ჩემთ მეგობართ“ („1841“), 16. „აღმოპხდა მნათი აღმოსავალს“ („1840“), 17. „არ უკიუინო, სატრიფოო“ („1841“), 18. „ვპოვე ტაძარი“ („1841“), 19. „ქილის ყვავილი და მწირი“ (ანუ სუმბული და მწირი) („1842“), 20. „თავგანწირული მხედარი“ (მერანი) („მაისის 9-სა 1842“), 21. „რად ჰყვედრი კაცსა“ („1842“).

ზანდუკა და კრებულში მოთავსებული ლექსების დასათაურება, თანმიმდევრობა და რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა. კრებულში არ არის ზანდუკის ექვსი უკანასკნელი ლექსი, რომელთაგან „სულო ბოროტო“ და „შევიშრობ ცრემლსა“ 1843 წელსაა დაწერილი. აქედან ირკვევა, რომ თუ კრებული შედგენილია 1842 წელს, ზანდუკი გაკეთებული აქვს მას 1843 წელს. დამაფიქრებელია ლექსე-

ბის თარიღებიც: ყველა ადრინდე დელი თარიღი პოტი ა თ ე ტ ს ა დ დ გ ე ნ ი ლ ი ა ქ ვ ს მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ი თ. ამასთან ეს თარიღები მიწერილია გაკრული ხელით ერთდროულად 1842 (თუ 1843) წელს. ც ავტოგრაფში, რომელიც გადაწერილია 1841 წელს მაიკო ორბეგლიანისათვის, თარიღი უნერია მხოლოდ ერთ ლექსს „ბულბული ვარდზე“, 11 ლექსი კი უთარილოა. საყურადღებოა რომ იმ ერთ ლექსსაც C-სა და E-ში სხვადასხვა თარიღი უზის: „ივნისი 18-სა, 1833“ (C) და „1834“ (E). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ნ. ბარათაშვილს E-ს ყველა ლექსი ერთ დრო ულად და თარიღი ებია. საერთოდ წარმოადგენს შავ ცალს და ფრიად მნიშვნელოვანია პოეტის შემოქმედებითი ისტორიის გასათვალისწინებლად. მისგანვე ირკვევა, თუ რომელი კრებულია პოეტის უკანასკნელი რედაქცია.

ხელნაწერის ბოლო ფურცლის გვერდზე აქვს უხეშად შესრულებული მინაწერი:

რა მშვენიერად გიხდება ეგ უუუნა თვალები,  
დახუჭულიც მენახოს, მე თუ არ გებრალები.  
ილარიონ ივანოვ-ჯაფარიძე.

მასვე შემოუნახავს ნ. ბარათაშვილის ორტაეპიანი ფრაგმენტი (I):

მოახლებულა აღსასრული შენიც, კავკასო,  
თვალხარბო გმირო, გულ-უმაძლროვ, ბერო კაპასო,

— რომელიც შეიძლება „ძრნოდე კავკასოს“ ადრინდელი რედაქციის ნაწყვეტს წარმოადგენდეს, თუმცა ამ ვარაუდს ზოგი მევლევარი უარყოფს. ფაქტია, რომ დამონმებული ფრაგმენტი ემთხვევა ლექსის ტაებს „ძრნოდე კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა“. ჩანს, პოეტს განზრახული ჰქონდა 14-მარცვლოვანი საზომით დაწერა ლექსი „ომი“, მაგრამ შემდეგ ეს განზრახვა შეუცვლია.

6. F დედანი წარმოადგენს ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულის პრველ პეტდურ გამოცემას, რომელიც მოამზადეს დასაბჭედად პ. უმიკაშვილის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ლიტერატორთა წრემ 1876 წელს. პ. უმიკაშვილის ცნობით, კრებულის რედაქციის წევრები იყვნენ პ. ლორთქიფანიძე, გ. თუმანიშვილი და პ. ჯაფარიძე. გამოცემას საფუძვლად უდევს პ. უმიკაშვილის მიერ ავტოგრაფიდან გადაწერილი პირი, რომელიც დაცული ყოფილა კავკასიის საცენზურო კომიტეტის არქივში. რაკი გამოცემის თარიღი ნაპოვნია და გარკვეულია იმ სხვაობის წყაროც, რომელიც შეინიშნება ავტოგრაფსა და 1876 წლის გამოცემას შორის, ცხადია, ამ გამოცემას ნ. ბარათაშვილის

ლექსთა ტექსტის დასადგენად მნიშვნელობა აღარ აქვს, ოღონდ მის ვარიანტების მითითება საჭიროა საკითხის ისტორიისა და პირველ გამომცემელთა ტექსტოლოგიურ მუშაობის გასათვალისწინებლად.

7. **G**ავტოგრაფი, რომელიც ეკატერინე ჭავჭავაძის საკუთრება ყოფილა, დაკარგულია, მაგრამ შემონახულია მისი ხუთი ლექსის ბეჭდური პირი, რომლებიც ეკატერინეს პირად ქალალდებში აღმოჩინა ი. მეუნარგიამ. გამოქვეყნდა უურნ. „ივერიაში“ 1882 წელს სათაუროთ: „ხუთი, ჯერეთ არ დაბეჭდილი ლექსი 6. ბარათაშვილისა“ (№IV-V, გვ. 55-61). ესენია: „ძია გ...რს“, „ლამე ყაბასზედ“, „ნა...ფორტეპიანოზედ მომღერალი“, „როს ბედნიერ ვარ“, „ცისა ფერს“. ლექსებს ერთვის რედაქციის შენიშვნა:

„ეს ძვირფასი ლექსები 6. ბარათაშვილისა მოგვივიდა ჩვენ ბ. იონა მეუნარგიასაგან, რომელსაც სამეგრელოს დედოფლის უგანათლებ. კნ. ეკატერინეს ქალალდებში უჟოვნია. ხუთივე ლექსი 6. ბარათაშვილის ხელით არის თურმე დაწერილი და მათს სინამდვილეს დედოფალიც ამტკიცებს. თითონ ლექსის კილოზედ ეტყობა, რომ სწორედ 6. ბარათაშვილის კალამს უნდა ეკუთვნოდნენ“...

პირველი სამი ლექსი, ი. მეუნარგიას ცნობით, „არის დაწერილი ბარათაშვილის ხელით მის ლექსთა კრებაში, ერთს პატარა რვეულში ფერად ქალალდზედ, რვეული არის გადაწერილი 1841 წ.“ ორვე უკანასკნელი ლექსიც ბარათაშვილის ხელით არის დაწერილი  $\frac{1}{4}$  ფურცელ ქალალდზე. მისგან ხელმოწერილი არ არის. სინამდვილეს ხელს გარდა თვითონ დედოფალიც ამტკიცებს“ დღეს ეს დედნები სად ინახბა, არ ვიცით.

8. **H**ავტოგრაფი (H 2417) შეიცავს ერთ ფურცელს (ზომით 35X22სმ), ჩასმულია ლიდერინგადაკარულ ყდაში და შეიცავს ერთ ლექსს: „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“, რომელიც დათარიღებულია ასე: „სენტებრის 23-სა, წელსა 1844-სა, ტფილის“. აქვს ხელმოწერაც: „თ-ის 6. ბარათოვის მიერ“. აღნერილია H ფონდის „ხელნაწერთა აღნერილობაში“ (1949, ტ. V, გვ. 284). 6. ბარათაშვილის თხზულებათა 1945 და 1968 წლების გამოცემებში არ არის აღნიშნული, რომ ეს ხელნაწერი წარმოადგენს ავტოგრაფს.

9. **H1** ავტოგრაფი დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში 16398 №-ით (ძველი ნომერია 60/4), შეიცავს ორ ფურცელს (ზომით 27X20სმ); დაწერილია გასანთლულ ქალალდზე წვრილად, შავი მელნით (1r-v). შეა ადგილად ქალალდი ამოხეულია და ტექსტი დაზიანებული. მუზეუმმა შეიძინა 1933 წელს არტემ გაბუნიასაგან. მისი ადრინდელი მფლობელი ყოფილა მიხეულ ბირთველის ძე თუმანიშვილი. წარმოადგენს ლექსს „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“, რომელიც დათარიღებულია ასე: „სენტებრის 23-სა, 1844 წელსა, ტფილისი“. ერთვის ხელმოწერაც: „თ-ის 6. ბარათაშვილის მიერ“ (1v). მასვე მოეპოვება მინაწერი მკრთალად შავი ფანერით: „კნ. 6. ბარათოვი“. ტექსტში შეტანილია რედაქციული ცვ-

ლილება, რომელიც თვით ავტორს ეკუთვნის. აღნეროლია ჩემ მიერადებულის 10. H<sup>2</sup> ავტოგრაფი (H 572) შეიცავს ორ ფურცელს (ზომით 21x17სმ). მოთავსებულია ლექსი „ომი საქართველოს თავადა-აზნაურ-გლეხთა“. ერთვის მას თარიღი და ხელმოწერა. საქართველოს საისტორიო — საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის შეუნირავს ლეონარდ ივანეს ძე ზუბალაშვილს. აღნეროლია H ფონდის „ხელნაწერთა აღნეროლობაში“ (II, გვ. 36).

11. I დედანი ნარმოადგენს პირველნაბეჭდს ლექსისას „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“. ავტოგრაფი დაკარგულია; ტექსტი გამოიკვეყნა ნინო ორბელიანმა 1886 წელს უურნ. „თეატრში“ (№30, გვ. 337); ერთვის სარედაქციო შენიშვნა: „ეს ლექსი დაწერილია თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან კნეინა მართა ერისთავის თასზედ და ჯერ არ-სად დაბეჭდილა. ჩვენ დიდს მადლობას ვუცხადებთ კნ. ნინო ორბელიანისას და ვუსურვებთ, რომ სხვებმაც მიპარონ პატივცემულ კნეინას და ყველა ამისთანა ძველი დაუბეჭდავი ლექსები ჩვენ ნარჩინებულ შერალთა გახადონ მკითხველ საზოგადოებათა საკუთრებად“. 6. ბარათაშვილის 1939 და 1945 წლების გამოცემებში დაშვებულია შეცდომა, თითქოს ეს ლექსი პირველად ზ. ჭიჭინაძეს დაებეჭდოს 1890 წელს.

12. J დედანიც ნარმოადგენს პირველნაბეჭდს ლექსისას „ჩინარი“; დაიბეჭდა უურნ. „ცისკარში“ 1862 წელს (№10, გვ. 144-145), საფიქრებელია, პ. უმიკაშვილის მიერ გადაწერილი კრებულიდან.

13. K დედანი (S 5190) ნარმოადგენს სხვადასხვა ავტორთა ლექსების ალბომს (15 ფ., 21,5X13,5სმ, XIX საუკ. II ნახევარი). 6. ბარათაშვილის ლექსებიდან მასში მოთავსებულია: „სატრფოვ მახსოვეს“, „დამქროლა ქარმა“, „ვპჰოვე ტაძარი“, „არ უკიუინო, სატრფოო“, „ქილის ყვავილი და მნირი“, „მიყვარს თვალები“, „სულო ბოროტო“, „რად ჰყვედრი კაცა“ და სახუმარო ეპიგრამა „ელენეს და მარიამს“. უკანასკნელი ლექსის ტექსტი ცნობილია მხოლოდ ამ ერთადერთი ნუსხით, რომელიც აღმოაჩინა დ. კარიჭაშვილმა (იხ. ლექსის კომენტარი აქვე, გვ. 218-219).

14. L დედანი (H 2684) ნარმოადგენს XIX საუკუნის 30-იანი წლების პოეტურ თხზულებათა ანთოლოგიას. მასში მოთავსებულია გრ. ორბელიანის, 6. ბარათაშვილისა და სხვათა ლექსები. კრებული შედგენილია და გადაწერილია 1833-1834 წლებში მ. თუმანიშვილის მიერ. ქალალდის ჭვირნიშანია — 1833(წ.4). მასში შეტანილია 6. ბარათაშვილის მიერ ყრმობისძროინდელი ლექსები: „ვარდი და ია“ (1r-2v), „ნარგიზი და ყაყაჩი“ (3r-v), „ვარდი და ბულბული“ (6r-v), „ვავვასოური მოთხრობა“ (13v-14v) და „შემოლამება მთაწმინდაზე“ (18r-19r). ხელნაწერი აღმოაჩინა ს. გორგაძემ 1924 წელს.

აი, ყოველივე ის, რაც ვიცით 6. ბარათაშვილის ლექსთა დებნების (ავტოგრაფებისა და ძირითადი ნუსხების) შესახებ.

ახლა გავარკვიოთ საკითხი: რა მიმართებაში არიან ეს დედნები ერთმანეთთან და რომელი მათგანია ყველაზე გვიანდელი რედაქციას?

ხელნაწერების შედგენილობისა და ქრონოლოგიურ მაჩვენებლების მიხედვით ირკვევა, რომ ყველაზე ადრინდელი კრებულია I, რომელიც შეუდგენია მ. თუმანიშვილს 1833-1834 წლებში, 1841 წლით თარიღდება ორი კრებული: C და G ავტოგრაფები. ამათგან პირველი ჩვენამდე მოღწეულია, მეორე კი დაკარგულია, მაგრამ ირკვევა, ქსოვივე ავტოგრაფი თითქმის ერთნაირი შედგენილობის ყოფილა. E ავტოგრაფი გადაწერილია 1842 წელს და წარმოადგენს პოეტის შეკალს, რომელშიც შეტანილია მრავალი რედაქციული ხასიათის შესწორება. აქედანაა გადაწერილი A და B ავტოგრაფები, რომლებიც შემდეგში საფუძვლად დაედონ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემებს. ʌ ავტოგრაფის თარილია 1843 წელი, B ავტოგრაფიც მის ახლო ხანშია გადაწერილი, მაგრამ ამ ორიდან რომელია ადრინდელი და რომელია უკანასკნელი, ჯერ კიდევ დადგენილი არ არის. პ. ინგოროვა წერს:

„ბარათაშვილის ლექსების ხელნაწერი კრებულები, რომლებიც ავტორს საზოგადოებაში გასავრცელებლად შეუდგენია, ეკუთვნის სხვადასხვა დროს 1841 წლიდან 1844 წლის დამდეგამდე. ყველაზე გვიანი დროის კრებულია ეგრეთ წოდებული ვეზირიშვილისეული ხელნაწერი ავტოგრაფი (იგულისხმება B, ი. ლ.), რომელიც 1843 წლის ბოლოს ეკუთვნის, და სარდიონ მესხიშვილისეული პირი, 1844 წლის დასაწყისის ავტოგრაფიდან მომდინარე“ (თხზ., I, გვ. 343).

ამ მოსაზრებას სხვაგან უფრო გარკვევით აყალიბებს: „ეს კრებული (B ავტოგრაფი, ი. ლ.), როგორ მეექსე ხელნაწერი გამოცემა, ყველაზე გვიანია და ყველაზე სრული ჩვენ დრომდე მოღწეულ ნოკოლოზ ბარათაშვილის ნანარმოებთა ხელნაწერ ავტოგრაფულ გამოცემათა შორის. ამ მეექსე გამოცემაში წარმოიდგენილია ბოლო რედაქცია ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968, გვ. 230). ან კიდევ: „საკითხის კვლევის შედეგად ამჟამად დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ბოლო რედაქცია ჩვენ გვაქს ავტოგრაფულ კრებულში, რომელიც მეექსე ხელნაწერ გამოცემას წარმოადგენს და რომელიც დამზადებულია 1843 წლის დასასრულს. ეს კრებული ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელია ნ. ბარათაშვილის ჩვენს დრომდე მოღწეულ ავტოგრაფულ კრებულთა შორის და იმავე დროს ყველაზე სრულია შედგენილობის მხრით“ (ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები, 1968, გვ. 143).

სამწუხაროდ, პ. ინგოროვას რაც „დადგენილად“ ან „ზუსტად

დადგენილად“ მიაჩინა, ის არ არის მეცნიერულად დასაბუთებული და რჩება მხოლოდ ლიტონ განცხადებად. შედგენილობით ყველაზე სრულია B ავტოგრაფი (პ. ინგოროვათი — მეექვსე ხელნაწერი გამოცემა), მაგრამ ის გადაწერილია A-ზე (პ. ინგოროვათი — მეოთხე ხელნაწერ გამოცემაზე) ადრე. ამასთან B და სარდიონ მესხიშვილის სული პირი (S 1555) ერთმანეთს ემთხვევა უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობით და, რაკი ავტოგრაფი მოვცეპოვება, მის პირს მეცნიერული მნიშვნელობა ეკარგება. ნათქვამის დასადასტურებლად დავიმოწმოთ რამდენიმე ფაქტი:

1. ლექსი „ჩემთ მეგობართ“ E ავტოგრაფში დაცულია ორი რედაქციით. პირველი პირველი რედაქცია რომ დაუწენებია, იქვე, მარცხენა მსარეზე, დაუწერია მეორე რედაქცია, რომელიც რამდენჯერმე გაუსწორებია. მისი საწორების საფეხურები ასახულია არა მარტო E-ში, არამედ მისგან გადაწერილ AB კრებულებში. ასე მაგ:

ყოფილა:

მაშინცა კმარა შ ე პ ა ვ ე ბ ა გ უ ლ ი ს ა თ ქ მ ა თ ა (II)  
გაუსწორებია:

მაშინცა კმარა დ ა დ უ მ ე ბ ა გ უ ლ ი ს ვ ნ ე ბ ა თ ა.

ამათგან B ავტოგრაფში იყითხება პირველი ვარიანტი — „შეკავება გულისა თქმათა“, ხოლო A-ში — გასწორებული ვარიანტი „დადუშება გულის ვნებათა“.

უფრო საყურადღებოა მე-16 ტაეპის ვარიანტთა შედარება. თავდა-პირველად ყოფილა:

მერწმუნეთ, ჩ ე მ ს გ უ ლ ს ნაცადი აქვს ე ს გ უ ლ ი ს  
ჭ ი რ ი.

პოეტს არ მოსწონებია ერთი სიტყვის გამეორება („გულის“ და „გულის ჭირი“), ამიტომ ტაეპი შეუსწორებია ასე:

მერწმუნეთ, ძ მ ა ნ ო, ნაცადი მ ა ქ ვ ს ე ს გულის ჭირი,

მაგრამ მას არც ეს ვარიანტი მოსწონებია, იქვე გადაუხაზავს მელნით „მაქვს ეს გულის ჭირი“ და ტაეპი გაუმართავს ამნაირად:

მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი ა ქ ვ ს ჩ ე მ ს გ უ ლ ს ე ს  
ჭ ი რ ი.

ამ ორი გასწორებიდან პირველი („ძმანო... მაქვს ეს გულის ჭირი“) იყითხება B ავტოგრაფში და სიტყვები „ჩემს გულს“ და „აქვს“ E-ში ნაშლილი და გასწორებულია იმავე მელნით, რომლითაც გადაწერილია კრებული, ხოლო ბოლო ნაკითხვა („ძმანო... აქვს ჩემს ეს ჭირი“) დაცულია A-ში, ამასთან E-ში „აქვს ჩემს გულს ეს ჭირი“ ჩაწერილია იმავე მელნით, რომლითაც გადაწერილია A კრებული.



2. ლექსი „შემოღამება მთანმინდაზედ“ შემონახულია სტატუსის დაქციით BCE ავტოგრაფებსა და მ. ოუმანიშვილის შეირ შედგენილ ანთოლოგიაში (L). მათი შედარებიდან ჩანს, რომ პოეტს ამ ლექსებს დიდხანს (დაახლოებით ათი წელი) უმუშავნია. ამჯერად ჩვენს საკითხთან დაკავშირებით დავიმოწმებთ მხოლოდ მე-7 ტაქს. იგი L ნუსხაში იკითხება ასე:

ძირს გაშლილს ა ლ მ ა დ ველსა ყვავილი  
მოჰვენენ რ ე ც ა ტაბლასა წმიდას.

პოეტს სიტყვა „ალმად“ არ მოსწონებია და შეუცვლია სხვა გასაგები სიტყვით („ლამაზს“):

ძირს გაშლილს ლ ა მ ა ზ ს ველსა ყვავილი

მოჰვენენ რ ე ც ა ტაბლასა წმიდას (CE).

E-დან ამ სახით შეუტანია იგი B ავტოგრაფში, მაგრამ მერმებას არც „რეცა“ მოსწონებია და შეუცვლია სიტყვით „ვითა“:

ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილი  
მოჰვენენ, ვ ი თ ა ტაბლასა წმიდას.

ეს უკანასკნელი ვარიანტი დაცულია ავტოგრაფში.

3. ლექსი „არ უკიუინო, სატრფოო“ ცნობილია ხუთი (ABDE) ავტოგრაფით. მისი მეთორმეტე ტაქს DE ავტოგრაფებში იკითხება ასე:

მზისა ციაგნი „ერთად შესხივებულინი“

იყვნენ მარადის, მ ა რ ა დ ი ს, სოფლისა განსათავებლად.

ეს ორი „მარადის“ E-დან გადასულა B კრებულში, მაგრამ პოეტს მერმე ერთი „მარადის“ შეუცვლია ახალი სიტყვით „უხსნელად“ და A-ში ტაქსი შენახულა საბოლოო რედაქციით:

იყვნენ მარადის, უხსნელად (ე. ი. „ერთად შესხივებილინი“) სოფლისა განსათავებლად.

აი, ამ სამი ფაქტიდან უდავოდ ირკვევა, რომ A ავტოგრაფული კრებული წარმოადგენს დღემდე ცნობილ კრებულებს შორის ყველაზე გვიანდელ რედაქციას. ამიტომაც, 6. ბარათაშვილის იმ ლექსების ტექსტისა და ვარიანტების დასადგენად, რომლებიც მოთავსებული არიან A-ში, უპირატესობა სწორედ ამ ბოლოდროონდელ კრებულს მივეცით, ხოლო შედარებისათვის გამოვიყენეთ BCE კრებულები, ცალ-ცალად მოღწეული ავტოგრაფები და ძირითადი ნუსხები.

6. ბარათაშვილის ლექსების აღწერილი დედნების გარდა ჩვენს სიცელეთსაცავებში ინახება გადანაწერი პირებიც, რომელთაც, მართლია, ტექსტის დადგენისათვის არა აქვთ მნიშვნელობა, მაგრამ ისინ ყურადღებას იპყრობენ პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარზაციის თვალსაზრისით. შეიძლებოდა ასეთ ნუსხებზე ზოგადად თქმულიყო ორიოდე სიტყვა, მაგრამ, რაკი მათი ტექსტობრივი ლირებულება მკვლევართათვის ნათელი არ არის, აქვე ნარმოვადგენთ თვითონეული მათგანის მოკლე დახასიათებას.

1. დავით რექტორის ანთოლოგიის მეორე ტომში (S1512) ჩართულია 28 ლექსი, „თქმული თავადის 6. ბარათოვისაგან“ (ფ 191, 318-333). ერთ-ერთი მათგან „ძრწოდე კავკასო“, ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, ავტოგრაფს უნდა წარმოადგენდეს (Opis., II, გვ. 25), მაგრამ იგი უცნობი პირის ჩანაწერია ისევე, როგორც სხვა დანარჩენი ლექსები: „ბულბული ვარდზედ“, „ქეთევან“ (ხელნაწერშია „ქ...“), „შემოღამება მთაწმინდაზედ“ (აქვს მინაწერი: „მირიან ივერისა მიერ“), „ქიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“ (ხელნაწერშია — „აზარფეშაზედ დასაწერი“), „ხმა იდუმალი“, „ფიტრი მტკვრის პარზედ“, „ქონგურს“, „თავადის ჭ..ის ასულს, ეკ..ნას“ (ხელნაწერშია — „ეკ..ნას“), „ჩემს ვარსკვლავს“, „ნაპოლეონ“ (აქვს მინაწერი: „მირიან ივერის მიერ“), „საყურე“ („მირიან ივერის მიერ“), „ჩჩილი“, „სული ობოლი“, „სატრფოვი, მახსოვეს“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემთ მეგობართ“, „აღმოპეზდა მნათი აღმოსავალს“, „არ უკისინო, სატრფოო“, „ვპჰოვე ტაძარი“, „მიყვარს თვალები“, „სუმბული და მნირი“, „შენი დალალი“, „რად ჰყვედრი კაცა“, „მერანი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, და „სულო ბოროტო“. ყველა ლექსი უთარილო. მინაწერი „მირიან ივერისა მიერ“, რომელსაც მკვლევარები 6. ბარათაშვილის ფსევდონმად ვარაუდობენ, სამივეგან მიუწერა ტექსტისაგან განსახვავებული მელნით სხვა დროს მიხეილ თუმანიშვილს. ლექსის „შევიშრობ ცრემლსა-ს შემდეგ 333-ე გვერდზე ჩანერილია ლექსი „ეპა, ჩემო ოცნებავ“, რომელიც ეკუთვნის ლუკა ისარლოვს, 6. ბარათაშვილის სკოლის მეგობარს. იგი დაიბეჭდა უურნ. „ცისკარში“ 1852 წელს (№5, გვ. 6-7). აქვს მას ხელმოწერა — „ლ..რ...“ (ლუკა ისარლოვი). იქვე არშიაზე პ. უმიკაშვილის მიერ მინერილია ფანქროთ: „ლუკა ისარლოვისა. ნახე „ცისკარი“, 1852-1853 წ.“ 6. ბარათაშვილის ლექსებიდან „ძრწოდე კავკასო“ იმეორებს HH<sup>1</sup>H<sup>2</sup> ავტოგრაფების ტექსტს, ხოლო დანარჩენი 27 ლექსი ემთხვევა უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობით ვეზირშვილისეულ (B) ავტოგრაფს, ოღონდ გაუგებარია ლექსებს რატომ არ უნერიათ თარიღები (E. Takashvili, Opis., II, გვ. 225-226; შდრ. S ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა“, ტ. II, გვ. 294).

2. დავით რექტორის ანთოლოგიიდან მომდინარეობს H772 ხელნაწერი კრებული, რომელშიც მოთავსებულია 6. ბარათაშვილის 27 ლექსი. გადამწერს მექანიკურად გამორჩენია ერთი ლექსი „შენი



დალალნი“. სამ ლექსს („შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ნაპტარიში“ და „საყურე“) ერთვის მინანერი „მირიან ივერის მიერ“. ამასთან გადამწერი ზუსტად იცავს იმ სათაურებს და თანმიმდევრობას, რომლებიც მოეპოვებათ დავით რექტორის ანთოლოგიაში მოთავსებულ ლექსებს. ხელნანერს ატყვევის სტამბის მური; გადაწეროლია გამოცემის მიზნით (H ფონდის „ხელნანერთა აღნერილობა“, II, გვ. 153-155).

3. ლექსთა კრებული 8 1555 გადაწერილია სარდიონ ალექსი-მექსიშვილის მიერ. უძლვის სათაური „ლექსები თავადის ნიკოლაოს მელიტონის ძის ბარათოვისა“ და ზანდუკი (I-r-v):

„1. ქეთევან (რომანი) 2. შემოღამება მთაწმინდაზედ (ელეგია), 3. ხმა იდუმალი, 4. ფიქრი მტკვრის პირზე, 5. ჩინგურს, 6. თავადის ჭა...ის ასულს ეკ...ნას, 7. ჩემს ვარსკვლავს, 8. ნაპოლეონ, 9. საყურე, 10. ჩივილი 11. სული ბოლო, 12. XXX [„სატრფოვ, მახსოვს“], 13. ჩემი ლოცვა, 14. XXX [„აღმოხდა მნათი“] 15. ჩემი მეგობართა, 16. XXX [„არ უკიუინო, სატრფოო“], 17. ფანტაზია [„ვპჰოვე ტაძარი“], 18. სუმბული და მნირი, 19. თვალები [„მიყვარს თვალები“], 20. ლამაზ ბანოვანს [„რად ჰყვედრო კაცსა“], 21. კრიაზ ბარათაევის აზარფეზაზედ, 22. XXX [„შენი დალალნი“], 23. ჩემი მერანი, 24. საფლავი მეფის ირაკლისა, 25. XXX [„შევიშრობ ცრემლსა“], 26. სული ბოროტო, 27. ჩინარი.

სათაურსა და ზანდუკს შორის მინერილია: „ეს ხელნანერი სარდიონ ალექსიევ-მესხიევისას ჰგავს. პეტრე უმიკაშვილი“ (I-r). კრებულში მოთავსებულია 24 ლექსი. ზანდუკში წარმოდგენილი რიგის მიხედვით აკლია მე-13 („ჩემი ლოცვა“), მე-20 („ლამაზ ბანოვანს“) და მე-26 („სულო ბოროტო“) ლექსები. მათ მაგიერ სწერია: „ამის შემდეგ უნდა დაინეროს „ჩემი ლოცვა“, რომელიც დაბეჭდილია „ცისკარში“ (11v), „აქ უნდა დაინეროს „ლამაზ ბანოვანს“, რომელიც დაბეჭდილია „ცისკარში“ (20f). ეს მინაწერები მოწმობენ, რომ როცა სარდიონ ალექსი-მესხიშვილის 6. ბარათაშვილის ლექსთა კრებულს ადგენდა, დასახელებული სამი ლექსი და აგერთვე „ბულბული ვარდზედ“, რომლებიც დაიბეჭდა 1852 წელს ურნ. „ცისკარში“ (№4), მას ხელთ არა ჰქონია, თორემ მათ კრებულში უცველად შეიტანდა. ამიტომ პ. ინგოროვას მოსაზრება, რომ „სარდიონ მესხიშვილისეული პირ 1844 წლის დასაზყისის ავტოგრაფიდან მომდინარეა“ (თხ. I, 343), საეჭვოა. 1843 წლის ავტოგრაფებით ეს სამივე ლექსი ცნობილია (იხ. AB ავტოგრაფები) და სათუოა „1844 წლის დასაზყისის ავტოგრაფში“ იხსნი არ ყოფილიყო მოთავსებული. პ. ინგოროვას მოსაზრებას ეწინააღმდეგება ზოგიერთი ლექსის სათაურიც („ფანტაზია“, „ჩემი მერანი“, „თვალები“), რომლებიც ავტოგრაფებში არ მოეპოვებათ მათ ქვეშ ნავარაუდევ ლექსებს. ტექსტები უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობით ემთხვევა ავტოგრაფს. კრებული შედგენილი უნდა იყოს 1852-1860 წლებში. 23v გვერდზე მინერილიცაა: „ეს ლექსები 1860 წელსა არის დაწერილი მგონი სარდიონ მესხიევისაგანა“ (შდრ. 8 ფონდის ქართულ ხელნანერთა აღნერილობა, III, გვ. 8-10).

4. ხელნაწერი Q439 შეიცავს 6. ბარათაშვილის 27 ლექსის, ნარატივული მოადგენს საარდიონ ალექსი-შესხიშვილის კრებულის პირს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელში შეტანილია ზემოთ დასახელებული 24 ლექსის გარდა ის სამი ლექსიც, რომლებიც საარდიონ ალექსი-მესხიშვილს ხელთ არა ჰქონდა S1555 კრებულის შედგენისას. ლექსები მოთავსებულია I და II რვეულებში; შემოსულია მიხეილ თუმანიშვილის არქივიდან (Q ფონდის „ხელნაწერთა აღწეროლობა“, I, გვ. 464-465).

5. 6. ბარათაშვილის თითო-ოროლა ლექსი დაცულია საოჯახო აღბომებსა და კრებულებშიც, რომლებიც გადაწერილი (თუ შედგენილი) არიან XIX საუკუნის 60-90-იან წლებში. ამ ნუსხებს ტექსტოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ სისრულისათვის აქვთ ჩამოვთვლით მათ.

ა. **H101** — ქართული სიმღერების კრებული, გადაწერილი 1858 წელს; შეიცავს სასიმღერო ლექსებს, მათ შორის „სულო ბოროტონ“ (გვ. 11-12) (შდრ.: ამავე ფონდის „ხელნაწერთა აღწეროლობა“, I, 1946, გვ. 75).

ბ. **H1494** — აკავის ავტოგრაფი, გადაწერილია ლექსი „საყურე“ (I8 r) (შდრ.: ამავე ფონდის „ხელნაწერთა აღწეროლობა“, III, გვ. 438).

გ. **H2398** — ლექსთა კრებული, მოთავსებულია 6. ბარათაშვილის რვა ლექსი: „ნაპოლეონ“, „ჩემს სატრფიალოს“, „არ უკიუინო სატრფოო“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ზვირთები მოდუდუნებენ“ (ქეთევან), „ხმა იდუმალი“ (ნაკლული); გადაწერილია XIX საუკ. II ნახევარში. ლექსებს „ნაპოლეონ“, „არ უკიუინო, სატრფოო“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“ და „საყურე“ აქვს მიწერილი პოეტის ფსევდონიმი „მირიან ივერის მიერ“ (იბ. ამავე ფონდის „ხელნაწერთა აღწეროლობა“, VI, გვ. 275; ი. ბალახაშვილი, ბარათაშვილის ცხოვრება, 1966, გვ. 164-165).

დ. **H2733** — სხვადასხვა ზომის ფურცელთაგან შემდგარი კრებული. მეოთხე ფურცელი შეიცავს ლექსს „ჩემს სატრფიალოს“ („არ უკიუინო, სატრფოო“), რომელსაც ერთვის მინაწერი — „მირიან ივერის მიერ“ (შდრ. H ფონდის „ხელნაწერთა აღწეროლობა“, VI, 1953, გვ. 152).

ე. **S 2531** — ლექსთა კრებული, გადაწერილი გიორგი კირვალის მიერ. მოთავსებულია ლექსი „სულო ბოროტონ“ და ერთი სტროფი ლექსისა „ჩემს ვარსკვლავს“ (S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწეროლობა“, IV, გვ. 32, 34).

ვ. **S 3723** — ლექსთა კრებული, შეიცავს 6. ბარათაშვილის 5 ლექსს: „არაგვი“ (ბედი ქართლისადან), „ჩემი ლოცვა“, „მერანი“, „სულო ბოროტონ“, „საყურე“ (ნაკლული) (შდრ. E. Takashvili, Opis., II, გვ. 325).

ზ. **Q27** — ლექსების კრებული, გადაწერილი 1868 წელს. 17 გვერდზე მოთავსებულია „სულო ბოროტონ“ (შდრ. ამავე ფონდის

„ხელნაწერთა აღწერილობა“, I, 1957, გვ. 25).

**პ. Q30-ბ** — ლექსების ალბომი მარიამ ანდრონიკაშვილისა. მოთავსებულია ოთხი ლექსი: „არაგვი“ („ბედი ქართლისადან“), „სულო ბოროტო“, „ბულბული ვარდზედ“, „ჩონგურს“ (4r-6v) (შდრ. ამავე ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 33-34).

**თ. Q438-ა** — ლექსთა კრებული. 20 გვერდზე მოთავსებულია „ჩემს ვარსკვლავს“ (შდრ. ამავე ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 461).

**ი. Q347** — ლექსთა კრებული, გადაწერილი 1896 წელს. მოთავსებულია 6. ბარათაშვილის 5 ლექსი: „ცპოვე ტაძარი“, „საყურე“, „მერანი“, „ფიქრი მტკვრის პრას“, „ჩემს ვარსკვლავს“ (შდრ. ამავე ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 379) ხელნაწერს ამჩნევია სტამბის მური. იგი უნდა იყოს 1896 წელს დაბეჭდილი „ქარის“ დედანი.

ია. საქართველოს ცენტრარქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის №57 ხელნაწერი, გადაწერილი 1871 წელს. 15r გვერდზე მოთავსებულია ლექსი „თავადის ჭავჭავაძის ასულს ეკა...ნას“ (15r) (შდრ. ამ კოლექციის აღწერილობა, I, 1949, გვ. 56).

იბ. ლიტ. მუხეუმის ხელნაწერი №12624, გადაწერილი 80-იან წლებში. 13r-19v გვერდებზე მოთავსებულია „ლექსები, თქმული თ. 6. ბარათაშვილისაგან“ ყველა გადაწერილია ნაბეჭდი გამოცემიდან.

\*\*\*

დასასრულ, ერთი სადაო ლექსის შესახებ.

6. ბარათაშვილის თხზულებათა ავტოგრაფებსა და ნუსხებში არ არის მოთავსებული ლექსი „კ. დ. ჩ.“, რომელიც დაბეჭდილია 1862 წლის „ცისკარში“ (№2, გვ. 189-190) ხელმოწერით „თ. 6. ბ.“. 1936 წელს ი. ბალახაშვილმა სათაურისა და ხელმოწერის ინიციალები დაშიფრა ასე: „კნეინა დარია ჩილოყაშვილი“, „თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი“ — და იქვე შენიშნა: „როგორც ჩანს, ლექსი „კ. დ. ჩ.“ რედაქციას რომელიდაც ხელნაწერიდან გადმოუღია ურნალის მასალის შესავსებად და ლექსზე მოწერილი ინიციალებისათვის კი არავითარი ყურადღება არ მიუქცევია“ (ლიტერატურული საქართველო, 1936, №2). 1939 წელს ეს ლექსი შეიტანეს 6. ბარათაშვილის თხზულებათა კრებულში (გვ. 44), ხოლო 1945 წელს იგი საიუბილეო გამოცემის სარედაქციო კოლეგიამ არ სცნო. 6. ბარათაშვილის კუთვნილებად (გვ. 168). უკანასკნელ ხანს ლექსის ავტორის ვინაობას კვლავ შეეხო ი. ბალახაშვილი და განავითარა შეხედულება, თითქოს „კ. დ. ჩ.“ დაეწეროს. 6. ბარათაშვილს დელფინა ლაბიელის სიყვარულთან დაკავშირებით (ბარათაშვილის ცხოვრება, გვ. 192-205). მისი მოსაზრება გაიზიარა გ. ჯიბლაძემ: „რომ ეს ნაწარმოები უთუთ ბარათაშვილის კალამს ეკუთვნის, დამტკიცებასაც არ საჭიროებსო“ (ბარათაშვილის პოეტური გენია, 1968, გვ. 219).

ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ „კ. დ. ჩ.“-ს ავტორობის საკითხები და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ ლექსს ვერა ვცნობთ 6. ბარათაშვილის კალმის ნაყოფად. ამის ნინამძღვრებია შემდეგი:

1. 1860 წლიდან უურნ. „ცისკარში“ 6. ბარათაშვილის ლექსები იძეჭდებოდა პ. უმიკაშვილის მიერ გადანერილი კრებულიდან. პ. უმიკაშვილისეული კრებული კი გადმონერილია სარდიონ ალექსი-მესხიშვილის ნუსხის პირდან, რომელიც გადმოღებული ყოფილა ა. ჩიქვანის მიერ. როგორც აღვნიშნეთ, სარდიონ ალექსი-მესხიშვილის ნუსხა (ს 1555) გადანერილია 1852-1860 წლებში. მისგან მომდინარეობს Q439 ხელნაწერი (რომელიც შეიცავს 27 ლექსს), მაგრამ ეს ორივე კრებული არ იცნობს „კ. დ. ჩ. -ს“ მაშასადამე, იგი არ ეკუთვნის 6. ბარათაშვილს.

2. ლექსი „კ. დ. ჩ.“ ხელმონერით „თ. ნ. პ.“ დაპეჭდილია 1862 წლის „ცისკარში“ (№2, გვ. 189-190) მსხვილი შრიფტით. მას მოსდევს ნინასაგან განსხვავებული შრიფტით ლექსი „ნაპოლეონი“, რომელსაც აქვს ფრჩხილებში ჩასმული დეშიფრაცია „თ. ნ. ბარათოვის ლექსებიდან“ (გვ. 190-191). „კ. დ. ჩ.“ რომ 6. ბარათაშვილისა იყოს, მაშინ იგი და „ნაპოლეონი“ ერთნაირი შრიფტით იქნებოდა დაპეჭდილი და მასაც ექნებოდა დეშიფრაცია „თ. ნ. ბარათოვის ლექსებიდან“ (ან ეს დეშიფრაცია ორივეს საერთო ექნებოდა).

3. 6. ბარათაშვილის ავტოგრაფებსა და ნუსხებში ეს ლექსი არ არის შეტანილი. არც არავინ იძლევა ცნობას მის ავტორობაზე. არ არის დაშიფრული „კ. დ. ჩ.“ პოეტის მეგობარ ქალთა შორის არც ერთი ქალი არ არის ცნობილი ასეთი ინციდენტით.

4. ლექსის პოეტური ფაქტურა საგრძნობლად განსხვავდება 6. ბარათაშვილის წერის მანერისაგან. 6. ბარათაშვილის არც ერთი ლექსი არ იცნობს ასეთ გაცვეთილ თქმას: „შენსა მიჯნურსა ახლა მრნაშს ნათლისა ხელოვანება“.

ასე რომ, „კ. დ. ჩ.“-ს ვერ მივაკუთვნებთ 6. ბარათაშვილს. მისი ავტორია 60-იანი წლების ვილაც ეპიგონი პოეტი, რომლის პატივსაცემად რედაქციას ლექსი მსხვილი შრიფტით დაუძლებავს.

## II. „პედი ქართლისას“ ტექსტი და მისი მსტრიცა

პოემა „პედი ქართლისას“ 6. ბარათაშვილის შემოქმედების შედევრია. პოეტს დიდხანს უმუშავნია ამ პოემაზე. თანამედროვეთა გადმოცემით, მას სამშობლოს კეთილდღეობის პრობლემა მთელი მოღვაწეობის მანძილზე ანგალებდა. ზ. ჭიჭინაძე იუწყება: 6. ბარათაშვილს ბეჭრვერ უთქვამს მეგობრებისათვის, რომ „პედი ქართლისას“ შინაარსი სკოლაში ყოფნის დროს დამებადა თავში, იქვე განვიზრახე ამისა დაწერა, რამდენიმეჯერ დავწერე კიდეც, მაგრამ არ ვაჩინდი, ვიდრე გვარიანად არ შევიმუშავებდიო“. სხვათა გადმოცემით, როდესაც 6. ბარათაშვილს პოემა დაუსრულებია, ჭავჭავაძიანთ ბანზე წაუ-



კითხავს საჯაროდ და მსმენელებს დიდად მოსწონებიათის (გვ. 10) ჩვენ არ ვიცით, რამდენად სწორია ეს ცნობები, მაგრამ დოკუმენტურად მტკიცდება, რომ 1839 წლიდან 1844 წლამდე ავტორს პოემა რამდენჯერმე გადაუმუშავებია. ეს შემოქმედებითი ისტორია თავისთავად მეტყველებს, რომ თბზულება პოეტის ხელიდან დიდი ჯაფის შემდეგ გამოსულა.

ჩვენს სიძველეთსაცავებში დაცულია პოემის ორი, ერთმანეთის-აგან რედაქციულად განსხვავებული ავტოგრაფი, თერთმეტი ხელნაწერი პირი და ერთიც პირველნაპეჭდი. სულ 14 დედანი. მათი მოკლე აღნეროლობა ასეთია:

**1. A ავტოგრაფს (S2517) ენოდება·თაყაიშვილისეული ვარიანტი;** შეიცავს III+38 გვერდს (ზომით 13,5X19სმ); გადაწერილია 1843—1844 წლებში შავი მელნით მხედრულად; ჩასმულია მონითალო მუყაოს ყდაში. აღნეროლია რამდენჯერმე.

პოემა მოთავსებულია 3-32-ე გვერდებზე, უძღვის სამსტროფი-ანი შესავალი „კახთა მიმართ“, რომელსაც აქვს ხელმოწერა: „თ-ი ნ. ბ.“ თავფურცელს აწერია: „ბედი ქართლისა, თქმული წელსა 1839-სა, ტფილის“ (III r). სათაური „ბედი ქართლისა“ შესრულებულია ხვეული ასოებით.

ხელნაწერს აქვს ერთადერთი მინანერი (II v): „ვიყიდე 1887 წელს პეტერბურგში ბუკინისტ პ. ი. ვორონინისაგან, ნევის პროსეკტზე №54. ე. თაყაიშვილი“. აქედან ჩანს, რომ ეს ავტოგრაფი წარმოშობით დაკავშირებულია ლექსების A კრებულთან. მისი ადრინდელი მფლობელიც ეკატერინე ჭავჭავაძე უნდა ყოფილიყო. ილია ჭავჭავაძეს „ბედი ქართლისა“ ამ ავტოგრაფის მიხედვით უნდა გაეცნ 1858 წლის ზაფხულში, როდესაც იგი, სტუდენტი, ეკატერინეს ენვია სტუმრად ცარსკოე სელოში.

**2. B ავტოგრაფი (H 2034), ე. ნ. ვეზირიშვილისეული ხელნაწერი,** რომელიც საკუთრება ყოფილა ქეთევან ორბელიანისა, შეიცავს 42 ფურცელს (ზომით 16,5X11სმ); გადაწერილია 1843 წელს მოლურჯო ქალალდზე მხედრულად; ჩასმულია მუყაოს ყდაში; აღნეროლია რამდენჯერმე. გამოცემულია ლითოგრაფიულად 1916 წელს, ხოლო მის ფოტოპირი გამოქვეყნდა 1968 წელს „ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფებში“ (გვ. 81-135).

პოემა მოთავსებულია 4r-29r გვერდებზე; უძღვის შესავალი „კახთა მიმართ“ (3r-v), რომელსაც აქვს ხელმოწერა „XXX“ და თავფურცელი: „ბედი ქართლისა“ შესრულებულია ხვეული ასოებით. Ir გვერდზე ე. თაყაიშვილის ხელით მიწერილია: „კნ. ბარბარე ვეზირიშვილისა“, საიდანაც ირკვევა, იგი პოეტს გადაუწერია თავისი დისტვის.

**3. C დედანი წარმოადგენს ავტოგრაფის უცვლელ პირს;** ბეჭდურადაა გამოქვეყნებული ნ. ბარათაშვილის თბზულებათა 1876 წლის გამოცემაში (გვ. 20-41).

**4. D ხელნაწერი (S4911-ბ)** შეიცავს 12 ფურცელს (ზომით 20X13 სმ), გადაწერილია გასანთლულ ქალალდზე; დაშლილია და უყდო,

ადგილ-ადგილ ფურცელები დაზიანებული ყოფილა (10-11 ვ.), მაგრამ მას მიერთოდა რესტავრირებულია, ოღონდ იმ ადგილებში ტექსტი ბუნ-დოვნად იკითხება. ერთ-ორგანიზაციის მიერთოდა და ზევიდან სწორი დენისეული ნაკითხვა მიუწერია (10r). იგი ორ შემთხვევაში დედანისაც ასწორებს (მახვრალმან-მაშვრალმან, ეზდენ-ესდენ), მაგრამ იქვე შენიშვნავს: „დედანში არის მახვრალმან“ (nv), ან: „ესდენ უნდა იყოს“ (7v). აქედან ჩანს, გადამწერს დედანი ზუსტად გადაუწერია. ტექსტს ერთვის ერთსტროფიანი ანბანთქება, „თქმული მეცის ვახტანგის მიერ“ (12v).

5. E ხელნაწერი (A1258) შეიცავს 12 ფურცელს (ზომით 21X13სმ), დაშლილია და უყდო (პირველი და ბოლო ფურცელი მოცილებულია); აღნერილია ქრ. შარაშიძის მიერ A ფონდის „ხელნაწერთა აღნერილობაში“ (ტ. IV, 1954, გვ. 305). აღმნერი შენიშვნავს: „მართლწერისა და სხვა ნიშნების მიხედვით ეს ნუსხა ავტოგრაფთან ახლოს მდგრმი ჩანს“. ტექსტს არ უძლვის შესავლად „კახთა მიმართ“. 1-ელ ფურცელზე მ. ჯანაშვილს მიუწერია „ბედი ქართლისა“. ხელმოწერილია ასე: „თ. ა. ბართოლოვი“ (12r). 11v გვერდზე 390-ე ტარების ნაცვლად მრავალწერტილია; მრავალწერტილია დასმული 405-ე ტარების შემდეგაც; ჩანს, აქაც პოეტს რაღაც სათქმელი ჰქონდა, მაგრამ თქმას მორიდებია.

6. F ხელნაწერი (Q439) ნარმოადგენს ერთ რვეულს (ფ. 25r-36v), დაცული ყოფილა თუმანიშვილის არქივში; გადანერილია ნერილად, მოსქელო ქალალდზე, რომელსაც აქვს ფირმა: «Аристархова №фабрика». აღნერილია Q ფონდის „ხელნაწერთა აღნერილობაში“ (ტ. I, 1957, გვ. 464-465). ტექსტს არ უძლვის შესავალი „კახთა მიმართ“.

7. G ხელნაწერი (Fr. 111) შეიცავს 12 ფურცელს (ზომით 21X13სმ); დაშლილია და უყდო; გადანერილია XIX საუკუნის II ნახევარში მხედრულად და არ უძლვის შესავალი „კახთა მიმართ“.

8. H დედანი პირველნაბეჭდი პოემა, რომელიც გამოქვეყნდა 1858 წლის სექტემბერს უზრნ. „ცისკარში“ (გვ. 1-14). ხელნაწერი რედაქციისათვის გადაუცია დიმიტრი ბერიევს. ტექსტი ცენზორს ძლიერ შეუმოკლებია: ამოულია 61 ტარები (217-237, 311-324, 369-389, 400-405). გამოცემას სპეციალური ნარკვევი უძლვნა ს. ხუციშვილმა: „ნოკოლოზ ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისა“-ს პირველნაბეჭდი“. იგი წერს: „პირველნაბეჭდის ტექსტი საკმაოდ დაუმახინჯებია ცენზურის: პოემიდან მას ამოულია ისეთი ნაწილები, რაც ნაწარმოების აზრის გაგებისათვის აუცილებელია. სიტყვა „თავისუფლების“ სენება, მეცის უფლებების განქქება, სამშობლოში თავისუფლად სურვილის გამოთქმა და ზერელე ადამიანთა მხილება — აუკრძალია“ (გვ. 858).

9. I ხელნაწერი (S5074) შეიცავს 12 ფურცელს (ზომით 17,5X11სმ), დაშლილია და უყდო; გადანერილია XIX საუკუნის II ნახევარში.

10. J ხელნაწერი (S1540) ნარმოადგენს ლექსთა კრებულს. „ბედი ქართლისა“ მოთავსებულია 28r-37v გვერდებზე. უძლვის შესავალი

„კახთა მიმართ“, რომელიც ხელმოწერილია ასე: „თ. ნ. ბარათორიშვილი 1860 წელს.“ გადაწერილია 1860 წელს.

11. K ხელნაწერი (H 1430) შეიცავს 37 ფურცელს (ზომით 32,5X21სმ); გადაწერილია 1847 წელს მოსქელო ქალალდზე (ჭვირნიშანი — „1818“; აღნერილია ფონდის „ხელნაწერთა აღნერილობაში“ (ტ. III, გვ. 369-370). წარმოადგენს დ. ყიფიანის ნაწერების კრებულს; მასში შეტანილია 6. ბარათაშვილის პოემა სათაურით: „პედი ქართლისა, თქმული თავადის ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოვის მიერ“ (24r-28r), რომელსაც უზის გადაწერის თარიღი — „1847“ (28r).

12. L ხელნაწერი (H1304) გამოცემის მიზნითაა გადაწერილი A ავტოგრაფიდან, ადგილ-ადგილ ტაეპებს შორის ჩაწერილია განსხვავებული ნაკითხვები B ავტოგრაფისა (4r-16v).

13. M ხელნაწერი (ილიას არქ. №6, ყოფ. A 1280) წარმოადგენს ფრაგმენტს (12v-13v). ამონწერილია ის ტაეპები, რომელებიც „ცისკრის“ პირველ ნაპეტდს აკლია (217-237, 311-324, 369-389, 400-405).

14. N ხელნაწერი (S4911-ბ), 13-14, ფ., ზომა 17X11სმ. შეიცავს იმავე ფრაგმენტებს, რომელთაც ხელნაწერი (დაცულია 3. უმიკაშვილის ხელნაწერებში).

ამ თოთხმეტი დედნიდან პოემის ტექსტის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანია მხოლოდ ექვსი ხელნაწერი ABEGH, დანარჩენ შვიდი (DIJKLMN) ნუსხა გადაწერილია ძირითადი დედნებიდან. D იმეორებს A-ს; B-ს ემთხვევა ILK ხელნაწერები. A და B ავტოგრაფების ნარევ რედაქციას წარმოადგენს L ნუსხა, რომელიც გადაწერილია გამოცემის მიზნით, ხოლო M და N ფრაგმენტები მომდინარეობენ A-დან. თვით ძირითადი ხელნაწერები კი ასე შეიძლება დავაჯგუფოთ: პოემის პირველი რედაქცია დაცულია დედნებში, მეორე რედაქცია — B ავტოგრაფებში, ხოლო მესამე რედაქცია A ავტოგრაფში. ეს რედაქციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტაეპოპრივი შედგენილობითა და წანაკითხებით.

მაშ, განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

\*\*\*

პირველი რედაქციის (EFGH) ავტოგრაფი არ შენახულა, არც მისი შავი ცალი მოგვეპოვება. იგი დაცულია ნუსხებისა და პირველნაბეჭდის სახით. ეს უკანასკნელი (H), მართალია, ცენტორს დაუმახინჯებია, მაგრამ მიღწეული ნუსხების (EFG) საშუალებით შეიძლება მისი სრულად აღდგენა. პირველი რედაქცია ამჟამად შეიცავს 419 ტაეპს. ნუსხებსა და პირველნაბეჭდში მექანიკურად ამოვარდნილია 259-ე ტაეპი —

რომ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს, —

როს გამოც კონტექსტით გაუგებარია მისი წინა და მომდევნო ტაეპთა შინაარსი; დარღვეულია როთმაც. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ 259-ე ტაეპი ავტორისეულ დედანში დაცულია იქნებოდა

და პირველი რედაქცია შეიცავდა 420 ტაქტს.

მეორე-მესამე რედაქციებთან შედარებით პირველს აკლია სამ-სტროფიანი შესავალი „კახთა მიმართ“, რომელიც პოეტს მოგვი-ანებით დაუწერია (1839 წელს პოემა დაწერილი ყოფილა უშესავ-ლოდ, იმ სახით, როგორადაც შემონახულია EFG ნუსხებში). პირველი რედაქცია მომდევნო რედაქციებისაგან სხვა მხრივაც განსხვავდება: 101-ე ტაქტის შემდეგ ტექსტში ჩართულია ორი ტაქტი, რომელიც აფტორს მერე უარუყყია:

ხამს, ვერაგობაც საარდარსა ჰქონდეს,  
დროზე იგიცა არრას წარუხდენს.

ზოგი ტაქტს პოეტური ფაქტურა არსებითად განსხვავებულია მეორე-მესამე რედაქციებისაგან. ისინი აქ ვერ ბრნყინავენ ისე, როგორც მომდევნო რედაქციებში. ირკვევა, რომ პოეტს დიდხანს უსწორებია ტექსტი, სანამ იგი საბოლოო სახეს მიიღებდა. აი, რედაქციულად განსხვავებული ტაქტები (შედარებისათვის გამოყენებულია წინამდე-ბარე გამოცემა):

27-28. მუნ განრისხებულს აღა-მაჟმად-ხანს  
პატარა კახი უჰირებს შებმას...

48-49. მტერი რა მტერ, ოდეს ქართველი  
ბატონს ირაკლის ნუგეშად ჰყავდეს...

56-59. ხმა ნალარისა, ხმა ეს ბრძოლისა  
ვით არ აღგვანობს, ჰოა გმირნო ქართლის!

განგაღვიძებს, მხნევ, მხდალო, განგამხნევს  
და შენც, მიჯნურო, სულს შეგიშფოთებს...

62-63. ეკვეთნეს სპარსთა ივერთ მხედარნი  
და მტკვარს ერთვიან სისხლისა ღვარნი...

97. თორემ სიმხნითა ვერრა გავაწყოთ...

127-128. და მოევლინა ქართლისა ჯართა,  
გაშფოთებული ეძიებდა მას...

146-147. თვალს მოატყუებს, ცხენს მოაძოვებს  
და ნამძინარევს შუბლს განიგრილებს...

187. იგი სარგებლობს კარგის უაშითა...

190-191. და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,  
როს ძენი ჩემი ურთიერთს ბძარვენ...

198-199. ჰოა ღმერთო, ვმადლობ შენს სამართალსა!

ჰგავს, ღირსად შეეხვდი ამა სასჯელსა...

211. ნახევდა ესრეთ ის შეშფოთებულს...

274. და დავიდუმებ ჩემთ გულის-თქმათა...

281. ამ დროს აღმოჩნდა ბადრი მთოვარე...

291. როს ჯერ არ ედვა ტვირთი მეფობის...

300. მინდა, რომ ვნახო კიდევ კახეთი...

316. კამათლებითა ვითა იმღერდეს...

386. და ვჰყევართ შვილებრ ზედ შეჩვეულნი...

388. მის მშობლიურის ზრუნვის სანაცვლოდ

412. დუმილსა ჰედავს მის არე-მარე...

მეორე რედაქცია (B) არსებითად განსხვავდება პირველისაგან. ამას უძღვის შესავალი „კახთა მიმართ“, რომელიც შედგება თხუთმეტმარცვლოვანი სამი სტროფისაგან და ძირითად ტექსტში ჩართულია ხუთი ახალი ტაქტი:

101 ტაქტის შემდეგ —

ძველთაგან ასე ნაამბობია,  
 რომ ზოგჯერ ხერხი ღონის სჯობია. (101-101<sup>2</sup>).

280 ტაქტის შემდეგ —

ხოლო ქართველი მამულს ჰგლოვობდნენ (280<sup>1</sup>)

და 308 ტაქტის შემდეგ —

და მომავალმან აწ ქალაქისკენ  
 გამოიარა თავის სახლისკენ. (308<sup>1</sup>-308<sup>2</sup>).

აქ პოემა შედგება 434 ტაქტისაგან. ზოგიერთ ტაქტში შეტანილია შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებაც. აი, ეს რედაქციულად განსხვავებული საკითხები (აქ შედარებისათვის ვიყენებთ წინამდებარე გამოცემას):

10. ... ნარსულსა დროებს მოიგონებდეთ...

25-26. ქართველთა ჯართა კრწანისის მინდვრად  
 დაებანაკათ სპარსთა საომრად...

58-59. მხდალო, განგამხნევს, მხნევ, განგაღვიძებს  
 და შენ, მიჯნურო, სულს შეგიშფოთებს...

66-68. სომხოთის გმირნი ყაფლანისშეიღი

და მათ მომარცხნედ ბარათაშვილი

განუმტკიცებენ მკლავთა ქართველთა...

85-86. და უამით მოწამე სადამე ძეგლი  
 არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა...

120-122. ჰსცნა რა ირაკლიმ ესე სიმუხთლე,  
 მოყმეთა თვისთა ეზდენ სიმდაბლე,

მყისვე აღენთო ხელმწიფე-გული...

127. და მოევლინა ქართველთა ჯართა...

138. ჰოი ადგილნო, არაგვის პირნო...

159. კრიელესონის ართობს ქარვათა...

164-165. სადღა არიან აწ ესე კაცნი,

რომ არ გვალხენენ სულით მამაცნი...

182-183. აი, მის ნაცვლად მე რა მამაპყრეს

ჩემმა შვილებმა და ვინ ახარეს...

185-186. მაჟმად-ხანისა მოსისხლე სული

არ დაგვარწნარებს ამაყობითა...

189-191. ოსმალი მხოლოდ დროს შემოჰყურებს,

და მტერი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,

როს ყმანი ჩემი ერთმანეთსა ჰკვლენ...

194-199. შენი ირაკლი ის არღარა ვარ,

პატიარა კახად რაც გინახივარ,  
 მარქვი, რომელს შვილს ჰქედავ ღირსეულს,  
 რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს.  
 ღმერთო, ამაზედ მეტთა სატანჯველთ  
 ნულარ მოუვლენ საწყალთა ქართველთ!..  
 206. მას მინდა მივსცე მემკვიდრეობა...  
 220-222. სახელმწიფოსა სჯულის ერთობა  
 არარას არგებს, ოდეს თვისება  
 ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს...  
 234-235. და მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს.  
 მაშინ მან უწყის, რაც მოაგვაროს...  
 300. მინდა ვიხილო კვალად კახეთი...  
 324. მეფის გულის-თქმა ერსა ეკუთვნის...  
 331. მაშ, რამ უცვალა მას გული მყარი...  
 428-429. დიდი ხანია გულს ირაკლისა  
 გარდუნყვეტია ბედი ქართლისა.

მეორე რედაქცია უფრო სრულყოფილია შინაარსობრივად და მსატერიულად. ამასთან იგი ტაეპობრივი შედგენილობით ყველაზე რცელია. მაგრამ პოეტი არც ამ რედაქციაზე შეჩერებულა. მესამედ გადამუშავებისას ზოგი წაკითხვა უარუყვია და მათი ახალი ვარიანტები მოუცია, ზოგან აღუდგენია პირველი რედაქციის წანაკითხები.

მესამე რედაქცია (A) ბეჭდურად გამოაქვეყნეს 1922 წელს ს. ფირცხალავი და 1939 წელს ი. გრიშაშვილმა. იგი უფრო დამუშავებულია, ვიდრე წინა ორ რედაქცია. პოეტს ტექსტიდან ამოუღია ტაეპები 1011-1012, 2801, 3081-3082 და შეუცვლია ზოგიერთი ტაეპის პოეტურ ფაქტურაც. ტექსტი გაუსწორებია სტილისტურად, დაუზუსტებია რომები და ლექსისათვის საერთოდ არქაული მსატერიული სახე მიუცია. მესამე რედაქცია შედგება 429 ტაეპისაგან. მკითხველს რომ ნათელი წარმოდგენა ჰქონდა, რა ცვლილებაა შეტანილი მეორისაგან განსხვავებით მესამე რედაქციაში, შესწორებულ ტაეპებს აქვე მოვიყვანთ:

10. ... წარსულსა დროებს მოიხსენებდეთ...
- 25-26. ბატონს თვის ჯარი კრწანისის მინდვრად დაეპანაკა სპარსთან საომრად...
- 58-59. მხდალსა განამხნევს, მხნეს განაღვიძებს და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს...
- 66-68. თამაზ, ენისელთ მოურავის ძე, და იოანე, კახთ აბაშიძე, განუმტკიცებენ მკლავთა ქართველთა...
- 85-86. და არსად უამთა მოწამე ძეგლი არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა...
- 120-122. სცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა, მოყმეთა თვისთა ეზდენ დამცრობა,

მყისვე აღნიშო ხელმწიფე-გული...

127. და მოევლინა მსწრაფლ ქართველთ ჯართა...

138. ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო...

159. გა-ცა-ართობდა ქარვის მარცვალთა...

165. რომ არ გვალებენ თათბირნ მათნი...

182-183. აი, მის ნაცვლად რაი მომაპყრეს

მე ჩემთა ძეთა და ვინ ახარეს...

185-186. მაჲმად-ხანისა მოსისხლე გული

არ დაგვაწყნარებს სიამაყითა...

189-191. ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს

და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,

როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ჰებარვენ...

194-199. შენ ირაკლი ის აღარა ვარ,

პატარა კახად რომ გინახივარ.

აბა, რომელს შვილს ვხედავ ლირსეულს,

რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?

ჰო, ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად,

ნუღარ გასწირავ, ქართველთა ტანჯვად...

206. მას, მსურს, რომ მიუცე მემკვიდრეობა...

220-222. სახელმწიფოსა ერთობა სჯულის

არარას არგებს, ოდეს მის შორის

თვისება ერთა სხვადასხვაობდეს...

234-235. და მერმე ვინც ვერ განაგოს ქართლი,

მაშინ მან უწყის, რაც ჰყოს კეთილი...

300. მინდა ვიხილო კიდევ კახეთი...

324. ერსა ეკუთვნის გულის-თქმა მეფის...

331. მაშ, რამ შეშფოთნა მას გული მყარი...

428-429. დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის

გარდაიწყვიტა გულმან ირაკლის.

კითხვა ისმის: რომელი ხელნაწერი შეიცავს უკანასკნელ რედაქტორის: A ავტოგრაფი თუ B ავტოგრაფი? ამ კითხვის გარკვევა აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, თუ რომელი ხელნაწერი უნდა დაედოს საფუძვლად პოემის კანონიკურ ტექსტს. ძველ რედაქტორ-გამომცემლებს არ უცდიათ ამის გარკვევა. მეტსაც ვიტყვი: ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1945 წლის საიუბილეო გამოცემის რედაქტორია ავტორიტეტული მეცნიერის — კ. კეკელიძის ერთ განაცხადა: პოემის „რომელ რედაქტორიას მიეცეს უპირატესობა, ავტოგრაფები ვერ გადაწყვეტენ, რადგანაც მათი უმცროს-უფროსობა არ ირკვევა“ (გვ. 167) ამიტომ ს. ფირცხალავასა და ი. გრიშაშვილის გარდა ყველა რედაქტორი დაადგა იოლ გზას — ნარევი რედაქტორის შემუშავებას.

1895, 1904, 1910, 1919 წლების გამოცემათა რედაქტორებმა მესამე რედაქტორი შეაცხეს მეორე რედაქტორის ზედმეტი (1011-1012, 2801, 3081 - 3082) ტაეპებით და A ავტოგრაფი ადგილ-ადგილ შეასწორეს BC ავტოგრაფების წანაკითხებით ასე:



1895 წლის გამოცემაში B-ს მიხედვით გაასწორეს 220-222 და 234-235 ტაეპები; 1904 წლის გამოცემაში — 25, 66-67, 220-222, 234-235 და 331 ტაეპები; 1910 წლის გამოცემაში — 58-59, 138, 220-222, 234-235, 331, 428-429 ტაეპები; 1919 წლის გამოცემაში — 127, 220-222, 234-235, 331 და 428-429 ტაეპები.

მეტი სითამამე გამოიჩინა 1930 წლის გამოცემის რედაქტორმა. მან პოემას საფუძვლად დაუდი ვ ავტოგრაფი (ე. ი. მეორე რედაქტორი) და ზოგიერთი ნაკითხვა მესამე რედაქციის მიხედვით გაასწორა. ამიტომაც მისი ტექსტი ყველა გამოცემაზე პრცელია; შეიცავს 436 ტაეპს: B-ს ხუთ ტაეპს და 66-67-ე ტაეპების ორვე ვარიანტს. ამას გარდა A-ს ნანაკითხები დატოვებულია 25-26-ე და 300-ე ტაეპებში. უცნაური ვითარებაა 1945 წლის გამოცემაში. აქ პოემა ტაეპორბრივი შედგენილობით მიჰყვება B ავტოგრაფს (ე. ი. ტექსტი შეიცავს 434 ტაეპს), ნანაკითხებს კი საფუძვლად უდევს ავტოგრაფი, რომელიც ხუთი ტაეპით ნაკლებს შეიცავს. ამასთან B-დან A-ში შეტანილია 189, 206, 220-222, 234-235, 331 და 428-429 ტაეპების ნანაკითხები. აქვე ვხვდებით ერთ კურონზულ ფაქტსაც. 66-68-ე ტაეპები პირველ და მესამე რედაქციებში იკითხება ასე (AEFGH):

თამაზ, ენისენთ მოურავისძე,

და იოანე, კახთ აბაშიძე,

განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა.

მეორე რედაქციაში (B) დაცულია მათი სხვაგვარი ნაკითხვა:

სომხითის გირინ ყაფლანისშვილი

და მათ მომარცხნედ ბარათაშვილი

განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა.

თითქმის ანალოგიური სურათია 1968 წლის გამოცემაშიც.

რომელია მათგან მისაღები რედაქცია?

ამასთან დაკავშირებით, 1945 წლის გამოცემის სარედაქციო კოლეგია

პ. კეკელიძის სიტყვებით აცხადებდა: „აზრის მიხედვით ერთიც შეიძლება გამართლებულ იქნეს და მეორეც. მართლაც, მოულოდნელი არაა, რომ პოეტს აღენიშნოს ამ საბედისწერო იმში მამაცობრივი მონაწილეობა თავისი მეგვარებისა და ახლო ნათესავებისა (ორბელიან-ყაფლანიშვილები), მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ ნაწარმოებში, რომელიც საგანგებოდ კახელებისადმია მიმართული, განსაკუთრებით აღნიშნული ყოფილიყო კახთა გმირების მამაცობა. ამიტომ გამოცემაში მიღებულია პირველი ვარიანტი“ (გვ. 167-168): ეს ასეც არის: მასში შეტანილია A ავტოგრაფის ნაკითხვა (გვ. 54), მაგრამ „მთავარი შეცდომების გასწორებაში“ ნათევამია: „გვ. 54-67 ტაეპის შემდეგ უნდა დაემატოს ორი ტაეპი: სომხითის გმირი“ და ა.შ. მართლაც, შემდგომ გამოცემებში ეს ორი ტაეპი აღდგენილია. აღნიშნული გასწორებით კი უარყოფილია ის, რასაც 167-168-ე გვერდებზე იცავს სარედაქციო კოლეგიის აზრთა სხვადასხვაობით, მეცნიერულად გაუმართლებელია. ჩანს, გამომცემლებმა ვერ გაარკვეს, თუ რომელი ტექსტია პოეტის საბოლოო ნება.



A და B ავტოგრაფთა წანაკითხების არჩევისას რედაქტორები იჩინენ სუბიექტურობას. ხშირად ერთი და იგივე გამომცემელი ხან ერთ წაკითხვას ამჯობინებს და ხან მეორეს. არჩევნის საზომია ამ-რჩევის მხატვრული გემოვნება. მაგ., დ. კარიჭაშვილს 1910 წელს პოემა დაუბეჭდავს ამგვარი წანაკითხებით:

- 58-59. მხდალი, განგამხნევს, მხნევ, განგაღვიძებს  
და შენ, მიჯნურო, სულს შეგიშფოთებს (B)  
127. და მოევლინა მსწრაფლ ქართველთ ჯართა (A).  
138. ჰოი ადგილონ, არაგვის პირნო (B) —

ხოლო 1919 წელს ეს ტაეპები საპირისპირო ვარიანტებით შეუცვლია:

- 58-59. მხდალსა განგამხნევს, მხნეს განაღვიძებს,  
და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს (A).  
127. და მოევლინა ქართველთა ჯართა (B).  
138. ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო (A).  
მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე 1930 და 1968 წლების გამოცემაშიც:  
პ. ინგოროვებამ 1930 წელს უპირატესობა მისცა ამგვარ წანაკითხებს:  
10... წარსულსა დროებს მოიგონებდეთ (B).  
25-26. ბატონს თვით ჯარი კრწანისის მინდვრად  
დაებანაკა პარსთან საომრად (B).  
131. და მოევლინა ქართველთა ჯართა (B).  
195. როს ყმანი ჩემნი ერთმანეთსა ჰკვლენ (B).  
278. და დავიდუმებ მე ჩემს გულის-თქმას (B) —  
ხოლო 1968 წელს ისინი შეცეალა ამგვარად:  
10... წარსულსა დროებს მოიხსენებდეთ (A).  
25-26. ქართველთა ჯართა კრწანისის მინდვრად  
დაებანაკათ პარსთა საომრად (B).  
131. და მოევლინა მსწრაფლ ქართველთ ჯართა (A).  
195. როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ჰბძარვენ (A).  
278. და დავიდუმებ ჩემსა გულის-თქმას (A).  
ასეთი მერყეობა დაუშვებელია: უდავოა, აქ ტექსტის დადგენის პრინციპებია დარღვეული და სათანადო არ არის შესწავლილი პოემის რედაქციები და მათი ურთიერთმიმართება.

\*\*\*

ზევით აღვნიშნეთ, რომ არსებობს პოემის სამი რედაქცია. ამათ-გან პირველი რომ მეორე-მესამე რედაქციებზე ადრინდელია, ეჭვს არ იწვევს. მაგრამ რაკი პ. ინგოროვებას მოსაზრებით B ავტოგრაფი შეიცავს პოემის ყველაზე გვიანდელ რედაქციას, ხოლო პ. კეკელიძის განცხადებით არ იწვევევა A და B ავტოგრაფების უმცროს-უფროსობა, საჭიროა დადგინდეს, რომელი რედაქციაა გვიანდელი — მეორე თუ მესამე? პასუხი ერთია: ავტოგრაფი შეიცავს პოემის საბოლოო რედაქციას და კანონიკურ ტექსტად მისი წაკითხვები უნდა ვცნოთ.

## ეს ირკვევა შემდეგიდან:

1. მეორე რედაქციის შესავლის მესამე სტროფი (9-12-ე ტაეპე-

ბი) იყითხება ამგვარად:

როს თქვენებურად მამულის ღვინით გულს ახარებდეთ,  
ხელთ ჯამის მპყრობნი წარსულსა დროებს მოიგონებდეთ  
და მორიგისად სმიდეთ წინაპართ შესანდობარსა,  
მოიგონებდეთ ყარიბს მგოსანსაც, თქვენდა მბობარსა (B).

პოეტს უგრძვნია, რომ ამ სტროფში ორჯერ უხმარია სიტყვა „მოიგონებდეთ“. ამიტომ პირველი „მოიგონებდეთ“ შეუცვლია სინონიმური ცნებით „მოიხსენებდეთ“ (A). ეს ფაქტი უტყუარი მოწმობაა იმისა, რომ A ავტოგრაფი B-ს შემდეგაა გადაწერილი. მხატვრული სიტყვის ისეთი დიდოსტატი, როგორიც ნ. ბარათაშვილია, არავითარ შემთხვევაში სიტყვას „მოიხსენებდეთ“ არ შეცვლიდა ტავტოლოგიური ცნებით „მოიგონებდეთ“, რომ B ავტოგრაფი გადაწერილი იყოს A-ს შემდეგ.

2. როდესაც ერკვლე თბილისს ციხეში გამაგრდა, იმედოვნებდა, რომ მტერი საფარში მყოფ ქართველთ ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ მოლალატეებმა მტერს გზა ასწავლეს და ციხის კარებიც გაუხსნეს. ამასთან დაკავშირებით პოეტი წერს (120-122):

ჟსწნა რა ირაკლიმ ესე სიმუხთლე,  
მოყმეთა თვისთა ეზდენ სიმდაბლე,  
მყისვე აღენთო ხელმწიფე-გული... (B).

მას ამ კონტექსტში სიტყვა „სიმდაბლე“ შეუსაბამოდ მიუჩნევია, ამიტომ იგი შეუცვლია სიტყვით „დამცრობა“ და ტაეპი გაუმართავს ამგვარად:

სცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა,  
მოყმეთა თვისთა ეზდენ დამცრობა,  
მყისვე აღენთო ხელმწიფე-გული... (A).

აქ „დამცრობა“ უფრო ექსპრესიულია მოლალატის დასახასიათებლად, ვიდრე „სიმდაბლე“, რომელსაც ამპარტავნების საპირისპირო მიშვნელობა აქვს და არცთუ ისე სათაკილო ცნებაა.

3. ქართლის ბედით შენუხებული ერკვლე სოლომონს გულისტ-კვილით შესჩივის, რომ აღარ არიან ღირსეული შვილები, რომელიც კვერთხად ექმნებიან „მამულს დარღვეულს“, და მერმე ღმერთს მიმართავს (198-199):

პოA, ღმერთო, ვმადლობ შენს სამართალსა!

ჰეგავს, ღირსად შეეხვდი ამა სასჯელსა (EFG).

პოეტს არ მოსწონებია ღვთაებისადმი ერკვლეს მონური მორჩილება და ტექსტი ვედრებით შეუცვლია:

ღმერთო, ამაზედ მეტთა სატანჯველთ

ნუღარ მოუვლენ საწყალთა ქართველთ.. (B).

მას არც ეს რედაქცია მოსწონებია (ქართველთა აღიარება საწყლად, საჩოთიროდ მიუჩნევია) და სიტყვა „საწყალთ“ მთლიანად ამოულია:

პორტფოლიო, ლერნები, ამაზედ მეტად  
ნულარ განსწირავ ქართველთა ტანჯვად!... (A).

აქ უკვე ტაპებს საბოლოო სახე და ძლიერი აღქმითი ძალა  
აქვთ მიღებული, ვიდრე პირველი და მეორე რედაქციების შესა-  
ტყვის სტრუქტურებს.

4. პორტფოლიო ერეკლე მეფისა და სოლომონ მსაჯულის დიალოგს  
ამთავრებს ამგვარად (278-280).

ასე ირაკლი და მის მსაჯული  
მამულისათვის გულმტკივნეული  
ქართლისა ბედსა განსამართლებდნენ (EFGH).

მეორე რედაქციაში მას ამ ტექსტისათვის ნაუმატებია ახალი  
ტაეპი (280), „ხოლო ქართველი მამულს ჰგლოვობდნენ“ (B) — მა-  
გრამ საბოლოოდ პირველი რედაქციის ტექსტი მიუღია, ე. ი. B-ში  
280-ე ტაეპი ამოუღია. კითხვა ისმის: რატომ მოიქცა ასე ავტორი?  
— იმიტომ, რომ ეს ტაეპი უპიროსირდება ტექსტის შინაარსს და  
მხატვრულ მხარეს. მეორე რედაქციაში ერეკლე და სოლომონი და-  
პირისპირებული არიან ქართველებთან: გამოდის, რომ ქართველები  
მამულს გლოვობდნენ, ერეკლე და სოლომონი კი იყვნენ არაქართველები  
და ქართველთა მოქმედებას სჯიდნენ. თუ სტყვა „ქართველი“ ქართლელს  
ნიშავს და პორტფოლიოში უპიროსირდებს კახელებს, რა აზრი აქვს ასეთ  
დაპირისპირებას? ქართლელები თუ გლოვობდნენ აოხრებული მამ-  
ულისათვის, კახელები განა გულხელდაკრეფილი შესცემოდნენ მათ?  
განა აოხრებული თბილის არ იყო პატარა კახის სამეფო რეზიდენ-  
ცია?...“

ამ ლოგიკურ შეუსაბამობასთან ერთად B ავტოგრაფში შეინიშ-  
ნება სიტყვათა გამეორებაც: „მამულისათვის გულმტკივნეული“ და  
„მამულს ჰგლოვობდნენ“, რაც სტროფს მხატვრულ სილამაზეს უკარ-  
გავს. ყოველივე ეს კარგად უგრძევნა ნ. ბარათაშვილს და ამიტომაც  
უარყოფით ტაეპი — „ხოლო ქართველი მამულს ჰგლოვობდნენ“.

5. დილით მეცე და მსაჯული გაიყარნენ. ერეკლე კახეთში გაემგ-  
ზავრა, სოლომონი კი ქსნის ხეობისაკვენ გაეშურა. პორტფოლიო ასე აღწერს  
(305-308):

დილაზე ადრე მოვალს მსაჯული  
ქსნის ხეობაში დაფიქტებული;  
ვიდრემდის იყო შიშიანობა,  
მას აქეთ ესახლა თავის სახლობა.

მერმე B ავტოგრაფში იკითხება:

და მომავალმან ან ქალაქისკენ  
გამოიარა თავის სახლისკენ.

1945 წლის გამოცემის რედაქცია იუწყებოდა: „ქსნის ხეობაში  
მომავალი მსაჯულისათვის, რომლის ოჯახობა აქ ესახლა, ბუნე-  
ბრივი იყო გამოეარა თავის სახლში. ეს გამოვლა აუცილებელიცაა,

რადგანაც პოეტმა მსაჯული უნდა შეახვედროს თავის ცოლს სოფია-ზოგადი საზოგადოებრივი სამსახურის მათ შორის ცონბილი დიალოგი. ამ მოსაზრებით წინამდებარე გამოცემაში შემოტანილია ეს ტაეპები, მით უმეტეს, რომ მათ ადგილი აქვთ ექვს ხელნაწერში, რომელთაგან ერთი ავტოგრაფია” (გვ. 168). სოლომონი რომ ცოლს უნდა შეხვდეს, 308<sup>1</sup>-308<sup>2</sup> ტაეპების გარეშეც გასაგებია: მსაჯული დაფიქრებული მოდის ქსნის ხელბაში, სადაც შიშიანობის გამო „ესახლა თავის სახლობა“. იგულისხმება, რომ იგი უეჭველად შეივლის თავის სახლში ცოლის სანხხავად, რაკი ქსნის ხელბაში იმყოფება. მას არსად ეჩქარება. აკი ასეც მოხდა. ფიქრში გართული სოლომონი თავის სახლს მიადგა (337-340):

ამ ფიქრში იყო მსაჯული, ოდეს  
მოადგა თავის სახლისა არეს.

წინ მოეგება მას თავის ცოლი,  
სათონ სოფიო, სულისა ტოლი.

ამის შემდეგ რაღა საჭიროა 308<sup>1</sup>-308<sup>2</sup> ტაეპები?

6. ერეკლე მეუ ერთგან სოლომონს ეუბნება (273-274):

აი, მივიღებ მე შენთ რჩევათა

და დავიდუმებ ჩემს გულის თქმას (BC).

პოეტს შეუნიშნავს, რომ ამ ტაეპებში გამეორებულია ნაცვალ-სახელი „მე“. მესამე რედაქციაში 274-ე ტაეპი შეუცვლელია ამგვარ-ად: „და დავიდუმებ ჩემსა გულის-თქმას“ (A).

7. დასასრულ, ერთი ენობრივი ლაფსუსიც. პოემის ბოლოს (416-417 ტაეპებში) პოეტი ამბობს:

აღიგვსო კვალად ერთ ტფილისი,

რა მობრძანება ჰსცნეს ირაკლისი (B).

აქ დარღვეულია ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რცხვში: „ერთ... ჰსცნეს“. უნდა იყოს: „ერმან... სცნა“. ასეა გასწორებული ავტოგრაფში. ამ გასწორების შემდეგ პოეტი კვლავ უსწორო ფორმას აღარ იხმარდა, რომ B გადანერილი იყოს A-ს შემდეგ:

ყოველივე ამის საფუძველზე უნდა დავასკვნათ:

ა. A ავტოგრაფში შენახულია პოემის უკანასკნელი (მესამე) რედაქცია. ბ. კანონიკური ტექსტისათვის უსირატესობა მხოლოდ ხელნაწერს უნდა მიერიჭოს. გ. B ავტოგრაფი წარმოადგენს პოემის მეორე რედაქციას, რომლის სხვაობა ვართანტებში უნდა აღინიშნოს.

„ბედი ქართლისას“ ტექსტის ისტორია არის ბრწყინვალე და-დასტურება, თუ ნ. ბარათაშვილი როგორი გულისყურით მუშაობდა სტყვაზე და როგორი მონდომებით ცდილობდა აზრის (შინაარსის) მაღალმხატვრული ფორმით გამოხატვის. ეს ისტორია ააშკარავებს ბიოგრაფიული ცნობების სინამდვილესაც, რომ პოეტს „ბედი ქართლისა“ რამდენჯერმე დაუწერია და დიდხანს უფიქრია მის სრულყოფილ დამუშავებაზე.

### III. წერილების ავტოგრაფები და ნახევები

6. ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა თვრამეტ წერილს შეიცავს. ამათგან რვა (I, II, IV, V, VI, VIII, XI და XVIII) წერილის ადრესათია გრიგოლ ორბელიანი, ერთისა (III) — მიხეილ თუმანიშვილი, სამისა (IX, X და XII) — ზაქარია ორბელიანი I, ოთხისა (VII, XIII, XIV და XV) — მაიკო ორბელიანი და ორისაც (XVI-XVII) — ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილები. ეს წერილები დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, ლიტერატურულ მუზეუმშა და ცენტრალურ არქივში. მათი ნომრები და აღნერილობა ასეთია:

1. ავტოგრაფები V, VI, VII და XVIII წერილებისა დაცულია საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურების ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში (ფონდი 1446, №736), ძველად ინახებოდა განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდში (საქმე №9264). ყდა ისსნება დ. კარიჭაშვილის მიერ შედგენილი სიით:

1. ბარათაშვილის ლექსები, ჰ. უმიკაშვილის გადანერლი 95 გვერდზე და მოკველ ფურცელზედ უმიკაშვილის შენიშვნებით. სულ 96 პარა ოცდარვა ფურცელზედ წიგნად არს შეკრული;

2. ბარათაშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანთან მაისის 28, 1841 ნ. ტფილისთვანი (ორი ფურცელია ფოშტის პატარა თაბაზზე);

3. მასთანვე ოქტომბრის 18, 1841 ნ. ტფილისთ (დიდი ფოშტის თაბაზის ორი ფურცელი);

4. მასთანვე მაისის 2-ს, 1842 ნ. (ორი ფურცელი ფოშტის თაბაზი);

5. მასთანვე 21 ავგустა 1843, თიფლის (ფოშტის დიდი თაბაზის ორ ფურცელზე).

6. ნახვარი ქალალდი დიდი ფოშტის ქალალდისა, ერთი ფურცელი, წერილის ბოლოა ლექსით „საფლავი ივერიისა“, გრიგოლ ორბელიანთან მნიშრილია.

7. ბარათაშვილის წერილი ზაქარია ორბელიანთან რუსულად, პატარა ფოშტის ქალალდზე; 1844 ნ. აპრილის 15, ტფილისით.

8. მასთანვე, რუსულად და ქართულად ფოშტის პატარა ქალალდზე, ორ ფურცელზე; 1844, მაისის 10, ტფილისით (ყვითელ ქალალდზე).

9. წერილი მასთანვე ფოშტის პატარა თაბაზზედ, ორ ფურცელზე ქართულად (უნდა იყოს აგვისტოს 1844 წლისა).

10. წერილი ბარათაშვილისა მიხეილ თუმანიშვილთან რუსულად 6 ავგустა, 1838 წ. იზ თიფლისა, კოპორა გადანერლი, ნამდვილი აქვს გიორგი თუმანიშვილს (მიხეილ ბირთველისის შვილს). ჩემი ნანერი კოპორა, საწერ ქალალდის ნახვარ თაბაზზე; სამ პრზება.

11. წერილი ლევან მელიქშვილისა გრიგოლ ორბელიანთან ბარათაშვილის სკვდილზე ფოშტის დიდ თაბაზზე, ორივე ფურცელზე რუსულად, «19 იანვარი, 1846 წელი, თიფლის».

ამ სიის მიხედვით, ამჟამად 6. ბარათაშვილის ლექსების უმიკაშვილისეული კრებული გამოყოფილია ცალკე ერთეულად (ცა ფ. 1446, №820), წერილები (2, 7, 8, 9) გრიგოლ და ზაქარია ორბელიანები—სადმი დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში (მათი აღნერილობა იხ. ქვემოთ), ლევან მელიქშვილის წერილი კი — ხელნაწერთა ინსტიტუტში, გრ. ორბელიანის არქივში №124. სხვა

დანარჩენი ავტოგრაფები ინახება საქმეში. ესენია:

ა. წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი „წელსა 1841, ოცტომბრის 18-სა, ქ. ტფილისით“, ავტოგრაფი (2ფ. 22X17 სმ, ფ. 3r-4r).

ბ. მასვე „მაისის 2-სა დღესა, 1842 წელსა“, ავტოგრაფი (2ფ. 22X17,5 სმ, ფ. 5r-5v).

დედანი ნასწორებია პოეტის მიერ. ერთგან წერებულა: „Он теперь предметом всеобщих тольков и рассказов“, აქედან უკანასკნელი სამი სიტყვა წაშლილი და გასწორებულია არსებული წაკითხვით. ამას გარდა, აქვე ფრაზის — „тогда я родился в 1841 году“ მისა ამ ტყვეობით არა უშავს რა-ს შემდეგ ჯვარედინი ხაზებით საგულდაგულოდაა წაშლილი ოთხი სტრიქონი. პირველნაბეჭდსა და ყველა გამოცემაში წაშლილი სტრიქონები წყვეტილი ხაზებითაა დაბეჭდილი. პ. ინგოროვა ფიქრობს, რომ აქ ცენზორის მიერ უნდა იყოს ამოღებული რაღაც პილიტიკურად მიუღებელი ტექსტი (ნ. ბარათაშვილის, თხზულებანი, 1968, გვ. 177 და 244-247), მაგრამ ეს მოსაზრება არ მართლდება. სიტყვები ავტოგრაფშივეა წაშლილი თვით პოეტის მიერ წერის დროს. წაშლილი ტექსტი ნაწილობრივ იკითხება (იხ. აქვე, გვ. 116).

გ. მასვე „21августа, 1843, Тифлис“, ავტოგრაფი (2 ფ. 25X19,5სმ, ფ. 7r-8v).

დ. მასვე წერილის ფრაგმენტი ლექსით „საფლავი მეფის ირაკ-ლისა“, ავტოგრაფი (I ფ. 21X19სმ, ფ. 9r-v). დანერილია 1842 წელს.

აქვეა დაცული: 1. ნ. ბარათაშვილის წერილი მიხეილ თუმანიშვილისადმი „6-20августа, 1838 г. Тифлис“, ორი ასლი — ერთი გადაწერილია დ. კარიჭაშვილის მიერ (ფ. 10r-11v), მეორე — პ. უმიკაშვილის მიერ (12r-13r). 2. ილია ორბელიანის წერილი გრ. ორბელიანისადმი „1845 წელსა, ნოემბრის 29-ს დღესა, ტფილის“, ავტოგრაფი (14r-15v) და ასლი (16r-v), 3. პოეტის დედის ეფემიას წერილი გრ. ორბელიანისადმი, ავტოგრაფი (18r-19v) და ასლი (20r-v), 4. მელიტონ ბარათაშვილის წერილი გრიგოლ იორბელიანისადმი „წელსა 1837-სა, მარტის 1-სა, ქ. ტფილისით“, დანერილი ნ. ბარათაშვილის ხელით (21r) და ეფემიას წერილი გრ. ორბელიანისადმი, ავტოგრაფი (21v) და ასლები (23r-v).

აღნერილი ავტოგრაფები ხელთ ჰქონდათ ე. თაყაიშვილსა და დ. კარიჭაშვილს 1895 წელს, როდესაც ისინი ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემას ამზადებდნენ, მაგრამ მერმე დაიკარგა. ისინი 1945 წელს გამოავლინა შ. ჩხეტიამ. მათი შემცველი ტექსტები 1922, 1939, 1945 და 1968 წლების გამოცემებში დაბეჭდილა პ. უმიკაშვილის მიერ გადაწერილი პირების მიხედვით (S4911). პ. ინგოროვა ამ ავტოგრაფებს დაკარგულად თვლის.

2. პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია იმ ოთხი (IV, IX, X და XII) წერილის ავტოგრაფები, რომლებიც დასახელებული აქვს დ. კარიჭაშვილს ზემოთ დამოწმებულ სიაში. ესენია:

ე. წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი „წელსა 1841-სა, მაისის

28-სა დღესა, ქ. ტფილისი“ (№16399, 2 ფ. 21,5X12,5).

3. წერილი ზაქარია ორბელიანისადმი, „წელსა 1844-სა, აპრილს 15-სა, ქ. ტფილისით“ (№16400, 2 ფ. 20X13სმ).

ზ. მასვე „წელსა 1844-სა, მაისის 10-სა, ქ. ტფილისით“ (№16401, 2 ფ. 21,5X13სმ).

À. მასვე უთარილო წერილი, რომელიც დაწერილი უნდა იყოს 1844 წლის სექტემბრის დასაწყისში (№ 16402, 2 ფ. 21,5X13,5სმ). პოეტი ახალი შთაბეჭდილებით მოუთხრობს ზაქარიას კატოს გათხოვების ამბავს, რომელიც მოხდა იმავე წლის აგვისტოში, პეტრე-პავლობას.

ეს ოთხვევე წერილი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, 1945 წელს აღმოჩინა ქუთაისში კ. მეძველიამ. 1968 წლის 12 თებერვალს მკვლევარმა წერილობით მაცნობა შემდეგი:

„ამ საუკუნის 30-იან წლებში ქუთაისში ცხოვრობდა ცნობილი პედაგოგი, ლათინური ენის მასწავლებელი მიხეილ ჩინჩალაძე. მის ოჯახში, გამ. „ცნობის ფურცელის“ აკინძულ ნომრებში იყო ჩადებული ეს წერილები. შემდეგ მისი ვაჟისაგან — მიხეილ მიხეილის ძე ჩინჩალაძისაგან (რომელსაც უსწავლია ლენინგრადის უნივერსიტეტში 6. მართან) შევიძინე. რაკი ეს დედნები იყო, შევადარე დაბეჭდილ ტექსტს და კომენტარებით დავბეჭდე 1945 წლის 23-ე ნომერ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“. ამის შემდეგ, როგორც ძვირფასი უნიკალური დოკუმენტი გადავეცი ლიტერატურულ მუზეუმს, რომლის დირექტორი იყო მაშინ დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულით შემხვდა ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების წარდგენისათვის“.

ეს წერილები აღნერილია ჩემ მიერ 1949 წელს.

3. ავტოგრაფები III, VII, XIII, XIV და XV წერილებისა დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში S 2484-ით. სულ 9 ფურცელია; სხვადასხვა ზომისა და ფერის ქაღალდები ერთადაა შეკინძული კოლენკორ-გადაკრულ მუყაოს ყდაში. წერა-კითხვის გამაზრულებელ საზოგადოებას შესწირა III წერილი გ. თუმანიშვილმა, დანარჩენი ოთხი კი — ელისაბედ გრიგოლის ასულმა საგინაშვილმა (ილია ჭავჭავაძის დამ) (1r). ყდაში ინახება:

თ. წერილი მაიკო ორბელიანისადმი „წელსა 1842-სა, ოქტომბრის 31-სა, ქ. ტფილისით“ (10r-11v).

ი. მასვე „9-სა თებერვალს, 1845, ქ. ნახერევანით“ (12r-13v). ამ წერილის თარიღზე იხ. ჩემს წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (1968, გვ. 87-90).

ია. მასვე „10-სა აგვისტოს, 1845, მურუტს“ (14r-v).

იბ. მასვე უთარილო წერილი (მოცისფრო ქაღალდი, ფ. 15r-v). პირველად დაიბეჭდა „კრებულში“ (1873, №1). ამ პირველნაბეჭდს მინერილი აქვს მცდარი თარიღი: „9-ს დეკემბერს 1845 წ.“. პოეტის თხზულებათა მესამე (1886 წ.) და მეოთხე (1890წ.) გამოცემებშიც იგი ამავე არასწორ თარიღით გამოქვეყნდა. შეცდომა გაასწორეს 1895 წელს, როდესაც 6. ბარათაშვილის თხზულებათა კრებული დაიბეჭ-

და ე. თაყაიშვილისა და დ. კარიჭაშვილის რედაქციით. გამოცემის შენიშვნებში ნათქვამია: ეს წერილი უთარილოა, მაგრამ „იგი როგორც ჩანს შინაარსითგან, დაწერილია ნახევრანში 1845 წ. 9 თებერვლის შემდეგ პოეტის ტფილისს დაბრუნებამდე“ (გვ. 120). ესვე შენიშვნა იყოთხება 1910 წლის გამოცემაშიც (გვ. XIV). საყურადღებოა, რომ საბჭოთა პერიოდის სამი დიდი გამოცემის რედაქტორ-კომენტატორები (ს. ფირცხალავა და ა. განერელია) იზიარებენ ამ პარათის კარიჭაშვილისეულ დათარიღებას (1922, გვ. 164; 1939, გვ. 107; 1945, გვ. 114).

იგ. წერილი მიხეილ თუმანიშვილისადმი „6 ავგустა, 1838 წ. თифლის“ (17r-v).

ამ ავტოგრაფებთან დაცული ყოფილა ლევან მელიქიშვილის წერილი გრ. ორბელიანისადმი, დათარიღებულია 1846 წლის 19 იანვრით, მაგრამ ახლა იგი გადატანილია გრიგოლ ორბელიანის პირად საარქივო ფონდში (№124).

4. იმავე ინსტიტუტის ფონდში 419 №-ით დაცულია ორი ავტოგრაფი XVI-XVII წერილებისა, რომლებიც ადრე ინახებოდა A ფონდში 1718-ით იღია ჭავჭავაძის მიმოწერასთან ერთად. წერილების აღმომჩენი — გრ. აბაშიძე სამართლიანად ფიქრობს, რომ რაკი „იღიას და საგინაშვილის მეუღლე იყო, ამიტომ საფიქრებელია წერილი საგინაშვილების ოჯახიდან გადაეცა იღიას, რომლის პირად არქვეშიაც იგი დღეს ინახება“. წერილები დაწერილია მხატვრულ არშიან ქადაღდზე (ფ. 20X12სმ); პირველს უჭირავს სამი გვერდი, მეორეს — მეოთხე გვერდი.

იდ. წერილი ბაბალე საგინაშვილისადმი „23 აგვისტოს, მურუტი“ (1r-2v).

იე. წერილი ალექსანდრე საგინაშვილისადმი იმავე 23 აგვისტოს (23).

პოეტი 1845 წლის 21 ივნისიდან სიკვდილამდე იმყოფებოდა განჯასა და მურუტში. რაკი ეს ორვე წერილი დაწერილია 23 აგვისტოს მურუტში, ცხადია, მათი თარიღია 1845 წლის 23 აგვისტო.

5. საქართველოს ცენტრარქტივის განსაკუთრებულ საქმეთა ფონდში (№171, 85 რ) 1832 წლის შეთქმულთა მასალებს შორის 1935 წელს ა. განერელიამ აღმოაჩინა 6. ბარათაშვილის რუსულად დაწერილი წერილი გრ. ორბელიანისადმი. ავტოგრაფი შეიცავს 2 ფურცელს; ტექსტი დაწერილია პირველ გვერდზე, მეორე-მესამე ცარიელია, მეოთხეზე ანერია მისამართი.

ივ. წერილი გრ. ორბელიანისადმი, დაწერილი 1831 წლის 3 სექტემბერს (ფ. 79-80).

ბარათს თარიღი არა აქვს. დაწერის დრო ირკვევა მელიტონ ბარათაშვილის წერილიდან, რომელიც დათარიღებულია 1831 წლის 3 სექტემბრით (ა. განერელია, რჩეული ნანერები, I, გვ. 545-548).

6. ავტოგრაფები II და XI წერილებისა დაკარგულია. ქვეყნდება პრველნაბეჭდის მიხედვით („დროება“, 1885, №114).

იზ. წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, „ტფილის, გარეთუ-

ბანი, 1837-სა წელსა, თებერვლის“...

იპ. მასვე „წელსა 1844, მაისის 23-სა, ქ. ტფილისით“.

7. ამ ძირითად დედნებს გარდა ხელნაწერთა ინსტიტუტში S4911-ით დაცულია პ. უმიკაშვილის მიერ გადანეროლი ასლები წერილებისა: IV (ფ. 16r-v), V (ფ. 17 r-18r), VI (ფ. 18v-19v), VIII (ფ. 20r-22v), IX (ფ. 27r-28r), X (28r-v), XII (ფ. 25r-26r), XVIII (ფ. 24). მათ უძღვის სათაური: „სალიტერატურო ისტორიის მასალა. ბარათაშვილის წიგნები“. ხელნაწერს ატყვევია სტამბის ლაქები. ორ ადგილას მინეროლია: „პირველი კორექტურა მაჩვენე“ (26r, 34r). ჩანს, ასლები დამზადებულია პუბლიკურის მიზნით, ოღონდ სხვადასხვა დროს: IV, V, VI, VII და XVIII წერილებისა — 1873 წლის თებერვალ-მარტში (მათს დაბეჭდვამდე), ხოლო IX, X და XII წერილებისა თარგმანებითურთ 1893 წლის დასაწყისში.

წლების განმავლობაში, როდესაც ამ წერილების დედნების ადგილსამყოფელი არ იყო ცნობილი, მათი ტექსტები ქვეყნდებოდა პ. უმიკაშვილის გადანაწერი პირების მიხედვით, მაგრამ ახლა მათ მხოლოდ ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობალა შერჩათ, რადგანაც ყველა მითითებული წერილის დედნები უკვე აღმოჩენილია და, ცხადია, ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პუბლიკურის დროს ამ უკანასკნელთ მივანიჭეთ უპირატესობა. სამაგიეროდ, ფრიად მნიშვნელოვანია პ. უმიკაშვილის შენიშვნები, რომელიც დართული აქვთ წერილების პირებს. მაგ., XVIII წერილში ჩართულია ძვირფასი ცნობა ნ. ბარათაშვილის ლექსების პირველნაბეჭდთა წყაროების შესახებ. ასევე საყურადღებოა კომენტარები წერილებში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა და გეოგრაფიულ სახელთათვეს და სხვა. ერთი კომენტარი („სენატორს გიორგი ერისთავს ქართლში გიორგი კრიზს ანუ უფრო შემოქლებით „კრიზს“ უნოდებდნენ. მისი ასული ქეთევანი მამუკა ორბელიანის მეუღლე“), რომელიც ერთვის XII წერილის ფრაზას „კრიზს ძალიან კარგად დაგვიხვდა“ (25r), 1945 წლის გამოცემაში შეცდომით მიეწერება ნ. ბარათაშვილს (გვ. 90), მაშინ როდესაც ხელნაწერსა და ნაბეჭდ გამოცემაში აღნიშნულია, რომ იგი პ. უმიკაშვილს ეკუთვნის.

კომენტარები მოკლეა, მაგრამ საყურადღებოა, რამდენადაც მათში თავმოყრილი ცნობები სწორი და სანდოა. პ. უმიკაშვილი ცდილობდა ბუნდოვან საკითხთა გარკვევას. მაგ., XVIII წერილის თაობაზე იგი შენიშნავს: „ეს ცალ ფურცელზე იყო ნაწერი. წელიწადი არა არის დანიშნული (უნდა ვიკითხო გრიგ. ორბელიანთან)“. ასეთი მინაწერის შემდეგ გასაგები უნდა იყოს, რომ პ. უმიკაშვილი საკომენტარო ცნობებს ჰკრეცდა ნ. ბარათაშვილის მეგობარ-ნათესავებისაგან.

#### IV. მთარგმანები

6. ბარათაშვილს კალამი მთარგმნელობით ლიტერატურაშიც უცდია. მთარგმნელობა მას დაუწყია გიმნაზიის სკამიდან, როდესაც იგი ხელნაწერი უურნალის „თბილის გიმნაზიის ყვავილის“ თანამშრომელი

გამხდარი. ამ უურნალის მიზანდასახულობას შეადგენდა „развитие и умственные способности учащихся“. ამტომაც გამოცემაში მონაბილეობას იღებდნენ სამწერლო ნიჭით დაჯილდოებული მონაფები, რომელთა შორის თავი გამოუჩინა 6. ბარათაშვილს. პოეტი ვარჯიშობდა რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულზე თარგმნაში. ამ საქმეში იგი ისე განაცულა, რომ 1841 წლის 28 მაისს გრიგოლ ორბეგიანის სწერდა: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვთა: ყიფიანმა გადმოთარგმნა რომეო და ქართული შეერლის იოპან ლაიზევიცის (1752-1806 წ.) დრამა „იულიუს ტარენტელი“, რომელიც დაბეჭდილა „Библиотека для чтения“-ს 43-ე ტომში (გვ. 1-66). პოეტი 1841 წლის 28 მაისს გრიგოლ ორბეგიანის სწერდა: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვთა: ყიფიანმა გადმოთარგმნა რომეო და ქართული შეერლის ტრალედია, და მე ვთარგმნე იული ტარენტელი — ტრალედია ლეიზევიცისა. თუ ნაგივითხავს, ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი. მე ძალიან მომენტონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯვე, იტირეს“. ეს თარგმანი დაკარგულია, რის გამოც მის ლირსებაზე არაფრის თქმა არ შეგვიძლია. სამაგიეროდ, ჩვენს სიძველეთსაცავებს შეუნახავს 6. ბარათაშვილის ორი ყრმობისდროინდელი თარგმანი: „შესხმა აგრიკოლასი“ და „Плач Шахро по Виси“. პირველი თარგმნილია რუსულიდან, მეორე — ქართულიდან. განვიხილოთ ორივე ცალ-ცალკე:

1. „შესხმა აგრიკოლასი“ დაცულია ავტოგრაფის სახით აკად. კ. კეცელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში, №3157 (I ფ. 22X13, 5სმ). ხელნაწერი შავი ეგზემპლარია (ნასწორებია აქა-იქ); აქვს ვრცელი სათაური „შესხმა აგრიკოლასი სასახელისა რომელთაშია მედართადმი თვისთა უწინარეს იმისა ბრიტანთა თანა“, რომლის ქვეშ ზ. ჭიჭინაძის მიერ მინერლია: „6. ბარათაშვილის ნაწერი დამრჩა ლ. ისარლოვისაგან. მონაფეობის დროს დაუწერია და სხვაც ამგვარი მრავლად. ზ. ჭ.“.

ქართული თარგმანი წარმოადგენს ფრაგმენტს რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის თხზულებისას „ცხოვრება აგრიკოლასი“; შეიცავს ცნობილი მხედარომთავრის აგრიკოლას (37-93 წწ.) მიერ მხედართა წინაშე წარმოთქმულ სიტყვას. აგრიკოლა დიდი ორატორობით ამხნევებს ლაშქარს ბრძოლის წინ და მხედრებს მოუწოდებს თვედადებული ბრძოლისაკენ. ტექსტი თარგმნილია რუსულიდან.

6. ბარათაშვილის დროს „აგრიკოლას ცხოვრება“ რუსულად უკვე თარგმნილი იყო და ცალკე ნიგნადაც გამოცემული, იგი ვერ ფრანგულიდან უთარგმნია ივანე გორინს, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ — ლათინურიდან თვედორე პოსტელოვს. რუსულად არსებულა „Речь Галакала к Британцам перед сражением, которое они намерены были дать Римлянам под предводительством Агриколы“, რომელიც ამოლებულია ტაციტუსის დასახელებული თხზულებიდან. უნდა ვიფიქროთ, რომ აგრიკოლას სიტყვაც, რომელიც 6. ბარათაშვილს უთარგმნია რუსულიდან, ჰალკა კრას სიტყვის მსგავსად, ალბათ, ცალკე იყო დაბეჭდილი. ყოველ შემთხვევაში „შესხმა“ პოეტს შეეძლო წაეკითხა „აგრიკოლას ცხოვრების“ ზემოთ დასახელებულ ორ თარგმანში.



2. „Плач Шахро по Виси“ დაცულია ხელნაწერად იმავე ინსტუტის  
ხელნაწერთა ფონდში — მიხეილ თუმანიშვილის არქივში №-ით  
(ძველი №572). ეს ხელნაწერი შეიცავს უურნალს „Цветок Тифлисской  
гимназии“ (№2, 1836 წლისა). თარგმანი მოთავსებულია „საზღვარგა-  
რეთული ლიტერატურის“ განყოფილებაში (ფ. 34r-36r). ტექსტი წარ-  
მოადგენს ქართული „ვისრამიანის“ 36-ე თავის შემოკლებულ თარგ-  
მანს, რომელიც წყდება სიტყვებით: „ვაი, ჩემო ვიხო, დედის იმედი,  
რად გშობე მზე უამსა სიბერისასა...“

თარგმან ხელმოუწერელია. მხოლოდ ტექსტის ბოლოს ქართუ-  
ლად მიწერილია „თხზულება სერგის თმოგველისა“, რომელიც ეკუთვნის  
მ. თუმანიშვილს. რვეულის ყდაზე სათაუროს ქვეშ კალიგრაფიულად  
წერა:

„Цветок опыты в стихах и прозе учеников VII класса Тифл. гимназии кн. И.  
И.Андроникова, кн. М. А. Бебутова, Е. М. Вилемса, Графа Горского ( მ.  
თუმანიშვილი, ი. ლ.), А. К. Монастырского, И. А. Титкова и М. Ш.  
Чекониева“ (14r).

ამ გვარებს შორის ნ. ბარათაშვილი არ არის დასახელებული,  
რის გამოც მეორე რვეულის მიხედვით გაურკვეველია, თუ ვინ უნდა  
იყოს „ვისრამიანის“ ნაწყვეტის მთარგმნელი. ამის შესახებ არაფერია  
ნათქვამი თარგმანის ზედნარჩერილშიც. მაშ, რა ვიცით მთარგმნელ-  
ის ვინაობის შესახებ?

1937 წელს მოყვანილ თარგმანს საგანგებო ყურადღება მიაქცია  
მკვლევარმა ა. განერელიამ. მან გამოაქვეყნა ნარკვევი „წიკოლოზ  
ბარათაშვილი — თბილის გიმნაზიის უურნალის თანამშრომელი“  
და გამოავლინა უცნობი მასალები ნ. ბარათაშვილის ყრმობისდროინდელ  
ნაწერებზე. კერძოდ, ის დაინტერესდა „თბილის გიმნაზიის ყვავი-  
ლის“ მესუთ ნომრის ბოლოს დართული, ხუთივე რვეულის ზანდუ-  
კით. იქ მან ამოკითხა შემდეგი:

1. „Письмо из деревни“, кн. Николая Баратова“ (129v),
2. „Отрывок из грузинского романа «Висрамиани», кн. Николая Баратова.  
Еще отрывок из «Висрамиани», Графа Горского“. (130r),
3. „О Папской власти: 1. О возвышении папизма, 2. О падении его, кн.  
Николая Баратова“ (130v).

ამის მიხედვით ა. განერელიამ დაასკვნა, რომ ნ. ბარათაშვილის  
კორესპონდენცია „Письмо из деревни“ და ისტორიული ნარკვევი „О папской  
власти“ დაკარგულია, ხოლო „Цветок“-ის მეორე რვეულში დაცული  
ნაწყვეტი „Плач Шахро по Виси“ თარგმნილია ნ. ბარათაშვილის მიერ  
(გვ. 555-557).

ეს მოსაზრება სადათ გახადა მ. თუმანიშვილმა (ხელთუბნელმა)  
ნერილში „თბილის ახალგაზრდობის ლიტერატურული წრე ას  
წლის ნინათ“ (1937წ.). მან „ვისრამიანის“ თარგმანის მოლწეული ფრაგმენტი  
მიაკუთვნა გრაფ გორგავის (მიხეილ თუმანიშვილს), ბარათაშვილის  
თარგმან კი დაკარგულად სცნო იმ მოტივით, რომ თარგმანი ხელ-  
მოუწერელია და ამასთან მეორე ნომრის გარეკანზე ნ. ბარათაშვილი

მოხსენიებული არაა. ეს მართლაც თითქოს მისაღები დებულების უნდა იყოს, მაგრამ მ. თუმანიშვილს აკინტყდება ერთი გარემოება, რომ ნ. ბარათაშვილი არ შეიძლება „ვისრამიანის“ ავტორად გამოცხადებულიყო, რადგანაც ნაწყვეტის სათაურში აღნიშნულია „Соч. С. Тимофеев“. ამასთან, რაკი თარგმანი დაუმთავრებელია, სავარაუდოა რედაქტორს მთარგმნელის ვინაობა არ მიეწერა ნიკეტილი ხაზების შემდეგ, მაგრამ როდესაც მან „Цветок“-ის ხუთივე ნომერს საერთო ზანდუკი გაუკეთა, მაშინ აღნიშნა, თუ პირველი ნაწყვეტის მთარგმნელი ვინ იყო. ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, ერთი რამცხადია: პირველი ნაწყვეტის მთარგმნელი ყოფილა ნ. ბარათაშვილი, მეორისა კი — მ. თუმანიშვილი. ა. განერელია, ა. ბარამიძე და დ. რამიშვილი სამართლიანად ფიქრობენ, რომ „Плач Шахро по Виси“ არის სწორედ პირველი ნაწყვეტი. ამას ადასტურებს ტექსტისა და ზანდუკის სათაურთა სიტყვა-სიტყვითი დამთხვევა (ორივეგან წერია: „Отрывок из грузинского романа «Висрамиани»“). რაკი ტექსტს ბოლოზე წყვეტილი ხაზები აქვს მიწერილი, ივარაუდება, რომ მოსალოდნელია მისი გაგრძელება, რომელიც ზანდუკში აღნიშნულია „еще отрывок“-ით.

განხილული ორივე თარგმანი („შესხმა აგრიკოლასი“ და „Плач Шахро“) მნიშვნელოვანია ნ. ბარათაშვილის ყრმობისდროინდელი სამწერლო საქმიანობის შესასწავლად. მთარგმნელი დედნებს რამდენადმე თავისუფლად ეცყრობა: ძნელოვან ფრაზებს ამოკლებს ან ასხვაფრებს და ტექსტში პრთავს ორიგინალისათვის უცხო ფრაზებსა და ტერმინებს, მაგრამ თარგმანებში ნაპოვნია ორატორული მეტყველებისათვის დამახასიათებელი სტილი, რომელიც მაღალმხატვრულ სახეს არიჭებს ორიგინალებს.

#### V. წინამდებარე გამოცემისათვის

რეკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა გამოიცა 1922 წელს. ამ გამოცემის ჩათვლით, დღემდე გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ხუთი კრიტიკული გამოცემა, მათ შორის სამი აკადემიური ხასიათისა.

კერ კიდევ 1915 წელს პოეტის დაბადების ას წლისთავის საიუბილეო მზადების პერიოდში ქართველ მოღვაწეთა შორის წარმოიშვა აზრი, რომ მომზადებულიყო მისი თხზულებების აკადემიური გამოცემა. საამისოდ შედგა სარედაქციო კოლეგია, რომელმაც შეიმუშავა გამოცემის პროექტი. 1916 წელს პერსაში გამოცხადდა ასეთი შინაარსის უწყებაც:

გზადდება დასაბეჭდად ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და წერლების სრული აკადემიური გამოცემა სურათებით. გამოცემაში დაიბეჭდა სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი სულ მცირე განსხვავებაც დანარჩენი ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება კრცელი ბიოგრაფია და წერლები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ ს. გორგაძის, ნ. დუბრივსკის, ი. მეუნარ-

გიას, დ. უზნაძის. გარდა ამისა თითოეულს ლექსს ექნება უკავშირის ლებითი ისტორიული და ბიბლიოგრაფიული განმარტება. წიგნი შემცირებული იქნება სამოცხე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებული არიან 6. ბარათაშვილის ლექსებსა და ნერლებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით. სარედაქციო კოლეგიაში მონაწილეობას იღებენ: კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედეგვანიშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ვეზირიშვილი, ნ. ერისთავი, გ. ლასხიშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. უურული, დ. შევარდნაძე, ს. ფირცხალავა. წიგნი გამოვა დაახლოებით (1917 წლის) თებერვლის დამლევს. ხელის მოწერა დაიწყება დეკემბრის პირველიდან“ („სახალხო ფურცელი“, 1916, №729).

წიგნი დათქმული დროისათვის ვერ გამოქვეყნდა. მას დაუგვიანდა ხუთი წელი. ბოლოს, 1922 წელს ს. ფირცხალავას რედაქციონ მკითხველმა მიიღო 6. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა, რომელიც თავისი შეცნიერული ღირებულებით დღესაც კი სანიმუშოდ შეიძლება ვცნოთ. თხზულებათა ტექსტს საფუძვლად უდევს 6. ბარათაშვილის ის ავტოგრაფები, რომლებიც 1887 წელს აღმოაჩინა პეტერბურგში ე. თაყაიშვილმა. სხვა ავტოგრაფების ნაკითხვები ნაჩვენებია ვარიანტებში. ტექსტს უძლვის ი. მეუნარგიას ნარკვევი „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ და ერთვის ე. თაყაიშვილის „6. ბარათაშვილის ავტოგრაფები“, ს. ფირცხალავას „ვარანტების განსხვავება და განმარტებანი“, გ. ჯავახიშვილის „6. ბარათაშვილის ნინამორბედნი ჩვენს მწერლობაში“, გ. ქიქოძის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, დ. უზნაძის „6. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“, ს. გორგაძის „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა (საზომი, მუხლი, მახვილი, რითმი)“, 6. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემების ბიბლიოგრაფია, პოეტის პორტრეტისათვის და ბიოგრაფიული მასალები. წიგნი შემცულია ილუსტრაციებითა და ფაქტობრივი ლითოგრაფიული ნაბეჭდებით.

1930 წელს გამოქვეყნდა 6. ბარათაშვილის სრული ნაწერების მორიგი კრიტიკული გამოცემა პ. ინგოროვას რედაქციით. მას ნამდევვარებული აქვს ცნობა: „6. ბარათაშვილის ნაწერების ტექსტი, მოთავსებული ნინამდებარე გამოცემაში, შედარებულია და დადგენილი ყველა არსებული ხელნაწერი მასალის მიხედვით“, ხოლო ერთვის რედაქციულად განსხვავებული ვარიანტები, ყრმობისდროინდელი ლექსები და სახუმარო გაკამათება ბარათაშვილის, მიხ. ორბელიანის, ელენე ერისთავისა და მარამ ფალავანდიშვილისა. ძირითად ტექსტს საფუძვლად უდევს ის ავტოგრაფები, რომლებიც ცნობილია ვეზირიშვილისეული ვარიანტით, მაგრამ ნანაკითხები ადგილად გამოცემაში არაფერია ნათქვამი).

1939 წელს დაიბეჭდა პოეტის თხზულებათა მეორე აკადემიურ გამოცემა, რომლის ტექსტი მეცნიერული ღირებულებებით ყველა გამოცემაზე მაღლა დგას. ლექსები მომზადებულია დასაბეჭდად ი.

გრიშაშვილის მიერ. მას საფუძვლად უდევს თაყაიშვილისეული (A)ვაკისათვის როანტი. უძღვის პ. ინგოროვას ბიოგრაფიული ნარკვევი „ნ. ბარათაშვილი“ და ერთვის ა. განერელიას კომენტარები წერილებისა, ი. ბალახაშვილის შენიშვნები „ტექსტისათვის“, ს. ჯანაშიას „ბარათაშვილთა გენეალოგისათვის“, ლ. ასათიანის „ნ. ბარათაშვილი და პოლონელი პოეტი ზაბლოცკი“, ა. შანიძის „ბარათაშვილის ენა“, გ. ნადირაძის „ნიკოლოზ ბარათაშვილი და იორან ლაიზევიცი“, ი. გრიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლების წერილები“. 1945 წელს მკითხველმა მიიღო ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ახალი კრიტიკული ტექსტი, რომელიც გამოსაცემად მომზადდა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: ი. გრიშაშვილი, პ. ინგოროვა, კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, გ. ქექიძე, ს. ჩიქოვანი და ს. ჯანაშია. ტექსტს საფუძვლად უდევს ვეზირიშვილისეული და გრ. ორბელიანისეული ავტოგრაფების დედნები, ხოლო ზოგიერთი ტაეპი ნასწორებია სხვა ვარიანტების მიხედვით. მას უძღვის პ. ინგოროვას ნარკვევი, ერთვის გ. აბზიანიძისა და ა. განერელიას კომენტარები, ს. ყუბანევიშვილის „ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ხელნაწერები და გამოცემები“; ს. ყუბანევიშვილის, გ. იმედაშვილისა და თ. ჭყონიას მიერ ამონერილი ვარიანტები, ვ. ბერიძისა და ს. იორდანიშვილის „ლექსიკონი“ და პ. კეკელიძის განმარტება „გამოცემისათვის“. წიგნის რედაქტორია კ. კეკელიძე.

ოთხივე აღნერილი გამოცემის წყაროა ნ. ბარათაშვილის ხელნაწერი მემკვიდრეობა (ავტოგრაფები და ნუსხები). თუ წინა სამი გამოცემა ნაწილობრივ ეყრდნობა ავტოგრაფებიდან გადაწერილ ნუსხებს, უკანასკნელი ასახავს არაავტოგრაფიული კრებულების პალეოგრაფიულსა და ტექსტოლოგიურ სურათსაც. გამოცემის ბოლოსხტყვაში კ. კეკელიძე წერს: „ტექსტზე მუშაობას საფუძვლად უნდა დადებოდა, თავისთავად იგულისხმება, პოეტის ნაწარმოებთა ხელნაწერების უშუალოდ შესწავლა, არა მარტო ავტოგრაფებისა, არამედ სხვების მიერ სხვადასხვა დროს გადმოღებული ნუსხებისაც. უკანასკნელთა შესწავლა და წაკითხვა საჭიროდ იქნა მიჩნეული იმიტომ, რომ ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს თუ ის ნუსხა არ მომდინარეობს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რომელიმე დღემდე არმოღნეული ავტოგრაფიდან“ (გვ. 165). მიუხედავად ამ სწორი პირინციპისა, 1945 წლის გამოცემის რედაქციამ ვერ გამოარჩია თხზულებათა ტექსტის დასადგენად მირთადი ავტოგრაფები და ნუსხები, რის გამოცემას ხარვეზი დაჰყვა. ამასთან კომისიამ ტექსტში შეიტანა ისეთი გასწორებანი, რომელიც უპირისპირდებიან „თვით ავტორის მიერ სანქციონრებულ რედაქციას ამა თუ იმ ნაწარმოებისას“.

1968 წელს გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ახალი კრიტიკული გამოცემა. ტიტულის მეორე გვერდზე მას ანერია: „ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ტექსტი დადგენილია პავლე ინგოროვას მიერ“. წიგნი მიძღვნილია პოეტის დაბადების 150 წლის-

თავისადმი და გაფორმებულია მდიდრულად. მისი შედეგებით ასეთია: 1. რედაქციისაგან (გვ. 5-7), 2. პ. ინგოროვა — „ნიკოლოზ ბარათაშვილი (ნარკვევი)“ (გვ. 11-80). 3. 6. ბარათაშვილის თხზულებათა ტექსტი — ლექსები, „ბედი ქართლისა“, წერილები (გვ. 81-198), 4. „კომენტარები“, რომელიც დაწერილია გ. ლეონიძის მიერ (გვ. 201-218), 5. ფილოლოგიური პარატი — პ. ინგოროვას „ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერებთან“ (გვ. 221-250) და „ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ტექსტის ისტორია“ (გვ. 251-284). გამოცემა აკადემიური ხასიათისაა და მის ამოცანას წარმოადგენს „დადგენა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებთა კანონიკური ტექსტისა“ (გვ. 252). ეს ამოცანა პ. ინგოროვას გადაჭრილადაც მიაჩნია. იგი აღნიშნავს: „აქ დადგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა კანონიკური ტექსტი ყველა არსებული ხელნაწერი შასალების გათვალისწინებით, დაზუსტებულია აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ქრონოლოგია“ (გვ. 282).

ისმის კითხვა: ხსენებული გამოცემა მართლაც შეიცავს 6. ბარათაშვილის თხზულებათა კანონიკურ ტექსტს, ან მასში გათვალისწინებულია „ყველა არსებული ხელნაწერი შასალა“, ან კიდევ დაზუსტებულია თხზულებათა ქრონოლოგია? ჩვენ ვერ გავიზიარებთ გამოცემის მოსაზრებას. ჯერ ე რ თ ი, ტექსტის დადგენისას არ არის გათვალისწინებული (გამომცემლისთვის უცნობია) ხუთი ლექსისა და ექვსი წერილის ავტოგრაფი (ხელნაწერთა ინსტიტუტის H 2417 და H 572 — „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“, Q 419- XVI-XVII წერილები ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი — და ცენტრარქივის ფ. 1446, №736 — V, VI, VIII და XVIII წერილები გრ. ორბელიანისადმი და ლექსები — „ვპოვე ტაძარი“, „მერანი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“ და „სულო ბოროტო“); მ ე ორ ე, კრებულში არ არის შეტანილი „შესხმა აგრიკოლას“, რომელიც დაუცავს H 3157 ავტოგრაფულ ხელნაწერს, რუსული წერილი გროგოლ ორბელიანისადმი, რომელიც ა. განერელიამ აღმოაჩინა და 1939 წლიდან 1968 წლამდე 6. ბარათაშვილის თხზულებებში იბეჭდებოდა, და ფრაგმენტი ლექსისა „კავკასი“; მ ე ს ა მ ე, რედაქტორს ვერ გამოუჩინევია ტექსტის დასადგენად საჭირო ძირითადი ავტოგრაფები და ნუსხები და, რაც მთავარია, ვერ გაურკვევია, თუ რომელ ხელნაწერებშია წარმოადგენილი ზოგიერთი ლექსისა და პოემის საბოლოო რედაქციები; მ ე ო თ ხ ე, იგი ხშირად გვერდს უვლის მის მიერ საბოლოო რედაქციად მიჩნეულ ავტოგრაფებს და უპირატესობას ანიჭებს სხვა ავტოგრაფთა წანაკითხებს, ზოგჯერ ის აღადგენს ხოლმე პოეტის მიერ უარყოფილ ვარიანტსაც კი. აი, რამდენიმე ნომუში:

1968 წლის გამოცემაშია:

გვ. 92: თუმც უცხო და შორს თემად იარე.

გვ. 95: თვითონ მეფებიც მებრძოლენი...

გვ. 98: როს მიბჟუტვით ნისლით გამომინათებ.

გვ. 117: მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი მაქვს ეს გულის ჭირი. უნდა იყოს:

გვ. 92: თუმც უცხო-უცხო თემად იარე (II ნ.)

გვ. 95: თვითონ მეფენიც უძლეველნი... (ABC)

გვ. 98: როს მიბუზტვით ნისლით გამო მონათებ (AB).

გვ. 117: მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი აქვს ჩემს გულს ეს ჭირი (A).

გამომცემელი არაერთგზის აღნიშნავს, რომ „ბედი ქართლისას“

ბოლო რედაქცია დაცულია ბაბალე ვეზირშვილისეულ (B) ავტოგრაფშით, ხოლო სხვა რედაქტორებს უკიუნებს, როგორც „სამწუხარო ფაქტს“, რომ „გამოცემათა დიდ უმრავლესობაში“ (მათ შორის საიუბილეო გამოცემაში 1945 წლისა) პოემა იბეჭდებოდა უპირატესად ადრინდელი რედაქციის მიდევნებით და არა ბოლო რედაქციაზე დამყარებით“ (გვ. 272), მაგრამ მას დაწუნებული ავტოგრაფითან გამოცემაში რამდენიმე წანავითხი შემოაქვს და გვაძლევს ერთგვარ ნარევ რედაქციას, რაც ტექსტოლოგიურად გაუმართლებელია. ამიტომაც 1968 წლის საიუბილეო გამოცემაში დაბეჭდილ ტექსტს ვერ ვცნობთ კანონიკურად. 6. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რაც ცნობილია ჩვენთვის ავტოგრაფებით, ნუსხებითა და მორცელნაბეჭდებით, ისე კარგადაა დაცული, რომ დღეს შეიძლება იგი მკითხველს კანონიკურ სახით მივაწოდოთ, მაგრამ ამის მიღწევა დაუშვებელია ტექსტის თვითნებური სწორებით.

ასე რომ, 6. ბარათაშვილის თხზულებათა ახალი, მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა აუცილებელია. აი, ამ აუცილებლობამ განაპირობა წინამდებარე წიგნიც, რომელიც მიზნად ისახავს მკითხველს მიაწოდოს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა სრული ფილოლოგიური პარატით, რომ მან თვითონ განსაზღვროს გამოცემის კანონიკურობა.

\*\*\*

იმთავითვე ტექსტოლოგ-გამომცემელთა წინაშე დადგა უმთავრესი საკითხი: როგორ გამოიცეს 6. ბარათაშვილის თხზულებანი? 1895 წელს პოეტის მემკვიდრეობა დაიბეჭდა ავტოგრაფების მიხედვით უცვლელად. დ. კარტაშვილი და ე. თაყაიშვილი წერდნენ: „ამ წიგნის გამოცემა საზოგადოების გამგეობისაგან მონდობილი გვქონდა ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერელთა გამგეობის სურვილი იყო, რომ დაბეჭდილიყვნენ 6. ბარათაშვილის ნაწერები, როგორც უწერია თვით ავტორს, ისე, რომ იოტის ოდენი ცვლილება არ ყოფილიყო შეტანილი... შესაძლებელია ზოგი სტყვა და ფრაზა ისე არ ჰქონდეს ბარათაშვილს ნახმარი, როგორც ახლა ხმარობენ ჩვენი მწერლები, მაგრამ მაინც არავის აქვს უფლება, მისი ნაწერები გადაამახინჯოს, გადაასწოროს, და მით უმეტეს, გადაამახინჯოს. ამას მოითხოვს, სხვათა შორის, ენათმეცნიერების ინტერესი და თვით დიდებული პოეტის პატივისცემა. ამ დედა-აზრის საფუძვლად ბარათაშვილის



ლექსები დაიბეჭდა სისრულით და თანხმობით პოეტის ხელში მოიხსენია თან. არც ერთი სიტყვა, არც ერთი ასო, არც ერთი წერტილი არ არის „შეცვლილი“ („კვალი“, 1895, №47, გვ. 14).

ეს თვალსაზრისი არ გაიზარა კრიტიკოსმა რომანზ ფანცხავაშ („ფხა“-შ). ის პოლემიკური წერილით დაესხა თავს ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამომცემლებს და აღნიშნა, რომ რედაქცია მოვალე იყო შექსწორებინა პოეტის მიერ ნახმარი უსწორო გრამატიკული ფორმები და ბრძად არ მინდობოდა ავტოგრაფებს („კვალი“, 1895, №45, გვ. 17-19): „პოეტი პ-ს შეცდომით ხმარობს. ამ შემთხვევაში საზოგადოებას სრული უფლება ჰქონდა და მოვალეც იყო შეცდომა გაესწორებინა, მაგ. პსთევას, მპსწრაფლ და სხვა. აქ პ ყოვლად უადგილოა“ და ა.შ.

რ. ფანცხავას კრიტიკა დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემის პრაქტიკაში დამკვიდრდა ავტოგრაფთა უცვლელი ბეჭდვა. 1915 წელს შემდგარმა საგანგებო კომისიამაც დაადგინა, რომ „პოეტის ნაწერების ტექსტი უნდა აღდეგნილიყო დენების მიხედვით და მკაცრად დაცულიყო ნ. ბარათაშვილის მართლწერა“. ამავე კომისიას გადაუწყვეტია ისც, რომ პოეტის ლექსები გამოეცათ ერთი ვარიანტის მიხედვით უცვლელად, სხვა ვარიანტების ცვლილება კი ეჩვენებინათ სქოლიოში. ძირითადად ეს პირიციპი უდევს საფუძვლად 1922 და 1939 წლების გამოცემებს; 1930, 1945 და 1968 წლების გამოცემები კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ვერ ასახავენ ავტოგრაფთა სწორ სურათს. მათში ნარმოდეგნილია „ბეჭი ქართლისას“ ახალი, A და B ავტოგრაფების წანაკითხთა ნარცი რედაქცია. ამასთან ზოგიერთი ლექსი (მაგ., „ფიქრი მტკვრის პირას“, „ჩემთ მეგობართ“ და სხვა) ავტორს ული სხვადასხვა წანაკითხის კომპინირებულ ტექსტს შეიცავს. მაგ., მე-11 ტარტ ლექსისა „ჩემთ მეგობართ“ E ავტოგრაფში იკითხება ორი ვარიანტი:

ა. მაშინცა კმარა შეკავება გულისა თქმათა (E).

ბ. მაშინცა კმარა დადუმება გულის ვნებათა (ABE).

ა ვარიანტი პირველადია, ბ კი — მეორადი. მაშინცადამე უპირატესობა უნდა მიეცეს მეორე წაკითხვას, მაგრამ პ. ინგოროვა 1930 წელს გვთავაზობდა ახალ ვარიანტს: „მაშინცა კმარა დადუმება გულისა თქმათა“ (1930, გვ. 27), რომელიც ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფებში არ გვხვდება (1968 წლის გამოცემაში აღმოჩენილი ABE ავტოგრაფების წანაკითხი). ცხადია, ამგვარი კომპინაცია ტექსტოლოგიურად გაუმართლებელია.

ასევე მიუღებელია პოეტის ნაწერების ორთოგრაფიულად გაღარიბება. 1945-1968 წლების გამოცემებში ნ. ბარათაშვილის ენას დაკარგული აქვს ქართლ-კახური დიალექტებისათვის დამახასიათებელი თავისებურება პ-ს ხმარებისა. პ პოეტის შემოქმედებაში არა მარტო მხატვრული სამეცნიერო სიტყვისა, არამედ მას მორფოლოგიური ფუნქციაც აკისრია და მთლიანად მისი განდევნა შეცდომა იქნებოდა. იგი შეიძლება ამოვილოთ იმ სიტყვებიდან, რომლებშიც ხე-

ლოვნურად არის ჩასმული ანტონ I კათალიკოსის ორთოგრაფიის გავლენით. (მაგ.: „გასწინი“, „ჰესტევა“, „მჰსნრაფლ“, „ჰესნორი“, „ჰესჭული“ და მისთ.). სხვა დანარჩენ შემთხვევაში პ. როგორც ნიშანი სუბიექტურ მეორე პირისა და ობიექტურ მესამე პირისა, უნდა დარჩეს, ხოლო იქ, სადაც იგი აკლია, სასურველია აღდგეს კიდეც მაგ., არის „შევფრთვინვიდი კოკრობას“ უნდა იყოს — „შევპორტინვიდი კოკრობას“, ან არის — „დახსნას გულსა ვაება“, უნდა იყოს — „დახსნას გულსა ვაება“ და ა.შ.), საჭიროა აღდგეს ყველგან პირველი პირის ნიშან ვ-ც იქ, სადაც ხშირად იკარგება (მაგ., არის — დაუმონე, განუმზადებდი, დაუმორჩილდი, გაუგზავნი, უნდა იყოს დაუმონე, განვუმზადებდი, დავუმორჩილდი, გავუგზავნი და ა.შ.), რადგანაც ვ-ინის აღდგენა დაკავშირებულია ტექსტის შინაარსის სწორად გაეგებასთან. პოეტი ხმარობს ზმინისწინების პარალელურ ფორმებს — მო- (მომაყარე, მომაგებ, გამომიდარე) და მა- (მამაპყარ, შთამამავალიბა, მამივიდა). საჭიროა მათი უნიფიცირება ლიტერატურული ნორმის სასარგებლოდ.

მოსაგვარებელია პუნქტუაციაც, განსაკუთრებით წერილებში. 6. ბარათა შეილის დროს სასვენ ნიშანთა ხმარების წესები არ იყო დამუშავებული ჯეროვნად, ამიტომ შეცდომა იქნება, თუ პოეტის პუნქტუაციას უცვლელად დავტოვებთ. თანამედროვე ტექსტოლოგიაში ასეთი გზა დაგმობილია. საჭიროა ძველ ტექსტებში დავიცვათ ახალი პუნქტუაცია, რათა თანამედროვე მკითხველს იოლად გავაგებინოთ გადმოსაცემი თხზულების შინაარსი.

დასასრულ, აუცილებელია სრულად დაინტერის საკუთარ სახელთა არაავტორისეული შემოკლებანი. მაგ., XI წერილში ვკითხულობთ:

„ვიცი გიამება, კ. დავნიშნეთ რ. ე-ზედ... ზ-იას და გ-ის კარგი საქორნილო გამოეგზავნათ. ზ-ია ინერება, რომ გ-ლმა სულ ბლუჯეულად იცისო“ და ა.შ. (გვ.89).

ტექსტი ამგვარად შეამოკლა გაზეთ „დროების“ რედაქციამ, როდესაც იგი გამოიკვეყნა (1885, №114). ახლა ასეთი შემოკლება აღარაფრით არის გამართლებული, მით უფრო იმიტომ, რომ დღეს ამ წერილში მოხსენებული ყველა პირის ვინაობა ცნობილია. რაკი მისი ავტოგრაფი არ მოგვეპოვება, დამოწმებული ტექსტი ამგვარად უნდა გამოქვეყნდეს:

„ვიცი გიამება, კატო დავნიშნეთ რევაზ ერისთავზედ... ზაქარიას და გიორგის კარგი საქორნილო გამოეგზავნათ. ზაქარია ინერება, რომ გრიგოლმა სულ ბლუჯეულად იცისო“.

მაგრამ დაუშვებელია ხელის შეხება პოეტის მორცოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ მხარეზე. მხოლოდ უნდა მოწესრიგდეს ლექსები ორთოგრაფიულად. ტექსტოლოგიური სიზუსტე მოითხოვს, დედნის სანინააღმდეგო ყველა აუცილებელი გასწორება აღინიშნოს ვარიანტებსა და შენიშვნებში, რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს პოეტის ენაზე.

\*\*\*

წინამდებარე გამოცემა აკადემიურია თავისი აღნაგობითა და დანიშნულებით; შედგენილობით კი იგი ყველა ადრინდელ კრებულზე სრულია (მასში პირველად შევიდა პირზაული თარგმანები — „შესხმა აგრიკოლასი“ და სადაცო თხზულება „Плач Шачхро по Виси“ აგრეთვე ფრაგმენტი ლექსისა „კავკასია“). პოეტის თხზულებათა ტექსტები აქ დადგენილია ავტოგრაფების, ძირთადი ნუსხებისა და პირველნაბეჭდით კრიტიკული შესწავლის შედეგად. ლექსებს საფუძვლად უდევს თხუთმეტი დედანი (ABCDEFGHH1H2JIKL 6), პოემას — ორი ავტოგრაფი (AB), სამი ნუსხა (EFG) და ორი ნაპეტდი გამოცემა (CH), პირზაულ თარგმანებს — M ავტოგრაფი და N ხელნაწერი ჟურნალი, ხოლო ნერილებს — თექვსმეტი ავტოგრაფი (ც/ა ფ. 171; ც/ა ფ. 1446, №736, S2484, Q419; ლიტ. მუზ. №16399-16402) და ორი პირველნაბეჭდი („დროება“, 1885, №114). ვარიანტები ამოკრებილია მხოლოდ ამ დასახელებული დენძებიდან.

თხზულებათა ტაეპოპრივი შედგენილობისა და წანაკითხების დადგენისას უპირატესობა მიეცა პოეტის საბოლოო რედაქციას. შინაარსობრივი ხასიათის ყველა გასწორება დასაბუთებულია დოკუმენტურად ავტოგრაფთა წანაკითხების მიხედვით. დენძის საწინააღმდეგო ორთოგრაფიული ცვლილება მოხდენილია 6. ბარათაშვილის ენის თავისტურებათა გათვალისწინების შედეგად. უფუძლივი (თუ ფუნქციადაკარგული) ჰ-აე, რომლითაც დატვირთულია ზმნები (გაპ-სწი, ჰ-ზი, ვპ-ცან, ჰ-სძინავს, განვპსწესდი...), და ზოგჯერ სახელებიც (პსწორი, პსჯული, მპსწრაფლ...), ყველგან ამოვიდეთ. იგი დავტოვეთ მხოლოდ ისეთ ზმნებში, რომელთაც ისტორიულად ობიექტი ჰქონდათ, მაგრამ მერმე დაეკარგათ (ჰშფოოფენ, ვპ-ტი...), აგრეთვე ბრძნებითის ფორმებში (მაგ., გაპ-კვეთე...). ამასთან ერთპირიან და სამპრიან ზმნებში, თუკი მათ აკლიათ მესამე ობიექტური პირის ნიშანი ჰ-აე, იგი ყველგან აღვადგინეთ (შევფურცინვიდი, შეპბლავლა, შეპრთეს...). აღვადგინეთ აგრეთვე პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ-ინი იმ ზმნებში, რომლებშიც ჩვეულებრივ იკარგება ხოლმე (ხმოვნებს შორის ან უ-ს ნინ). გავასწორეთ კალმისშეირი შეცდომებიც (უკედ, ვიფრანცუფოდ, შეგცევაში, მარტყობს, ვიმუსაბობ...), ზოგიერთი თვალშისაცემი კუთხური თქმა თუ ფორმა (ბევრ მოვინერები, რასაკურველია, გაზდამ, ბძანდება, მამენონა, მამიქსოვა, მადრიელი...), რომელთაც 6. ბარათაშვილი სხვა შემთხვევებში სწორად ხმარიბს, რუსული ენის გავლენით შეცვლილი სახელები (მუხრავანი, გალავინი, რამანია...) და სხვ. მაგრამ ყველა დენძისმიერი წაკითხვა, რომლებიც კი კრიტიკულ ტექსტში გასწორებული სახით შევიდა, აღვნესხეთ და თავ-თავის ადგილას ჩაკრთეთ ვარიანტებში, რათა მკითხველს გარკვეული წარმოდგენა პქონდეს ენასა და ავ-

ტოგრაფთა პალეოგრაფიულ მხარეზე. ნაწილობრივ შევცვალეთ ამინისტრის  
ტორისმიერი პუნქტუაცია და საერთოდ ყველა ტექსტი გავმართეთ  
სასვენ ნიშანთა ხმარების თანამედროვე წესებით. ციტატები ჩავსვით  
ბრჭყალებში. წერილების რუსულ ტექსტებს დავურთეთ ქართული  
თარგმანები, რომლებიც ეკუთვნით ჰ. უმიკაშვილსა და 1945 წლის  
გამოცემის რედაქციას. ეს თარგმანები ხელახლა შევუდარეთ დედ-  
ნებს და დაზუსტების მიზნით მათში ენიბრივი და შინაარსობრივი  
ცვლილება მოვახდინეთ (გავითვალისწინეთ 1968 წლის გამოცემის  
თარგმანიც). დასასრულ, გამოცემა აღვაწურვეთ ფილოლოგიური აპა-  
რატით (ლექსებისა და წერილების კომენტარებით, ლექსიკონითა და  
სახელთა საძიებელით).

ივანე ლოლაშვილი

## ბელბელი ვარდგელ

ლექსი მოღწეულია ორი ვარიანტით. პირველი დაწერილია 1833 წლის 18 ივნისს (ეს ირკვევა L ხელნაწერის ჭვირნშისა და ცავტოგრაფის მინაწერით). ამავე დროს ABE-ავტოგრაფებით იგივე ლექსი დათარი-ლებულია „1834“-ით. პ. ინგოროვა წერს, რომ „მეორე თარიღი — 1834 წელი — უნდა აღნიშნავდეს ამ ლექსის მეორე ვარიანტის დამუშავების დროს“, მაგრამ ეს არსაიდან არ ირკვევა. თარიღი „1834“ ჩინდება ლექსის პოლოს 1842 წლიდან (E), როდესაც პოეტმა მეხსენერებით აღადგინა ადრე დაწერილი ლექსების თარიღები. მაშინ მან არცერთ ლექსს გადამუშავების თარიღი არ მიაწერა. ამიტომ „1834“ შეცდომით მიუთითებს მხოლოდ დაწერის დროს, ლექსი კი პოეტს გადაუმუშავებია 1841 წლამდე (C), ხოლო მისთვის იღნავი სტილისტური ჩალხი გაუკრავს 1841-1842 წლებშიც. ამ დროს გაუსწორებია პირველი ტაეპი: „ვარდზედ შეჯდა და იტყოდა მსტვინავი“ (C) — „ვარდზედ მჯდარი ეტყოდა მას მსტვინავი“ (E).

## ქვემვან

ჩვენამდე მოღწეულია ორი ვარიანტით. პირველი დაცულია CE-ავტოგრაფებში, მეორე — ABE-დედნებში. დაწერილია 1835 წელს, ხოლო გადამუშავებულია — 1842-1843 წლებში. ლექსის ობიექტია ქეთევან შალვას ასული ერისთავი (1819-1907წწ.). „შეშლილის“ მთარგმნელის — რევაზ ერისთავის დაი. „ამილბარი“ (რესპ. „ელიზბარი“) ქეთევანის მეუღლეა, ელიზბარ შაბშეს ძე ერისთავი (1808-1871წწ.), 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მოთავეთაგან. 1835 წელს, როცა ლექსი იწერებოდა, ელიზბარი გადასახლებაში იყო. იქნდან რომ დაბრუნებულა, ქეთევანი მაშინ შეურთავს ცოლად. მათი შვილი ნინო ქობულაშვილი გადმოგვცემს, რომ „დედას არ უნდოდა მამაჩვენის, ელიზბარ ერისთავის შერთვა; მდიდარი კაცი ყოფილა და მშობლებს ძალად გაუტანებიათ“-ი. ამიტომ გაუგებარია: ქეთევან ლექსში ვის სიყვარულს დასტირის?

ფიქრობენ, ნიკოლოზსა და ქეთევანს უყვარდათ ერთმანეთიო. ეს დაუჯერებელია, რადგანაც ისინი ნათესავები იყვნენ (ქეთევანი არს ყაფლან ორბელიანის დისნული). ის კი ფაქტია, რომ მათ ძლიერ ახლო მეგობრობა ჰქონიათ. პოეტს ქეთევანისათვის უსახსოვრებია თავისი ლექსების ხელნაწერი და საკუთარი ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ეს ორგვე ხელნაწერი 1876 წელს ელიზბარ ერისთავის სახლში დამწვარი (გ. აბზიანიძე, ნ. ბარათაშვილის ერთი

ლექსის გენეზისი, ლიტ. მატიანე, № 1-2, 1940, გვ. 379-381; მარიამ ორბელიანის მოგონებან, ჩემი პუბლიკაციით, ლიტ. მატიანე, წიგ. 5, ნაკვ. I, 1949, გვ. 110; ლ. ნანტაშვილი, 6. ბარათაშვილის გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, ლიტ. საქართველო, 1966, №6).

### მემორამება მთაწმინდაზე

აეტოგრაფებში დაცულია სამი ვარიანტით. ისინი ერთმანეთისაგან შემცნელოვნად განსხვავდებიან. მათი შედარება საინტერესო მასალას იძლევა პოეტის შემოქმედებითი პიოცესის შესასწავლად. ამ, ერთი ნიმუში:

ა. მქრქალთ ღრუბელთ შორის სრიალებს მთვარე, მოსდევს, ვით ნუკრი, მისი ამარას,

ვარსკვლავი მარტო, მოციმციმარე, მისი ლიბრი არს მინაზებული,

მაგრამ მით უფრო უსატრფოე არს, ვით დამაშვრალი ლოცვით ქალწული (L).

ბ. ვითა უბინო და შვენიერი სული ლოცვითა მიიქანცება და სახე მისი ამქვეყნიური, მით უფრო მშვენი გაციურდება,

მას ჰევანდა მთვარე შუქმიბინდული, დისკო-გავხილი, მინაზებული (CG).

გ. გინახავთ სული ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანებული?

მას ჰევავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო-გადახრით შუქმიბინდული (AB).

მესამე ვარიანტს ბოლოზე მიწერილი აქვს „1836“, მაგრამ ამ დროს იგი პოეტს არც დაუწერია და არც დაუმუშავებია. ცდა ეაჭროგრაფების ანალიზი გვაძლევს საბუთს დავასკვნათ, რომ 6. ბარათაშვილს საბოლოო რედაქცია შეუქმნია პოეტურ აღმავლობის პერიოდში, მაშინ, როცა მან დაწერა „მერანი“.

### ხმა მდებარე

დაწერილია 1836 წელს, ხოლო მისი 23-24-ე ტაეპები საბოლოოდ გაუმართავს 1842-1843 წლებში.

შესავალი ლექსისა „ლამე ყაბახზედ“. იგი გაუგზავნია 1837 წლის თებერვალს გადასახლებაში მყოფი გრ. ორბელიანისათვის. პოეტი გრძნობს, რომ მისი ბიძა გახდა მოღალატური გამცემლობის მსხვერპლი, და ამიტომაც მიმართავს:

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი  
 წაგართო ავის ენისა გესლმან.

ცნობილია, რომ იასე და ნიკოლოზ ფალავანდიშვილებმა გასცეს 1832 წლის შეთქმულება. „ავის ენის გესლმა“ მაშინ ბეჭრი პატრიოტი იმსხვერსლა და ახალგაზრდა ბარათაშვილი ამას ძლიერ განიცდიდა. შეიძლება ამ განცდის ანარეკლი იყოს ქეთევანისადმი მიმართული სიტყვებიც:

ავ-ენანო, ოდეს დასცხრეთ,  
 მოასვენონ ეზდენ სული?  
 რა გარგოთ, რომ შეიშურეთ  
 უბინონ სიყვარული?

ყაბახი არის სპოტრული სახეობა და აგრეთვე ადგილი, სადაც თვით ყაბახი იმართებოდა. გრ. ორბელიანის ცნობით, „ყაბახის თავსა და ბოლოს იდგნენ ორნი ქვანი, რომელთა ზედაც დაშასმიდნენ თასსა და ესროდნენ ჯირითს. და ვინც მოარტყამდა, თასი იმისი იყო ჯილდოდ გამარჯვებისა“. თეიმურაზ მეორე საგანგებოდ აღწერს, თუ ყაბახში მონანილეს ნიშნის ჩამოსაგდებად როგორ უნდა ესროლა ისარი (სარკე თქმულთა, სტრ. 587, 589-590)

ყაბახზედ ოქროს ვაშლს შესმენ ძვირფასის, იყოს ვარგიო;  
 კარგა დაკაზმულს ცხენს ისხდენ, ზედ არ ეკიდოს ბარგიო;  
 კურტაკიანთა ვაჟთა თქვან: „სროლაში, მკლავო, მარგიო!“

ასე უნდა მას დღე კაცმან ამ გზით სროლას ეცადოსა:  
 მკლავზედ მშვილდი შემოიცვას, ნელს ყოდალი გაირჭოსა,  
 ცხენი შეძრას, პირველ მშვილდსა ხელით ფეშრი მან უყოსა,  
 მერმე ყოდალს ხელი მიჰყოს, კილოს მაგრად დაზიდოსა.  
 უნდა მშვილდი დახეული ცოტა ხანი გაატაროს,  
 ჩქარად მიდგეს ყაბახზედა, ცხენი უნდა გარდიხაროს,  
 ესროლოს; თუ ჩამოაგდოს, თავის გული გაახაროს.

ზოგიერთი სპორტსმენი დიდად იყო გატაცებული ყაბახით. მაგ. ნ. ბარათაშვილის მამიდაშვილს — დარისან ამირევიბს ყაბახში მო-

ნაწილეობის მისაღებად უყიდია ყარაბახული თეთრი ცხენი, რომელიც გამოიიდა შიც შეუცია 200 დესეტინა მიწა საღოლაშენიდან მტკვრამდე, მაგრამ ჯირითის ტყორცნის დროს ამ ცხენს ფეხი მიწის ნახეთქში ჩავარდნია და მოსტეხია. ამიტომ დარისპანს პირველი ადგილი ვეღარ აუღია, გამარჯვება მოუპოვებია კონა ერისთავს (ი. ლოლაშვილი, გორგო ლეონიძე ორი ჩანაწერი ნ. ბარათაშვილზე). თავის დროზე ამ სანახა-ობის ძლიერ მოყვარული ყოფილა გრ. ორბელიანიც (იხ. ლექს „იარალის“). ამას ადასტურებს ნ. ბარათაშვილის სიტყვებიც „გიყ-ვარს ყაბახის კარგიც და ავიც“.

### დამე ჟაბახშედ

პოეტს დაუწერია 1836 წლის ზაფხულში და 1837 წლის თებერვალს გაუგზავნია ბიძისათვის. იგი 1841 წლის ახლო ხანში გადაუმუშავებია და შეუტანა ლექსთა კრებულში (ნ. II, CG).

„ძია გ...სთან“ მთავრდება სიტყვებით „აპა, ის ღამე“ და ა. შ. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ლექსი დაუმთავრებელია. ამიტომ ი. მეუნარგიამ მისი პუბლიკაციისას მე-12 ტაეპის შემდეგ დაუსვა მრავალნერტილი და თან შენიშნა: „ეს ნეროლები დედანში არ არის, მე დაგვი იმისათვის, რომ როგორც აზრით ეტყობა, ისე რვეულიდანაც ჩანს, რომ ლექსი არ არის გათავებული“ („ივერია“, 1882, №IV-V, გვ. 56, სქოლით). ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია მ. კეკელიძემ ნერილში „ნ. ბარათაშვილის „ღამე ყაბახზედ“ („კომუნისტური აღზრდისათვის“, 1956, №7). მან აღნიშნა: „ეს ლექსი (იგულისხმება „ძია გ...სთან“, ი. ლ) გააზრებულია არა როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები, არამედ როგორც შესავალი ლექსისა „ღამე ყაბახზედ“. ლექსი წარმოადგენს მიძღვნას გრ. ორბელიანისადმი და მასში ახსნილია, თუ რატომ ეძღვნება „ღამე ყაბახზედ“ გადასახლებაში მყოფ პოეტს. ხოლო „ძია ის ღამე“ გახლავთ — „ღამე ყაბახზედ“... ჩვენს უნიჭიერეს მგოსანს ეს ორი ლექსი გათიშულად არა ჰქონია წარმოდგენილი. ისინი ერთმანეთს ავსებენ და პირველი ყოველთვის დაუსრულებელ შთაბეჭდილებას დატოვებს, თუ მეორესაგან იზოლირებულად დატეჭდავთ და განვიხილავთ. ამიტომ მომავალში მათი პუბლიკაციის ფორმა უნდა შეიცვალოს: ისინი ერთმანეთს გამოუცალევებლად უნდა მოსდევდეს და საერთო სათაურად მიეცეს „ღამე ყაბახზედ“.

მართლაც, ეს ორვე ლექსი ერთმანეთთან შინაარსობრივად ისე მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ მათი დაცილება არ შეიძლება. ამ მხრივ ჩვენ მ. კეკელიძეს ვეთანხმებით, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ისინი გამოვაქვეყნოთ ერთ ლექსად საერთო სათაური! ცავტოგრაფში „ძია გ...სთან“ დაწერილია რვეულის ერთ გვერდზე იწყება „ღამე ყაბახზედ“. ავტოგრაფის მიხედვით ეს ორვე ლექსი ცალ-

დალვე უნდა დაიბეჭდოს (და არა ისე როგორც დაბეჭდილი 1968 წლების გამოცემებში). მათი პუბლიკაციის ტრადიციული ფორმა პოეტისმიერია და მისი შეცვლა დაუშვებელია.

მკვლევარები ფიქრობენ, რომ ლექსში „ლამე ყაბახზედ“ ასახულია პოეტის პირველი სიყვარული ნინოსადმი. 1846 წელს, 19 იანვარს ლ. მელიქიშვილი სწერდა გრ. ორბელიანს: „არ ვიცი, იცი თუ არა, პირველი სიყვარული საწყლისა (ნ. ბარათაშვილი) იყო ნინო“ („მნათობი“, 1938, №12, გვ. 169, სქ.) ი. მეუნარგია ერთგან ამ ნინოს მოსხენიებს ორბელიანად („ქართველი მწერლები“, სოლ. ცაიშვილის რედაქციით, ტ. I, 1954, გვ. 217). პოეტი ამ ნინოს სახელდებით არ ისენებს, მაგრამ რაკი პოეტის პირველ სიყვარულს ნინო რქმევის, შეიძლება მართლაც მკვლევართა მოსაზრება გაზიარებულ იქნეს, რომ „ლამე ყაბახზედ“ დაწერილია ამ ნინოს ტრფობის შედეგად.

აქა-იქ ქალი პირად-პირადად სეირნობდნენ, კეკლუცმოსილნი (10) — აქა-იქ მრავალფერად და კეკლუცად მოსილი ქალები სეირნობდნენ, „პირად-პირადად... კეკლუც-მოსილნი“ შეიძლება დაწერილი იყოს შავთელის შთაგონებით: „ვაქებდეთ ერნო, ... ქრისტეს მხედარსა, მხნე ახოვანსა, პირად-პირადად განმშვენებულსა“.

ყაფლან — ასლანის ძე ორბელიანი (1813-1878), ნ. ბარათაშვილის დედის ეფემიას ბიძაშვილი).

„თავსა უფლად“ — ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „თავსა უფლად ვერგინ ჰეგონებთ“.

#### შექრნი მტკმრმს პირს

ლექსი ცნობილია ABCE ავტოგრაფიული დედნებით. მან ჩვენამდე მოაღწია სამი ვარიანტით: პირველი თარიღდება 1837-1842 წლებით (CE). მეორე და მესამე — 1843 წლით (ABF). პოეტს ამ ლექსზე დაახლოებით ექვსი წელი უმუშავინა, სანამ მას საბოლოო სახეს მისცემდა. მაგ., E ავტოგრაფს შემოუნახავს ერთი და იგივე ტაეპი (6) სამი ვარიანტი:

- ა. ფერ-მკრთალად მონათობს მისთა ზვირთთა ცისა კამარა.
- ბ. მშვენიერებით ჰკრთის ლაუვარდი ცისა კამარა.
- გ. და მის ზვირთებში ჰკრთის ლაუვარდი ცისა კამარა.

ეს კითხვა-სხვაობა პოეტის რთული შემოქმედებითი პროცესის მაჩვენებელია, ამიტომ რედაქტორს ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემისას მართებს სიფრთხილე, რათა უშეცდომოთ გამოყოს საბოლოო რედაქცია და ბეჭდვისას მას მიანიჭოს უპირატესობა. მაგრამ ზოგი-

ერთ რედაქტორს ეს სიფრთხილე ვერ გამოუჩენია, რის გამოც ზოგი გამოცემაში „ფიქრის მტკურის პირას“ შეზავებულია მეორე და მესამე რედაქციების ვარიანტებით.

ლექსის მე-17-19 ტაეპების ტრადიციული წაკითხვა ასეთია (ABE)

თვითონ მეცენიც უძლეველი, რომელთ უმაღლეს  
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,  
ჰუფოთვენ და დრტვინვენ და ა.შ.

წდედანში (აგრეთვე სარდიონ ალექს-მესხიშვილის, მ. თუმანიშვილის, დავით რექტორის კრებულისეულ ასლებსა და პირველნაბეჭდში) მე-18 ტაეპს („ამაო სოფლად“) მაგიერ იკითხება ორტაეპანი ტექსტი:

არც ვინდა არის და წინაშე ვერც ვინ აღუდგეს,  
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება...,

რომელიც თითქოს ლექსში „ტაეპთა ნაკლულოვნებასაც ავსებს სტროფში და რითმის საკითხესაც უკეთ აგვარებს“. ამიტომ 1945 წლის გამოცემის კოლეგიამ ტრადიციული ტექსტი გამოაქვეყნა ასეთი რედაქციით:

თვითონ მეცენიც უძლეველი, რომელთ უმაღლესს  
არც ვინდა არის და წინაშე ვერც ვინ აღუდგეს,  
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,  
ჰუფოთვენ და დრტვინვენ და ა.შ.

ამ ტაეპებში სტილი დამძიმებულია ორი „რომელიც“ კავშირით („რომელთ უმაღლესს“ და „რომელთ ხელთ ეპყრასთ“), ამასთან სიტყვა „უმაღლესი“ გამეორებულია. ეს პოეტს უგრძვნია და ამიტომაც საბოლოოდ მიუღია წაკითხვა „რომელთ უმაღლეს, ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება“. აქ აზრიც გამართულია, სტილიც — დახვენილი და პოეტის საბოლოო ნებაც განხორციელებული.

1945 წლის გამოცემის რედაქტორების მოსაზრებით, ამ ლექსში „ყოველი ორი ტაეპი ერთიდამავე რითმითა დაბოლოებული“, ხოლო ტრადიციულ წაკითხვაში ორტაეპანობა დარღვეულიათ. თითქმის ეს მსჯელობა მისაღები უნდა იყოს, მაგრამ არც ასეა საქმე. თუ F-ის წაკითხვას მივიღებთ, მაინც კენტად გვრჩება 26-ე ტაეპი — „არ მისცეს წყევით თვისი სახელი შთამომავლობას“, რომელსაც მეორე სარითმო ტაეპი არ მოეპოვება. გარდა ამისა, რა ვუყოთ ლექსის ბოლო ორ სტრიქონს:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს,

რომელიც F ხელნაწერში სხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი? აქ ვკითხულობთ:

არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოს.

კითხვა ისმის: სარედაქციო კოლეგიამ რატომ ეს ტაეპიც F-ის მიხედვით არ გაასწორა? თუ ერთ შემთხვევაში F-დედანს მიეცემოდა უძრატესობა, მეორე შემთხვევაშიც მისი წაკითხვა უნდა აღიარებულიყო კანონიკურად. ცხადია, არჩევანი სუბიექტურია.

ლექსი „ფიქრი მტკვრის პირას“ გასწორდა AB ავტოგრაფების საფუძველზე. უკანასკნელი რედაქცია სწორებ ამ ხელნაწერებშია შემონახული. დაზუსტდა ამავე ლექსის ორთოგრაფიული და პუნქტუაციური მხარეც: ასე მაგ., არის „ყურს ვუგდებ მე“ (7), „რას პპუტბუტებ“ (9), „და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით ისი ეკმაროს“ (16), „თვისს მამულსა“ (25), „შთამომავლობას“ (26), „სოფელსაც უნდ ბოლო მოეღოს“ (27), „მივსდიოთ“ (30) ნაცვლად ასეთი ფორმებისა: „უგდებ მე; რა ბუტბუტებ; და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით ისი ეკმაროს; თავის მამულსა; შთამომავლობას; უნდა სოფელს; მივდიოთ;

### ჩრდილოების

შდრ. მესამე ტაეპი „წარსულთა დროთა მოგონებითა“ და „ბეჭდი ქართლისას“ მეორე რედაქციის მე-10 ტაეპი — წარსულსა დროებს მოიგონებდეთ“ (ABC).

### ჩვენს ვარსკვლავს

მიძღვნილია დელფინა ლაბიელისადმი. ლუკა ისარლოვი იგონებს: „უყვარდა ფრანცუზის ბამბაჩინიკის ქალი დელფინე. ძალიან უყვარდა ეს ქალი. ერთხელ გაებუტა და მაშინ დაწერა: „რად მრისხანებ“... თუ ამგვარი ლექსი“ (ქართველი მწერლები, I, გვ. 482. შდრ. იქვე, გვ. 204).

1945 წლის გამოცემაში ამ ლექსის მე-7-8 ტაეპები იკითხება ასე:

შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,

როს მიბუჟუტურით ნისლით გამომინათებ. გარიანტი „გამომინათებ“ დაცულია F დედანში. ABCE ავტოგრაფებში იკითხება: „როს მიბუჟუტურით ნისლით-გამო მონათებ“.

„ნისლით-გამო“ ძველი ქართული გრამატიკული ფორმაა, ნიშნავს — „ნისლიდან“. თანდებული „გამო“ (-დან) ზოგ შემთხვევაში ძველად მოითხოვდა მოქმედებით ბრუნვას. მაგ.: „და აპა ჰმა“ იყო ღრუბლით გამო [ღრუბლიდან, ი. ლ.] და ოქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი“ (მათე 17, 5) „შევიდა ერთსა მას ნავსა, რომელი იყო სპონსი,.. და დაჯდა და ასწავებდა ნავით გამო [ნავიდან, ი. ლ] ერსა მას“ (ლუკა 5, 3) და სხვა. ტაეპი გასწორდა ისე, როგორც იკითხება ABCE ავტოგრაფებში.

### ნაარლეონ

ლექსი ეძლვნება საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტეს (1769-1821წ.).

საპალის (ალექსანდრი) ჭავჭავაძის ასულს მარტინის

მიძღვნილია ეკატერინე ჭავჭავაძისადმი (1816-1882წ.), 1839 წელს ცოლად გაჰყვა სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს.

ვარდსა და ბულბულს მოელხინარე — იგულისხმება ალ. ჭავჭავაძის მიერ რუსულიდან თარგმნილი ლექსი „ვარდი და ბულბული“, რომელსაც ეკატერინე „ტკბილის ხმით“ მღეროდა.

### საჭურე

იონა მეუნარგიას ცნობით, „ბარათაშვილი იყო თურმე მიწვეული საგინაშვილის სიდედრთან საღამოზე და იქნდან შემოვარდა ყაფლან ორბელიანთან, სადაც დაუხვდა იმას ლევან მელიქიშვილი. — „ლევან, ლევან! გავგიუდი, მეტი აღარ ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია. ლვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს“ (ქართველი მწერლები, I, 1954, გვ. 217). პოეტს იმავე საღამოს „საყურე“ დაუწერია.

### ნჩვილი

შდრ.: „არ გიცვნია სოფელი მომლერალი“ (16) და „აჲყევით სოფელს შეუმჩნეველს და მომლერალსა“ (ჩემთ მეგობართ, 5).

„სელი რბოლი“ და „სატრუნი, მახსოვის“

პ. ინგოროვას მოსაზრებით, ამ ლექსებში ასახულია სატრფოს და-კარგვის გამო გამოწვეული სულიერი ობლობა: მეორე ლექსის ტა-პები „თურმე ცრემლი უცნაური მოელოდა ჩემს ობლობას“ ერთგვა-რი ეკიგრაფი ყოფილა ლექსისა „სული ობოლი“ (თხ. I, გვ. 312-313, 315), მაგრამ აქ ყურადღება არ ეწევა იმას, რომ „სატრფოვ, მახსოვებ“ დაწერილია 1840 წელს, „სული ობოლი“ კი — 1839 წელს.

ჩვენი დოცვა

დაწერილია ლუკას სახარებაში მოთხოვილი იგავის შეგონებით. „ძე ცომილი“ და „განსაცდელი შემცოდე შვილი“ არს იგივე უძლები შვილი, რომელმაც მამამისს ქონება გაუყო, განაბრნა მეძავთ თანა და სამკვიდრებელში უკანდაბრუნებულმა, გალატაკებულმა და მშეირმა, შეინანა თავისი ცოდვები. შემდეგ პოეტს აგონდება ადამის შეცოდება, სამოთხის მშვენიერება რომ ემსხვერპლა წადილს და იხ-ლა სასუფევლის ნეტარება.

ცხოვრების წყარო — ეპიტაფია ლვთაებისა.

მაშა დუმილიც მიმითვალე — ნარმოადგენს შავთელის „აბდულმე-სიანის“ ბოლოს დართული ტაეპის გამეორებას: „ჩემგან დუმილი თვით მიითვალეთ“.

„აღმოსდა მნათი აღმოსავლეთის“, „ჩვეთ მეზობარი“, „არ უპიჟირო სამრ-ზორი“, „ვარვა ტაპარი“

სიყვარულის თემაზე დაწერილი ლექსებია და მათში ზოგადად გა-აზრებულია ამ დიდი გრძნობის სიამოვნებისა და მწუხარების მომგ-ჭრელი ბუნება. ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, თითქოს ეს ლექსები მიძღვნილია ეკატერინე ჭავჭავაძისადმი. ფიქრობენ, რომ ტაეპში „არ შეემსჭვალოთ მოკისკასეს კეკელა ქალსა“ (ლექსიდან „ჩემს მეგო-ბართ“) „საუბარია „კეკელა“ ქალზე ზოგადად“. მაგრამ ამავე დროს ეკატერინეზეც, რადგანაც მისი „შინაური სახელი იყო „კეკელა“-ო“ (პ. ინგოროვა, თხ. გვ. 317). მაგრამ ეს ვარაუდი დასაბუთებას საჭიროებს.

## ...ნა ვორონევამაცნებელ მომღერალი

ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ იგი მიძღვნილია ნინა ჭავჭავაძისადმი (ნ. ბარათაშვილი, თხზ., 1939, გვ. 124), მაგრამ მკვლევართა უმეტესობა ლექსის ადრესატად ვარაუდობს ეკატერინე ჭავჭავაძეს, რომელიც მშვენივრად მღერიდა ფორტეპიანოზე; ამასთან ისინი „ნა...“-ს შიფრავენ ასე: „(ეკატერინე)ნა“. ეს მოსაზრება უფრო ახლოა ჭეშმარტებასთან, რადგანაც ლექსი ი. მეუნარგიამ ეკატერინეს პირად არქვში აღმოაჩინა და, მისი ავტორი რომ ნ. ბარათაშვილი იყო, თვით ეკატერინემ დაუდასტურა პუბლიკატორს.

თმანი ნაშალნი, მკერდზედ დაყრილნი ემუქმებოდნენ — მკერდზე დაშლილად დაყრილი (შავი) თმები (ეკატერინეს) მუქჩრდილს აფენდნენ და ამკობდნენ. ასე გაუზარებია პოეტს სიტყვა „ემუქმებოდნენ“, რომელიც წარმოადგენს ჩახრუხაძის ერთი ტაეპის (I, 7) გამოძახვას (ეს ლიტერატურული პარალელი პირველად შენიშნა ა. განერელიამ. იხ. მისი რჩეული ნაწერები“, I, გვ. 78). ჩახრუხაძე წერს:

შუქნი კრთებიან, ემუქცებიან,  
ზუალ იჩინებს დაქადებულად.

ზმა „ემუქცებიან“ ( სამაგიეროს უზღავენ) ნაწარმოებთა სიტყვიდან „მუქაფა“ (სანაცვლო, სამაგიერო): მუქცება-ემუქცებიან. XIX საუკუნის გადამწერებს ეს სიტყვა ვერ გაუგიათ და ძველი ძველი ხელნაწერებიდან ამოუკითხავთ ამგვარად: „ემუქმებიან“ (დაშვებულია გრაფიკული შეცდომა ფ-მკ). ნ. ბარათაშვილს წაუკითხავს „თამარიანი“ სეთ ხელნაწერში, სადაც ეს დამახინჯებული სიტყვა წერებულა, მაგრამ მას იგი თავისებურად გაუზრებია და ასე შეუქმნია ახალი სიტყვა ახალი შინაარსით (შდრ. ი. ლოლაშვილი, „ძველი ქართველი ხელნაწერი“, I, 1957, გვ. 92-93).

### მიყვარს თვალები

დათარიღებულია 1842 წლით, მაგრამ იგი არ არის შეტანილი ავტოგრაფში. სათაური იკითხება ამ ხელნაწერის ზანდუკეში.

### სემაზე და მნირი

პოეტი წერს, თუ მაისი როგორ „აყვავებს ტურფად ბუნებას“ და მერმე დასძენს: „მოვა ბულბული და დაუშტვენს სიყვარულის ხმას“ (BDEF). ეს ტაეპი ასეა დაპეჭდილი 1945 წლის გამოცემაშიც, მაგრამ ეს მხედველობიდან გამოჩენილია, რომ A ავტოგრაფში „სიყვარუ-

ლის ხმა“ გასწორებულია „სიცოცხლისა ხმად“. პოეტს ჯერ მაყჟა  
ველთაოდ ცნობილი მოტივი — ვარდისა და ბულბულის სიყვარული  
გაუსხენებია და ბულბული სიყვარულის ხმის მსტევნავად წარმოუ-  
სახავს, მაგრამ შემდეგ ეს ცნება ფართო ასევექში გაუაზრებია: აი  
მოდის მაისი, აყვავებს იგი ბუნებას, ზამთრის სუსტისაგან გამხმარ  
მცენარეულთ აცოცხლებს და ბუნების გაცოცხლებას მოსდევს ბულ-  
ბულის სტევნა, რომელსაც პოეტი სახავს სიცოცხლის ხმად. ეს მხატ-  
ვრული სახე უფრო გრანდიოზულია, ვიდრე სიყვარულის ხმით სტევნა,  
რომელიც ეხება მხოლოდ ვარდს. სუმბულისათვის კი ეს სტევნა  
სიცოცხლის მაუწყებელია. ამიტომაც ტაები გასწორდა A ავტოგრა-  
ფის მიხედვით — „სიცოცხლისა ხმას“, მიუხედავად იმისა, რომ „სიყ-  
ვარულის ხმას“ ოთხ ავტოგრაფშია დაცული. ამავე ლექსში გასწორ-  
და მე-10 და მე-20 ტაებებიც ასე: „ტკბილს მგოსანსა“ და „მიჩრდი-  
ლებს“ ნაცვლად წაკითხვებისა: „ტკბილ მგოსანსა“ და „უჩრდილებს“.

„შენი ღალაზი“ და „რაღ ჰყევდო კასა“

ეხება სიყვარულის თემას ზოგადად და ორივე დაწერილია 1842  
წელს, მაგრამ მათი ზუსტი თარიღების დადგენა არ ხერხდება.

### მერანი

პოეტს დაუწერია ილია ორბელიანის ტყვეობასთან დაკავშირებით  
1842 წლის აპრილში. ამაზე თვით იგი გვიყვება 1842 წლის 2 მაისს  
გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში (VI). ლექსიც იქვეა ჩარ-  
თული. ვაკტოგრაფში კი მას თარიღად უწერია „მაისს 9-სა, 1842“.  
პ. ინგოროვა ფიქრობს, რომ ეს მინაწერი ლექსის რედაქტირების  
თარიღია. დაწერის შემდეგ ლექსს მხოლოდ უმნიშვნელო სტილისტუ-  
რი ცვლილება განუცდია. შდრ.: წერილის ტექსტი AB ავტოგრაფების  
თან:

ა. ნუ დავიმარხო მშობელ მინაში, ჩემთა წინაპართ საფლა-  
ვებს შორის,

ნუ დამიტირებს სატრფო სულისა, ნუ დამეცემის ცრემლი მწუ-  
ხარის...

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ჩემი სულის ესე კვეთება (B)

ბ. ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს  
შორის,

ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი  
მწუხარის...

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ესე განწირულის სულის-კვე-  
თება (AB)

(ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ესე განწირვა, სულის-კვეთება) (E).

ამ ავტოგრაფებიდან ირკვევა, რომ პოეტს ცვლილება მოუხდენა 1842-1843 წლებში. ამიტომ თარიღი „მაისის 9-სა, 1842“ პოეტისმიერი ჟედომა უნდა იყოს.

სათაური „მერანი“ (ან „ჩემს მერანს“) პირობითია. ე ავტოგრაფში მისი სათაურია „თავგანწირული მხედარი“, სხვა ავტოგრაფებში კი ლექსი უსათაუროა.

### პირავ ბარათავის აგარზეშაგედ

თავად აზარფეშა დაკარგულია. მისი მფლობელი კრიაზი ბარათაევი არს პოეტის ნათესავი, ცნობილი ნუმიზმატიკოსი მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი (1784-1856), ავტორი შრომისა „Нумизматические факты Грузинского царства“. პოეტს მის ალბომში ჩაუნერია ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“. იმ ხანებში ბარათაევი ნასულა პეტერბურგში „ც ბოльшим запасом сведений об исторической Грузии“ (იხ. ნერილი XVIII).

### საფლავი მეფის მოპლისა

ეძღვნება ქართ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე თეიმურაზის ძეს (1720-1798).

„სული პირობორი“ და „მევიმრობ ცოდნასა“

ჰირველი ლექსი დაწერილია 1843 წლის 2 აგვისტოს ახლო ხანში, მეორის ზუსტი თარიღი კი უცნობია.

რმა საქართველოს თავად-აგნაურ-ბლეხია პირის-ეპირ დაღისტნისა და ჩიჩნევა- თა, წელსა 1844-ს-ია

ამ ლექსში იგულისხმება ქართველთა მილიციის გალაშქრება და-ლისტნელთა წინააღმდეგ, რომელიც მოხდა 1844 წელს თავად-აზნაურთა წინამდლოლის — დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანის (1798-1868) სარდლობით. გრ. ორბელიანი სწერდა კონსტანტინე თარხნიშვილს: „ქართველების მილიცია მოდის 1700 ქვეითი და ცხენოსანი; სარდალთან დანიშნულან 50-ი თავად-აზნაურნი პაჩოტნის კანვოიად. დიმიტრი მარშალი მოსდევს ნაჩალნიკად მილიციასა“ (გრ. ორბელიანის „წერილები“, I, გვ. 112).

ქველი მოღვაწენი ერთხანს ამ ლექსს ბარათაშვილის ნაწერად არ თვლიდნენ. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ზ. ჭიჭინაძემ იგი პოეტის ლექსთა კრებულში შეიტანა და დაასაბუთა მისი ორიგინალობა,

ავტორის ვინაობაში ეჭვი აღარავის შეუტანია.

ლექსში დავას იწვევს 30-ე ტაეპი, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია ორი რედაქციით:

- ა. მეფესა თავი შესწირეთ, ვაგლახი იცით წარმართთა,  
ბ. იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა.

ეს წანაკითხები დაცულია H<sup>1</sup>ავტოგრაფში. 1935 წელს გ. ლეონიძემ „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ (I, გვ. 639-640), დაბეჭდა მისი ფოტოპირი და გამოთქვა მოსაზრება, რომ საჭიროა ლექსში აღვადგინოთ პირველი რედაქცია („მეფესა თავი შესწირეთ“), რადგანაც „პოეტი მიჰმართავს პატრიოტულ რომანტიკას, — „წინაპართა“ „მამათა“ ეროვნულ აჩრდილებს. თავდადება ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის და არა აღიარება დიდმპყრიბლობისა, ანუ შერიგება საქართველოს სამეფოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან. ასეთ გაუგებრობას გვიფართვავს სტრიქონის აღდგენა თავდაპირველი სახით. ცხადია, ლექსი დამახინჯებულია გამძვინვარებული ცენზურის იქულებით“.

გ. ლეონიძის მოსაზრება მკვლევარებმა გაიზიარეს. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა შემდგომ გამოცემებში რედაქტორებმა არადგინეს პირველი წაკითხვა: „მეფესა თავი შესწირეთ“... მაგრამ პოეტის საბოლოო რედაქციაა „იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა“ (HH<sup>1</sup>H<sup>2</sup>). ლექსში მოხდებილი ცვლილება გამოწვეული ჩანს ისტორიული ანაქრონიზმის თავიდან აცილებისა (1844 წელს საქართველოს მეფე აღარ ჰყავდა) და ცენზურისათვის თვალის ახვევის მიზნით (შდრ. ა. განერელია, რჩეული ნაწერები, II, 1965, გვ. 144-145).

წინ ერისთავი მიუძღვის — იგულისხმება „დიდი კრიაზი“, სენატორი გიორგი ერისთავი, რომელსაც პოეტი იხსენებს XII წერილში (გვ. 130). მას მეტსახელად უწოდებდნენ „ერიპა“-ს.

ქართლის — თარგამოსის ძე; ძველი გადმოცემით, ქართველთა ტომის ბინადარი (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 4-5, 8-11).

კავკასო, ქართლისს საფლავზედ არიან გაფიცებულნი — იგულისხმება ლეონიზი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-დან შემდეგი ადგილი: ქართველთა „მტკიცე და უფროსი საფიცარი იყო საფლავი ქართლისის“ (იქვე, გვ. 11).

სომხითი — ქვემო ქართლის მხარე, სადაც ცხოვრობდნენ ბარათაშვილები და ორბელიანები.

დავით სარდალი — რევაზის ძე ორბელიანი (1720-1795), ერეკლეს მეფის სიძე, ასპინძის ომის გმირი.

მან თავი დასდგა სპათაოვის, სახელითა პქმნა სახელი — დაწერილია ვახტანგ VI-ის ლექსის („სულხან-საბა ორბელიანზედ“) შთაგონებით. შდრ.: „ორბელინმან საბამნ სახელითა ქნა სახელი“ (ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, 1947, გვ. 62). ეს ლიტერატურული პარალელი პრველად შენიშვნა ა. ბარამიძემ (იხ. მისი წერილი წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო კრებული“, 1968).

## ჩინარი

ავტოგრაფი არ შემონახულა.

მრჩამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და სულთ შორის — მნამს, რომ უსულო არსებათა შორის არსებობს რაღაც საიდუმლო ენა. „უასაკო“ და „უსულო“ სინონიმური ცნებებია, „უასაკო“ ნიშნავს „უხორცოს“, „უსულოს“, „გონის არმქონეს“. პოეტი ამ შემთხვევაში შთაგონებულია „ვეფხისტყაოსნის“ ანალოგიური გამოთქმებით:

რადგან ვარდი ამას იტყვის, უსულო და უასაკო (879, I),  
სამხრე გაბია ოქროს, ოქრომჭედლისა დნობილი.

უასაკო და უსულო, არ სიტყვიერი, ცნობილი (898, 1-2).

ამ ტერმინების შესახებ იხ. კ. დანელიას წერილი „ზოგი რამ ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკაზე“ („სკოლა და ცნოვება“, 1964, №10, გვ. 77-79).

## გადლი შენს გამჩენს

ავტოგრაფი დაკარგულია.

## დამპროლა ქარმან სასტიქან

მკვლევართა მოსაზრებით, დაწერილი უნდა იყოს 1845 წლის 9 თებერვლის ახლო დროს ნახიჭევანში. XIII წერილში 6. ბარათაშვილი მიიკა ორბელიანსა სწერს: „აი, ამ ქართულს ლექსს გიგზავნ, მდაბიურულად დაწერილს, როგორლაც ფიქრში მომივიდა „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ — იმის ხმაზედ“. პოეტი ლექსის სათაურს არ ასახელებს, მაგრამ მასში უნდა გულისხმობდეს „დამქოლა ქარმან სასტიქმან“. რადგანაც მაკა ორბელიანს წერილებს შორის არსებულ ლექსთაგან „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ მოტივზე სწორედ ეს ლექსი იმღერება.

„როს ბეღნიერ ვარ“ და „ტიხა შერს“

უთარილო ლექსებია. დამწერის თარიღები დაუდგენელია; ორვე შეიძ-  
 ზულია ეკატერინე ჭავჭავაძისათვის რუსული სასიმღერო ლექსების  
 მიბაძვით. მათი წარმოშობის შესახებ პირველი ცნობა ეკუთვნის რა-  
 ფიელ ერისთავს (დროება, 1882, №121). მათვე სპეციალური წერილები  
 უძლვნეს გ. ლეონიძემ „ბარათაშვილის ერთი ლექსის ირგვლივ“ (ლიტ.  
 მატიანე, ნ. 1-2, გვ. 415-418) და ი. გრიშაშვილმა ნიკოლოზ ბარათაშ-  
 ვილის „ცისა ფერს“ და ალექსანდრე ჭავჭავაძის „ფერსა ბნელს“  
 (ლიტერატურული ნაკვევი. 1952, გვ. 108-113).

ვლოცავ დღეს ჩვემს ვაჩხის

წარწერა მართა ერისთავის თასზე. როდისაა დაწერილი არ ვიცით,  
 თუმცა პ. ინგოროვა ფიქრობს, რომ „ჩანს დაწერილია 1844 წლის  
 აგვისტოში, როდესაც ნ. ბარათაშვილი ერისთვიანთსა იყომ“ (იქვე)  
 მისი ტექსტი გამოაქვეყნა ნინო ორბელიანმა, მაგრამ მასაც არაფერ  
 სცოდნა ლექსის დაწერის თარიღზე. მართა ერისთავი იყო ივანე  
 სოლოდაშვილის ქალიშვილი. მას, როგორც ულამაზეს ქალს, სატრ-  
 ფიალო ლექსებს უძლვნიდნენ.

ეღვენს და ვაჩხავს

ავტოგრაფი არ შენახულა. ლექსი აღმოაჩინა და გამოაქვეყნა დ.  
 კარიჭაშვილმა („საქართველო“, 1916, №260; „სახალხო ფურცელი“,  
 1916, №728; მისი სურათებიან დამატება №130), მიმართულია ლუარასაბ  
 ორბალიანის ასულების — ელენე ერისთავისა და მარიამ  
 ფალავანდიშვილის საპასუხოდ. მათ ხშირად იხსენებს გრ. ორბელიან  
 ტავის წერილებში. ლექსი დაწერილია მაშინ, როდესაც ნ. ბარათაშვილი  
 სასამართლო პალატაში მუშაობდა. ამიტომაც არის ის, რომ პოეტს  
 ხუმრობით უწერენ: „პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია“. შდრ.: ნ.  
 ბარათაშვილის თხზულებათა 1930 და 1039 წლების გამოცემათა  
 დამატებანი; აგრეთვე ი. „პალახაშვილის ცხოვრება“ (გვ. 260-278), ი.  
 ლოლაშვილის „ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა“  
 (1968, გვ. 91-92).

პემა „პედი ქართლისა“

ზ. ჭიჭინაძე იუნიება: ნ. ბარათაშვილს ბევრჯერ უთქვამს მეგობრე-

ბისათვის, რომ „ბედი ქართლისას“ შინაარსი სკოლაში ყოფნის დროს დამებადა თავში, იქვე განვიზრახე ამისი დაწერა, რამდენიმეჯერ დავწერე კიდევ, მაგრამ არ ვაჩენდი, ვიდრე გვარანად არ შევიმუშავებდიო“. სხვათა გადმოცემით, როდესაც ნ. ბარათაშვილს პოემა დაუსრულებია, ჭავჭავაძიანთ ბაზზე ნაუკითხავს საჯაროდ და მსმენელებს დიდად მოსწონებიათო (იქვე). ჩვენ არ ვიცით, რამდენად სწორია ეს ცნობები, მაგრამ დოკუმენტურად მტკიცდება, რომ 1839 წლიდან 1844 წლამდე ავტორს პოემა რამდენჯერმე გადაუმუშავებია. ეს შემოქმედებითი ისტორია თავისთავად მეტყველებს, რომ თხზულება პოეტის ხელიდან დიდი ჯაფის შემდეგ გამოსულა. ჩვენს სიცელთსაცავებში დაცულია პოემის ორი, ერთმანეთისაგან რედაქციულად განსხვავებული ავტოგრაფი, თერთმეტი ხელნაწერი პირი და ერთიც პირველნაბეჭდი. სულ 14 დედანი.

### რედაქტორის პატი

ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი დაკარგულად მიიჩნევენ ნიკოლოზ ბარათაშვილის საუკეთესო ნაწარმოებს — პოემას „ივერიელი“. ჩვენი ლრმა რწმენით, რომლის გამყარებასაც შესაბამის არგუმენტაციით შევეცდებით, პოემა არსად დაკარგულა და ეს შეხედულება ოდენ გაუგებრობის შედეგია.

ერთადერთი ცნობა პოეტის თანამედროვეთაგან პოემა „ივერიელის“ არსებობის შესახებ, 1881 წლის 4 ოქტომბრის გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი წერილია სათაურით „ნიკოლოზ ბარათაშვილი (მასალა ბიოგრაფიისთვის)“. მისი ავტორი გახლავთ პოეტის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი. წერილი დათარიღებულია 1881 წლის 29 სექტემბრით, ე. ი. ის სწორედ „დროებისთვის“ არის დაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე მამაცაშვილი სიყრმიდანვე პოეტის ერთ-ერთი ახლო მეგობარი იყო, ვინაირობთ, ცნობა სანდო არ უნდა იყოს. უფრო ზუსტად, კ. მამაცაშვილი იცნობდა ნაწარმოებს ასეთი სათაურით და ის მას პოემად მოიხსენებს. ამავე დროს იქვე შენიშნავს „... აგრეთვე პატარა პოემა „მირბის, მიმაფრენს უგზოუკვლოდ ჩემი მერანი“ და სხვა პატარა ლექსები იმავე აზრისა და მიღრეკილებისა არიან, როგორც „ბედი ქართლისა“. ვფიქრობთ, პოეტის მეგობრის ამგვარი განურჩევლობა პოეტურ უანრებთან მიმართებაში, სულ მცირე ეჭვის შეტანის საბაბი მაინც არის. ე. ი. რომ არა ციტირებისას გამოჩენილი სიზუსტე, ჩვენ უნდა გვეციქრა, რომ დაკარგულია კიდევ ერთი პატარა პოემა!

კ. მამაცაშვილის მიხედვით, „პოემაში აღწერილი იყო ჩვენი აპყავებული ცხოვრება მე-10, მე-11 და მე-12 საუკუნეებისა. ავტორს ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა, რომელნიც ისეც მშვენიერი იყო“.



გაუგებარია „ივერიელნი“ პოემაა, ლექსი, თუ ე. წ. „ლექსები?“ და საცხებით ცხადი, რომ ეს „პოემა“ თუ „ლექსები“ დაუმთავრებელი ყოფილა და პოეტს მისი გასრულება ეწადა.

ნეკოლოზ ბარათაშვილმა მოახერხა, ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით უმწვავესი თემის — საქართველო-რუსეთის შეერთების განხილვა და „ბედი ქართლისას“ ხელნაწერ გამოცემებში შეტანა. განა ისეთი რა უნდა აღეწერა პოეტს მე-10 — მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, რომ მისი გაფრცელება აცტორის თვის საფრთხის შემცველი ყოფილიყო? რატომ ვერ შეიტანა „ივერიელნი“ ვერცერთ ხელნაწერ გამოცემაში? ვფიქრობთ, მიზეზი მხოლოდ ორი შეიძლება იყოს:

1. პოემა არ იყო დასრულებული და ის პოეტს არ მოსწონდა.
2. ეს იყო თავდაპირველი გარანტი პოემისა „ბედი ქართლისას“.

ჩვენი ვარაუდი ამ უკანასკნელისკენ იხრება.

მკითხველი იცნობს პოეტს ლექსს „საფლავი მეფის ირაკლისა“. არსებობს ამ ლექსის ადრინდელი ვარანტი სათაუროთ „საფლავი ივერიისა“. რატომ არ შეიძლება, რომ პოემის წინარე რედაქციასაც რქმეოდა „ბედი ივერიისა“ ან სულაც „ივერიელნი“? მითუმეტეს, რომ პოემაში რამდენჯერმეა მოხსენიებული „ივერნი“: მაგ.

„ბედმა გაცყარა მებრძოლნი მტერნი,

გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი!“

ან

„იცი მეფეო, რომე ივერნი

იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?“

მაშ რატომ დაარქვა პოეტმა საბოლოოდ პოემას „ბედი ქართლისა“? ვფიქრობთ, პოეტმა იცოდა, რომ სათაურო „ბედი ქართლისა“ პოლიტიკური კონოტაციის შემცველი იყო. ამიტომ მას კითხულობდა სათაუროთ „ივერიელნი“. ასევე გასათვალისწინებელია, რომ პოეტი თავიდან თავს არიდებდა ხელნაწერი სახით გაფრცელებასაც: პოემის არცერთი დედანი არ არის პოეტის მიერ ხელმოწერილი! 1841-43 წლებში პოეტის მიერ გაფრცელებული 6 ხელნაწერი გამოცემიდან სამს არ ახლავს პოემა „ბედი ქართლისა“. ეს კრებულები მხოლოდ ლექსებს შეიცავს, ხოლო მეოთხე ხელნაწერი გამოცემა უკვე თუ ნაწილად მზადდება და შეიცავს ცალკე „ლექსის“ და ცალკე „ბედი ქართლისას“. ასევე მე-5 და მე-6 გამოცემებშიც. ვიმეორებთ: არცერთ ხელნაწერ გამოცემაში ავტორი არ არის მითითებული და მას არ ახლავს პოეტის ხელრთვა! რატომ გაუჭირდებოდა ავტორს ფაქტიურად ანონიმური „ბედი ქართლისას“ ანალოგით ანონიმური „ივერიელნის“ გამოცემაც?

ასე, რომ ვფიქრობთ, პოემა „ივერიელნის“ ძიება უსარგებლო საქმეა. მართლაც საფიქრალი და საძიებო უზრო სხვა რამ უნდა იყოს: ჩვენ არ გაგვაჩნია 1844-45 წლების პოეტური კრებულები). ამ პერიოდიდან მხოლოდ 5 ლექსი შემოგვრჩა. არადა ეს „მერანის“ პერიოდია!

## I.

ბარათაშვილის ეს ნერილი აღმოჩნდა არქივის №171-ში, სადაც დაცულია გრ. ორბელიანის (1800-1883) ქადალდები და 1832 წლის შეთქმულთა (სოლ. რაზმაძის, ს. დოდაშვილის და სხვების) ნერილები. ამ დროს გრ. ორბელიანი მსახურობდა ქ. ნოვგოროდში დაბანაკებულ „საგანგებო ქვეით პოლკში“ (ი. მეუნარგია, ცხოვრება და ლვანლი თ. გრ. ორბელიანისა, ტფილისის, 1905, გვ. 24).

ბარათს თარიღი არ უზის, მაგრამ მასთან ინახება მელიტონ ბარათაშვილის (პოეტის მამის) ნერილი გრ. ორბელიანისადმი 1831 წლის 3 სექტემბრის თარიღით. მელიტონ სწერს გროგოლს: „ვისთვისაც მოკითხვა მოგენერა, ყველამ მადლობა და მოკითხვა მოგახსენეს. ჩემმა ტატომ კი წიგნი მოგწერა. მერწმუნეთ თითონ დაწერა, არავის უსწავლებია“. ცხადია აქ იგულისხმება ნ. ბარათაშვილის დასახელებული წერილი, რომელსაც აშკარად ეტყობა რუსულ ენაში ჯერ კიდევ გაუწაფავი შეგირდის ხელი. საფიქრებელია, ნ. ბარათაშვილმა იგი დაწერა იმ დღეს, როცა მელიტონი აგზავნიდა ბარათს გროგოლ ორბელიანთან (ე. 1831 წლის 3 სექტემბერს).

1. ინსტრუმენტები — როგორც ჩანს, ბარათაშვილი სთხოვს ბიძას სასწავლო ხელსაწყოების გამოგზავნას.

## II.

1. ნკ. ბარათაშვილმა გიმნაზია დაასრულა 1835 წლის შემოდგომაზე და შევიდა მოხელედ „სასამართლოსა და განჩინების ექსედიციაში“ 1835 წლის პოლონს.

2. ეს ტაები ამოღებულია გრ. ორბელიანის ლექსიდან „იარალის“. ნ. ბარათაშვილს ოდნავი შეცვლით მოჰყავს პოეტის სიტყვები (შდრ. გორბელიანი): „გაცხელებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს“)

3. „არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან“ თავისებურად შეცვლილი რეფრენია საიათნოვას ლექსისა: „შე საწყალო ჩემო თავო, რა იქნ“ (ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, ტფილისის, 1918, გვ. 107)...

6. ბარათაშვილი ამ ბარათს წერს 1837 წ. (თებერვალი), როცა გრ. ორბელიანი პოლონენთში „ნევის საზღვაო პოლკში“ მსახურობდა. ეს პოლკი 1833-1837 წწ. ვილნოს გუბერნიაში იდგა. მაშინ მიიღო გრ. ორბელიანმა შტაბს-კაპიტნის ხარისხი.

## III.

1. მიხეილ თუმანიშვილი — გიორგი XII მდივნის პირთველის ძე (1818-1875), ნ. ბარათაშვილის ახლო მეგობარი. თბილისის გიმნაზია



დაასრულა 1836 წ. 1964 წ. მუშაობდა „გლეხთა განთავისუფლების კანცელლარიის უფროსად. 1874 წ. მეფის მოადგილის საბჭოს წევრია.

მიხ. თუმანიშვილი ქართულ პრესაშიც იღებდა მონანილეობას. მის კალამს ეკუთვნის ორიგინალური ლექსები. თარგმნა პუშკინის „ბახჩისარაის შადრევან“ და უურნალ „ცისკარში“ მოათავსა რამდენიმე ფელეტონი „სალაყბო ფურცელი“-ს ხელმონერით. მასვე ეკუთვნის წერილები ქართული თეატრის შესახებ რუსულ ენაზე (იხ. მიხ. თუმანიშვილის თხზულებანი. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. ტფილისი, 1881 წ.); შდრ. მონოგრაფია: მიხ. ხელთუპნელი. წარსულიდან. ტფილისი, 1937 წ. და სხვ.).

2. ზაქარია ორბელიანი — ნ. ბარათაშვილის ბიძა, გრ. ორბელიანის ძმა (1806-1847). სამხედრო სამსახურში შევიდა 1824 წ. 1826 წელს გადაიყვანეს ლეიბგვარდიაში. 1828 წ. მოხანილეობას იღებდა ომში თურქეთის ნინააღმდეგ. არზრუმთან ბრძოლაში გმირობისათვის ებოძა ანას მე-4 ხარისხის ორდენი. 1831 წელს მონანილეობდა პოლონეთის „დაწყნარებაში“. 1837წ. — პორუჩიკი, 1838 წ. მიიღო შტაბ-კაპიტანის ხარისხი. 1842 წ. მსახურობდა სამხრეთ დალისტანში (სამურში) გენერალ მ.ზ. არლუტინსკისთან. 1844წ. გახდა პოლკოვნიკი; გარდ. 1847 წელს ხოვალმაქში (დალისტან) ხოლერისაგან (დაწკ. იხ. გრ. ორბელიან, „წერილები“ აკ. განერელიას რედაქციითა და შენიშვნებით, ტ. I, გვ. 220-221).

3. ვარლამოვი — გარსევან ვარლამოვი, თბილისელი კათოლიკი, 6. ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი. გ. ვარლამოვისთვის უცხო არ ყოფილა ლიტერატურული ინტერესები. მას გიმნაზიაში პუშკინის „ევგენი ონეგინს“ რამდენიმე თავი უთარგმნია ქართულად, მაგრამ უხეიროდ. რამდენიმე ლექსი აქვს მოთავსებული „თბილისის გიმნაზიის ყვავილში“ („Цветок Тифлисской Гимназии“). გ. ვარლამოვი 40-იანი წლებში 6. ბარათაშვილთან ერთად იხსენიება მ. თუმნიშვილის, ლ. ისარლოვის და პოლონელი პოტის თადეოზ ლადი-ზაბლოცის წერილებში. „მერანის“ ავტორთან მას ახლო ურთიერთობა ჰქონია გიმნაზიის დამთავრების შემდეგაც. საქართველოს ცენტრალურ არქივში აღმოჩენილი მასალებით დასტურდება, რომ გარსევან ვარლამოვი 6. ბარათაშვილთან ერთად მსახურობდა მაგიდის უფროსად „საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში“, რომელიც დაარსდა 1840 წელს, სენატორ განის რეფორმის შემდეგ „სამართლისა და განჩინების“ ექსპედიციის ნაცვლად. შეიძლება ამ უკანასკნელ დაწესებულებასთან იყო დაკავშირებული ვარლამოვის „ჩინზე“ წარდგენის საქმე, რაზედაც ლაპარაკია 6. ბარათაშვილის წერილში.

#### IV.

1. „დიმიტრიევსკის ლექსები“ იღულისხმება პოეტი დ. დიმიტრიევსკი, რომელიც დაახლოებული ყოფილა პუშკინთან და ლერმონტოვთან.

ეს უკანავსკნელი აღფრთოვანებულიც კი ყოფილა მისი სატრაფიალი და ლექსიპით. დიმიტრიევსკის უცხოვნია კავკასიაში, კერძოდ თბილისში. იყო კავკასიის მხარის ვიცე-გუბერნატორი. ადრე გარდაცვლილა.

2. აფხაზი — ივანე ნიკოლოზის ძე. 1826 წ. — საქ. გრენდ. პოლკის უფროსი, ცნობილია თავისი ლაშქრობით ოსეთში 1830 წელს.

ი. მეუნარგიას ცნობით, „მელიტონი (ბარათაშვილი) ჯერ მუხრანიანთ ხდის ახლო იდგა და შემდეგ ანჩისხაჭის უბანში, იქ, საცა აფხაზი იდგა, დეკანოზის დიმიტრი მესხიშვილის სახლის პირდაპირ“ (1922 წ. გმოც., გვ. 8).

3. ყიფიანი — დიმიტრი ყიფიანი, ქართველი მწერალი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე (1814-1887); სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში; ნ. ბარათაშვილის ახლო მეგობარი სასწავლებლიდან; 1830-1859 წწ. მსახურობდა მეფის მოადგილის კანცელარიაში; 1856 წელს, გენერალ მურავიოვის დროს, მართავდა კანცელარიას; 1859 წ. იყო მეფის მოადგილის საბჭოს წევრი, 1864-1870 წწ. — თბილ. გუბ. თავადაზნაურობის წინამდლოლი, 1876-1879 წწ. — თბილისის ქალაჭის თავი, 1885 — 1886 წწ. — ქუთაისის თავადაზნაურობის წინამდლოლი, 1887 წელს მოკლეს ქ. სტავროპოლიში.

დიმიტრი ყიფიანმა გამოსცა ქართული გრამატიკა, თარგმნა რამდენიმე პერს შექსპირისა და მოლიერისა (დაწვრ. ი. მისი „მემუარები“, ტფილ. 1930).

4. შექსპირი (უალიამ) — უდიდესი ინგლისელი დრამატურგი (1564-1616).

5. ლაიზევიცი (იოანენ ანტონ) — გერმანული დრამატურგი (1752-1806). რომლის ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „იულიუს ტარანტელი“ რუსულიდან უთარგმნია ნიკ. ბარათაშვილს. ეს თარგმანი ამჟამად უცნობია.

6. „ბიბლიოტეკა“ — იგულისხმება უურნალი „Библиотека для чтения“, რომელიც გამოიცილდა ორენტალისტის და უურნალისტების სენკოვსკის (ბარონ ბრამბეუსი) რედაქტორობით; დაარსდა 1834 წ. ლაიზევიცის ტრაგედიის რუსული თარგმანი ამ უურნალშია დაპეჭდილი (1840 წ. 43 ტომის დეკემბრის წიგნში).

7. მაიკო — ქაიხოსრო ორბელიანის ასული, დაი მიხეილ ორბელიანისა, ლევან მელიქშვილის დანიშნული, ნ. ბარათაშვილის უახლოესი მეგობარი და ნათესავი. გარდაიცვალა 1849 წ.

8. ბალაშოვი?

1841 წლის მაისში, როცა ნ. ბარათაშვილი სწერს ბარათს გრ. ორბელიანს, ეს უკანასკნელი საქართველოში იმყოფებოდა (მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში, რომლის შტაბი ქ. გორში იდგა).

## V.

1. დიმიტრი ჯორჯაძე (დავითის ძე) — საზოგადო მოღვაწე

(1822-1888) მსახურობდა დალესტანში (ქ. თემირხანშურაში) მსახურობდა კანცელარიის გამგედ; გრ. ორბელიანის ახლო მეგობარი; 70-იან წლებში დალესტანიდან გადმოიყვანეს თბილისში და მონაწილეობა მიიღო საკანონმდებლო პროექტების შედგენაში. მეფის მოადგილის საბჭოს წევრი. გრ. ორბელიანი მას თავის „ბურიენად“ (ნაპოლეონის მდივნის სახელია) სთვლიდა.

2. ანდრონიკოვი — ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი (1798-1868), 1829 წ. მიიღო პოლკოვნიკის ხარისხი. 1840 წ. ჩაქრო თხეთის ამბოხება. 40-იან წლებში მონაწილეობს მთიელებთან ომში დალესტანში.

ივ. ანდრონიკაშვილი 1841 წლის აგვისტო-სექტემბერში მონაწილეობდა გურიის აჯანყების ჩაქრობაში. როგორც ცნობილია, გურიის გლეხობის გამოსვლა მთავრობისა და მემამულეთა წინააღმდეგ მოხდა 1841 წ. მაის-სექტემბერს. „წესრიგის აღსადგენად“ გურიაში გაიგზავნა დამსჯელი რაზმი, რომელმაც მკაცრი რეპრესიებით ჩაქრო ამბოხება. აჯანყების მრავალი მონაწილე გაროზებს, ზოგი ციმბირში გადაასახლეს და ზოგიც საპატიმროში მოათავსეს.

3. იგულისხმება კავკასიის ჯარების კორპუსი.

4. „სარდლობა არღუთინსკისა“. პოლკ. მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვი (1798-1855). შემდეგში გენერალ-ადიუტანტი. სარდლობდა იმ პოლკს, რომელმაც ჩაქრო გურიის აჯანყება 1841, შემდეგ იბრძოდა დალესტანში. (დაწვრ. იხ. გრ. ორბელიანის, „წერილები“, ტ. I, გვ. 248).

5. საგინოვი — გიორგი საგინაშვილი, ქართველ გრენადერთა პოლკის ოფიცერ, შემდეგ მსახურობდა დალესტანში ზაქ. ორბელიანთან, მ. არღუთინსკის ხელქვეითად „სამურის რაზმში“.

6. გურამოვი — პოლკოვნიკი, მონაწილეობას იღებდა მთიელებთან ომში 40-იან წლებში.

7. ალდერბელლი — გრაფი ალექსანდრე ვლადიმერის ძე ალდერბერგი (1818-1888). 1841 წელს ჩამოვიდა კავკასიაში და მონაწილეობა მიიღო ომში შამილის წინააღმდეგ. 1842 წ. დააჯილდოვეს ანას მევს ხარისხის ორდენთ. 1845 წ. მიიღო კაპტანის ხარისხი. 1850 წელს თან ახლდა იმპერატორის მეკვიდრეს (შემდეგში ალექსანდრე II) კავკასიაში მოგზაურობისას და მთიელთა შეტაკებაში მდ. რომნასთან (საჩარინო) სომამაცის გამოჩენისათვის ებოძა საჩუქარი (ნახევარხმალი ნარწერთ „სომამაცისათვის“). შემდეგში — ინფანტერიის გენერალი და კარის მინისტრი.

8. „პოლკის კამანდერი გამოგიცვალეს“. გრ. ორბელიანი მსახურობდა ქართ. გრენადერთა პოლკში. პოლკის უფროსად 1836-1840 წწ. იყო გრაფი ალ. კარლოს ძე ოპერმანი, 1840-1841 წლებში კი — პოლკოვნიკ ბორის გაბრიელის ძე ჭილაშვილი, რომელმაც თავის თანამდებობა ჩააპარა გენ.-მაიორ კურასოვსკის. ნიკ. ბარათაშვილს მხედველობაში აქვს ეს ცვლილება.

9. ჩილაევი — ბორის გაბრიელის ძე ჭილაშვილი. 1848 წ. გენ-

მაიორი და ჭარბელაქნის ოლტის მმართველი. მონანილეობა მიიღო ბრძოლებში მთიელთა წინააღმდეგ (ნ. ბარათაშვილის 1922 წლის გამოცემის მე-158 გვერდზე აღნიშვნულია: „ჩილაევი — მიხეილ ჭილაშვილი, ცოლის ძმა დიმიტრი ყიფიანისა“. რედაქციას აქ შეცდომა მოხვდია, რადგან ნ. ბარათაშვილი მიხეილ ჭილაშვილს არ გულისხმობს).

10. ყაფლან (იხ. ზემოთ, მე-6 ლექსის „ღამე ყაბახზედ“ შენიშვნებში).

11. პლატონ — პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი, ცონბილი ისტორიასკოსი და არქეოლოგი (1809-1875). პლატონ იოსელიანი დიდად აფხაზებდა ნ. ბარათაშვილის ნიჭს, თუმცა ნიკოლოზი ირონიულად მხუნჯლიბდა და წერდა მის შესახებ.

12. გიორგი — გიორგი საგინაშვილი (?)

13. ვასილი — ვასილი არლუთინსკი თუ ვასილ ყორდანაშვილი (?) აფხაზები.

14. ეგნატი — ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანი, პლატონის მამა, გიორგი XII-ის კარის მღვდელი. დაახლოებული იყო ნ. ბარათაშვილის აფხაზთან; გარდაიცვალა 1843 წელს.

## VI.

1. ილია — ილია ორბელიანი. ნ. ბარათაშვილის პიძა, მეორე მშვიდე მა გრ. ორბელიანისა. დაიპ. 1815 წელს. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში. 1834 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში. 1841 წ. გადაიყვანეს თბილისის ეკურთა პოლკში, იმავე წელს დაინიშნა მე-19 ქვეითი დივიზიის უფროსის გენ.-ლეიტენანტის ფეხზე ადიუტანტად. 1845 წელს ეპონა კაპიტონიბა. 1849 წელს — პოლკოვნიკია; 1851 წ. — გრენად. პოლკის უფროსი. 1852 წ. მიიღო გენ.-მაიორის ხარისხი. 1853 წ. იბრძოდა თურქთა წინააღმდეგ ბაშკადიკულართან, სადაც სასიკვდილოდ დასჭრეს. დაკრძალულია ქაშვეთის ეკლესიაში.

2. შამილი — საჩაჩნისა და დაღესტნის იმამი (1798-1871), შვილი ავარელი უზდენის დენგაუსა და ავარელი ბეგის ქალის ბახუმესედუს. მიიღო კარგი განათლება არაბულ ენაზე. 1830-1832 წწ. იბრძოდა დაღესტნის პირველ იმამ ღაზი-მოლასთან ერთად. 1832 წელს იცავდა აულ გმირს, სადაც მოკლეს დაღესტნის პირველი იმამი და შამილიც შეიმედ დაჭრეს. მეორე იმამის პამზად-ბეგის სიკვდილის (1834 წლის ოქტომბერში) მთიელებმა ის აირჩიეს იმამად. შამილი მთელი 25 წლის განმავლობაში ებრძოდა მეფის რუსეთის ჯარებს. დაატყვევეს ღუნიბში (ცენტრ. დაღესტანი) 1859 წლის 25 აგვისტოს. 1871 წლამდე ექს-იმამი ცხოვრობდა კალუგაში. უკანასკნელად მას დართეს ნება მექაში გამგზავრებისა, სადაც გარდაიცვალა 1871 წლის 4 თებერვალს.

3. „ყაზიყუმუხილები“ — დაღესტნელი მთიელები (ყაზიყუმუხი მდებარეობს კასპიის ზღვის ახლოს, დარღის, ქურის, ყაითალისა და სურგის მიწებს შორის, ცენტრალური სოფელი — ყაზიყუმუხი).

4. ფეხი — კარშე კარშეს ქე; 1832 წელს მიიღო გენ. ჯავახიშვილის ხარისხი, იბრძოდა დაღესტანში 1836-1844 წწ. გარდაიცვალა 1848 წ. კავკასიური ომის ცნობილი მონანილე.

5. ანდალალი — მდებარეობს ცენტრალურ დაღესტანში მდ. ყარა-ყოისუსა და ავარიის ყოისუს შორის... კავკასიური ომის დროს ანდალალში გამაგრებული აულები იყო ჭუხი (ჭოხი) და ლუნიბი.

6. ბარათაშვილი შეცდომით აღნიშნავს, თითქოს ილია ორბელიან ტყვედ წაყვანოთ მთიელებს ანდალალიდან, ნამდვილად კი ი. ორბელიან დაატყვევეს სოფ. ყაზიყუმუხში; მოკლედ ამ ისტორიის შესახებაც:

1842 წლის 20 მარტს ყაზიყუმუხში ილია ორბელიან და მასთან ერთად ორი ოფიცერი: პოლკ. სნაკვარევი და პრაპ. ანანოვი, ხელში ჩაუვარდათ შამილის რაზელებს. ყვები წაასხეს შამილის რეზიდენციაში, დარღოში. ილია ორბელიანმა წვიმინ დამითხუადა გაქცევა, მაგრამ გზაზე სოფ. მეხელტას (დაღესტ.) ახლოს დაიტირეს და უკანვე მიჰვარეს იმამს. ილიას გამოსყიდვის შესახებ შამილთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გენერლები კლუკი-ფონკლუგენაუ და მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვი. ბოლოს, 1842 წ. 22 ნოემბერს ილია გამოიხსნეს: შამილმა ის გადაცვალა რუსების მიერ დატყვევებულ ნაიპ შაჰმანდარ-ჰაჯ ზე. იმამს დაუპრუნეს სხვა მთიელი ტყვებიც.

6. სინაქსაროვი (სნაკვარევი) — პოლკოლკოვნიკი, სამურის ოლქს უფროს 1841-1842 წწ., ტყვედ ჩაუვარდა შამილს 1842 წელს ყაზიყუმუხში.

7. „ყაზიყუმუხის ხანი“ — ილია ორბელიანთან ერთად დაიტირეს არა მარტო სნაკვარევი და ანანოვი, არამედ ყაზიყუმუხელი ხანების ოჯახის წევრი გარუნბეგიც (გარდაცვ. 1848 წ.), რომელიც მაშინ ყოფილი ქურის სახანოს მმართველი გარუნ-ბეგი ამ სოფელში იმყოფებოდა ილია ორბელიანთან ერთად. შამილმა შემდეგში ის გაანთავისუფლა.

8. ავარელები — ავარია მდებარეობს ჩრდილო დაღესტანში, ყოისუბუს, ანდალალისა, გუმბეთისა, ანდისა და ყოფ. მეტთულის სახანოს შორის. დაღესტანის უძლიერესი ტომის მხარე, მცხოვრები ლაპარაკობენ დამოკიდებულ, ავარიულ ენაზე.

9. ახმეტ ხანი — ახმეტ ხანი შეხთულელი, ავარიის მმართველი (1840-1842 წწ. გარდ. 1842 წ. შამილის ცნობილი ნაიპის ჰაჯი-მურადის პირადი მტერი. (იხ. გრ. ორბელიანის „ნერილები“).

10. ახტელელები — ახტა — გამაგრებული სოფელია ყოფ. სამურის ოლქში (სამხ. დაღესტანში).

11. 6. ბარათაშვილი გულისხმობს შამილის ვაჟს ჯემალ-ედინს, რომელიც რუსის მხედრობამ მამას ჩამოართვა მძევლად 1839 წელს, ახულგოს აღებისას; ის დიდხანს იმყოფებოდა პეტერბურგში, შამილს უნდოდა 1842 წელს დაებრუნებინა, მაგრამ ამაოდ, (ჯემალ-ედინი მან დაიბრუნა 1855 წელს, წინანდლიდან ლევების მიერ გატაცებული ქართველი ტყვეების სანაცვლოდ)... ჯემალ-ედინი გარდაიცვალა დაღესტანში 1858 წელს ჭლეჭისაგან. (იხ. ა. დიუმა, კავკასის, თბ.,

1964, შეთშენები).

12. დარღო — გამაგრებული აული იჩქერიაში (საჩარნო); შამილის რეზიდენცია 1840-1845 წლებში.

13. გოლოვინი — ევგ. ალ. გოლოვინი, ინფანტერიის გენერალი, კავკასიის მთავარმართებელი 1838-1842 წლებში. გოლოვინს ცოლად ჰყავდა ფონვინზინის ასული.

14. ილიკო — ილია ორბელიანი. (იხ. ზემოთ, VI.)

15. ზაქარია — ზ. ორბელიანი. (იხ. VI<sub>16</sub>)

16. იასე — იასე ანდრონიკაშვილი, სამხედრო პირი, მსახურობდა ჭარ-ბელაქანში.

17. ელისო (ელისუ) — შედიოდა ყოფ. ზაქათალის ოლქში, რეზიდენცია ყოფ. ელისუს სახანოს მმართველობისა. უკანასკნელი სანი, რუსთა გენერალი დანიელ სულთანი, 1844 წელს შამილს მიემსრო.

18. პოზინი — „სტატს-სეკრეტარი“ მ. ი. პოზინი, რევიზიისათვის ჩამოსული კავკასიაში 1842 წელს.

19. მირისტრი — სამხედრო მირისტრი ა.ი. ჩერნიშოვი (1785-1875).

1842 წლის აპრილში იმპ. ნიკოლოზ I-მა კავკასიაში გამოაგზავნა სამხ. მირისტრი ჩერნიშოვი და „სტატს-სეკრეტარი“ პოზინი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ადგილობრივ შეემოწმებინათ ადმინისტრატიული რეფორმები.

20. ფეფო — ეფემია ბარათაშვილი, დედა პოეტისა; გარდ. 1849 წ. ეფემია ბარათაშვილი ძველ ქართულ მწერლობაში განსწავლული ქალი იყო და ნილი უდევს ნიკოლოზის სულიერი აღზრდის საქმეში. მისი სახე პოეტურად უკვდავყო გრ. ორბელიანმა ლექსში „ჩემს დას ეფემიას“.

21. ელიზბარ — ელიზბარ შანშეს დე ერისთავი (?). იზრდებოდა პეტერბურგში, კერძო პანსიონში. ერთ-ერთი მთავარი მონაწილე 1832 წლის შეთქმულებისა და 30-იანი წლების ლიტერატორი.

## VII.

1. მაიკო — მაიკო ორბელიანი. (იხ. ზემოთ, IV<sub>7</sub>)

2. რახაელ — რახაელ ციციშვილი, ბარათაშვილების ახლო ნაცნობი (ცნობა გ. ლეონიძისა).

3. იასე — იასე ანდრონიკაშვილი. (იხ. VI<sub>16</sub>)

4. მანანა — ივანე (მირმანოზ) ერისთავის ასული, დავით ორბელიანის მეუღლე (1808-1870), სილამაზით ცნობილი ქალი 50-იანი წლების თბილისში. ქართული წყაროები მანანა ორბელიანს ახასიათებენ როგორც ქართული მწერლობის დიდ მოყვარულს. იგი საზოგადოებრივ საქმიანობაშიც იღებდა მონაწილეობას. მეგობრობდა ნ. ბარათაშვილის ოჯახს. გამოყვანილი ჰყავს ლევ ტოლსტოის მოთხოვნებაში „ჰაჯი მურატი“.

5. ტახო — მანანას ასული ორბელიანის (ანასტასია ორბელიანის) რომელიც შემდეგ მისთხოვდა ქ. ქუთაისის გუბერნატორს ალ. ივ. გაგარინს.

6. ელენე — ელენე ორბელიანი-ერისთავისა, პოლკ. ზ. ერისთავის მეუღლე.

7. ნინუცა — ნინო ბარათაშვილი, ნიკოლოზის დაი (დაიბ. 1829 წ. 18 ივნისს).

8. ანნა ივანოვნა — ანა ივანეს ასული ბაგრატიონ-მუხრანსკია.

9. გლუხარიში — გიორგი ერისთავი, ცნობილი ქართველი კომედიოგრაფი (1811-1864). გ. ერისთავი დიდი პატივისმცემელი იყო ნ. ბარათაშვილისა, რომლის დაკარგვა გამოიტირა ლექსში „თ. ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებაზე“.

### VIII.

1. ატტილა — ჰუნების მეფე, ველური სარდალი, დასავლეთ ევროპის ერების დამპყრობელი; გარდ. 453 წ.

2. 6. ბარათაშვილს მხედველობაში აქვს გრ. ორბელიანის ფრაზა, მიწერილი ილია ორბელიანისადმი 1843 წლის 18 ივნისის თარიღით: „ზედ უთუოდ დააწერეთ ნიგნა Правителю Аварии, თორემ არ მივიღებ“, (იხ. გრ. ორბ. წერ. I, გვ. 75) ან „მე ჰაქმანან ემირ ავარ — სხეულიგად აღარ შემიძლიან ნიგნის დაწყობა“... (წერილები ილიასადმი, იქვე, გვ. 79).

3. რენენკამფი — პავლე იაკობის ძე რენენკამფი, გენერალ-ლეიტენანტი დალესტანში მოქმედი ჯარების დივიზიის უფროსი; კავკასიონიდან წავიდა 1844 წ.

4. მირზა-სალი — ირანის მეფის ფეტ-ალი-შაჰის (იგივე — ბაბახანი) მემკვიდრის, აბას-მირზას მდივანი.

5. მთავარმართებელი — იგულისხმება გენერალ-ადიუტანტი ალ. ივნეიდპარტი (1784-1844), კავკასიის მთავარმართებელი 1842-1844 წლებში.

6. გრაფი ჩიჩერინი — თუ: ჩიჩერინ (?) გ. ლეონიძით: იტალიელი გრაფი (?).

7. „ჩვენი ლევან“ — ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი (1816-1892), ნიკ. ბარათაშვილის ამხანაგი გიმნაზიიდან, შემდეგ ში — კავალერიის გენერალი. 1842 წელს ლევან მელიქიშვილი შტაბს-კაპიტანი იყო. 1848 წელს მიიღო პოდპოლკოვნიკის ხარისხი და დაინიშნა კორდონის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსად. 1858 წელს — ამ ხაზზე მოქმედი ჯარების სარდალია. მონანილეობას იღებდა ლურბის აღებაში 1859 წელს. 1861 წელს — კავალერიის გენერალი. 1877 წელს ჩააქრო ახალი აჯანყება დალესტანში. 1880 წ. მთავარმართებლის მოადგილეა. 1882 წელს სახელმწიფო საბჭოს წევრი. დასაფლავებულია მთანმინდაზე.

8. ბაკლანა — ზედმეტი სახელი იყო ალექსანდრე ორბელიანისა და მფიცრის.

9. გრიგოლ წერეთელი — პოლკოვნიკი. მონანილეობას იღებდა მთელებთან ომში დაღესტანს 40-50 წლებში.

10. ილია — ი. ორბელიანი.

11. ილია ორბელიანს 40-იან წლებში ბორცალოში ჰქონია ბოსტანი.

1843 წლის 3 ივნისს თარიღით გ. ორბელიანი სწერდა თავის ძმას ზექარიას: „რა გამოველ შინდამ, წიგნი არავისგან მომსვლია. ჩვენ ბატონი ძმა ილია არ მოიწერება, ბოსტნებში კიტრები და ხახვი პჲყვავებია, არა სცალიან“. იმავე წლის 18 ივნისს თარიღით ილიასადმი: „... ეს მაინც შემატყობინე, სადა ხარ? ქალაქში თუ შენს ბოსტანში?“ (იქვე) „შენ ბოსტნების ამბავი მომწერე“ და სხვა.

12. ვრიაზი ჭავჭავაძე — ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე, ცნობილი ქართველი პოეტი (1787-1846). ნ. ბარათაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მის ოჯახთან.

13. „კუნეინა“ — სალომე ორბელიანი-ჭავჭავაძისა, პოეტის მეულლე.

14. სავარსამიძე (ლეონტი იაკობის ძე) — 1827 წელს გენერალ-მაიორი. 1836 წ. ჭარბელაჟინის მმართველი. მონანილეობა მიიღო ომში თურქებთან და სპარსელებთან 1810, 1813 და 1826-27 წლებში.

15. იგულისხმება სიღონია ზექარიას ასული სავარსამიძისა.

16. სივრიჩი — აპოლონ სტეფანი სივრიჩი, პოდპოლკოვნიკი.

17. იგულისხმება მარია ივანეს ასული სივრიჩისა.

18. ბეზავი (ნიკოლოზ პავლეს ძე) — ამიერკავკასიის მთავარ-სამართველოს საბჭოს წევრი.

19. „ბეზავის ცოლი“ — სოფიო ორბელიანი, გრ. ორბელიანის დაიშნული.

20. ეგნატე — ეგნატე იოსელიანი.

21. ტაეპი ეკუთვნის მ. ი. ლერმინტოვს.

22. ფეფო — ეფემია ბარათაშვილი.

23. კატო — ეკატერინე ბარათაშვილი, ნიკოლოზის დაი, შემდეგ რევაზ ერისთავის მეულლე (დაბ. 1820 წ.)

24. ბაბალე — ბარბარე ბარათაშვილი-ვეზირიშვილისა (1826-1919); პოეტის დაი.

25. ნინუცა — ნინო ბარათაშვილი, დაი ნიკოლოზისა.

26. აპლიპუტილა — ზედმეტი სახელია ნ. ბარათაშვილის უმცროსი დის სოფიოსი (დაბ. 1841 წ.) (გ. ლეონიძე, ნ. ბარათაშვილის გარშემო, „ლიტ. მატიანე“, №1-2, 425).

27. მაია — მაია გორელი, ნ. ბარათაშვილის გამზრდელი (იხ. ნ. ბარათაშვილის ცნობა 1922 წ. გამოცემაში).

28. გიორგი — გიორგი რომანის ძე ერისთავი (?). 1844 წ. — მაიორი. 1845 წ. მისცეს პოლკოვნიკის ხარისხი. მონანილეობას იღებდა მთელებთან ბრძოლაში 1840, 1842-48 და 1850-51 წლებში.

## IX

1. ელისეს მინდვრები („... ილვისონსის ველი“) — ძველი ბერძნების წარმოდგენით მოთავსებული იყო სამყაროს დასასრულს; „უნტარესთა კუნძული“.

2. „სამურის ოლქ“ შედიოდა სამხ. დაღესტანში.

(მთავარი გამაგრებული სოფელი სამურის ოლქში იყო ახტი, სადაც ზაქარია ორბელიანი მსახურობდა. ამ ოლქს მართავდა მ.შ. არლუთინსკი).

3. იგულისხმება შემდეგი ისტორიული ფაქტი: 1842 წლის 1 მაისს აულ რიჭასთან ოფიცერებმა ზ. ორბელიანმა, ყორდანაშვილმა და მაღალაშვილმა სასტკიცად დაამარცხეს მთიელები. ზაქარია ორბელიანი მისცეს პოდპოლკოვნიკის ხარისხი და გიორგი მე-4 ხარისხის ორდენი.

4. კატო — ეკატერინე ბარათაშვილი.

5. რევაზ ერისთავი — ეკატერინეს მეულლე, სიძე ნ. ბარათაშვილისა.

6. დავით ერისთავი — ძმა რევაზ ერისთავისა.

7. გიორგი — გიორგი საგინაშვილი (?).

8. გრიგოლი — გრ. ორბელიანი.

9. ავგუსტუსი — რომის ჰიერელი იმპერატორი ოქტავიანე-ავგუსტუსი. (დაიბ. 63 წ. ძვ. წელთაღრ. გარდ. 14 წ. ახალი წელთაღრ.)

10. გრ. ორბელიანის 1844 წელს მისცეს პოდპოლ. ხარისხი და დაინშნეს ყოფ. მეხთულის სახანოს (დაღესტ.) მმართველად.

## X

1. ნ. ბარათაშვილს მხედველობაში აქვს ზაქარიას დანინაურება სამხედრო სამსახურში: 1844 წელს მას ჩააბარეს ყოფ. სამურის ოლქს უფროსობა, რადგან გენერალი მ. არლუთინსკი 1844 წელს დაინშნა დაღესტანში მოქმედი ჯარების უფროსად. ზ. ორბელიანმა სამურის რაზმით რამდენიმე გამარჯვებას მიაღწია 1844 წელს.

2. ილია — ორბელიანი. (იბ. ზემოთ, VI.)

3. ლევან — ლევან მელიქიშვილი. (იბ. ზემოთ, VIII.)

4. დავით — დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე (?) სამხ. სამსახ. დაინცყო 1834 წელს; 1847 წელს — კაპიტანი, შემდეგში — გენ.-ლეიტენანტი (1818-1884).

5. ბაკლანა — ბაკლანა ორბელიანი. (ზედმეტი სახელი იყო ალექსანდრე ორბელიანისა).

6. ზაქარია — ზაქარია ერისთავი. სენატორ გიორგი იესეს ქე ერისთავის შვილი, პოდპოლკოვნიკი. მოკლეს ლეკებმა 1949 წ. ალაზანთან.

7. ალექსანდრე — ალ. ერისთავი, ოფიცერი, ძმა ზაქარია ერისთავისა.

8. კატო — ეკატერინე ბარათაშვილი.

9. მ. არღუთინსკიმ 1845 წ. მიიღო გენ.-ლეიტენანტის ხარისხის გენერალ-ადიუტანტისა კი — 1848 წელს აუდ გერგებილის აღებისათვის.
10. მონტეპუკული — რაიმონდ მონტეპუკული — ავსტრიელი სარდალი, გამოჩენილი სტრატეგი და სამხედრო მნერალი (1609-1681). მის შრომების კრებული გამოიცა ვენაში 1890-1899 წწ. ნერდა ლექსებსაც.
11. გიორგი — გ. საგინაშვილი (?).
12. ქეთევან — ზაქარია ორბელიანის მეუძღვე, ანჩისხატის მღვდლის დიმიტრი მესხიშვილის ასული (1818-1891). (დაწვრ. იხ. გრ. ორბელიან „წერ“, გვ. 227).

## XI.

1. „ქ. ყ-ის ცოლი“ — ქაიხოსრო (ქოჩი) ყიფიანის მეუძღვე (?) (ცნობს გ. ლეონიძისა). ზოგი მკვლევარი სხვა პირს გულისხმობს.
2. ქ[ატო] — ეპ. ბარათაშვილი-ერისთავისა.
3. „რ[ევაზ] ე[რისთავ]ზედ“ — ეკატერინეს ქმარი.
4. „ზ[აქარია]ს“ — ზ. ორბელიანი.
5. „გ[იორგი]“ — საგინაშვილი.
6. „გგრიგოლ]ლმა“ — გ. ორბელიანი.
7. „ქ[ატო]ე“ — ეპ. ბარათაშვილი-ერისთავისა.
8. „ე[რისთავი]ანთ რძალთან“ — ეპ. ბარათაშვილი.
9. სულთანი — პოდპოლკოვნიკი სულეიმან ხანი (?).
10. ნ[ინა] ალექსანროვნა — ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა (1812-1857), ცნობილი რუსი პოეტის ალექსანდრე გრიბოედოვის ქვრივი (მსთან გრიგოლ ორბელიანის ურიაიერთობის შესახებ იხ. გრ. ორბელიან, წერილები, I, გვ. 227, 237) 1844 წელს ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა მდესაში ჩასულა. ბ. ჭავჭავაძის დასახასიათებლად მოვიყვანთ მისი გარდაცვალების გამო დაწერილ ნეკროლოგს:

„Тифлис. Наше тифлисское общество понесло значительную потерю. В прошлую пятницу, июня 28, после краткой болезни скончалась Нина Александровна Грибоедова, урожденная княжна Чавчавадзе. Отпевание тела ее происходило в прошлое воскресение в Кашветской церкви при стечении всех уважающих прекрасную личность покойной, бывшей всегда украшением лучших тифлисских салонов и столы рано похищенной смертью из их круга. Тело ее отнесено на руках в монастырь св. Давида и положено в одном склепе, рядом с ее супругом, имя которого так известно и дорого всей России.“

11. მაშმ (იგივე მარიამ) — ნიკოლოზის მამიდა, მელიტონის და (?) (გ. ლეონიძის ცნობა).

12. 1844 წელს გრიგოლ ორბელიანი დაინიშნა ყოფ. მეხთულის სახანოს (დაღესტ.) მმართველად. 1843 წელს კი ის მართავდა ავარიას, რომელიც იმავე წლის აგვისტოს-სექტემბერში დაიპყრეს შამილის ჯარებმა.

## XII.

1. 1844 წელს ზაქ. ორბელიანს მისცეს პოლკოვნიკის ხარისხი.
2. იგულისხმება გაზ. „Русский инвалид“.
3. ქაიხოსრო მუხრანსკი (მუხრანბატონი) — მემამულე.
4. ბიძინა და ლევან ერისთავები — რევაზ ერისთავის (ეკბარათაშვილის მეუღლის) ნათესავები (გ. ლეონიძე).
5. ლევან ერისთავი — რევაზ ერისთავის ნათესავი.
6. „მანანა თავის ქალით“ — იგულისხმება მანანა და ტასო ორბელიანები.
7. მაკვო — მაკვო ორბელიანი. (IV<sub>7</sub>)
8. მხაკვო — მიხეილ ქაიხოსროს ძე ორბელიანი (გარდ. 1846 წ.) ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ორბელიანის ამხანაგი გიმნაზიიდან თავისი ნიჭი უცდია მწერლობაშიაც.
9. ალექსანდრე სუმბათოვი (სუმბათაშვილი) — ორბელიანების მეგობარი. სამხედრო პირი.
10. წულუკიძე — ეპისკოპოსი.
11. სათარია — სახალხო მომღერალი 50-იანი წლებისა. მის შესახებ ლექსი აქვს დაწერილი პოეტი ი. პოლინსკის.
12. მამუკა (მაკარ) — თომას ძე ორბელიანი, ლეიბ-გვარდიის პოლკის პორუჩიკი და გვარდიის როტმისტრი. 1932 წ. შეთქმულების მონაწილე, შემდეგში ასრულებდა განჯის მაზრის უფროსის თანამდებობას. ცნობილი ფეოდალი.
13. ელენე — ელენე ორბელიანი-ერისთავისა (ზაქ. ერისთავის მეუღლე).
14. მელანია — ელიზბარ ერისთავის და, მელნიკოვის მეუღლე (გ. ლეონიძის ცნობა).
15. ელიზბარ — ერისთავი.
16. ესტატე ერისთავი — ორბელიანებისა და ბარათაშვილების ახლო ნაცნობი. მას იხსენიებს გრ. ორბელიანიც.
17. ჩერვლონი — სტანცა ჩერვლენია, თერგის ნაპირას 1844 წელს იღია ორბელიანი მონაწილეობას იღებდა საჩარინისა და დალესტანში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში.
18. მთავარმართებელი — ალ. ივ. ნეიდჰარდტი.
19. ლუარსაბ ორბელიანი.
20. ანა — ლუარსაბ ორბელიანის მეუღლე.
21. ივან კარლიჩი — ექიმი დეპნერი (ნ. ბარათ. თხ. 1922, გვ. 164).
22. სალომე — დიმიტრი თარხნიშვილის ასული, მეუღლე დეპნერისა.
23. გიორგი — გ. საგინაშვილი (?).

24. იაკიტე — იაკინთე დიმიტრის ძე მესხიშვილი, ზაქოცილი მრბელიანის მეუღლის — ქეთევანის ძმა (შდრ. გრ. ორბელიან, „წერილები“, ტ. I და II).

### XIII.

- ტასო — ანასტასია ორბელიანი, მანანას ქალი.
- ტაეპი რუსთაველს ეკუთვნის („ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 878).
- ჯაფარა — ორანელი მომღერალი, პოპულარობით სარგებლობდა 40-იან წლების თბილისში.

4. სულეიმან ხანი — პოდპოლკოვნიკი, შეკის სელიმ-ხანის ვაჟი, მას ჩაუკვანია მომღერალი ჯაფარა ნახჭევანში ლ. მელიქშვილთან.

5. ნახეჩევანი — მაზრის ქალაქი ყოფ. ერევნის გუბერნიაში. 1844 წელს 6. ბარათაშვილი დაინიშნა ნახჭევანის უფროსის ლევან მელიქშვილის თანაშემწედ. ნახჭევანს 6. ბარათაშვილი გაემგზავრა ნოემბერში. თბილისში დაბრუნებულა 1845 წლის გაზაფხულზე.

6. ორლოვი (ივანე) — დონის ყაზახთა ატამანი კავკასიის ჯარების კორსუსში.

7. „ეი, მუსულმან ნამარი ხანჯალზან“ — ერთი ტაეპია სიმღერისა „ეი, მუსლიმანო, გულში ხანჯალი დამკარ“. 8. იგულისხმება მიხაკო ქაიხოსროს ძე ორბელიანი.

9. ივანე — ივანე დავითის ძე ორბელიანი (1825-1893), მანანას ვაჟი. 50-იან წლებში მსახურობდა დაღესტანში გრ. ორბელიანთან. შემდეგში გენ.-მაიორი.

10. „ორი ტლუ ბიჭი“ 6. ბარათაშვილი გულისხმობს თავის თავს და ლევან მელიქშვილს.

11. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ — ცნობილი ქართული ხალხური ლექსის მიბაძვა.

12. „ნაჩალნიკი“ — ლ. მელიქშვილი, იმჟამად ნახჭევანის მაზრის უფროსი.

### XIV.

- ცოლქმარი — ?
- ლევანი — ლ. მელიქშვილი.
- ნეიდგარტი — კავკასიის მთავარმართებელი 1842-1844 წლებში.
- ფორსტენი — ვასილ გუსტავის-ძე ფორსტენი, პოლკოვნიკი. მსახურობდა კავკასიის ჯარების მთავარ შტაბში. დროებით ჩასული ნახჭევანში (გ. ლეონიძე, 6. ბარათაშვილის გარშემო, 524) ნარმოშობით შევდი.

1. ივანე — ივანე ორბელიანი, მანანას ვაჟი.
2. „ორნი მოსაქმენი პრძანდებით“... — მეორე პირის ვინაობა უცნობია.

3. პაპუა ორჯონიკიძე — ღარიბი აზნაური, ყბადალებული პიროვნება (ცნობა გ. ლეონიძისა).

4. სოფიო — ? (1922 წლის აკად. გამოცემაში ნ. ბარათაშვილის მიერ მოხსენებული ორ სოფიოს შესახებ შენიშნავენ: „ერთი სოფიო პოეტის და უნდა იყოს, მეორე შეიძლება ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალია, რომელიც შემდეგ ბარონ ნიკოლაის მისთხოვდა“ (გვ. 165). მაგრამ სოფიო ჭავჭავაძე დაიბადა 1834 წელს (ე. 1845 წელს ის 11 წლის იყო და ნიკოლაის არ ჰყავდა შერთული), ხოლო ნ. ბარათაშვილის და სოფიო 1845 წელს 3 წლის იყო (დაიბადა 1842 წელს). ტექსტში იგულისხმებიან — ერთი ქმრიანი სოფიო, მეორე კი გასათხოვარი. პირველი სოფიო შეიძლება არის სოფიო ორბელიანი-ბეზაკისა.

5. სოფიოს ქმარი — ბეზაკი?

6. „მეორე სოფიო“ — ?

7. ნიკოლაი ალაპიჩი — ივანოვი, რომელსაც ცოლად ჰყოლია იაკობ ორბელიანის ასული ეკატერინე. (ნ. ბარათ. თხზ. 1922 წ., გვ. 165.)

8. კატო — ეკატერინე (იაკობის ასული) — ორბელიანი-ივანოვისა.

9. თამარ — იაკობ ორბელიანის ასული, პოლკოვნიკი ას. სანკოგებას მეუღლე.

10. დილიჯაანი — დაბა, ყოფ. ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნატო.

ეს ბარათი დაწერილია მურუთში (აგარაკია ყოფილ ელისავეტპოლის გუბერნატო). 1845 წლის 10 აგვისტოს. ნ. ბარათაშვილი განჯაში მსახურობდა 1845 წლის ივლის-ოქტომბრის თვეებში, სადაც ის 9 ოქტომბერს (ძვ. სტ.) გარდაიცვალა.

1. ბაბალე — საგინაშვილი, კაპიტან ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილის მეუღლე, ნ. ბარათაშვილი ბიძაშვილი და ახლო მეგობარი.

2. ბარბარე — დავით ივანეს ძე ჯორჯაძის ქალი (?)

3. თამარ — თამარ იაკობის ასული ორბელიანი, მას ხშირად იხსენიებს გრ. ორბელიანიც. ცოტა ქვევით ნ. ბარათაშვილი დედამისს ნინოსაც ასახელებს.

4. პრინცი — იგულისხმება პრინცი ალექსანდრე ჰესენელი, „ცესარევნა“ მარიამ ალექსანდრეს ასულის ძმა, კავკასიაში ჩამოსული 1845 წელს, ვორონცოვის მიერ შამილის რეზიდენციის დარღოს.

წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად. პეტერბურგის შემდეგ ის საქართველოში გამოემგზავრა. აპრებდა ირანში წასვლას და გზად დილიჯანში უნდა გაევლო. ნ. ბარათაშვილი აქ ჩავიდა მის დასახვედრად, მაგრამ პრინცს აქ არ გაუვლია.

5. ძალუა ნინო — იაკობ ორბელიანის მეუღლე, დედა თამარ და კატო ორბელიანებისა.

6. სენკოვსკი — ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკი, მსახურობდა სამხედრო-საინჟინრო უწყებაში. 1845 წ. იყო დილიჯანში.

7. ძალუა ელისაბედ — ორბელიანი, ბარათარე საგინაშვილის დედა.

8. ნინა ალექსანდროვნა — ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა.

9. „მატუხოვის ცოლი“. ვინაობა გამოურკვეველია; ვინმე ნჭრილი მოხელის მეუღლე უნდა იყოს.

## XVII.

1. ალექსანდრე — ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი, კაპიტანი. 1845-1850 წლებში მსახურობდა გენერალურ შტაბში, ტოპოგრაფების კორპუსში, შემდეგ ში გენერალი, (შდრ. გრ. ორბელიანი, „წერილები“, ტ. I, გვ. 243), ბარათაში აგრეთვე მოხსენებულია მისი მეუღლე ბაბალე საგინაშვილისა.

## XVIII.

1. კრიაზ ბარათაევი — პოეტის ნათესავი, ცნობილი ნუმიზმატი მხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი (1784-1856).

ალევობა რელიგიური დღესასწაული, იმართებოდა ალევის ეკლესიასთან, რომელიც მდებარეობს მაღალ მთაზე. ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: ალევი არის მთა მაღალი, თხემთა-უტყევე, კალთატყიანი. ეს წარივლის სამხრით ოძისამდე და ჩრდილოეთ ლომის-ამდე. ეს მთა ჰყოფს ქსნის-ხევსა და ბაზალეთსა. ამ ალევის მთის თხემსა არს ეკლესია უგუნბათო, მჭვრეტი ქართლ-კახეთისა. ამას შინა არს სიმრავლე ხატთა და ჯვართა ოქროსა და ვერცხლისათვის და სამსახურებელი ეკლესისანი მრავალი. კარი აქვს ოქროსი, რომელი უქმნეს სპარსთა, რაუამს წარილეს ხატი მისი; მუნ სასწაულის მხილველთა უქმნეს კარი ოქროსანი და დასდევეს ურემსა ხარბ-მულსა და მოილეს მუნ“ („ალწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941, გვ. 64).

ალკემევა: ყვავილი... შენდა ა ღ კ მ ე ვ ე ნ სუნნელებასა ყვავილები შენთვის აფრქვევენ სურნელებას.

ამარა ერთი რისამე ძქონე: მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას მთვარეს, მის ამარას, ვარსკვლავი მარტო მოსდევს მიჯნურვით.

აღვ ზნება ანთება: მთოვარემც შუქს მის ხალი აღუგზნობინა მთვარემაც შუქს მისი ხალი გამოანათებინა.

აღმგ ზნებელი-ი ამნთებელი: ა ღ მ გ ზ ნ ე ბ ე ლ ი გულთა ჭირისა გულის დარდების ამშლელი.

ამილბარ-ი ამირბარი (არაბ. „უფროსი ზღვაზე“), ადმირალი (ასე უწოდებდნენ ელიზბარ ერისთავს, ქეთევანის მეუღლეს).

აღმოსავალ-ი აღმოსავლეთი.

აღტყველვა აზვირთება, აღელვება (ზღვისა): მტკვარი ზვირთთა ა ღ ა ტ ყ ვ ე ვ ლ ს მტკვარი ტალღებს ააზვირთებს (მტკვარი აზვირთდება).

ბასრ-ი: ვერ შემაშინოს მისმა ბ ა ს რ მ ა (მჭრელმა ხმალმა) მოსისხლე მტერი. უნინ ქ. ბასრაში ამზადებდნენ უმაღლესი ხარისხის ფოლადისაგან მჭრელ და გამძლე ხმლებს. ძველ ქართულ თხზულებებში ხშირად იხმარება გამოთქმები — „ბასრული ხმალი“, „ბასრ ხმალი, ან „ბასრი“, რაც წიშნავს მჭრელ ხმალს.

ბინან-ი: მე ბ ი ნ ი ა ნ ა დ (საფუძვლიანად, მტკიცედ, როგიანად) მინდა შენთან ლაპარაკი).

ბორგვნილი აღშფოთებული, განრისხებული.

ბძარვა: ურთიერთს ჰ ბ ძ ა რ ვ ე ნ ერთმანეთს მტრობენ, ექიშე-ბიან.

გარდმომზირალ-ი მაღლიდან მოთვალთვალე.

გართობა: გ ა-ც ა-ა რ თ ი ბ დ ა გართობდა აგრეთვე (კიდევ).

გარმოსარება გარ შემოვლება, ირგვლივ შემორტყმა: ცეცხლი გ ა რ მ ი ს ა რ ე ცეცხლი ბაკმად შემოვლე გარშემო.

გატრიზავება: განსჯას გამიტრიზავებ განსჯას არაფრად ჩააგდება სამართლი.

გაფლუბდილი-ი გაფლუხებული; უნაყოფოდ დარჩენილი.

გაფოთებული-ი გაშმაგებული, დაფეთებული.

დაწინება: თვალთა ჩემთა ა დ ა ვ რ ი შ ე ბ ე ნ ჩემს თვალებს თამაშებენ (ფიგ.).

დამრეც-ი ფერდობიდამცრობა დამდაბლება, დაკრინება (სულით).

დამძნებული-ი დაბრძენებული; დაინჯებული.

დანოქმა ჩაძირვა, დაძირვა: დ ა მ ი ნ თ ქ ე მათში სალმობანი.

დასევა: დ ა ს ე ვ ა გული დაიპურო გული.

დაშორილნ-ი დარჩენილი.

დრტვინვა: დ რ ტ ვ ი ნ ვ ე ნ ჩივიან, ბუზღუნებენ, შფოთავენ.

გუქმებოდნენ ის, მუქმება.

გალალება: მივალალებენ დამიტირებენ.

კლოლა: უკეთუ ვ ი ვ ლ ტ ი ღ დ ე თ თუ გავიქცევით; ი ვ ლ ტ ი-ა ნ მირბიან, გარბიან; ე ვ ლ ტ ი ა ნ გაურბიან.

ზე: ჩემი მეფობა, ზე (დრო) დავასრულე? ???

ზრახვა ლაპარაკი: ვ ი ზ რ ა ხ ო ვთქვა.

თარაქა: მომთაბარე თურქმენი.

თხშვა: მ ი თ ხ ზ ა ვ ს გვირგვინსა გვირგვინს მიწნავს.

კაბარდინელი-ი ყაბარდოელი; კაბარდინკა ყაბარდოელი ქალი.

კაუშანი-ი დარდი, ნალველი.

კაცად-კაცად-ი თვითეული.

კოდილი-ი დაჭრილი.

ლექს-ი სიტყვა: ერთი ლ ე ქ ს ი თ ერთი სიტყვით.

ლმობა: ლ მ თ ბ ი ს ხმითა მტკიცნეული ხმით.

მარაქა ქალთა კრებული.

მაშვრალი-ი დაქანცული, დაღლილი.

მახვრალი-ი ვინც ოხრავს (ვალალებს).

მეყვეულად უცაბედად, მყის, უმალ.

მთენ-ი მნათობი; მანათებელი.

მიმობა მი- და მო- ზმისწინებიდან წარმოებული ხელოვნური სიტყვა: ფიქრი... მ ი მ თ მ ბ ი თ ა (მიფანტულად, იქთ-აქეთ) განიბნევიან.

მიმქრეალებული-ი მიმქრალი.

მლალავ-ი მოშულე, მდევნელი.

მოარე მოარული.

მოლხინება მ თ ე ლ ხ ი ნ ა რ ე მოულხინე.

მორქმული-ი უზრუნველყოფილი; დაჯილდოებული (ნიჭით).

მოძერალი-ი მოთამაშე; მაცდური.

მოსხმა: მ თ ვ ა ს ხ ნ ა (მოვფინო) შარავანდედი.

მოცდენა: უშენოდ მ თ ს ც დ ე ს (მოისპოს) მხიარულება.

მსარჩვლელი-ი მოსარჩლე, მექომაგე.

მსასოებელი-ი მოიშედე.

მსჯვალვა: გემსჭვალვის გეთვისება.

მტკინავ-ი მტკინავი, მტკივნეული.

მუნათება: ამუნათებს, აყვედრებს, ამადლებს.

მუქმება: თმანი ნაშალი, მკერდზედ დაწილი, ემუქმებოდენ მკერდზე დაწილი ნაშალი თმები მუქმებილმფენით ამკობდნენ. სიტყვა „ემუქმებოდენ“ საერთოდ ქართულ ენაში არ არსებობს. პოეტს იგი უსესხებია ჩახრუხაძის „თამარანის“ გვიანდელი ხელნაწერებიდან. „შუქნი კრთებიან. ემუქმებიან“ (უნდა იყოს: „შუქნი კრთებიან, ემუქმებიან“). „ემუქმებიან“ ზმნაში გადამწერებს ფ წაუკითხავს მე-დ, რის შედეგადაც ნარმოშობილა „ემუქმებიან“. ამ უაზრო სიტყვას ნ. ბარათაშვილმა ახალი შინაარსი შესძინა და ამით მას ქართულ ლექსიკაში არსებობის უფლება მოუპოვა.

მქრქალ-ი მიმქრალი.

მღერალ-ი მომღერალი.

მღინავ-ი მღინავ-ი („ღივ“-ძირიდან), რასაც ღივი ამოაქვს: ვარდო, მაღირსე, თუ როგორ არს გაშლა შენი მ ღ ი ნ ა ვ ი. ვ. ბერიძესა და ს. იორდანშვილის მოსაზრებით იგი მიღებულია „სიტყვისაგან „ღიმვა“ — ღიმილის, სიხარულის მომგრელი“ (ეს სიტყვა უკანასკნელი მნიშვნელობით გვხვდება ბესიკის ლექსში „შავნი შაშვნი“ — „არმონ-ყენით მომღერალი, მ ღ ი ნ ა რ ნ ი“).

მჭმუნვარება დარდი, ფიქრი.

ნამილი-ი დანამული.

ნატამლობა გავერანება; აოხრების შედეგად რომ აღარაფერი დარჩება; ძირ-ფესვიანად მოსპობა. (შდრ. „ნატამალი აღარ დარჩაო“).

ნაუნჯი უნჯად (განძად) შენახული, დაუნჯებული.

ნაფურცლ-ი გაშლილი: ვარდებრ ნაფურცლი ვარდივით გაშლილი.

ნელ-ი: დილას მას ნ ე ლ ს, წყნარ (სასიამოვნო) დილას: სუნ შენი, ამო და ნ ე ლ ი (სასიამოვნო).

ოცვნა ოცნება.

პირად-პირადად მრავალფერად (შდრ. შავთელი: „პირად-პირადად განმშვენებულსა“).

რონინ-ი ნარნარით სიარული, „ხელით ტარება“ თვალთ ა რ თ ნ ი ნ-ე ბ. თვალებს საამურად ახელ.

სადარ-ი: გულს ნეტარება არ ასადარებს (ამხიარულებს).

სალბურ-ი მალამი; გადატ.: საამო, სასიამოვნო (შდრ. ვახტანგ VII: „სალბუნად გულისა“): გულს დაანცლულებდა ღიმილითა ე ს ა ლ ბ-უ ნ ე ბ ი (მალამოდ ედები). ბეჭრჯერ რჩევანი შენნი, ვითა წყლულს, მ ს ა ლ ბ უ ნ ე ბ ი ა ნ მე შენუხებულს.

სამღერალო სათამაშო.

სანუკველ-ი სანუკვარი: ს ა ნ უ კ ვ ე ლ ი თ ა (სანატრელი, სასიხარულო) შობით. გრძნობა, ესთ ს ა ნ უ კ ვ ე ლ ი.

საქენვანავ-ი სინდისის შემაწუხებელი.

საყურე საყურებელი: ასე საყურე, უცხო ს ა ყ უ რ ე.

საშფოთველო რაც შფოთს იწვევს, საშფოთი, საშფოთებელი. საცმელი-ი ჩასაცმელი, სამოსელი: თვალი ემოსა ცრემლით, გული — სევდით ს ა ც მ ლ ი თ ა.

**საჭურე:** საფარი: და მსწრაფლ ზღუდენ ნარიყალისა ექმნათ ს ა ჭ-  
უ რ ე დ კართა ქართლისა.

**სახიობა:** და გადმოსცემენ სახიობასა (მუსიკალურ ხმას), ტკბილის ოცნებით დამაძინარსა.

**სირ-ი ჩიტი,** ფრინველი.

**შეტაკე-ი თეთრი,** წმინდა.

**სტანც-ი სტანცა.**

**სურვა სურვილი,** წადილი.

**სხივმჯერნარ-ი:** გულს ე ს ხ ი ვ მ ფ ე ნ ა რ ე გულს სხივებად მოეფინე, გული გაასხივოსნე (გაამხიარულე).

**ტალავარ-ი ფანჩატური,** საჩრდილობელი.

**უკაბარდლო კაბარდლელი.**

უმაგალითობა ებრობა, შეუდარებლობა. წინა გამომცემლებს ამ სი-  
ტყვის მნიშვნელობა სწორედ ვერ აუხსნათ და ავტოგრაფიული  
წაეკითხვა „ძმების უმაგალითობა, თანხმობა“ შეუსწორებიათ ასე: „ძმების  
უ მ ა გ ა ლ ი თ ო თანხმობა“.

**უცხო-უცხო უცხობ:** სხვადასხვა: თუმც უ ც ხ ო-უ ც ხ ო თემად  
იარე თუმცა უცხობ თემებში დაიარებოდა. შდრ. ვეფხ.: „კვლა უცხ-  
ოფერთა ჭურჭელთა სდის უ ც ხ ო-უ ც ხ ო სიქები“ ან ავთანდილი  
„უ ც ხ ო უ ც ხ ო თ ა ადგილთა საძებრად იარებოდა“ ნ.  
ბარათაშვილი ამ ტაეპითააქ შთაგონებული. ამიტომაც პოეტს პირვე-  
ლი ვარიანტი „თუმც უცხო და შორს თემად იარე“ შეუსწორებია  
წინამდებარე გამოცემაში მიღებული წაკითხვით.

**უსატრფოე უსატრფოესი,** ძლიერ სატრფო (პოეტი აქ ხმარობს ძველ  
ფორმას).

**ფაჩვრიერ-ი ბალნიანი,** ბეწვიანი.

**ფრანტ-ი კოხტაობს** მოყვარული, კოპნია.

**ფურცვნილ-ი ფურცლებდაცვენილი.**

**ქველ-ი გმირი,** ქველმოქმედი.

**ქზგა ქალი** (ოსურად).

**ქობშ-ი სპ. გოვშ,** ანგელოზი. (?)

**ღართი ნაბადი,** წამოსასხამი.

**ღანგ-ი ლოყა:** ღ ა ნ ვ თ ზ ე ღანგთა ზედა (ღანვებზე, ლოყებზე).

**ყარბ-ი უთვისო;** მგზავრი.

**შეაღვირება ალვირის** ამოდება, შეკავება.

**შეტნილ-ი დარჩენილი.**

**შემოვედრება:** შ ე მ ო ვ ა ვ ე დ რ ე ბ, ჩავაბარებ,

**შემსჭვალვა:** არ შ ე ე მ ს ჭ ვ ა ლ ო. არ შეეთვისო.

**შეუორგულ-ი ერთგული.**

შეფრთხინვა ტრიტიალება, სიყვარულით ტრფობა.

**შუშურა:** სულ შუშურები გვასვა სულ შუშუნა ღვინო (?) გვასვა („ქართული ესნის განმარტებით ლექსიკონში“ ეს სიტყვა საბას მიხედვით ახსნილია როგორც „წყალნარევი ღვინო“, მაგრამ ასეთი განმარტება მოცემულ კონტექსტს არ ესატყვისება).

ჩიმი ქუნიშ რას ვიზამთ, რა ვქნათ. ამ სიტყვის შესახებ ა. ბარამიძე წერს: „ნ. ბარათშვილის დროს თბილისში ჯერ კიდევ ისწავლებოდა სპარსული ენა. კერძოდ, ბარსული ენა უნდა სცოდნოდა ნ. ბარათშვილსაც. საგულისხმოა, რომ .ნ. ბარათაშვილის გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში გვხვდება შემდეგი ფრაზა: „მითმ როდის და რაში არა ვყოფილვართ კარგი, მაგრამ ჩ ი მ ი ქ უ ნ ი მ“... დაყოფილი „ჩიმიქუნიმ“, რომლის განმარტება ჯერ არავის უცდია, სრული და წესერი ფორმის სპარსული გამოთქმაა, რაც ნიშნავს: რა ვქნათ („მაგრამ რა ვქნათ“). ფრაზა კონტექსტის მიხედვით აზროვნივად თავის ადგილასაა“ (ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 379).

**ჩუსუმა:** ჩუ ს უ მ ე ბ ი არიანო უცოდინარები (უვიცები) არიანო. ცვალებული- შეცვლილი.

ძლევა გამარჯვება.

**ნარტყვენა:** ნ ა რ უ ტ ჟ ვ ე ვ ს თვალთა, თვალებს დაატყვევებს, თვალს წარსტაცებს.

**ნარხოცა:** ნ ა რ ი ხ ო ც ე თ (მოიწმინდეთ) ცრემლნიცა მწარნი. წიაღ-ი კალთა. შრდ. „განისვენა წიაღსა შინა აპრაპამისასა“ („პირზონე ავраამა“).

ნილობა ხვედრი, წილი.

ნინდ-ი საწინდარი.

ჭამად-ი საჭმელი, სურსათ-სანოვაგე.

ხვაშიად-ი საიდუმლო, გულისნადები.

ჰერან-ი ერანი (ირანი). ავტოგრაფშია „თერანის“ (თეირანის). ამის მიხედვით შეიძლება „ჰერანი“-ც თეირანს ნიშნავდეს.

ჰუნარ-ი უნარი: რაც ჰუნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულა, რა უნარიც ჰქონდა, სულ აქ გამოაჩინა.

ჰურ-ი შავთვალა (სპ.), „მუსლიმანური სამოთხის ბინადარი ლამაზ ქალი“ (ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონი).

# მოგონებანი

## კონსტანტინე მამაცაშვილი

### ნიკოლოზ ბარათაშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა 22 ნოემბერს 1816 წელსა (რედაქტორისგან: ავტორი ცდება. პოეტი დაიბადა 1817 წლის 15 დეკემბერს. ასეთივე შეცდომა აქვს შემდგომში იონა მეუნარგიასაც), ქ. თფულისში.

მამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა, თ. მელიტონ სცხოვრობდა სიყვანილითგან თფულისში. მელიტონი იყო ქართულს ენაზე გასდილი და განათლებული კაცი, კარგი მოლაპარაკე, ზედ მიწევნით მცოდნე ქართული ლიტერატურისა. იმის სახლში ნახავდით ძველს ჩვენს სწავლულ ქართველებს, იმათ შორის თითქმის ყოველ დღე მელიტონთან დაიარებოდა მძვდელი ეგნატე იოსელიანი, (მამა ჩვენის მწერლის პლატონ იოსელიანისა) ეგნატე იოსელიანმა ჩინებულად იცოდა ქართული და სომხური ლიტერატურა, იყო ღრმად მოხუცებული, გაზრდილი მეფის სასახლეში და მნახველი ჩვენის საქართველოს ცხოვრებისა წარსულს საუკუნეში, მეფის ირაკლიდგან მეფის გიორგის გარდაცვალებამდისინ.

მელიტონის სახლში ხშირად დადიოდნენ პოეტი (ლენ-ლეიტენანტი) ალექსანდრე ჭავჭავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ ფალავნდისშვილები, სოლომონ მეითარი თარხნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინოვები (დისტული მელიტონისა) და ბერი გაშინდელი დროის განათლებული ქართველი. თ. მელიტონ ბარათაშვილი რამდენჯერმე იყო ამორჩეული მარშლად თბილისს უეზდში.

დედა ნიკოლოზ ბარათაშვილისა იყო ასული თ. ზურაბ (ნათლობის — დიმიტრი) ორბელიანისა — ეფემია, უფროსი და ჩვენის წარჩინებულის პოეტის გრიგოლ დიმიტრის ძის ორბელიანისა. ეფემია იყო მშვენიერი ქალი და ქართულად კარგად გაზრდილი. ნიკოლოზ ბარათაშვილს ჰყავდა ოთხი და, ამათში სამწი არიან ეხლაც ცოცხალნი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მამას უყვარდა კარგი ცხოვრება, სუხვე და პურ-მარილობა; იმისა სადილები განთქმული იყო თფილისში.

ამისთანა სახლში იზრდებოდა პატარა ნიკოლოზი (რომელსაც უწოდებდნენ აგრეთვე ტატოს). ყმანვილი ფხნიშელი ცნობის მოყვარე იყო და მიმღები ყოველივე კეთილის შთაბეჭდილებისა.

1827 წელსა, სექტემბერში, ნიკოლოზ ბარათაშვილი მისცა მამამ თფილისის საკეთილშობილო სასწავლებელში (რომელიც მერე, 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთეს) თითონ 6. ბარათაშვილისაგან გამიგონია, რომ ქართული წერა-კითხვა პატარამ, რვა წლისამ იცოდა.

ჩემი პირველი გაცნობა ნიკოლოზისა იყო 1828 წელსა, როდესაც



შევედი საკეთილშობილო სასწავლებელში, პირ-და-პირ მესამე-კანცლერის ში, (რადგანაც გორში უეზდის სასწავლებელში გავათავე სწავლა). ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგად სწავლობდა, უმეტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისი მხიარული ხასიათით, სი-მარლით. პირველი მოტანცავე იყო საკუთრად ლეკურისა. ყველასა-გან საყვარელი ამხანაგი.

მე ნავედი რუსეთში 1831 წელს, პეტერბურღში, კურსი შევისრუ-ლე და არტილერიის აფიცრად მოვედი 1837 წელსა თფილისში. ნი-კოლოზ ბარათაშვილი დამხვდა ახალს გიმნაზიაში კურს შესრულე-ბული (1835 წელსა) და მსახურობდა სტოლნაჩალიკად პალატაში (Палата уголовного и гражданского суда). ძველი ჩვენი ამხანაგური მეგობრო-ბა განვახალეთ დიდის სიამოვნებით. ნიკოლოზს სიკვდილამდისინ ჰქონდა შეუცვლელი მეგობრული კავშირი თავის ამხანაგებთან, იმათ შორის ჩემთანაც.

იმ დროს თფილისში არაფერო გასართობელი ადგილი არა გვქონდა: არც კონცერტები, არც კლუბები.

ჩვენი დროის გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზე ყრილობა. ხშირად მოვიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან თ. ლევან ივანეს ქე მელიქვთან. ხან სადილათ გარეთ უბრის ბალებში. ჩვენი დროის გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლა-ზედ, სხვა-და-სხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული დარბაისლური მეტყველი ხუმრიობა, შექცევა, სიმღერა, ვისაც სურდა ქალალდა თამაშობდა, ნარდის, ჭადრაკის. ქალალდის თამაშობაში ხანდისხან ნი-კოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერმე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბალშიაც: (მაშინ მთელი თბილის შემორტყმუ-ლი იყო ბალებითა, მთელი სოლლოლაკის უბანი ბალები იყო).

ხშირად გვქონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ; ერთ საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავიწყვიტეთ, რომ რადგან არა გვაქეს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყო V-ის საუკუნიდგან დაწყე-ბული, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია იმ საუკუნისა; პლატონ იოსელიანს მიანდევს დაეწერა ძველის საუკუ-ნოების ისტორიისა ქრისტეს წინდათ და შემდეგ V-ს საუკუნემდისინ. მაშინ ძნელი იყო ამისთანა საქმის აღსრულება, რადგანაც მშრომელ-ნიც ცოტან ვიყავით და საქართველოს ისტორიის მატიანები დაფან-ტული იყო, არც ძველი საეკლესიო გუჯრები, არც ბეჭრი საინტერე-სო გრამატები თავად აზნაურების სახლებში, მარტო მატიანეთ იყო „ქართლის ცხოვრება“.

მახსოვეს ერთ ივლისს დამეს, 1838 წელს, მე და ტატო წავედით სასეირნოთ გარეთუბანს, (ეხლანდელი გოლოვონის პროსპექტი) ტა-ტო ძალიან მხიარულად იყო და თავისებურად მშვენიერათ ხუმრი-და; მემრე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ და

ტრაგიკულს დასასრულზე 18-ის საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცე ბულობის გამო ულონობაზედ, ჩვენის თბილისის წახდენაზედ 1795 წელსა, 12 სექტემბერს და სხვა...

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს ყოველთვის მოცინარს და მხარეულს, სახე გამოეცვალა, დაინტუ ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღლვებულმა მითხრა:

— ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა! და ოხვრით დაუმატა:

— ვაი ჩვენო ქართლის ბედო!

დღიხანს დავდიოდით თავ-ჩაღულული და მოწყენილი...

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ადრე დაინტუ ლექსების წერა. ზოგი ერთი ლექსები დაწერილია მაშინ, როდესაც სასწავლებელში იყო. ბეჭი იმისი დაწერილი ლექსები დაკარგული არიან. რადგან დაბეჭდა იმათი მაშინ არ შეიძლებოდა.

მე მახსოვს იმისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთან წაუკითხავს „ივერიელნი“. ამ პოემაში იყო აღწერილი ჩვენი აყვავებული ცხოვრება 10, 11 და 12 საუკუნებისა. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა, რომელიც ისეც მშვენიერი იყო.

ყმაწვილობაში სწერდა ხშირად სიყვარულზედ, მიჯნურობაზედ და ქალებზედ. ასრე დაუწყვიათ ყოველივე დიდ პოეტებსაც, როცა ყმაწვილი ყოფილან. 1839 წელს გამოვიდა სულ სხვა მიღრეკილებით პოემა — „ბედი ქართლისა“, რომელმაც უკვდავი გახადა ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეს პოემა, რომელშიაც არიან გამოხატულნი მეფე ერეკლე, იმისი მრჩეველი ბრძენი სოლომონ ლეონიძე, ერთ ქართლისეთისა და სხვა, თავის მაღლის და ლრმა ჰაზრით, ჰატრიოტულის გრძნობით და მშვენიერის სტილით, შემდეგ „ვეფხის ტყაოსნისა“, შეუდარებელია და უჭირველესია აქამდისინ ქართულს ლიტერატურაში. სხვა სულ რომ არაფერი დაეწერა ნიკოლოზ ბარათაშვილს, იმის სადიდებლად საკმაო იყო ერთი პოემა „ბედი ქართლისა“.

აგრეთვე ჰატარა პოემა „მირბის მიმაფრენს უგზოუკვლოდ ჩემი მერანი“ და სხვა ჰატარა ლექსები იმავე ჰაზრისა და მიღრეკილებისან არიან, როგორც „ბედი ქართლისა“.

თანამედროვე ნიკოლოზ ბარათაშვილისა რუსეთში იყო ლერმონტოვი. თითქმის ერთი ხნისა. იმათ აქვს მსგავსება ჰატრიოტულ აღტაცებულ გრძნობაში და ერთი ლტოლვილება, რომ გამოეხატათ პოეზიაში თავიანთი სამშობლოს ანმყო; მაგრამ მაშინ იმისთანა დრო იყო, რომ ჰატრიოტობა ორგულობად მიაჩნდათ. ჩემის ჰაზრით პოემა „ბედი ქართლისა“ თუ მაღლა არა დგა ლერმონტოვის ლექსებზე, არას-დროს არ ჩამოუვა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი 1844 წელს წავიდა თფილისიდან ნახჩევანში თანაშემწედ მაზრის უფროსისა (სადაც დროებითად იყო მაზრის უფროსად გაგზავნილი თ. ლევან ივანეს ძე მელიქოვა). მერე 1845 წელსა გადიყვანეს ელიზავეტოპოლში იმავე თანამდებობაში; ეს თანამდებობა ძალიან არ უნდოდა, მაგრამ იმის სახლის გარემოება

ისე გამოიცვალა, რომ უნდა მიეღო ეს ადგილი.

მამა ნიკოლოზის თბილისში ცხოვრებამ შეიყვანა დიდს ვალებში, შემდეგ კარგის ცხოვრებისა ჩავარდა სილარიბეში და მოხუცებაში, მამულები ვალში გაეყიდა, ამის გამო ნიკოლოზს, არა თუ შემწეობა ჰქონდა სახლითგან, თითონ ენეოდა სახლსა თავისი მცირე ჯამაგირიდგან... დაუცხრომელ შრომაში და სამსახურში 1845 წელს ზაფხულში გახდა ავად განჯის ცუდს ცივებითა და აგვისტოს 21-ს გარდაიცვალა.

გვამი ნიკოლოზ ბარათაშვილისა არის დამარტული ელიზავეტპოლში, პატარა რუსის ეკლესიის გალავანში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ბუნებით ნიჭიერი, აღიზარდა იმისთანა საზოგადოებაში, რომელსაც დიდი მოქმედება და გავლენა ჰქონდა იმის პოეტურ მიღრეკილებაზედ. მე მგონია, ყველაზედ მეტი ზედ მოქმედება ჰქონდა იმაზედ ბიძას, ჩვენს პოეტს თ. გრიგორ დიმიტრის ეე ორბელიანს.

როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი სასწავლებელში იყო, ჩემს დროს იცვამდა ქართულად, როგორც სხვანი იმის ამხანაგები. მე მახსოვს ნიკოლოზ ჩაცმული ბუზმენტით მორთულ ჩოხაში. დიპის ახალუხით, თავზედ პატარა ქართული ჩაკეცილი ქუდი. ქართულად რომ იტყვიან, კოხტურად ჩაცმული შემდეგ სამსახურში რუსულად იცვამდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო შუათანა ტანისა, ჩინებული ტანადი, ცოტა პირ ხმელი, ცოცხალი შავის თვალებით, ნაბლის ფერის თმით, სახე საგანგებოდ მიმზიდველი (ქართულად რომ იტყვიან მარილიანი). თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლობა სცხოვრობდა ანჩისხატის ქუჩაზედ, ქვითკირის სახლებში, პირდაპირ ეხლანდელი ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი მესხიევის სახლსა.

29 სეკტემბერს, 1881 წ.  
ქ. თფილიშვილი

## ცხრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა

ნიკოლოზის მამა, მელიქონ ბარათაშვილი კავკასიის მთავარ-მართველების ერმოლოვის და პასკევიჩის დროს მთავარი სამმართველოს თარჯიმანი იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც ახლაც ჩამოთხვილს მთავრობასა და საზოგადოებას შორის თარჯიმანს დიდი ადგილი ჰქირა, — ჩვენში ჯერაც არ დავიწყით სახელები იმ დროს თარჯიმნებისა ბებუთოვის, ენიკოლოფოვის და ფალავანდოვისა. შემდეგში მელიქონ ტფილისის მაზრის მარშალი იყო და ხშირად გუბერნიის თავადაზნაურთა წინამდლოლიც. მისი ოჯახი ფართედ გაშლილი ოჯახი იყო და სუფრა ღონებზე გადამეტებულად მდიდარი და ნაქები მთელს ქალაქში. ხშირმა სტუმარმა და წვეულებამ თან წარიდეს მისი ავლა-დიდებაც. მელიქონი ჩავარდა დიდს გადაუხდელს ვალში, რომლის გამო პოეტიც ნაკლულოვანებაში იყო მთელი სიცოცხლე.

მის ზნეობითს ვინაობაზე ბარათაშვილის ამხანაგი და ცხოვრების ამწერა კონსტანტინე მამაცაშვილი სწერს: „მელიქონი იყო ქართულს ენაზე განათლებული კაცი, კარგი მოლაპარაკე, ზედმინევნით მცოდნე ქართულ ლიტერატურისა. მელიქონთან დაიარებოდა მღვდელი ეგნატე იოსელიანი, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ ფავლენიშვილები, სოლომონ თარხნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინაშვილები და ბერკი მაშნდელს დროს განათლებული ქართველინი“.

ყველა სხვა ღირსებასთან მელიქონს ერთი საშინელი თვისება ჰქონდა, მეტის-მეტად ანჩხლი იყო და მყირალა. ივანე კერძესელიძემ გვიამბო: მელიქონი თავის სადგომში რომ გააბამდა ყვიროლს ანჩისხატის გვერდით, თეკლე ბატონიშვილის სახლში გვესმოდაო, კანტორის პრდაპირ. მის გულ-ფიცხობისაგან მის სახლობას არა ერთხელ ცხარე ცრემლი უდრია და მწარე პური უჭამია. ერთხელ, მაზრის მარშლად ყოფნის დროს, იმან გუბერნატორის სეკრეტარი გალახა, რომელმაც რაღაც ქალალდის მოძებნის უარი უთხრა.

მაგრამ ასეთი არ იყო პოეტის დედა ეფემია, ის სამგზის კურთხეული დედა, რომელმაც, როგორც მუზამ, სულთ უდგა მის ძმას გრიგოლ ორბელიანს დაეწერა საუკეთესო ლექსი ქართულის მნერლობისა „ჩემს დას ეფემიას“, რომლის ალერს უხაროდა შორით მის დიდებულ ძმას და იზიდავდა მისდამი ყოველთა პატივისცემას. „ეფემია იყო შვენიერი ქალი და ქართულად კარგად გაზიდილი“, ამბობს კონსტანტინე მამაცაშვილი. ის იყო საშვალის ტანისა და პირხმელი, — დასძინა ივანე მუხრანბატონბა.

მელიქონის სახლობით ჯერ მუხრანიანთ ხიდს ახლო იდგა და შემდეგ ანჩისხატის უბანში, იქ, საცა აპხაზი იდგა,

## დეკანოზის დიმიტრი მესხიშვილის სახლის პირდაპირ განუვითავისა

**ბარათაშვილი — შინაურობაში ტატო, ნათლობის სახელით  
ნიკოლოზ — დაიბადა ქ. ტფილისში 22 ნოემბერს (4 დეკემბერს)  
1816 წ.**

ამ დროს ჯერ ისევ არსებობდა ტფილისში სამრევლო  
სასწავლებლები, საცა თითო-ოროლა ანბანს სწავლობდნენ ყველა  
ჩვენი შესანიშნავი კაცები წარსულის დროებისა. შვიდი წელი რომ  
შეუსრულდა ტატოს, დედამ ასწავლა იმას წერა-კითხვა და მიაბარა  
კალოუბრის სასწავლებელში, საცა 10-12 წლის წინად სწავლობდა გრ.  
ორბელიანი. აქ დაუდვა იმან პირველი საფუძველი იმ კარგ ენას და  
ნერის კილოს, რომლითაც მდიდარია ყოველისფერი, რაც რამ დაუწერია  
მის მარჯვენას. ლოცვანი, დავითონ, უამნი, სამოციქულო, სახარება, ე.  
ი. ათას წლის ქართული ენა, რომლითაც გულმხურვალედ ულოცნა  
ქართველ კაცს, უქა და უდიდებია შემოქმედი, გამოუხატნია უაღრესი  
და უდიდესი თვისი სულის მოძრაობა, შეიქმნენ ქა-კუთხედად მისის  
მომავლის მსახურებისა ქართულის მწერლობისადმი. ნუ დავეძებთ  
იმას, თუ როგორ, ან რას ასწავლიდნენ ამ სკოლაში, რადგანაც  
პირველდან ყებითი სწავლა მარტო მიიღო პოეტმა აქ. ასწავლიდნენ  
აქ საღვთო ნიგნებს, სოჭყვიერებას, ასწავლიდნენ მამა პაპურად,  
პატრიარქალურად. ბარათაშვილის ცხოვრების ამნერი პ. ზ. მთანმინდელი,  
რომელსაც არა ერთი საინტერესო ცნობა გამოიჩინება პოეტის  
ცხოვრების, სწერს ამ კალიობრის სკოლაზე: „სკოლა სწორედ ახლანდელს  
კალოუბრის კულების მასლობლივ ყოფილა, შეგირდები თურმე ეზოში  
შეგრივდებოდნენ, ზაფხულში კარში სწავლობდნენ და ზამთარში  
— დარბაზში. ამ სკოლის მასწავლებელი თავის დღეში არც პურსა  
და არც წყალს არ ყიდულობდნენ. შეგირდები რომ პურს მიიტანდნენ,  
ოსტატი გამოართმევდა იმ პურს, გადასტეხდა შუაზე, ნახევარს თვითონ  
დაიტოვებდა და ნახევარს შეგირდს მისცემდა. ახლა შუადლისას  
დაუძახებდა შეგირდებს: სათითავოდ ზოგს კოკას მისცემდა, ზოგს  
ლიტრას, დაირკამდა ყმანვილებს წყალზე ნასასვლელად და თვითონ  
მასწავლებელიც თან მიყვებოდა“.

რაც უნდა იყოს, მადლი ამ სასწავლებელს, რომელმაც ქართული  
ენის სიყვარული დაუნერგა გულში ორს ისეთს მწერალს, როგორიც  
არიან გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი. ბარათაშვილს ამ დროებაში,  
თუ დავუჯერებთ ამავე ავტორს, ქართული ტანსაცმელი სცმია, „თეორ  
მაუდის ჩერქესკა, თავადური პატარა ლურჯი ქუდი, პატარა ხანჯალი  
და ვერცხლის ქამარი, ბუზმესტიანი“.

1827 წელს, სექტემბერს, პარათაშვილი შეიყვანეს კეთილშობილთ  
სასწავლებელში. ეს სასწავლებელი შემდეგში გინაზიად გადაკეთებული,  
იყო მოთავსებული ეხლანდელ დამფუძნებელ კრების ქუჩაზე, იქ,  
საცა ამართულან ამ უამად ვეებერთელა სახლები ლალავის (ყოფილი  
ზუბალაშვილისა) და ერისთავის (ყოფილი სარაჯიშვილის). სკოლასთან

პანსიონიც იყო, საცა იდგნენ 150-მდე ყმანვილები და ბარათაშვილების ამათ რიცხვში მიაბარეს.

„ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგად სწავლობდა, უმეტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისის მხარული ხასიათით, სიმარტით. პრეცენტი მოტანცავე იყო, საკუთრად ლეკურისა, ყველასაგან საყვარელი ამხანაგი, “ — სწერს ტელეგრაფულის სტილით, კონსტანტინე მამაცაშვილი. ამავე სტილით რომ შევავსოთ ეს ცნობა, უნდა დავუმატოთ: იყო დიდი ცელჭა, დამცინავი, ჩქარო, გარნა კეთილი, ჭკვიანი, ამხანაგებისა და თვისის მოყვარე.

მასწავლებლები დიდად აფასებდნენ ნიჭებულს შეგირდს. ქართულ ენას და ლრამატიკას ასწავლიდნენ იმას ჯერ დოდაშვილი, სანამ ამას არ დაიჭერდნენ პოლიტიკურ დანაშაულობისათვის და არ გააგზავნიდნენ რუსეთს, და შემდეგ ყორდანოვი, რუსული ენის მასწავლებელი. დოდაშვილმა თვითონ შეადგინა შეგირდებისათვის ლრამატიკა — გრეჩის წიგნი გადმოაკეთე — და დაბეჭდა თუ არა, გასცა კლასებში ბრძანება, ეყიდნათ მისი თხზულება. ბრძანება ყველამ ალასრულა ბარათაშვილის გარდა. ამას ფული ვერ ეშოვა. როცა ავტორი — მასწავლებელი შემოვიდა კლასში და კმაყოფილად გადახედა შეგირდებს, რომელთაც წინ ეწყოთ მისი ახალი თხზულება, შენიშნა, რომ ბარათაშვილს წიგნი არ ჰქონდა.

- ბარათაშვილო!
- ბატონო!
- მამა შენი რა არის, ლოტრანგია თუ ქართველი?
- ქართველი გახლავთ, შენი ჭირობე.
- მაშ რატომ წიგნი არ უყიდნა? წადი და მოახსენე: თუ დღესვე წიგნი არა გქონდა, კლასში არ შემოგიშობ.

მეტი რა ღონე იყო, ამ ულტიმატუმშა შეაშინა პოეტის მამა და აყიდვინა იმას ერთის ვაი-ვაგლახით დოდაშვილის სწორ-მეტყველება. დოდაშვილის შემდეგ ლრამატიკას იმისვე წიგნით ასწავლიდა ყორდანოვი, კაცი დიდად უნიჭო. ამისი უბედურება ის იყო, რომ ლრამატიკა მარტო ზმნამდის იცოდა, ამის გამო მთელი წელიწადი სულ ამას იძახდა: „ზმნამდის გაიკვეთეთ“, „ზმნამდის გაიკვეთეთ“ და შეგირდებიც სულ ზმნამდის ზეპირობდენ. ეს პატიოსანი კაცი რუსულ ენას ასწავლიდა დაბალ კლასებში, იმ „რაზღოვოორების“ საშვალებით, რომელშიაც მთელი ფრაზები იყო დაბეჭდილი რუსულ-ქართული. განსვენებულ ალექსანდრე საგინაშვილისაგან გამიგონია, ყორდანოვმა ხელის შლა იცოდა და ბრტყლად ლაპარაკიო. ის რომ ხმა მაღლა იტყოდა: ჯარი, იონეჯარკი — „ცხელა, ძლიერ ცხელა“, მთელ კლასს უნდა გაგვემორებია მისი სიტყვები.

რუსულ ლრამატიკას და ენას ასწავლიდა მაღალ კლასებში მასწავლებელი დემენტიევი, რომელიც ეხლაც ცოცხალია და იმყოფება ქალაქ ტფილისში. ამან კარგად იცოდა თავის ხელობა და მისმა შეგირდებმა — მათ შორის ბარათაშვილმა — ჩინებულად ისწავლეს

რუსული ენა. მეტადრე რუსულ კითხვას უქებდენ ამ მასწავლებელების რასაც გვასწავლიდა, ისე კარგად გვასწავლიდა, სთქვა ლურ ისარლიშვილმა, თითქო პირში ლუკიას გვიდებდაო, მაგრამ თუ ვერ გავიგებდით და კითხვაზე ჯეროვან პასუხს ვერ მივცემდით, გაგვიჩირდებოდა და გვეტყოდა: აუცილებელი და ხელახლა აგვისხნდა საგანს. მეტადრე კარგად კითხულობდა თურმე ეს მასწავლებელი მიცვევიჩის ლექსს „ფარისს“, რუსულად ნათარგმნს. ქართულ კატეტიზმის ასწავლიდა სკოლაში ეფრემ ალექსი-მესხიშვილი, ზედმინევრით მცოდნე ქართული ენისა, რომელიაც უფრო განამტკიცა ბარათაშვილში სიყვარული კარგის ქართულისა.

ბარათაშვილი კარგად სწავლობდა ყველა საგნებს. ფიზიკის მასწავლებელმა შესტაკოვმა, რომელიც დროებით სადღაც წავიდა, მიანდო იმას და ლევან მელიქშვილს, განეგრძოთ მეტეოროლოგიურ დაკვირვება, მისგან დაწყებული. ბარათაშვილი კარგად ასრულებდა მონდობილობას, სანამ ერთ უბედურ დღეს თერმომეტრი არ გაუტყოდა. იმას უნდობდა სხვა თერმომეტრი ეყიდა, მაგრამ ფული საიდამ უნდა ეშვა და პირშავად დარჩა თავის მასწავლებელთანაო, - გვითხრა ლევან მელიქშვილმა.

სხვაზე უფრო დაწინავებული იყო ბარათაშვილი ტანცაობითაც. სასწავლებელს ჰყავდა ტანცების მასწავლებელი და ჰქონდა საკუთარი ტანც-კალსი. ყოველ შაბათობით მოდიოდა სასწავლებელში ოსტატი ალდადანვი, რომელიც სხვათაშორის ლეკურსაც ასწავლიდა. ბარათაშვილი პირველი მოტანცავე იყო და უპირველესი მოლეკურუ, თუმცა მესამე კლასში იყო, თუ მეოთხეში.

როგორც ამბობს ბ. ზ. მთაწმინდელი, მან 1832 წ. ორივე ფეხი მოიტეხა და დიდის ვაის-ყოფით მოირჩინა თავი და კოჭლად დარჩა მთელი სიცოცხლე.

მკვიცებელი, ცელქ, მოუსკენარ, ცოტა ანჩხლი, ნერვებიანი, მახვილი ბარათაშვილი იყო სული და გული ტოლ-ამხანაგებისა. ყველას უყვარდა იგი და ყველა ერიდებოდა მის მასვილს ენას, მის ეპიგრამებს.

გარნა ყველანი არ ეურჩებოდნენ მის დაცინვას. ერთხელ, როდესაც ქართულის მწერლობის სიყვარულით გატაცებულნ, გიმჩაზის მონაცენი სწერდნენ და თარგმნიდნენ ქართულს ენაზედ რუსულს ლექსებს, ერთს შეგირდს, გვარად ვარლამოვს, გადაერთარგმნა პუშკინის „ევგენ ონეგინიდან“ რამდენიმე კარი. მოგეხსენებათ, ეს პოემა დიდის პოეტისა იწყება ასე:

Мой дядя самых хь честныхъ правиль:

Когда не въ шутку занемогъ:

ვარლამოვს არავისთვის ეზვენებინა ჯერ, თუმცა არ მაღავდა, რომ სთარგმნიდა პოემას, და თავისი რვეული ცხრაკლიტულში ჰქონდა შენახული. ბარათაშვილს იმდენ უცდია, რომ მოუპარავს რვეული და ერთ დღეს, როდესაც მასწავლებელი ჯერ კლასში არ შემოსულიყო, ნამოდგა და დააჩუმა ამხანაგები:

— სუთ, ყური დამიგდეთ, ეცგენი ვთარგმნე და მინდა წაგიკითხოს და გარლამოვმა ყურები გამოცქვიტა და ბარათაშვილმა დაიწყო ხმამაღლა:

„ბიძა ჩემი დიდთა პატიოსანთა კანონთა:

როდესაც ხუმრობა გაშობით ავად გახდა“...

თქმა არ გაეთავებია, რომ ვარლამოვი მივარდა მკითხველს რომ მასწავლებელი არ შემოსულიყო ამ დროს კლასში და სიჩუმე არ ჩამოეგდო, იმ ხარხარში, რომელიც ატყდა ამის კითხვის დროს, ვარლამოვი ცემის უპირებდა ეშმაკ-პორტს.

მეორე ხუმრობისათვის ბარათაშვილი კინაღამ არ გამორიცხეს სასწავლებლიდან.

ერთხელ კეთილშობილთა სასწავლებელში ქართველ შეგირდობამ კონცერტი გამართა სასწავლებლის ზალაში. კარგი იყო თუ ცუდი ეს კონცერტი, არავინ იცის, მხოლოდ ეს კია, რომ სომხებმა სასაცილოდ აიგდეს წარმოდგენის მონაწილეობა. ეს რომ ბარათაშვილმა შეიტყო, ჯავჭას ამოსაყრელად, სატირა დასწერა სომხებზე, რომელ შიაც სხვათა შორის ზოგიერთა ქართველისც შეძმო. ეს ლექსი ასე თურმე იწყებოდა:

„კონცერტებში დაგვპატიუქს, დაგვათვლევინეს ფულებში“...

ბარათაშვილის ამხანაგებმა ჩასდეს კონცერტში და ფანჯრიდამ ქუჩაში გადააგდეს. ერთხანს უცადეს ეცექტს, მაგრამ, რომ არა გამოვიდა რა, ხელახლა გადასწერეს ლექსი — ლევან მელიქიშვილმა გადასწერა — როცა სასწავლებელში მოვიდა ფოსტის დამტარებელი, ლექსი „კრილაში“ ჩაუდეს დაბეჭდილის პაკეტით. პეტრე ბაგრატიონმა ჩანერა ამ „კრილაში“, რომ პაკეტი მირთმევოდა თავად-აზნაურობის წინამდობლს თ. ფალავანდიშვილს. ალბათ დიდი რამ საწინააღმდეგო უნდა წერებულიყო ამ ლექსში, რომ მთავრობამ ასე დიდი ყურადღება მიაქცია იმას. რომ ვერ გაეგოთ, ვისგან იყო გაგზავნილი ლექსი, ბეჭედზე დაწერილი გვარი დაემასოვრებინათ — ეს ბეჭედი ბარათაშვილის ამხანაგის მონასტირსკისა იყო — და ერთხელ, როდესაც სასწავლებლის მებუფეტეს წიგნი მიეწერა ვილასთვისაც და წიგნი მონასტირსკის ბეჭედით დაებეჭდა, ფოსტამ — რომელიც გაფრთხილებული იყო — ბეჭედი იცნო, მებუფეტე დაიჭირა და მთავრობას წარუდგინა. იმავე საღამოს სასწავლებელში მოვიდნენ უეცრივ: უანდარმის აფიცერი, პროცურორი, პოლიციის უფროსი. შეიხმედს ოთახში მონასტირსკი და დაუწყეს კითხვა. ამხანაგებმა კაცი აფრინეს ტატიოსთან (ტატო თუმცა პანიზონში იყო, ლამღამე შინ მიდიოდა). მაგრამ მთავრობამ სულყველაფერი შეიტყო და საქმე ასე დაბოლოვდა: მთავარ-მართებლის გოლოვინის ბრძანებით, დამნაშავენი: ნიკო ბარათაშვილი და პეტრე ბაგრატიონი გაიგზავნენ თავანთ მშობლებთან დასასჯელად. ამ ბრძანების თანახმად, ტატო წაუყვანეს მის მრისხანე მამას. პროცესია ამ რიგად მიდიოდა: წინ მიდიოდა დამნაშავე, იმას უკან მისდევდა გუვერნორი და გუვერნორს დარაჯი „როზგით“. ადვილად წარმოსადგენა, რაც დღე დაადგებოდა ამ თოთხმეტ-

თხუთმეტი წლის ვოლტერს თავის სატიროსათვის. იმის სიხაზულიდან  
რომ შვილი სკოლიდამ არ გამოურიცხეს, მამამ კინალამ სული ამოართვა,  
იმდენი სცემა.

ბარათაშვილმა შეასრულა გიმნაზია 1835 წელს. იმასთან ერთად  
შეასრულა სწავლა: გასპაროვმა, ხორუელნეომ, ილია ორბელიანმა და  
ლევან მელიქშვილმა. „გასპაროვი ჩვენზე მდიდარი იყო და სულ  
იალლოს გვაჭმევდაო“, გვიამბო სხვათა შორის ლევან მელიქშვილმა,  
ამ დროების მომგონებმ.

გიმნაზიის შესრულების შემდეგ ბარათაშვილმა ჯერ სამხედრო  
სამსახურში შესვლა დააპირა. ეს ისეთი დრო იყო, რომ მთელი  
კავკასია და რუსეთი ლევებთან ბრძოლას ეძებდა და შამილის დაჭერვას  
ფიქრობდა სიზმარში თუ ცხადად. ამასთან სამხედრო ასპარეზი,  
რომელშიაც იღწვოდა პოეტის სასიქადულო ბიძა გრიგოლ ორბელიანი,  
ადრიდანცე შეადგენდა მის სურვილის საგანს. გარნა ეს სურვილი არ  
აუსრულა პოეტს; დედ-მამამ თანხმობა არ მისცეს: „შვილო, კოჭლი  
ხარ, თუ არ ინვალიდების კამანდაში, შენ სამხედრო სამსახურში  
რად ივარგებო“, უთხრეს იმათ. მაშინ ოცი წლის ყმანვილმა ითხოვა  
უნივერსიტეტში გაგზავნა, მაგრამ თანხმობა არც ამის მიიღო.  
ბარათაშვილი დამორჩილდა მაშინ თავის ბედს, დარჩა ქალაქში და  
სხვა რომ ვერა მოახერხა რა, შევიდა ჩინოვნიკად კავკასიის უზენაეს  
სასამართლოში, რომელსაც ერქვა ექსპედიში სудა და მისამართობა.

თვითონ პოეტი აუზერს თავის მდგომარეობას ბიძამის გრიგოლ  
ორბელიანს ერთს ნერილში თებერვლის თვიდამ 1837 წლისა:

„საყვარელო ძიავ!... აგერ ნელინადნახევარია, რაც მე გიმნაზიაში  
კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდირასახრავაში. ნარდგენილი  
ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც  
პანსიონში ყოფნის დროს, კოდაბუშინობა მისამართობა მისამართობა  
მეცნიერება, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ  
მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-  
კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ  
შთამეპარება ხოლო გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუკი ჩემი სურვილი  
იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს,  
რომ კოჭლი ხარო და თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხუაგან ვერ  
მიგილებენო, მაშინ როდესაც ფეხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს,  
ასე ჩემებურად კიდეც ვჰქტი და კიდეც ვტანცაობ. მაგრამ რადგანაც  
შევიტყე უარი მათი და მით უამოვნება, ვჰქონებოვე უნივერსიტეტში  
მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულებს.  
უბედურებისა გამო მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი ჩემს  
თხოვნაზე ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ხედავ შენის სახლის გარემოებასო.  
იქნებ მე ველარც-კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ  
უპატრონებო?“ ამას შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემერწებინა  
მამაჩიმის თხოვნით. დაჭრის ისევ ჩემს მამულში, განვწესდი სამსახურში  
და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა, თუმც ხანდისხან ჯაჭრით

დავაშირებ ხოლმე მასთან შეძმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილი ასრულება? რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიშოვნიდი: უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყმანვილი კაცისათვის, ვისაც-კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პრველი შეოლაა; ეს არის კრებული ჩინონიკის და გამოკიდებული”.

„ამისათვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ, ღმერთმა დამიტაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჯაჭრება. ჭეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვჰქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!..“

ბარათაშვილი გამოვიდა ამ გვარ ცხოვრებაში, გახდა ჩინოვნიკად, საზოგადოების მოსამსახური პირად. ის ჯერ ერთობ ყმანვილი იყო, პროტოკოლების და აკტების მაგივრად ამას ერჩია ჯერ ისევ სტუკიერების თეორია სჭეროდა ხელში, მაგრამ, იმის თქმისა არ იყოს, ბედმა ეს მოუტანა და ესეც დამორჩილდა ამ მკაცრს ბედს. იმას სწყუროდა სამხედრო დიდება, უნდოდა ცხოვრება, სავსე ყიუინითა და ძლევის ხმით, და ნაცვლად ამისა ხვედრმა შეაბა ყოველდღიურს კანცელარიის მუშაობას, იმ უმადლო და წელის მომწყვეტ მუშაობას, რომლისთვისაც იმას თვეში ხუთი მანეთი ჰქონდა გაჩერილი ჯამაგირად.

ამაზე უარესს პირობაში არ ჩავარდნილა არასოდეს არავითარი ახალგაზრდა პოეტური ტალანტი. კაცს ჯერ თერგი არ დაულევია, როგორც ამბობენ ჩვენი მამები, ქუთაისამდის გზა არ გაუცლია, ზღვა არ ენახა და ბედმა-კი ამ ნიჭიერს ბავშვს ცხვირი კანცელარიაში შეაყოფინა, ტალანტი ხაფანგში მოუმწყდია. იმ მხეცებისა არ იყოს, რომლებიც ზამთარში თავის ფეხების წოვით ირჩენენ თავს, ბარათაშვილსაც თავისი სულიერი საუნჯისაგან უნდა ესაზრდოებინა თავისი ნიჭი და სარწმუნო ყოფილიყო იმ მცირედით, რასაც აძლევდა იმას ტფილისის საზოგადოებრივი ცხოვრება.

მაგრამ რა იყო ამ დროს ტფილისის საზოგადოებრივი ცხოვრება? როს მიცემა შეეძლო იმას ჭაბუკ პოეტის მწყურვალე გულისათვის? საუკეთესო კაცები საქართველოს, ის კაცები, რომელთა საზოგადოებას მართლა შეეძლო მიეცა რამე ბარათაშვილისათვის, რუსეთში იყვნენ გადაგზავნილები. — გრ. ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალ. ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფარიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალ. ორბელიანი, ელ. ერისთავი ამ დროს რუსეთში ნანობდნენ იმ ფარულ საზოგადოებაში მონაწილეობას, რომელიც დაწესდა ტფილისში 1829 წელს. ეს კაცები ნარმოადგენდნენ ჩვენს საზოგადოებაში სამწერლო ელემენტს და ამ ელემენტის უმყოფლობა საგრძნობელი იყო ჩვენის ერისთვის.

„იმ დროს ტფილისში, — განაგრძობს თავისებურად ბ-ნი კონსტანტინე მამაცაშვილი — არაფერთ საზოგადო გასართობელი ადგილი არა გვქონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები, — ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი ან ერთად სალამზედ ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები

„ჩვენი დროის გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვა და სხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული, დარბაისლური, მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა; ვისაც უნდოდა, ქალალდს თამაშობდა, ნარდს, ჭადრაკს, ქალალდის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთვარიან ლამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბალშიაც“.

სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ ეს ჩვენება, ისეთი სანდო მოწმისა, როგორიც არის ბ-ნი მამაცაშვილი, ჩვენ დავინახავთ, რომ როგიან საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელმაც ცხოვრებაში გამოსულს ყაცს ისეთივე სამსახური უნდა გაუწიოს, რა სამსახურსაც უწევს მოსწავლე ყმანვილს სკოლა, ამ დროს არ არსებობდა ტფილისში. არც იყო აქ ერთი მჭიდრო ორგანიული ქართული საზოგადოება, ქართული საზოგადოებრივი ჰაზრი, არ იყო თეატრი, არ იყო კლუბი, არ იყო გაზეთი, არ იყო საზოგადო ყრილობა, არ იყო მაღალი სასწავლებელი, — ერთი სიტყვით არ იყო არაფერო, რისგანაც დღეს შემდგარა თვით ჰაზრი განათლებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ის ცხოვრება, რომელსაც აგვინიერს მამაცაშვილი, იგივე სკოლის ცხოვრება იყო. ყმანვილი კაცების სკოლის ამხანაგები შეიკრიფებოდნენ ერთად, სადილ-ვახშამს შეექცეოდნენ, ილაპარაკებდნენ სხვათა შორის საღისტერატურო საგანზედაც, ერთხანს ნარდს გაუთამაშებდნენ ან ჭადრაკს და შემდეგ მთვარიან ლამებში სასეირნოდ წავიდოდნენ ქუჩებში და ბალებში. მაგრამ ასე ხომ სკოლაშიაც უტარებით ამათ დროს, ასე ხომ დღესაც ატარებენ დროს შეგირდები, და ისიც თუ იკადრებენ ამისთანა უბრალო დროს გატარებას, თუ არ არიან ხოლმე ოპერებში, ბალებში ან სხვა რამე იმ დროისათვის უცნობ განცხრომაში. სად იყო ნამდვილი საზოგადოებრივი ცხოვრება?...“

თუ კერძო ოჯახი საზოგადოების ცოცხალ წევრად იჩენდა თავს, ეს იყო ან დღეობაში, ან ქორნილში, ან სხვაგან სადმე ლხინში, საცა საღამოდამ ცისკრამდე მხოლოდ „დალი“ ისმოდა და მრავალ-უამიერის სიმღერისაგან ყურთა სმენა აღარ იყო.

თვით პოეტი აგვინიერს ამ გვარის საზოგადოების ფუჭს ცხოვრებას, ერთს წიგნში გრიგოლ ორბელიანთან.

„თუ ქალაქის ამბავი გინდა, — სწერს ის: ჰსნორე გითხა ბევრი ჭორიანობა და ჭირიანობაა, ორვე ერთია; მაგრამ ჭირი ტყულია ამ ველად და ჭირი კი მართალი, — დიდი დაგხერებაებია ქალებისა; დიდი აყალ-მაყალი, დიდი ჭირილი; დიდი ლამის-თევაები; დიდი წვეულებაები ერთმანეთის ჯაჭრით“...

მეორე წიგნში იმავე ორბელიანთან ბარათაშვილი უფრო მოკლედ და კატეგორიულად სწერს: ტფილისი ისევ ის ქალაქია უსარგებლო გონებისა და გულისათვის.

ამ გვარ უსარგებლო ქალაქში, საშვალ აპატიურის საზოგადოების არგუნა ბედმა ცხოვრება ბარათაშვილს. არც ოჯახში, სადაც მტარვალობდა მამა, არც სამსახურში, სადაც თავიანთის მუდამ მოღვაწემილის და ჩამოშვებულის ცხვირ-ჰართ ჩინოვნიკობა უმნარებდა სოცოცხლეს, არც საზოგადოებაში, საცა მისი ტოლ-ამხანავი არ იყო, საცა სატრფო, ან როგორც ის ამბობდა „საგანი“ არ უნათლებდა და არ უთბობდა გულს, სადაც კაცად-კაცადი ფიქრობდა მხოლოდ სმა-ჭამაზე და გამდიდრებაზე, ახალგაზრდა პოეტი ვერ გპოვნიდა თვის ხვედრს, რომელსაც ეძებდა სიყრიმიდან. იმასაც სწამდა თავისი ვარსკვლავი, იმაშიც სცხოვრობდა დემონი და ღაღადებდა იდუმალი ხმა, რომელიც ეტყოდა მას:

ეძე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,  
ვინძლო იპოვნო შენი საშვერი!

მაგრამ ცხოვრებამ იმედები გაუმტყუნა და ის ეტყვის ნათვლიანად ამ იდუმალ ხმას:

მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპპოვებ,  
და მით კაეშანს ვერლა ვიშორებ!

ოპ, რა დიდი მზღვარი დასდვა ბედმა პოეტის იდეალებსა და ცხოვრებას შორის. ის ცას იქნი ეძიებდა სამყოფს:

გულისთქმა ჩემი შენს იქთა... ეძიებს სადგურს,  
ზენართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...

ეუბნებოდა ის სამყაროს და ამის ნილ მხვედრმა ის კანცელიარიას მიაკრა მაგარის ჯაჭვით. უნებლიერ ის შეიქმნა ცხოვრების უკმაყოფილო კაცი, სულით ობოლი, სულით მარტო. ყობელს მის საქციელს, ყოველს მის ნანერ ნალაპარაკევს ამას შემდეგ ცხოვრების უკმაყოფილების ბეჭედი ამჩნევია.

„კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივა მოწყინებამ, — სწერს პოეტი ერთს ნათესავ ქალს: ვისაც საგანი აქვა, ჯერ იმისთ სიამოვნება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენ იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ... სოცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ ნარმოიდგინე, მაიკო სიმნარე იმ კაცისა მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალი მონათესავენ და მაინც კიდევ ვერ ვის მიკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და შრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმ ნიჭად, მას არცა თუ განსვავ ჰქონია; ვისიცა ცრემლნ მეგონებოდენ, ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა? სად მიიღორივ თავი?“

ერთი სიტყვით ის შექმნა:

ჭკუთ ურნმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი...

რომელიც თუმცა კაცების საზოგადოებაში იყო, მაგრამ მეგობრებს



კაცს-გარეშე ეძებდა: არშიყობდა მთვარიან ლამეს, ამცნობდა მთვარიან საიდუმლოს მხოლოდ ვარსკვლავთა... შეეტრფოდა, ვით მეგობარს, მთაწმინდის წყარო საღამოს და გაირთობდა სევდას მტკვრის ნაპრებზე...

აი, ამ დროს ნიკოლოზ ბარათაშვილი კარგს წრეში რომ ჩავარდნილიყო, რომ რამე მანქანებით მის გარშემო საზოგადოებაც გაჩერნილიყო განათლებული, მწერლობაც განვითარებული, იმისგან მეტად შესანიშნავი პოეტი შეიძლებოდა დამდგარიყო. მაგრამ საღ იყო იმ დროს ან მწერლობა, ან მკითხველი საზოგადოება, ან ზნეობითი და გონიერით გაჩალხული, განათლებული წრე საზოგადოებისა? ქვეყნაში, ცხოვრებამ, ნაცნობ-ნათესაობამ, ყოველდღიურმა პროზამ, რომელთაც ბარათაშვილზე უფრო ძლიერ ხასიათი შეუმუსკავთ, პოეტი გაიტაცქს, ჩაითრიეს ამ სოფლის დაუდგრომელს ბრუნვაში და ეს ბუნებისაგან უჩვეულოდ დაჯილდოებული არსება, შექმნა ჩვეულებრივ კაცად, რომელიც, რუსული ანდაზისა არ იყოს, ქვეყნად იყო და ქვეყნიურს ამბებს ჩადიოდა.

ბარათაშვილი გაერთო ამ სოფლის ამაოებას. არა ქორწილი, არა ლამისთვა, არა ყრილობა არ იყო ტფილისის ქართველ საზოგადოებაში, საცა ის არ ყოფილიყო თავ-მომლხენლად და შემაქცევრად. ყმანვილი კაცი, უპირველესი ოჯახის შვილი, მარჯვე, მოსწრებული მოლაპარაკე, მელექსე, მოლეპურე, მეჩინგურე, მეთარე, ქალალდის გატაცებით მოთამაშე, ყოველგან მომსწრობი, ყოველგან შინაური კაცი, ბარათაშვილი შექმნა საზოგადოების საყვარელ კაცად. საღამო ისე როგორ გაივლიდა, სამ-ოთხს იჯახს არ სწვეოდა ის, აბები და ჭორები არ მიეტანა იქ, არ გამოეტანა... დროულის ფულები არ ჰქონდა (ფაეტონები მაშინ არ იყო) ამდენ სასიარულოდ, მაგრამ ის კოჭლი ფეხები ხომ ზედ ჰქონდა და ბილიკები ხომ ზეპირად იცოდა (ეს ღ. მელიქშვილისაგან გამიგონია). ოჯახებში ხშირ-ხშირმა სიარულმა იქამდე მიიყვანა ის, რომ — ვთქვაა? — ორ სამ ალაგას, იმ ანდაზისა არ იყოს, რომელიც დილის ოქროს საღამოს ვერცხლადა ჰხდის, ბარათაშვილს ხანდახან „შინ არ ბრძანდებიან“—საც ეუბნებოდენ.

მაგრამ საზოგადოთ კი მისთვის ყველგან ფართოდ გაღებული იყო კარები. ორბელიანების ოჯახში, მეტადრე მანანა ორბელიანთან, ამ ჩვენებურ მადამ რეკამიესთან, რომლის სალონში იკრიბებოდნენ, რაც რამ იყო ტფილისში წარჩინებული მწერლობაში, ხელოვნებაში, მმართველობაში, რომელიც იყო მეფედ ქართული ზრდილობისა და გემოვნებისა ატას რვაას ორმოც წლებში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში, ბარათაანთში. ფალავანდიშვილებში, ერისთავიანთში, ციციშვილებში, ბარათაშვილი მუდამი სტუმარი იყო, შემტანი მოძრავის გონებისა და მხარულების. აქ თამაშობდა ის, აქ ლიხნობდა, ოხუნჯობდა, არშიყობდა.

სიყვარულის და ცოლის შერთვის დროც დაუდგა პოეტს, მაგრამ, წარმატება არსად იყო...

ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი არსად იპოვება, ერთად

ერთი მისი დაგეროტიპი, რომელიც შერჩენა მის დას ნინო ბარათაშვილს დაღუპულა იმ საშინელ ცეცხლში, რომელმაც გადაბუგა, არ მახსოვს რომელ წელში, გოლოვინის (რუსთაველის) პროცესტის სახლები და მათ შორის დუბელირის ფოტოგრაფია (ეს დაგეროტიპი გადაეცა ფოტოგრაფისთვის ილია ჭავჭავაძეს).

გაგონებით ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო მოთეთრო სახისა, პირხმელი, შავის ცოცხალის თვალებით, ნაბლისფერის თმით, საშუალო ტანისა და სისქისა. მისი ხშირი ნარბები, ერთმანეთთან გადაღობილი და თვალები ოდნავ დახრილი ცხვირისაკენ ამხილებდენ მაში ოდესშე ჩინეთიდან გადმოსახლებულ ნინაპართა ჩამომავალს. წვერ-ულვაშს არ ატარებდა, რის გამო მისი სახე, შორიდან ლაშათიანი, ახლოდან ცოტა დაჭყანული იყო. პოეტი პალატაში მსახურობდა და მის დროს, ნიკოლოზ ხელმწიფის დროს, მთელს რუსეთის ჩინოვნიკობას პირზე სამართებელი დასტრიალებდა. ჩვენშიაც ისე ფიცხლად ასრულებდნენ ამ ბრზანებას, რომ (ბოდიშს ვიხდი გზის გადახვევისათვის), როცა 1837 წელს ხელმწიფე ჩამოვიდა საქართველოში, იმათაც კი დაიპარსეს წვერ-ულვაში, ვინც საზოგადოების არჩევანით მსახურობდა, ასე რომ თვით ყაფლან თრბელიანს ჩამოაცილეს წვერ ულვაში: საწყალი ზასედატელი თურმე იყო! გაგეგონებათ სვიმონ მაჩაბლის ნაღვლიანი ჩივილი ამ საგანზე: ღმერთო, ე რა დღეს მოვესნარით, ჩვენი დედ-მამები ამბობდნენ: თუ ეს ლეჩაქი მხურავს, თუ ეს ულვაშები მასხიაო... და ჩვენ ერთიც დაგვეკარგა და მეორეცაო.

ზემოთ ნათქვამს თუ ისტო დავუმატეთ, რომ ბარათაშვილი კოჭლი იყო, თქვენ სრულად დარწმუნდებით, — რომ პოეტს არ ჰქონდა აპოლონის მშვენიერება.

სუყველა ეს ისეთი მიზეზებია, რომელთა გამო ბარათაშვილს არ უნდა ჰქონდა დიდი ნარმატება ქალებს შორის. პირველი მისი სიყვარული იყო ნ. ო. — ის ქალი, რომელსაც უძლვნა ლექსი:

მიყვარს თვალები, მიბნედილები...

მაგრამ მიიღო თუ არა იმან ნაცვალი გრძნობა ამ ქალისაგან, არავინ იცის. მეორე მისი საყვარელი იყო მებულეკე ფრანგის ლაპიერის ქალი დელფინა. ამას უძლვნა ლექს „ჩემს ვარსკვლავს“, მაგრამ ამ ლექსშიაც უფრო მრისხანებაზე და წყრიმაზეა ლაპარაკი ვიდრე სიყვარულზე. ერთმა ქალაქის ჩინოვნიკის ცოლმაც, რომელსაც აადევნა პოეტმა თავისი სიყვარული, პოეტის ჩანგი გასცვალა მეგრელ აფიცრების დეზებზე...

მაგრამ არშიყობასა და ქალებთან დროს გატარებას ის მაინც არ იშლიდა. როგორც ბიძა მისი გრიგოლ ორბელიანი, ბარათაშვილიც დიდად მოყვარე იყო ქალების საზოგადოებისა. ის იმათ აჯავრებდა და ხუმრობით თუ ბოროტ განზრახვით წაპკიდებდა ერთმანეთს, იმათან უყვარდა ყოფნა, მუსაიფი, ხუმრობა, ცელქობა, ბუტიაობა. იმან ყველაზე წინ იცოდა, ვინ ვის ეარშიყებოდა, ვის ვინ მოსწონდა, ვის ვინ უნდა შეერთო. და ან მხარს მისცემდა მათ ან წაპკიდებდა.

ერთს ქართველს თავადიშვილს, რომელსაც ცეცხლი ეკიდებოდა და იცავს ცოლის სიყვარულისაგან, პოეტი ეუბნება ერთს საღამოს:

— ზაქარია, ზაქარია, კატოს თვალი უჭირავს შენზე, კაბა გაისწორე და მარჯვედ დაჯექ.

საპრალო ტრფიალი რომ დაიმშვენებს თავს, ის მიუბრუნდება იც...ის ცოლს:

— კატო, კატო! ზაქარიას შენზე თვალი უჭირავს.

— თვალები იმას დასდგომია! რა უნდა ჩემგან, რას გადამკიდებია, უთხარ თავი დამანებოს.

და ამგვარად დაახლოვების მაგიერ იმან დააშორა კაცი და ქალი ერთმანეთს.

„დედაკაცები ისევ ისინი, — სწერს პოეტი გრ. ორბელიანს — ჩვენი ყმანვილები და ხახვების ფრანგტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდენ. ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი ბიჭი! ამისთანა ფართე ოკეანე არც ერთ ხომალდს არ შეხვედრია.

1845 წელს, როცა ბარათაშვილი სამსახურმა დააშორა ქალაქის საზოგადოებას, ის სწერდა ერთს ნაცნობ ქალს ნახჩევანიდამ:

„აი, სამი თვეა აქა ვარ და ძალლად არავინ მახსენა; ეშ! მაგის დარდსაც გავუძლებ, აღარც მე მცალიან ვის თვის მე... დიახ, ნუ რა ვის მოგაგონდები! იმისი არ იყოს, როგორც ერთს ქალს უბრძანებია, რომ აქ მოგვწყინდნენ და გავყარეთ!

ეგეც ეგრე იყოს. მაგრამ მე ეს, ვიცი, რომ ჩვენ წელს ოცდაექსისა შეესრულდით და ნინათ ჯერ ბეჭრი ნუგეში და სიამოვნება გვიძევებ! ვაი იმის ბრალი ვინც ოცდა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლისა კმაყოფილებას მოელის!“

ქალაქს გარედამვე სწერს ამავე ქალს იმავე კილოთი: „ახალს დანიშნულს, თუ პატარძალს, სოფიოს მოახსენე, თუ შეგხვდეს, ჩემი ზონარი რა უყო, ქმარი არას დაუშლის. მეორე სოფიოსაც უთხარ, ჩქარა გამიკეთოს: ვინც მე ზონარს მომიქსოვს აგრე ჩქარა გათხოვდება.

ერთს წერილში მიხეილ თუმანიშვილთან ის სწერს:

„Скажу тебе новость, тут ар гаჯаджановдеби. Я жду сегодня вечеромъ въ д. Мцкнети \_ зачемъ? \_ А затемъ, что она тамъ. Мать ея просила меня провестъ съ ними несколько дней. Каковы должны быть эти дни? Ахъ? მაშ მოჰკვდი, ბა!“

როგორც სკოლაში ისე ცხოვრებაში ბარათაშვილი დარჩა მოუსვენარი, ცელჭ, დამცინველი. სრული მისი ხასიათი იხატება იმ ბზუზის ბზულში, რომელიც მოჰკვას პოეტს თუმანიშვილთან მიწერილს წიგნში. მხოლოდ ხშირად ეს ბზული ფუტკრის ბზულს ემსგავსებოდა და ერთჯერ მისმა შხამიანმა სიტყვამ კინალამ არ შეამთხვია მას უბედურება.

თავისთავად სულ უმნიშვნელოა ეს შემთხვევა, მაგრამ რაკი ჩემამდი მოანია, არ შემიძლია ბიოგრაფის მოვალეობას ვუმტყუნო და არ გიამბოთ, რაც მოხდა.

იმ ხშირ საღამოებს, რომლებსაც ოჯახებში ატარებდა იმ დროს

ქალაქელი უთეატრო და უვინტო საზოგადოება, ბარათაშვილი ხვდებოდა სშირად ერთს თავის ამხანაგს მაღალაშვილს. ეს მაღალაშვილი ენა მახვილი კაცი იყო თურმე და ხშირად დასცინოდა პოეტის ბიძას ილია ორბელიანს.. დაცინვაში ხან და ხან ბარათაშვილიც წაეხმარებოდა მაღალაშვილს. ორბელიანმა დიდხანს ითმინა დაცინვა, მაგრამ ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა გადაწყვიტა პირველსაც კრებაში ჩხუბები აეტეხა იმათთვის და მაღალაშვილი გამოეთხოვა ხმალში. საუბრუოთ პირველს კრებაზე მაღალაშვილი არ მოვიდა და ორბელიანმა უინი ბარათაშვილზე ამოიყარა. ის დისნულობით არ დაერიდა ამ უკანასკნელს და დუელში გამოითხოვა. იქ მყოფ ამხანაგებს, სხვათა შორის ლევან მელიქშვილს, უნდოდათ ხუმრობაში გადაეტარებინათ ეს გამოთხოვა, მაგრამ რომ ვერ მოხერხდა შერიგება, სეკუნდანტები აირჩიეს, ილია ორბელიანმა ყაბარდოელი ატაჟუკინ და ბარათაშვილმა მაღალაშვილი. დანიშნეს დრო, ადგილი და გაემგზავრნენ ორივე დუელიანტი და მათი სეკუნდანტები ერთად, ფეხით. პირობა დასდევს, ვინც ცოცხალი და უვნებელი გადარჩებოდა, იმას უნდა მიეყვანა დაზიანებული ჭირისუფლებისათვის ან მკვდარი ან ცოცხალი. გზაზე ლევან მელიქშვილმა დაუწყო გამხნევება ბარათაშვილს. ეს რომ ორბელიანმა გაიგონა, იწყინა და უთხრა მეგობარს:

— მე კი არ გებრალები, ლევან?

— არა, არ მებრალები, იმიტომ რომ შენ ხარ მიზეზი ამ დუელისა, უპასუხა მელიქშვილმა.

მივიდნენ დანიშნულ ადგილზე, გაზომეს ნაბიჯები. გატენეს დამბაჩები და დააყენეს მოპირდაპირები.

ილია ორბელიანი მაღალი, მაღალს ადგილზე, ნიკოლოზ ბარათაშვილი დაბალი, დაბალს ადგილზე და სეკუნდანტის ხმაზე ერთი, ორი, სამი — მონინაალმდეგეთ ჩამოუშვეს ჩახმახი. იგრიალა ბარათაშვილის დამბაჩამ, ორბელიანის ფალიაში მხოლოდ წამალი ამოიწვა. ორბელიანს ეგონა, რომ მოატყუეს და ჩაპერერა სული დამბაჩას. მაგრამ რა ნახა გატენილი იყო, მოითხოვა ხელახლა გაეტენათ. მეორეჯერ გავარდა დამბაჩა და ბარათაშვილი ნაიქცა... ორბელიანს ეგონა, რომ მოკლა და სასოწარვეთილი მივარდა თავის დისნულს, დასწვდა და შიშით წალებულმა მოავლო ხელი მწოლარეს ჯიბის ახლო.

— აი! ქმშიში მაქს, ქმშიში! ჯიბიდან არ ამომაცალო! დაიძახა უაცრივ განგებ წაქცეულმა ბარათაშვილმა.

— უ, შენ დაგნერებულო... შე შეჩვენებულო, გული რად გამიხეთქეო, — იყო ხმა ორბელიანისა.

თურმე სეკუნდანტებს, როცა ორბელიანმა თავისი არ დაიშალა, ერჩიათ დამბაჩები უტყვიოთ გაეტენათ და პირველის სროლის შემდეგ, რომ საიდუმლო არ გამოაშკარავებულიყო, მაღალაშვილმა წასჩურჩულა ბარათაშვილს: მოხვდებოდა თუ არა ტყვია, უთუოდ წაქცეულიყო. ორბელიანმა ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ასე ბედნიერად გადურჩნენ სიკვდილს ორნივე ბიძა დის-წული.



მეორეჯერ თავისი მახვილი სიტყვა სტუორცნა ბარათაშვილის  
პლატონ იოსელიანს. ერთს საზოგადოებაში ვიღამაც თურმე იკითხა:  
ე. ბერძენ-რომაელებს რომ ყოველისფერის ღმერთი ჰყავდათ,  
ნეტა ვიცოდე, ვირების ღმერთიცა ჰყავდათ?

— ეს პლატონს უნდა ვკითხოთ, ის არის ბოლ-ასლოვო, —  
მიუგო რუსულის ზმით ბარათაშვილმა და მიუშვირა ხელი იოსელიანს.

როცა ქალების საზოგადოებაში არ იყო ბარათაშვილი, ტოლ-  
ამხანაგებში ატარებდა დროს სადმე თრთაჭალას ან ვერაზე, სადაც  
გაისმოდა სათარას ტკბილი ხმა. სათარა პრველი მომღერალი იყო  
მისის დროისა, ბარათაშვილი მისი პრველი თაყვანის მცემელი. დიმიტრ  
ვეზირიშვილისაგან გამიგონია, პოეტს ქართლში სადღაც ეკლესის  
კარზედ დაუწერია ამ მომღერლის ქებაო. როდესაც ახალი მომღერალი  
გამოჩნდა ტფილისში, ჯაფარად ნოდებული და საზოგადოებაში იმის  
ქება დაიწყო, ბარათაშვილი დიდის წყენით სწერს ერთ ნაცონბს  
ქალს:

„ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით, ვისიც წიგნი მოგვივიდა,  
მაგის ქება ეწერა... ეგ რომელი ამბობს რომ სათარას ჸსჯობს? ეტყობა კარგი სმენა ჰქონია. მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხა სათარაზე  
მაგრამ სათარასთვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანება,  
რომ მაგისთანა ხმა აღარავის ექნებაო! ერთი თრივეს სახე ნახეთ,  
ერთი კაცი, მეორე ჯოვანების მაშალა“. — ეს მოქეიფე და დარღიმანდი  
ყმაწვილი კაცი, ეს მოუსვენარი ჭიანჭველა, როგორც ის უნდებებს  
თავის თავს ერთს წიგნში გრიგოლ ორბელიანთან, სამსახურში  
ზედგამოქრილი გერმანელი იყო. 1842 წ., როდესაც სამხედრო მინისტრმა  
რევიზია უყო ტფილისს სამოქალაქო დაწესებულებათა, პოზენმა  
ისე მოინონა ბარათაშვილის საქმის წარმოება, რომ, იმის მეოხებით,  
ბრძანება გამოსცა ქართველობას უშირატესობა მისცემოდა სამსახურში.

მეორე მაგალითი ბარათაშვილის ბეჭითობისა გვიამბო გრ.  
ორბელიანმა.

პალატის უფროსს ილინსკის არაფრად მოსწონდა, რომ მის  
სტოლონაჩალნიკი ასე ბეჭრს დარბოდა, და ერთხელ რევიზია უყო.  
მაგრამ, რა დაინახა ყველაფერი სწორედ ჰქონდა, უთხრა:

— Вы таком случае продолжайте бегать, сколько вашей душь угодно.

ეს კაცი ისეთის დიდის ჰაზრისა იყო ბარათაშვილის ნიჭზე და  
მეტადრე თავის თანამდებობაზე, რომ ამბობდა თურმე:

— Баратовъ на моемъ месть будеть сидеть...

ამას უნდა პლატონ იოსელიანის ჰაზრიც დაუმატოთ. ამ ოლომპიურის  
სიმაღლიდამ, საცა განისვენებდა ეს უებრო ღვთის-მეტყველი, ის  
იტყოდა ჭაბუკ პოეტზე:

— ეს კარგი გამოვაო.

ასე ამ გვარად მიმდინარებდა ბარათაშვილის ყოველ დღიური  
ცხოვრება. ის ყელამდის ჩაფლული იყო ისეთ სფეროში, რომელსაც  
არ შეეძლო მისი განსხვავება არც ზნეობრივად, არც გონებრივად,

მაგრამ ის ლვთაებრივი ნაპერწკალი, რომლითაც ის დაჯილდოებული იყო ზეგარდმო, მაინც არ გაჰქრობოდა მას სრულებით. მაინც ცოცხლად გრძნობდა, რომ სულ სხვა ცხოვრებისათვის იყო შექმნილი, სულ სხვა საზოგადოების ღირსი, და სწრდა თავის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, ხელი მიეცა მისთვის, გამოეყვანა ამ მდგომარეობიდან. ეს სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ის არ დაერიდა თავის ბიძას, რომელიც უყვარდა, კრძალვით მიენერა საყვედურით სავსე წიგნი.

„საკურველია — სწრდა იგი გრ. ორბელიანს — რომ ქართველს კაცს, რაოდენოც დიდებული და ძლიერი უნდა შექნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვბერდებით, პოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მიჰსცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვიოთნ დაეცეს (საბოლოო არა არის ამ საწუთოში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შეძლებლობა და შემა ერსა შორის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამზობ, რომ მე შინაგანი შემა მინვევს საუკეთესო ხელისაკენ, გული მეუბნება რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! წუ გძინავს! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრეულდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჟ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელნიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეტ მოჰქონდა. ეცადე, რომ რენენგამთან დამაზიშვინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის, ვიცი დაგავინყდა, მაგრამ არა, არ დაგვინყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება“.

რენენგამფი დალესტანში მსახურობდა. მაშინ დიდების და განსხვავების გზა კავკასიაში დალესტანზე მიდიოდა, არღუთინსკის, გრიგოლ ორბელიანს, ლევან მელიქშვილს, დიმიტრი ჯორჯაძეს, ვასილი სარაჯიშვილს, ნიკო ჭავჭავაძეს დალესტანში უშოვიათ დაწინაურება. იქთვენ მიიღენოდნენ ყველა ნარაშვინები, კველა სალტიკოვები, კველა იუსუფები, რომ მოეპოვათ სახელი და დიდება. სამწუხაროდ, გრიგოლ ორბელიანმა ვერა მოუხერხა რა თავის დისწულს. დაუდევნელობით მოუვიდა, უეჭველია, ეს საქმე, თორემ ისეთი მაღალი ადგილი ეჭირა, რომ ადვილად შეიძლებდა იმის შემწეობას. ტყულად არა სწრეს მოეტი, ქართველი თავისიანს არ გამოადგებაო.

გრ. ორბელიანთან რომ ვერა გააწყო რა ბარათაშვილმა, ხელი მოსჭიდა ლევან მელიქშვილს, რომელიც დროებით მაზრის უფროსად უნდა წასულიყო ნახევანს. პოეტს არ უნდოდა ამ ქალაქში ყოფნა, მაგრამ სამსახურში დაწინაურებისათვის იძულებული შეიქნა მიეღო მაზრის უფროსის თანაშემწეობა და 1844 წელს გაემგზავრა ნახევანს. აქ ის დიდხანს არ დარჩინდა. 1845 წელს ლევან მელიქშვილი წამოვიდა ქალაქს და ამასთან ბარათაშვილიც. ორასი მანათით თურმე წაეგო ქალალდში და მელიქშვილს, რომელმაც იცოდა მეგობრის ვნება, ეთქვა მისთვის: ტატო, ჩქარა ქალაქს, თორემ მერე გზის ფულსაც ვერ იშოვიო, და ჩამოეყვანა ტფილისში. ქალაქიდან



ბარათაშვილი ცდილობდა თელავში გადასვლას იმავე თანამდებობის ადგილზე. მისი თხოვნა მთავრობამ შეიწყნარა კიდეც და ის იყო, პოეტი უნდა წასულიყო კახეთს, ტროიკაც მოეყვანათ წასახლელად, მაგრამ ამ დროს იმასთან მოსულა მამუკა ორბელიანი, რომელიც მაშინ განჯის მაზრის უფროსად იყო და თელავის მაგიერ წაეყვანა განჯას იმავე 1945 წელში.

ეს იყო უკანასკნელი წელი პოეტის ცხოვრებისა. დიდების მაგიერ სამწუხაროდ ბარათაშვილმა პპოვა აქ უდროო სიკვდილი. ის მოკვდა 2 (14) ოქტომბერს 1845 წელსა ქ. განჯას და დასაფლავდა აქვე მართლმადიდებელთა ეკლესიის გალავანში „დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დამინებული“. თითქმ თავის თავზე დაუწერიაო მას წინასწარმეტყველური სიტყვები:

ნუ დავიძმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;

ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუდა დამეცეს ცრემლი მწუხარის. ამბობენ, პოეტი მთაში სადღაც წასულა ყაჩალების დასაჭრად და იქ გაციებულა. ერთხანს მორჩილა, მაგრამ ხელახლა გამხდარა ავად, რადგანაც უდროო დროს ერთობ ბეჭრი ცივი ლუდი დაელია. ეს ამბავი გაუგონია განჯის ეკლესიის მღვდელს მძინარიშვილს ბარათაშვილის განჯელ მეგობროსაგან, რომელსაც იმისთვის ის ადგილიც უჩვენებია, საცა იყო დასაფლავებული პოეტი.

პოეტის სიკვდილმა დიდად შეაწუხა ქალაქის მაღალი საზოგადოება, რომელშიაც უმეტესი ნაწილი ან ნათესავი იყო მის, ან ნაცხობი და მეგობარი. ილია ორბელიანი ამ სიტყვებით ატყობინებდა გრიგოლ ორბელიანს ტატოს სიკვდილს:

„ამ საწყლების — მელიტონის და იმის ცოლის — ყურებისათვის ვერ გამიძლია, გულს ცეცხლი მეკიდება და აღარა მესმის რა; ჩვენ სიცოცხლე ტატო გარდაცვალა განჯასა და იფიქრე ჩვენ ცხოვრებ; ნეტაი შენა, რომ მელიტონს და ეფემიას არ ხედავ! შენ ჭირიმე გრიგოლჯან, ესე ამბავი ქრისტიანებრივი მოთმინებით მიიღე და ნუ შეინუხებ მაგ ავადყოფობაში თავსა“.

ლევან მელიქშვილი, მეორე მისი ამხანაგი, სწერდა გრიგოლ ორბელიანს:

„Любезный Григорий, не знаю какъ описать тебе то ужасное чувство, которым исполнено сердце моё смертю бедного Баратова. Въ немъ потеряль я не одного школьного товарища, но друга, которому съ самаго детства откриваль я вес изгибы сердца своего и дружественною взаимностию, которая я пользовался. Тяжело, мой Григорий, тяжело потерять человека, который сердцемъ и теплю душою мириль нась с людьми, съетими созданіями ничтожными, слабыми черными и злобными. Тяжело осиротеть душою! и не одинъ я понесъ эту ужасную потерю, Грузія потеряла въ немъ человека любящего ёё всею поетическою душою и ставившаго эту любовь выше всехъ обязанностей своихъ; молодаго человека с прекрасными и блестящими способностями, от котораго ожидала боле, чем от кого либо из нинешнихъ своихъ молодыхъ сыновъ. Родители лишились въ

немь единственной подмоги своей старости и всего их семейства, родственники его добраго родственника; Грузины однако гъз своих лучших соотечественников.

Можеть быть я грешу, но не могу не сказать, где эта справедливость свыше, о которой ежедневно толкуют, \_ зачем было отнимать прежде временно у людей друга, \_ у родины вернаго и любящаго её сына и съ блестящими способностями, у родителей \_ сына въ цветущихъ летахъ и последнюю подпору, \_ скажи же мне, где туть видна справедливость?"

დასახულს ერთ ნიგნში გრიგოლ ორბელიანთან, რომელიც დანერთლია ბარათაშვილის დედისაგან, ჩვენ ვპოულობთ პოეტის დედის გოდებას:

"მე უბედური, უბედურად ქმნილი, მოვაკლდი ჩემს სიხარულს შვილს, და რა შვილ? რომლისაგანაც მოველოდი ყოველს სიხარულს. ვა და ვაი ჩემს მოსწრებას, ჩემს თვალის დაბნელება!"

რამდენად უყვარდა ქართველ საზოგადოებას ბარათაშვილი და იყო პატივისმცემელი მისი ნიჭისა, ამას გვიჩვენებს შემდეგი ადგილი ზემოხსენებული მელიქშვილის ნერილისა:

"Теперь обрадую я тебя — სხერდა მელიქშვილი გრ. ორბელიანს — признательностью всехъ знакомыхъ покойника къ нему и къ способностямъ его. — 14 января, въ день имянинъ Нины, насы несколько молодыхъ грузинъ обедало у Реваза Андроникова; въ числе насы былъ Капланъ, котораго просили пропатъ სულთომროტო; но можешь тебе представить, что ни онъ, ни одинъ из не только не зналъ наизусть эти прекрасные стихи, но даже не имели ихъ у себя и весь душевно сожалели, что прекрасныя произведенія покойника пропадать. Тогда же предложено было рапечатать все стихи покойника на нашъ счѣтъ. На другой день составили подпиську, которою просили родственниковъ и знакомыхъ покойника пожертвовать на напечатаніе как и переводовъ его на тот конецъ, дабысохранить для потомства произведенія покойника; изъ части вырученыхъ за проданія книги, денегъ поставить ему памятникъ, а остальную отдать въ пользу семейства. Въпять дней 17 человекъ пожертвовало 1000 рублей серебр; изъ этого можешь видеть, какъ сильно была любовь къ нему его знакомыхъ".

ეს ფული, როგორც მიამბო ლევან მელიქშვილმა, გადაეცათ განსვენებულის მამისათვის. ალბათ ამას დაუდვია პოეტის საფლავზე ის უბრალო ფიქალი, რომლის ერთი ნაწილი დღემდის სენახულა. დანარცების ფულით, გარემოებათა გამო, იმას შვილის თხზულება ვერ გამოუცია...

1884 წელს მე ნავედი განჯას, იმ განზრახვით, რომ მენახა პოეტის საფლავი და შემეკრიბა, რაც შეიძლებოდა, ცნობა იმის ცხოვრებაზე ან მაზრის სამმართველოს არქივში ან კერძო პირთაგან.

მაზრის არქივში, რომელიც გუბერნიისაში გადაუტანიათ, — თუმცა პეტრ არაფერს მოველოდი იქნდან, — მე არ შემიშვეს, რადგანაც გუბერნიის მთავრობამ შინაგან საქმეთა მინისტროს ნებართვა მომთხოვა და მე ის ნებართვა არა მქონდა.

კერძო პირთაგან ვნახე მხოლოდ განჯის ეკლესიის მღვდელი, მამა მძინარაშვილი.



ის ეკლესია, რომლის გალავანშიაც იყო დასაფლავებული ბარათაშვილი, მაღალს ადგილზეა, ქალაქის ბოლოს, საიდანაც თითქმის მთელი განჯა ინახება. თითონ ეკლესია არის პატარა, სულ 26 ნაბიჯი სიგრძით.

ბარათაშვილი იყო დასაფლავებული ეკლესიის კართან, ჩრდილოეთისაკენ, იმის საფლავზე არავითარი ნიშანი არ ედო. თუმცა კი ადრე იმის საფლავზე ქვა ყოფილა დადებული. ეკლესის მთავრობას, როგორც ეტყობა, აუღებინერბია ეს ძეგლი, რადგანაც უშლიდა თავისუფლად შესვლა-გასვლას ეკლესის კარგბიდან. ძეგლს გადარჩომისა მხოლოდ ის მარმარილოს ფიცარი, რომელიც ქვაში ყოფილა ჩადგმული. ეს ფიცარი სიგრძით რვა გოჯი, სიგანით ექვსი დღესაც შენახულია ეკლესიაში. იმაზე სწერია:

„აქა მდებარებს გვამი საქართველოს თავადის გუბერნისკის სეკრეტრის, ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილისა, გარდაცვალებულის 29 წლისა ჰასაკისა თვისასა 2 ოქტომბერს 1845 წელსა“

ბარათაშვილის სამწერლო ბიოგრაფია ისეთივე მოკლეა, როგორც საზოგადოთ მისი ცხოვრების აღწერა.

პოეტმა, როგორც ვნახეთ, სკოლაშივე დაიწყო ლექსების წერა. ორი მისი სკოლის დროული ლექსი დაბეჭდილია მის თხზულებათა კრებულში; უმეტესი ნაწილი კი თითონ პოეტს არ უცვნია ლირსად ბეჭდვისა და არც ერთს ჩემგან ნახულს მისგანვე გადაწერილს ლექსთა კრებულში არ ჩაუტანია (მე მინახავს ორი ამგვარი ლექსთა კრება: ერთი განსვენებულის სამეგრელოს დედოფლის ეკატერინესა, მეორე კნეინა ვეზირის შვილისა). ამ ლექსების რიცხვს უნდა ეკუთვნიდეს ის დიდი პოემაც „ივერიელი“, რომელზედაც ამბობს კ. მამაცაშვილი და რომელშიაც იყო აღწერილი ჩვენი აყვავებული ცხოვრება 10, 11 და 12 საუკუნოებისა. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა პოეტს, „თუმცა ასეც შშვენიერი იყომ“, ამბობს მისი მეგობარი.

სკოლაში ლექსებს გარდა ბარათაშვილი პროზასაც ენყობოდა. გიმნაზიის შეგირდებმა მიხეილ თუმანიშვილის თაოსნობით და რედაქტორობით დაიწყეს ხელით წერილის უურნალის გამოცემა 1833-ს წელსა. ამ უურნალში, რომელსაც სახელიდ ერქვა „Цветокъ гимназіи“, ბარათაშვილიც იღებდა მონანილეობას. უურნალს პქნდა „Библиотека для чтения“-ს ფორმა, რადგანაც ეს უურნალი მოდის უურნალი იყო იმ დროს.

მწერლობის სიყვარული პოეტს ცხოვრებაშიაც გამოჰყვა. სკოლის ამხანაგების მაგივრობას აქ უნევდნენ ის რამდენიმე მწერლობის მოყვარე პირი, რომელნიც ხვდებოდნენ სხვა და სხვა დროს. ესენი იყვნენ: ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი, გიორგი ერისთავი, ლევან მელიქიშვილი, პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, ზაქარია ორბელიანი, სოლომონ მაღალაშვილი, საპერის ოფიცერი მატინოვი, საპერის ოფიცერი ჭავჭავაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, ზაქარია ერისთავი, იასე ანდრონიკაშვილი, ივანე

სარაჯიშვილი, ზოგიერთი ქართული მწერლობის მოყვარე პოლონელი როგორიც იყო ზაბლოცკი, სვიმონ მაჩაბელი, ლუკა ისარლიშვილი და სხვ. და სხვა. ესენი არ შეადგენდნენ ერთ ვიწრო წრეს, არც წარმოადგენდნენ ერთს განსაზღვრულს სამწერლო იდეას, მაგრამ ამათში ქართული მწერლობის საყვარული დიდი იყო და უურნალის გამოცემის ჰაზრი ფეხს იყიდებდა.

ბარათაშვილი მოთავე იყო ამ საზოგადოებისა. ყოველთვის, როდესაც ან შემთხვევა მოიტანდა და ზემოთნახსენები პირი ერთად სადმე შეიყრებოდნენ, ან საგანგებოდ შეიკრძებოდნენ, საზოგადო მსჯელობა ამ ქართველ ყმანვილ-კაცებისა იყო ქართულ მწერლობაზე და ისტორიაზე. ასე ამბობს ორვე ბარათაშვილის ცხოვრების ამწერი, ესევე გამიგონია პოეტის ნაცნობ-ნათესავთაგან. და არა მგონია, რომ ეს სიტყვები დანაყებედი იყოს. ამ დროს ჯერ კიდევ ზურგი მაგარი პქონდა ქართველ საზოგადოებას და რუსულის ცხოვრების და მწერლობის უპირატესობას ქართველი ისე მაგრად და დამჩაგვრელად არ გრძნობდა, როგორც შემდეგში, როგორც გიორგი მუხრან-ბატონის დროს, როგორც ეხლა (1893 წ.) მაშინ საზოგადოებას სწამდა და სარნმუნობამან მისმან აცხოვნა იგი, მისცა ისეთი მწერლები, როგორც იყვნენ გრ. ორბელიანი, ნიკოლ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი, ვ. ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი.

„ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები — სწერს კ. მამაცაშვილი, ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან ლევან ივანეს დ მელიქიშვილთან, ხან სადილად გარეთუბნის ბალებში... ხშირად გვექინდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე. ერთ საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ რადგან არ გვაქვს ქართული, რიგიანი ისტორია, გავიყოთ V-ს საუკუნიდან დაწყებილი, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია იმ საუკუნისა. პლატონ იოსელიანს მიანდვეს დაწერა ძველის საუკუნის ისტორიისა, ქრისტეს წინად და შემდეგ მე-V-ე საუკუნემდის“.

პოემა „ივერიელი“ და „ბედი ქართლისა“ არის ჩაგონებული ამ ქართლის ცხოვრების სიყვარულისაგან. საქართველოს დიდებული წარსული, მაშინდელი მისი სისუსტე, მომავალი იმედები, ერთი სიტყვით ბედი ქართლისა — აი რა იყო ახალგაზრდა პოეტის მუდამი ფიქრი და ოხვრა.

„მახსოვეს, ერთს ივლისის ლამეს 1838 წელს — სწერს მამაცაშვილი: მე და ტატო წავედით სასეირნოდ გარეთუბანს (ქლანდელი რუსთაველის პროსპექტი). ტატო ძალიან მხარულად იყო და თავისებურად მშვენიერად ხუმრიობდა. მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზეც და ტრაგიკულს დასასრულზედ 18-საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობისა გამო უღლონობაზედ, ჩვენი ტფილისის წახდენაზე, 1795 წელს, 14 სექტემბრს. და სხვა...“

ამ ლაპარაკის დროს, ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს და მხარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა

და აღელვებულმა მითხრა:

— „ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა! და ოხვით დაუმატა: ვაი, ჩვენი ქართლის ბედო!“

ბედომა არ მისცა ბარათაშვილს ფართო ასპარეზი. ბარათაშვილი უცნობი, შეურიშნავი, ქვეყნისაგან დავიწყებული კანცელარიის საბჭოებში აქრობდა ღვთაებრივს ცეცხლს, რომელიც ლამპარვით უნათებდა მას სულს. ბედომა უდედინაცვლა იმას და დალურსმა იგი სტოლონაცალნიკის სკამზე, სანამ არ მოილო მასზე მოწყალება და პრისტავის ფარაჯით შემოსილი არ ჩაუშვა უდროოდ სამარეში.

სამწერლო ბალაუი ბარათაშვილისა ერთობ მჩატეა. სკოლის შესრულებიდან სიკვდილამდე — ათს წელში — იმას დაუტერია სულ 39 პატარა ლექსი და ერთი პატარა პოემა. მიზეზი ამისი იგივე არის, რის გამოც ასე ცოტა უწერიათ გრ. ორბელიანს, ვახ. ორბელიანს, რის გამოთაც ასე ცოტას სწერენ საზოგადოდ ცველა ჩვენი პოეტები და მწერლები. მიზეზი ის არის, რომ ჩვენში მწელობა, როგორც ხელობა არ არსებობს. ორ-სამ კაცს გარდა, რომელიც სვეტად სესდგომიან ქართულ უურნალ გაზიერებს, ქართველი მწერლის ცხოვრება მწერლობის გარეშე მიმდინარეობს. წელიწადში ჩვენმა მწერალმა ორი თვე რომ სწეროს, სამი, — ისიც ბეჭრია. არა მგონია, რომ ცველაზე უფრო ნაყოფიერი ჩვენი ბელეტრისტი აკაკი, წელიწადში იმაზე მეტს სწერდეს, დანარჩენ დროს... დანარჩენ დროს ჩვენი მწერალი არაფერს აკეთებს მწერლობისათვის.

ბარათაშვილიც ასე იყო. სწერდა ის ათასში ერთხელ, როცა ქალალდების მორევში ჩაღუძული სტოლონაჩალნიკი, დროს და მოცალეობას იშოვიდა, როცა რამე შემთხვევა შეიცავდა მას და გაიტაცებდა.

ამიტომ არის, რომ პოზენისგან სამაგალითოდ ქებულს სტოლნაჩალნიკს ასე ცოტათ მონანილეობა მიღია ქართულს მწერლობაში. ამიტომაც „ავარიის მთავარსაც“ (გრ. ორბელიანს) ასე მცირე წიგნაკი დაუტოვებია შეტამომავლობისათვის.

სული და გული კი მაინც მწერლობისაკენ ჰქონდა ბარათაშვილს. საპეტდი ორგანო არსად იყო, მაგრამ ის ლექსებს სწერდა, თეატრი არსად იყო, მაგრამ ის დრამას ამზადებდა. სთარგმნიდა და ბავშურის აღტაცებით ტაშს უკრავდა ტოლამზანაგთა მონანილეობას ქართულ მწერლობაში. 18 (30) ოქტ. 1841 წელს პოეტი სწერდა გრ. ორბელიანს, რომელსაც ყოველთვის ანგარიშს აძლევდა სამწერლო საქმეში.

„ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე მოულობს ახალ მოყვარეთა. მრავალი ყმანვილი კაცნი, მოცლილი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოლობაში შეეწევიან მამულს ენას, რაოდენიცა ძალუბთ. ესე საზოგადო სული ბუნებითი ენის ტრფიალებისა, ყმანვილ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არ სძინავთ გონებით!“

იმავე წელს ისა სწერს ორბელიანს:

„ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიბიანშა

გადმოთარგმნა Ромео и Джульєтта Шექსპირის ტრადედია და მე ვთარგმნები იული თარენტსკი, ტრადედია ლეიზვეცისა; თუ წაგიკითხავთ ბიბლიოთეკაში იყო დაბჭეფილი. მე ძალიან მომენტია და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯვეთ, იტირეს“.

ეს თარგმანი დაკარგულია. საკვირველია რომ ამ ტრაგედიაზე არაფერი იხსენება იმ რეპერტუარში, რომელიც გიორგი ერისთავმა ნარუდგინა თ. ბებუთოვს 9 ნოემბერს (21) 1855 წელს, ეტყობა ეს თარგმანი მაშინაც დაკარგული ყოფილა.

სამწერლო ბიოგრაფიის შესავსებლად მოვიხსენიოთ აქ ისიც, თუ როგორ იღვიძებდა შემოქმედებითი ძალა პოეტისა და სად იძადებოდა სიუჟეტი მისის ლექსებისა.

უმეტესი ნანილი ბარათაშვილის ლექსებისა, როგორც მოგვითხრობენ მისი ამხანაგები, არის დაწერილი სახლს გარეშე. სახლში იმას ჯოჯოხეთი ჰქონდა ჩამდგარი, რომელიც სიცოცხლეს უმნარებდა და ყოველგვარ სულის სიმშვიდეს უმდგრევდა. მხოლოდ სახლს გარეშე, ნათესავებთან, ტოლ-ამხანაგებთან და უფრო ვერის ნელის პირას, მთანმინდაზე, გარეთუბანში სალამ-სალამობით სეირნბობის დროს, მთვარიან ღამეებში გადაეშლებოდა პოეტს გროვა პოეტური სახეებისა და აზრებისა. მისის წიგნებისა და მოწმობათა თანახმად ბარათაშვილი გვეხატება ჩვენ ოცნებისაგან გატაცებულ ახალგაზრდა რომანტიკოსად, რომელიც შეუვარებულია მთვარიან ღამისა და აჩრდილების.

„Я живлюсь только по вечерам луннымъ — სხერს იგი მიხეილ თუმანიშვილს — какъ прекраснымы въ Тифлисе! Вчера, въ одинъ изъ этихъ вечеровъ пошелъ я бродить къ Московской заставѣ; вдругъ я очутился на кладбище. Признаюсь, немного смутился, когда я взглянулъ на это онеменіе: 11 часовъ ночи. Ни души. Кругомъ пустота вечная; луна тускло освещаетъ могилы какъ вѣгврывающая лампада усопшаго. Тихо и медленно протекаетъ кура, какъ будто боясь нарушить покой въ этомъ униломъ міре!... Ты теперь въ раздолье, и я не хочу смущать тебя мрачными думами, которая навело мрн надушу это зрелише, небесно-земное! Но скажу, что прекрасное изобретеніе кладбище, а это необходимо, чтобы смертный порою читиваль бѣ по нему свою жизнь: утешеніе несчастнаго конецъ счастію!“

ერთი მესამედი ბარათაშვილის ლექსებისა არის ნაყოფი სიყვარულისა და მშვენიერების. ეკატერინე ჭავჭავაძისა, ნინო ორბელიანისა, ნინო გრიბოედოვისა, მისი დელფინა და სხვანი ერთი და ფრთხილად შეუდგნენ ნანილების ამოკრეფას. თავის ქალა დაუმშევრი იყო. უმთავრესი სახსრები, როგორც ზედა, ისე ქვედა ტანისა გაუხრინელი და შეუმუსკრელი იყო და განსვენებული მგოსანი, როგორც იქ დამსწრე ერთმა ექმდა სთქვა, მოსული ვაუკაცი ყოფილა. თავის ქალაც ამასთანავე დიდი იყო. წერილი სახსრებისა ზოგიერთი ნამტკრევილა აღმოჩნდა. ძლები რომ ამოკრიფეს, მერმე ის მინაც ამოილეს, ჩონჩხის გაყოლებით რომ იყო. ყოველივე აღმოჩნდილი ნაში გვამისა, ტანსაცმლისა, თუ კუბოს დაიკრძალა კუბოს შუა უჯრაში, მხოლოდ ორიოდე უბრალო ფოლაჭი და აგრეთვე ის ფოლაჭიც, რომელსაც სახელის ოქრომკერდის კანტი შერჩენოდა, ბ-ნ ალექსანდრე ჭყონიამ ჩაიბარა“.

ძვირფასი ნეშტი მგოსნისა წამოასცენეს განჯიდან ქალაქ თბილს, 1893 წ.

გაზეთი „ივერია“ აი როგორ აგვინწერს მგოსნის ქალაქში ჩამოსცენებას: „კვირა დილას, 25 აპრილს, დიდალმა ხალხმა მოიყარა თავი ტფილისის რკინის გზის ვაგზალზე... ვაგზლის არე-მარეა და თვით მისასვლელ მოედანზე ჭედვა იყო, იმოდენა საზოგადოებას მოეკრიბა თავი. რკინის გზის ბაქანზე იდგა შემოსილი ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე სამღვდელოებით. აქვე იყვნენ წარმომადგენელი ქართველი ინტელიგენციისა და მაღალის საზოგადოებისა, თავადაზნაურთა წინამდლოლნი, დეპუტაციები სხვა და სხვა ქალაქებისა და დაწესებულებათა გვირგვინებითა პოეტის კუბოს შესამკობად. 91/2 საათზე მოვიდა მატიარებელი და ვაგონიდან გადმოასცენეს კუბო ძვირფასის ნეშტით. კუბოს მოჟყვნის: პოეტის ნათესავი, ლიონი ბიძაშვილი თ-გ.ი. ორბელიანი და სხვა პატივცემულნი ქართველნი, რომელნიც გაგზავნილი იყვნენ განჯას. მცირე პანაშვიდის გადახდის შემდეგ ნეშტი გადმოასცენეს ვაგზლიდან სამგლოვიარო „წმინდა ლმერთო“-ს გალობითა. აქ, ვაგზალთა, ამდენა ხალხმა მუხლი მოიდრიკა და პატივი-სცა დიდებულის მგოსნის ცხედარს. შემდეგ ეს აუარებელი და ზღვა ხალხი დაიძრა და გაემართა ლიტანით დიდუბისაკენ. ამფიონი შემკული იყო ძვირფასი სხვა და სხვა გვარის გვირგვინებით და კუბო ხელში ეჭირათ ხან ქალებსა, ხან ახალგაზრდობას, ხან ნათესავებსა და ისე მიასვენებდნენ. გზა-გზა რამდენიმე ხორო გალობდა: ხორო ქალებისა, სასულიერო სემინარის შეგირდებისა, სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეთა და მ. შარაძისა, ბ-ნ ფ. ქორძის ხელმძღვანელობით. ქალების ხორო შეედგინა ტფილისის დედათა საეპარქო სასწავლებლის კურს-დასრულებულ შეგირდებისაგან მღვდელს მამა ვ. კარბელაშვილს, როცა ლიტანია მიუახლოვდა ეკლესიას, ხალხმა კვლავ მოიდრიკა მუხლი, მისმა ყოვლადუსამძღვდელოესობამ წარმოსთვეა შესაფერი და გრძნობით სავსე სიტყვა. თვით ეკლესიაში სიტყვა სთქვა ზიარების დროს მღვდელმა კ. ცინცაძემ.

ფოტოგრაფმა რამდენჯერმე გადილო სურათი პოცესიისა. წირვის გათავების შემდეგ საფლავზე გადახდილ იქმნა კვლავ მცირე პანაშვიდი და წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა. სიტყვები და ლექსები წარმოთქვეს: აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ, ნ. ორბელიანისამ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ლოლუამ, ქუთაისის დეპუტატმა დ. ბაქრაძემ, გ. წერეთელმა, სომეხთა ახალგაზრდა პოეტმა ბ-ნმა თუმანიანცმა, თ. ბიძინა ჩოლოყაშვილმა და სხვათა.“

მე რომ დავსწრებოდი იმ რჩევას, საცა გადაწყდა, რა უნდა დაეწერათ ნ. ბარათაშვილის საფლავის ქვაზე, ჰაზრს შევიტანდი, დაეწერათ ჩაილდ-პაროლდიდამ სიტყვები:

**И даже после погребенья**

**Останусь жить с своею тоскою...**

# პორტფეტისათვის

## ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი

ჩვენ დიდი ხანია თვალი მივაჩვენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის რამდენიმე გამორჩეულ სურათს. თუმცა კი, ყველამ კარგად ვიცით, რეალური და უეჭველი მათგან არც ერთი არ არის.

ცნობილია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილის შემდეგ მის დეპთან პოეტის დაგეროტიპი (ფოტოგრაფიულის ძველი ხერხ) ინახებოდა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ წამოიღო და თბილისელ ფოტოგრაფს, გვარად დუბელირს გადასცა გასამრავლებლად, მაგრამ სწორედ იმ დღეებში ხანძარი გაჩნდა, ეს ფოტოატელიეც გადაიწვა და ბარათაშვილის სურათიც შეიწირა.

გიორგი თუმანიშვილმა სცადა, სურათი თავისი მამის მიხეილ თუმანიშვილის (1818-1975) არქივში მოექცა (მიხეილ თუმანიშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის მეგობარი იყო).

მან იპოვა ნახევარი თაბახი სქელი თეთრი ქალალდი, რომელზეც ორი მამაკაცი იყო გამოსახული, ხელით მიწერილი ჰქონდა ინციალები — „H.B.“.

პოეტის თანამედროვეებმა სცნეს, რომ იგი ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი იყო (იხ. გვ. 273, სურათი №2), მაგრამ „არცთუ ისე მოსწრებული“.

ეს ჩანახატი ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

თუმანიშვილისეულ ჩანახატებთან დაკავშირებით პ. ინგოროვას აზრი ასეთია: „ამ სურათის დოკუმენტალობა ვერ ჩაითვლება დამტკიცებულად, ბეჭრი რამ საცილობელია ამ დილეტანტურ ესკიზში“... „თუმანიშვილისეული სურათი“ ჯერ კიდევ 70-იან წლების ბოლოს ხელთ ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს (რომელსაც აკი ნანახიც ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაგეროტიპი — ლ. თ.) ჩანახატმა გაიარა ავტორიტეტული ექსპრტიზა და ამ სურათს არ მისცეს ვიზა დასაბეჭდად. მიუხედავად ამისა, თუმანიშვილისეულ ჩანახატს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახის აღდგენის საქმეში მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან ცნობილია მისადმი პოეტის დების დამოკიდებულება.

მოსე თოიძე წერს, რომ ბარბარეს ამ ესკიზში თავისი ძმა უცვნია. დღემდე უცნობია ის ფაქტი, რომ იოსებ გრიშაშვილსაც უნახავს ბარბარე ბარათაშვილი-ვეზირიშვილისა. იგი წერს: „... 1916 წელს, გავემგზავრე პოეტის დასთან ბარბარე ვეზირიშვილთან და ვაჩვენე მიხ. თუმანიშვილის ნახატი. მან ამ სურათის და თავისი ძმის იგივეობის შესახებ ასეთი შენიშვნა მომცა: 1. ნარბები ნამეტნავად აჭიმულია, უნდა სწორედ. 2. თმა მეტია უკანდან. 3. მრგვალი თვალები ჰქონდა, უნდა მოგრძო, ნუშის თვალებას ვეძახდით. 4. თმა მეტია აქვს



გვერდებიდან. 5. ყელი გამოვუჩინოთ. 6. ბანტი აგრე იყო. 7. საქართველოს ტუჩები ჰეგავს. 8. ულვაშები ცოტა მოკლე. 9. ეცვა არა ვენგრერა, არამედ შტატიური". აქედან გამომდინარე — ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის წარმოსახვაში თუმანიშვილისეულ ჩანახატს, მიუხედავად პოეტთან მისი მცირე მსგავსობისა, მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

იოსებ გრიშაშვილის ფონდში დაცულია წერილი სათაურით: „ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტისათვის“, რომელიც დღემდე გამოუქვეყნებელია. მის მიხედვით პოეტის პორტრეტის აღდგენის იდეა გაჩნდა 1901 წელს, როდესაც ტ. მომცემლიძემ დახატა „ჯგუფი ქართველ მწერალთა“. მასში ნიკოლოზი არ იყო. ამ დროს ამ საქმით დაინტერესებულა ზაქარია ჭიჭინაძე და გადაუწყვეტია პოეტის დის, სოფიოს პორტრეტიდან მგოსნის სახის აღდგენა, იგი ეყრდნობოდა დიმიტრი ყიფიანის შვილის, კოტეს მოგონებას: „ პოეტის და, სოფიო, როგორც დედაქემი ამბობდა, ძალიან ჰგავდა თავის ძმას ნიკოს, ისე, რომ სოფიოს ულვაშები რომ დაეხატა თავის ტუჩებზე, ვერ გაარკვევდით: ეს მართლა სოფიო არის, თუ ნიკო ბარათაშვილი, ვით უговорით ჩნიოს სახისა და სახეს“

ლიტერატურს მუშეუშში დაცული ერთ-ერთი მოგონების მიხედვით სოფიოს თავის თავზე დიდი წარმოდგენა ქონდა: ამაყობდა თავისი ძმით და თავადის ჩამომავლობით და უბრალოდ არავის თავს არ გაუყადრებდა. არავის ახსოვდა, რომ რაიმე საზოგადოებრივ მნიშვნელობის კრებაზე ან კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე მას მონაწილეობა მიეღოს“... აქედან გამომდინარე, გასაგებია თუ რატომ თავის დროზე ვერ განხორციელდა დ. ყოფიანის მეულლის იდეა. მცდელობა კი, როგორც ჩანს, ყოფილა. ი. გრიშაშვილი წერს: ... ნიკოლოზ ბარათაშვილის დას, სოფიოს ვერ დააწერინეს პირჯვარი... ერთი სტყვით, ვერ დაითამეს, რომ ვაჟად გადაცმულს სურათი გადაელო. მაშინ ზაქარია ჭიჭინაძემ გამონახა სოფის სურათი და ცდილობდა, ამ პორტრეტიდან შეექმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახე.

ზაქარიამ ეს სურათი გადასცა იასონ ციციშვილს, მაგრამ მისმა პრიმიტულმა ნახატმა ვერ დააკმაყოფილა ზ. ჭიჭინაძე და მან ეს ფანქრით ნახატი გადასცა ახალგაზრდა მხატვარს, შემოაპის მაზრელ მანჯავიძეს... შემდეგ ეს ფანქრით ნახატი სურათი აჩვენა 6. ბარათაშვილის მეგობრებს: კ. მამაცაშვილს, პოეტს კ. ორბელიანს, გრ. ორბელიანს, გრ. გურიელს და თვით პოეტის დებს. ზოგი წინ აღუდგა ასეთ მკრეხელობას, ზოგმა კი შესწორება შეიტანა და მანჯავიძეს მოუხდა, რამდენჯერმე შეესწორებინა სურათი“. როგორც ჩანს, საზოგადოება თხოულობდა ლამაზი პოეტის სახეს და ეს სურათი მათვის მიუღებელი იყო.

1904 წ. „მოგზაურის“ რედაქტორმა ივ. როსტომაშვილმა ხელის-

მომწერთა შორის „ბარათაშვილის პორტრეტი“ გააცნელა (იხ. გვ. 274, სურათი №10). აღმოჩნდა, რომ ამ პორტრეტს საერთოდ კავშირი არ ჰქონდა ბარათაშვილთან — 1933 წელს „სალიტერატურო გაზეთში“ დაიბეჭდა ი. ავალიშვილის მოგონება, რომლის მიხედვით, აღნიშნული პორტრეტის ისტორია გაირკვა. მასზე აღნებდილი ბროვერება აღმოჩნდა ალექსანდრე დავითის ძე ციციშვილი, იასონ ციციშვილის ძმა. როგორც ჩანს, ბარათაშვილის სურათზე მომუშავე იასონთან მოსარულე ზაქარიას, როცა დაუნახავს, რომ დის პორტრეტის მიხედვით შექმნილი სურათი ყველასათვის მიუღებელი იყო, მხატვრის მიერ შეფერადებული პორტრეტი შეურჩევია და უთხოვია: „ნახატი მომწონს და ჩემს ოთახში ჩამოვკიდებო“. თბილისში რამდენიმე ხნის შემდეგ ჩამოსულ იასონს ძმის პორტრეტი რუსთაველის გამზირზე მაღაზის ვიტრინაში უნახავს, წარწერით: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“.

იასონ ციციშვილის მიერ პოეტის დის სახიდან შექმნილი ნახატი კი, როგორც ჩანს, დაიკარგა. ი. გრიშაშვილი წერს, რომ ზაქარია თავს ასე იმართლებდა: „რა უშავს, რომ არა გვაქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი? თუ არა გვაქვს, უნდა შევქმნათო, განა ასე არ შექმნა სხვა ერმა თავიანთი გამოწენილ მოღვაწეთა სურათები, რომელთა პორტრეტები არ მოიძებნებოდა, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, ხალხმა ღმერთი შექმნა, და ისეთი დიდი რა ცოდვაა, რომ ჩვენც ჩვენი საყვარელი მნერლების სურათები შევქმნათო“.

ასეთივე დამოკიდებულება გაგრძელდა შემდგომ და ნიკოლოზ ბარათაშვილი დლევანდელ თაობას მზექაბუკად წარმოუდგენია.

1916 წელს გადაწყდა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადება. შეიქმნა კომისიაც. კომისიას დაუვალებია ა. მრევლიშვილის, მ. თოიძისა და ნ. ნიკოლაძისათვის ბარათაშვილის დების თუმანიშვილის ესკიზთან დამოკიდებულების გარკვევა.

მოსე თოიძეს თვალში სცემია საკვირველი ხელოვნება ბუნებისა, რომელმაც სისხლით მონათესავე ადამიანებს დაანათლა სახის საერთო საგვარეულო ნაკვთები: „გავოცდი, რომ დავინახე ის თავისებურება, რომელიც მათ საერთო ჰქონდათ, ნამეტნავად შუბლი, წარბები და თვალების სილრმე — ღრმად ჩამჯდარი თვალები. მე მთელი კვირა ვხატე (იხ. გვ. 273, სურათი №3-4). ვეზირიშვილი მევე-დრებოდა სურათის გაღამაზებას — ვინ იცის, რამდენ საუკუნის შემდეგ გასინჯავენ, ყველას უნდა, რომ პოეტი ლამაზი იყოს. აი, პუშკინ, განა ისეთი ლამაზი იყო, როგორსაც ხატავენო“.

1938 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავზე გაზიერებში დაიბეჭდა ლ. გუდიაშვილის მიერ შესრულებული პორტრეტი.

ლადო გუდიაშვილის პორტრეტს საფუძვლად დის — სოფიოს პორტრეტი დაედო. მხატვარმა დლეისათვის დაკანონებული პორტრეტის შექმნამდე პოეტის სახის არაერთი ვარიანტი შექმნა. ერთ-

ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე ძლიერ ჰგავს დას, დღუძღუმანი სად დაბეჭდილა და უცნობია საზოგადოებისათვის (ინახება ლიტ. მიზეუმში). მაგრამ სახელმწიფო კომისიამ ამოარჩია ის პორტრეტი, რომელსაც ყველაზე მცირე მსგავსება აქვს ბარათაშვილის ნამდვილ სახესთან (იხ. გვ. 273, სურათი №6). 1955 წელს ლადო გუდიაშვილმა პოეტის ახალი პორტრეტი შექმნა, რომელსაც ჩემის აზრით, საერთოდ არავითარი კავშირი არა აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილთან (იხ. გვ. 273, სურ. №7).

მცენრლის პორტრეტით დაინტერესება ხშირად კურიოზია მიღიოდა.

1946 წელს ლიტერატურულ მუზეუმში იურისტმა კონსტანტინე ივანეს ძე ბარათაშვილმა საოჯახო სურათები ჩააბარა. ერთ-ერთი მათგანი რატომლაც ცალკე ინახებოდა ოჯახში და კონსტანტინე ბარათაშვილის თქმით მისი დედა ამპობდა — ბარათაშვილის პორტრეტი არისო, მაგრამ რომელი ბარათაშვილისა — ეს უკვე აღარ იცოდა. კონსტანტინე ბარათაშვილის ბებიას — ბაბალე ჩოლოყაშვილ-ბარათაშვილისას („პელესტ ბაბალე“, ცნობილი ქველმოქმედი ქალი) ამ პორტრეტის შესახებ თავის დროზე მეტი აღარავერი უთქვამს.

ლიტ. მუზეუმის თანამშრომელმა დ. შუღლიაშვილმა „დაადგინა“, რომ უცნობი ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო, დაიბეჭდა კიდევ და, სამწუხაროდ, დღესაც ახალ გამოცემებში ვხვდებით (იხ. გვ. 274, სურ. №11) სინამდვილე კი ასეთია:

1968 წელს თბილისში ინჟინერ და უურნალისტ ნიკოლოზ კვეზერელი-კოპაძის ოჯახში აღმოჩნდა ძველი ფოტოსურათები, რომლებითაც დასტურდება, რომ ეს „უცნობი პირი“ არის არა ნიკოლოზ ბარათაშვილი, არამედ მისი მოგვარე — ლევან დიმიტრის ძე ბარათაშვილი, დაბადებული 1830 წელს გარდაცვალებული 1877 წ.

ეს ასეც უნდა იყოს, რადგან სურათზე აღბეჭდილი პიროვნება რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი იყოს, მაშინ ეს სურათი დაგეროტიპიზდან გადაღებული უნდა ყოფილიყო. დაგეროტიპზე კი პიროვნების სილუეტი ჩანს, მასზე ისეთი მკვეთრი გამოსახულების მიღება, როგორც ამ სურათზეა, ფაქტობროვად შეუძლებელია, თან აღნიშნული სურათი რომ ნიკოლოზ ბარათაშვილისა ყოფილიყო, „პელესტ ბაბალეს“ არ გაუჭირდებოდა ილია ჭავჭავაძისათვის, რომელთანაც ძალზე დახლოებული იყო, ამ ფაქტის შეტყობინება.

ასეთივე არარეალურია ნიკოლოზ ბარათაშვილის ფერწერული პორტრეტის ძებნა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. პოეტის სიკვდილის შემდეგ საუკუნენახევარზე მეტი გავიდა და, ალბათ, მოსაძებნი უნდა მოიქმნილიყო.

პორტრეტის აღდგენის ყველაზე საიმედო გზა არის მისი თავის ქალის საშუალებით სახის აღდგენა. 1938 წელს დიდუბიდან მთან-მინდაზე გადასვენებისას შემოწმდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი და პოეტის ჩონჩხიც, მათ შორის ქალაც, რომელიც მთლიანად შენახ-

ული აღმოჩნდა (იხ. გვ. 273, სურ. №1).

ეს იდეა წამოაყენეს კიდეც 1956 წელს (იხ. „დროშა“ №4, 1956 წელი), მაგრამ როცა ყველაზე მეტად აუცილებელი იყო წიკოლოზის ცხედროს შენუება, სწორედ მაშინ შეიკავეს თავი.

1997 წელს, პოეტის დაბადებიდან 180 წლისთავზე, საჭიროდ ჩავთვალე, დამელაგებინა თანამედროვეთა ცნობები პოეტის პორტრეტის შესახებ. აი ისინც:

1) ბარბარე ვეზირი შვილისა (წიკოლოზ ბარათაშვილი და): „წკო იყო ძალიან მაღსაზი, მარდი და მიმზიდველი სახისა. შუათანა ტანის, არც გამხდარი, არც მსუქანი: წაბლისფერი თმა, ბუდეშურად მოყვა- ნილი თვალები; წარბები შეერთებული, წვერ-ულვაშს იპარსავდა. 2) კოსტიტუნე მამუჭაშვილი, წკოლოზ ბარათაშვილი იყო შუათანა ტანისა, ჩინებული ტანადი, ცოტი პირხმელი, ცოცხალი შავი თვალებით, წაბ- ლისფერი თმით, სახე საგანგებოდ მიმზიდველი, ქართულად რომ იტყვიან მარილიანი“. 3) დიმიტრი ყიფიანი: „... დაბალ-დაბალი, ჩამკრივე- ბული, ნოღა ცხვირიანი, მეტისმეტად ცოცხალი, მხიარული, მოსწრე- ბული“. 4) დიმიტრი ყიფიანის მეულლე: „დაბალი ტანისა იყო... წმინდა სახე და პატარა შავი ულვაშები, თმას ყოველთვის მოკლედ იკრე- ჭავდა, არ უყვარდა გრძელი თმა“.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა დიმიტრი ყიფიანის წერ- ილი შვილთან კოტე ყიფიანთან, სადაც დიმიტრი წერს: „არ ვიცი, მინახავს თუ არა როდისმე კნიაუნა ბარათოვა, რომელიც დავით ჭავჭავაძის ოჯახთან ერთად ტყვედ ჰყავდა შამილს. იგი ლიძლი და ტატოსი და ისინი გარეგნობით ძალიან ჰყავანან ერთმანეთს. ახლა კი ცოცხალია მხოლოდ ორი და; ერთი მათგანი (ბარბარე) ცოლად ჰყავს დიმიტრი ვიზიროვს (ოსიაურელს), მეორე (ნინო) — ბარათოვსვე, მესამე (ეკატერინე) ჰყავდა რევაზ ერისთავს... და გარ- დაიცვალა.“

აი, ყოველივე, რის გახსენებაც შევძელი შენი ცნობისმოყვარეო- ბისათვის, ჩვენს პოეტ წიკოლოზ ბარათოვზე — 5 აპრილი, 1865 წელი“.

საინტერესოა ის, რომ დიმიტრი ყიფიანი წიკოლოზ ბარათაშ- ვილს დას — ნინოს ამსგავსებს, მისი მეულლე კი სოფიოსთან მსგავსებას ხედავს. მაგრამ, როგორც ჩანს, დ. ყიფიანს საერთოდ გამორჩენია სოფიო სათვალავიდან. წერილის დაწერის დროს ცოცხ- ალი იყო არა ორი და, არამედ სამი. ეს მესამე იყო სოფიო. სურათ- ში, რომელშიც სამივე დაა აღბეჭდილი (იხ. გვ. 276, სურ. №13), სოფიო და ნინო ძალიან ჰყავანან ერთმანეთს, მიუხედავად მათ შორის 12 წლის სხვაობისა. ამიტომ ხდება, რომ წიკოლოზს ზოგი ნინოს, ზოგი კი სოფიოს ამსგავსებს.

დადგინდა ამ ფოტოსურათის სავარაუდო დაპეჭდვის დროც. ფოტოსურათზე აღბეჭდილია პატარა ბიჭი — ბარბარე ვეზირი შვი- ლის შვილი გიორგი. იგი ფოტოს მიხედვით ათიოდე წლის უნდა

იყოს. ე. სურათი მიახლოებით 1874 წელს უნდა იყოს გადაღვეული (გიორგი ვეზირიშვილი 1864 წელს დაიბადა). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სოფიო 1841 წელს დაიბადა, მაშინ სურათზე იგი 33 წლის უნდა იყოს. მისი და ნინო (დაიბ. 1829 წელს) ამ სურათზე 45 წლის ასაკშია. ამიტომაც ჩვენ სოფიოს სახე ვარჩიეთ, აკი დიმიტრი ყიფიანის მეუღლეც სოფიოს სახის მიხედვით გვთავაზობს პოეტის სახის აღდგენას (ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში მუშაობისას წავანწყდით მიმოწერას, რომლის მიხედვით ჩანს, რომ სოფიო ბარათაშვილ-სუმბათაშვილისას ცუდი ურთიერთობა ჰქონდა დიმიტრი ყიფიანის ოჯახთან და დიმიტრი და ნინო ამბობდნენ: — რა საოცარა, რომ ასეთი მსგავსების მქონე ორი ადამიანიდან ერთი სიკეთის განსახიერებაა, მეორე კი ასეთი უხასიათოო.

სოფიოსადმი ასეთი დამიკიდებულების ფონზე დაძმის მსგავსების აღიარება კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის დ. ყოფიანის მეუღლის მტკიცებას ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი დის, სოფიოს სახის იდენტურობაზე გვაქვს კი სოფიო სუმბათაშვილის სურათი? საბეჭ-ნიეროდ გვაქვს (გვ. გვ. 275-276, 2, 3, 5, 6, 12), მათ შორის ისიც, სადაც სამივე და არის გამოსახული. ამ სურათისა და სოფიოს სხვა ცნობილი სურათებიდან, კომპიუტერული დამუშავებით ამოვილეთ სოფიოს სახე, აგრეთვე №13 სურათიდან ამოღებული იქნა ნინოს სახე (იხ. გვ. 276, სურ. №11), მოხდა მათი შერწყმა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით, სრულყოფილ იქნა სოფიოს პორტრეტი, რომლის ბაზად მიჩნეულ იქნა სოფიოს სახე №13 სურათიდან (იხ. სურ. №12). სახის მხატვრულ დამუშავებას შეგნებულად ვარიდებდით თავს, თუმცა იძულებული გავხდით, გაგვეძლიერებინა შტრიხები, გავითვალისწინეთ დიმიტრი ყიფიანის მეუღლის ცნობილი წინადადება და მივიღეთ ბარათაშვილის ნანატრი სურათიც, სურათის მხატვრულ რედაქტორებას მაინც ვერ გავექცით, რაც შეასრულა მოქანდაკე მარინე ივანიშვილმა (იხ. გვ. 273, სურ. №8).

მკითხველისათვის ძნელი იქნება უკვე დაკანონებული პორტრეტის გვერდით ჩვენს მიერ აღდგენილი სურათის მიღება. ეს გასაგებიცაა, იგი არ არის ისეთი მომზინებლავი, როგორც გუდიაშვილის პორტრეტშია, მაგრამ, მოდით ერთად გავიხსენოთ იონა მეუნარგიას ცნობა: იმას (ბარათაშვილს) აკლდა ამისათვის (სიყვარულისათვის) ის ორი თვალთმაქცური გასაღები, რომლითაც შეიძლება ქალის გულში კარის გაღება — სილამაზე და სიმდიდრე. ბარათაშვილი იყო მოთეთორ სახისა, პირშემალი, შავი ცოცხალი თვალებით, წაბლისფერი თმებით, საშუალო ტანისა და სისქის, მისი წარბები ერთმანეთთან გადაღობილი და თვალები ოდნავ დახრილი ცხვირისაკვენ ამხელდნენ მასში ოდესმე ჩინეთიდან გადმოსახლებულ წინაპართა ჩამომავალს! წვერ-ულვაშს არ ატარებდა, რის გამოც მისი სახე, შორიდან ლაზათიანი, ახლოდან დაჭყანული იყო თურმე. ყოველივე ზემოთ ნათქვამს თუ ისიც დავუმატეთ, რომ ბარათაშვილი კოჭლი

იყო, თქვენ სრულიად დარწმუნდებით, რომ პოეტის არ ჰქონდა აპოლონის მშვენიერება“.

თან დავძინთ, რომ ჩვენი სურვილი იყო — შექმნილიყო პოეტის დების სახეებზე დაყრდნობით მწერლის ისეთი პორტრეტი, სადაც მხატვრული ჩარევა ნაკლები იქნებოდა (კომპიუტერული გრაფიკა ამის საშუალებას იძლევა). ხოლო მხატვრებს შემდგომში, სურვილის შემთხვევაში, გამოყენებინათ ჩვენს მიერ მომზადებული მასალა პორტრეტისათვის. ასეც მოხდა: ნინამდებარე გამოცემისათვის მხატვარმა ლევან ჭოლოშვილმა ჩვენს მიერ მიღებულ პორტრეტზე დაყრდნობით შექმნა პოეტის პორტრეტის ახალი ვარიანტი (იხ. გვ. 273, სურ №9). ვფიქრობთ, იგი მისაღები უნდა იყოს ქართული საზოგადოებისათვის.

ლეგენდის მიხედვით, ჩინეთიდან მე-8, მე-9 საუკუნეებში გადმოსახლებულან ორბელიანთა ნინაპარი, რომელსც კლდე-კარსა და ორბეთის მიღდამოებსა და სიმაგრეებს დაუფლებიან. რადგან ბარათაშვილების გვარი ორბელიანების განშტოებას წარმოადგენს, ამ ლეგენდით პოეტის წარმოშავლობა, როგორც დადის (ფერმა იარბელიანი), ასევე მიმის მრიდან, ჩინეთიდან გადმისახლებულ ნინაპართ” უკავშირდება. რეალურად კა ჩინეთიდან არავინ გადმოსახლებულა და კლდეკარს და ორბეთის პარველი მულობრელ ანუ პარველი ორბელიანზე ჭან დიდგვაროვანის, პაურ ბალვამს იჯაძის წერტები იყენენ. ასეთი ლეგენდი (მაგალითად, ბაგრატიონთა ერისული წარმოშობა), მრავალ ქართულ სათავეების აქცა, რაც უკუღალური იდეოლოგიის ნაყოფია. კონკრეტულ შემთხვევაში, ეს მითი წოვლოზ ბარათაშვილის პორტრეტის წარმოდგენში გვხმარება, რადგან ჩანს, რომ თანამედროვეებს ეს ლეგენდა სწამდათ და პოეტის მონგოლოიდურ სახესაც ამ მითით ხსნიდნენ.

# გენეალოგია

## ბარათაშვილის გენეალოგიისათვის

ბარათაშვილთა საგვარეულო, ყველა ნიშნით, მეთხუთმეტე საუკუნეში ყალიბდება. ეს ხანა საერთოდ ხასიათდება ახალ მფლობელ ფეოდალურ სახლების გამოჩენით. დროება სწორედ რომ შესაფერი იყო. იმ კატასტროფამ, რომელიც საქართველოს, განსაკუთრებით ლიხთა-მერეთს, ლანგ-თემურმა დაატეხა თავს, საუკეთესო ნიადაგი შექმნა ფეოდალურ უფლებების ხელახალი განანილებისათვის, მათი გადაჯეგუფებისათვის, ძალთა ახალი განლაგებისათვის. მსგავსი ამბები წინათაც არა ერთგზის მომხდარა, მაგრამ ეხლა გარდახეტა მაინც მეტად მკვეთრი იყო.

შესანიშავი ფერადოვნებით ხატავენ წყაროები ამ საზარელი გრიგალის შემოვარდნას საქართველოში: „ოდეს მძლავრი იგი და დიდისა ულუსისა პატრონი, აგარის მონათესავე“, „ბილწი და მოძაგებული“, „თემურ წამოემართა აღმოსავლეთით კერძო, ქვეყანით სამარყანით, და მრავალი თემი და ქვეყანანი ოხერ-ყვნა“ და მოვიდა საქართველოშიც „ყოვლითა სპარსეთის და აღმოსავლეთის ლაშქრთა, დიდითა რისხვითა და გულისწყრომითა... და შემუსარნა ყოველი ციხენი და დააცუიგნა ყოველი საყდარი, მინდორნი, მთანი და ტყენი, კლდენი და ხევრი, და ვითარცა ზღვამან დაფარა ყოველი ესე ქვეყანა. და მოინია ლაშქარი მათი ქუთათისს, კელეთსა და დარიალს და მოსწევს და მოაოხრეს ყოველი საქართველო, და დაყარეს მძოვრი მკვდრისა, ვითარცა მჭელი თივისა... ტყე და ალაფი ყოველი გაგზავნა სამარყანს“.

მთელი ქვეყნის ცხოვრება საძირკვლებამდის იყო შერყეული. არა ერთი ფეოდალური სახლი, თავისი შეძლებითა და ჩამომავლობით მოქადული, მოიშალა და გადაშენდა. აჩრდილივით გადასულ დიდებულთა ნაოხარზე ახალი ხალხი მოდიოდა და ზღუდემონგრეულ სასახლეებში მკვიდრდებოდა, რადგანაც ნამდვილი მემკვიდრე არსად ჩანდა. ზოგჯერ საგვარეულოს უფროსი შტო უმცროსს უთმობდა და თავის ადგილს, უფროს ხშირად სენიორი-ვასალს, მაგრამ არც ის იყო იშვიათი, რომ მანამდის სრულიად უჩინარი კაცი ასეთს მიგდებულ „საპატრონის“ შოულობდა, ე. უპატრონოს ძალით ეპატრონებოდა. მეცენებიც, რომელთაც არა ნაკლებ შემოელეოდათ ყმები და ვასალები, „შეწყალებულებს! „ლოცავდნენ“ ახალგაცემული მამულების „საჭერად“ და „საჭმელად“. მართალია, ეს სენიორები ხშირად მხოლოდ ნასოფლარებისა, ნაციხევნებისა და ნაქალაქარებისაგან შედგებოდა, ე. ისეთი მამულებისაგან, რონელნიც ოდესალაც „საპატიონნი და შენი ყოფილან და მას უკანით, უამთა ვითარებისაგან, უსჯულოთა აგარის ნათესავთა ხელით განრყვნილი და ოხერ-ქმნილი და სრულიად უნუგეშინისცემოდ განსრული“ გამხდარიყვნენ. უარესი ამ ახალ მამულებს ის სჭირდათ, რომ გლეხობა აღარ იჯდა ზედ: „ამონ ყვედილ

იყო და სალალოვეს მიწევს ალარავინ-რას აამებდა“ მებატოშე, უკან გრის გამოძლებნიც გადაშენებულიყვნენ. ერთი სიტყვით, ბეჭრს ფეოდალს შეეძლო თავის საბატონოზე ეთქვა: „სრულიად უსჯულობაგან ამონ-ყვედილი და დაოხრებული არის: არა თუ სულიერი კაცი იპოებოდეს, ყოვლადვე შენებულება არ იპოებისო“. მაგრამ მიწის ფასის შეგნება და გემო დაკარგული არ ჰქონდათ: ფიქრობდნენ რომ „მტერნი და წინააღმდეგნი ქრისტიანეთანი სამარადისოდ ლტილვილ და უკუნიცეულ არიან“ და რომ „თუ ენებოს ღმერთისა, (ეს მამულიც შეიძლება) აღშენდეს და კაცები დაეშენოს და სულიერ იქმნასო“, და განახლებული თუ ახლადშეძენილი უფლებების განმტკიცებისათვის ზრუნავდნენ.

რელიეფურად არის აღნეროლი ამ პოცესის ერთი ეპოზოდი ალექსანდრე მეფის (1412-1442) საბუთში. როცა ალექსანდრემ 1431 წ. მტერთაგან მიტაცებული ლორე უკან დაიბრუნა, მაშინ „ქართველთა დარბაზის ერთა, წმიანი ვინძე-ლა დარჩომოდა და ანუ ჩამომავლობით პაპათა და მამათაგან... სმენით სმენოდა“, რომ ამ მხარეს მამულები ჰქონდათ, „და იაჯეს“, მამულები დაგვიბრუნეთო, მათ მეფემ სათანადო მიუზღო, „როგორრაც ვინ გველირსხებოდა, ეგრეთ განუყავით და უცბოძეთ“-ი. კერძოდ, ბეჭრი ერგო იმათაც, ვინც თუმცა აქაური მემამულები არ იყვნენ, აქ მამული „არა ჰქონებოდა“ და „არცა ჰქონდა“ სატანადო საბუთი, მაგრამ „ამა ლორისა ციხისა შოვნასა შიგან და მისთა შესავალთა შოვნასა შიგან დიდადა და უსაზმონდ მოიჭირვეს“!

ჩვენ შეგვიძლია არა ერთსა და ორ მაგალითზე მივუთითოთ, როცა, სწორედ ამ ხანაში, გადასული ან ჩამომცრობილი მებატონის ადგილას ახალი დამჯდარი თუ „დაუსვამთ“<sup>2</sup>, რაც, ზოგჯერ, ძველი ფეოდალური სახელის შეთვისებითაც დამთავრებულა. მაგ, ხმშია ამირახორი, რომელიც „პირველ აბასზე მარილელი“ ყოფილა, მეფებს „დიდად და საბატონოდ შეუწყალებიათ“ და „აბულეთისძედ დაუსვამთ“. ე. ამომწყდარი, უძველესი და უდიდესი ფეოდალური სახლის, აბულეთისძების, მამული და სახელი მიუციათ მათვის. ზემოხსენებულ ალექსანდრე მეფეს ჯერ სუმბატ ურდოველაშვილის მამისათვის უბოძებია ღაფირისძისეული მამული, ხოლო შემდეგ თვით სუმბატი „დაუსვამს ღარისძედ“, რადგანაც ღაფირისძების „გვარისა ალარავინ იპოვებოდა“ და მთელი მიწანწყალიც, რომელიც, სხვათა-შორის, ურდოელაშვილებისაგან „ორჯერ ნასყიდი იყო“, „მკვიდრად, სამამულოდ, უბოძებია“. საინტერესოა, რომ შემდეგში მთელი ეს მამულები მეფეებმა უკვე ურდოელაშვილის ნაშვილებთ, ზვიადისშვილებს, უწყალობეს<sup>3</sup>. მეფემ და კათალიკოზმა დიდი წყალობა დამართეს მაღალაშვილებსაც: რადგანაც „სოფლის ვითარებისაგან პატიოსანი ივანისძეთა საქადაგო სახლი და სახელი უმკვიდრო ქმნილ

1. ქრნ. II 242. 2. იქნ. 213-214; იხტ. ხაბ. III 3-5. 3. ქრნ. II 223-224, 235, 244-277; იხტ. ხაბ. III 14. 34.

იყო”, „ესრეთ რომელ არც არა მისი ნათესავი დარჩა“, მაღალაშვილების პირი „ახლად იგანისძედ და ქადაგად განაჩინეს და შეიყვანეს“, და მთელი „საქადაგო მამული, შესავალი და სახელო“ უბოძეს „ახალსა ივანისძესა“, ე. ი. მაღალაშვილს! მეთხუთმეტე საუკუნის დამდეგს ვე მეფების აბულახტარისძეთა მამული „სამკვიდროდ“ უბოძებიათ ზევდგინი-ძეებისათვის<sup>2</sup>. ამავე საუკუნის სიგრძეზე ზევდგინიძეებმა სხვა მამუ-ლიც ბერი იშოვეს, ამილახვრის დიდი თანამდებობაც სამემკვიდროდ მიიჩინეს და ბოლოს ამ ხელის სახელწოდებაც გაიგვარეს.

1487 წ. კონსტანტინე მეფემ მირიანისძის მთელი მამული უბო-და საღვინის მოლარეს ქავთარაძეს ახალციხელსა და მისს სახლს, რადგანაც „მირიანისძე დაბოლოვდა და უმკვიდრო იქნა“<sup>3</sup>.

ასეთ ეპოქაში დაიბადნენ ბარათაშვილიც, რომ უკვე მე-15 ს. მეორე ნახევარში ეს გვარი კრცელია და ძლიერი, უეჭველია. დავით ქართლის მეფის ზეობაში, 1523 წ. გაყილან გუგუნა და გერმანზ ბარათაშვილინ თავიათი ძმებითურთ. მაგრამ ეს სახლი თვითონ ყოფილა ცალკე შტოდ გამოყოფილი, — ცხადია, მეორე გაყრაზე ადრე, — ბარათაშვილთა საგვარეულოდან: ამ „საქმის გასაჩენლად“, დამსხდარ პირთა შორის მოხსენებული არიან ბარათიანი იარალ და ორბელ, ხოლო გვარის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ გაყრას თვით მეფე ხელმძღვანელობს<sup>4</sup>. საბუთი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ აქ მოცემულია ცნობები საგვარეულო სამფლობელოს ფარგლების შესახებ: ბარათაშვილთა ამ შტოს რამდენიმე ათეული ვასალი აზნაურის გვარი ჰყოლია, მამულები-კი გაბნეული ჰქონია მთელი თანამედროვე თეთრი-წყაროს რაიონის სიჭრცეზე<sup>5</sup>. მომდევნო მეფობაში ბარათაშვილთა ახალი გაყრა ხდება, რომლის საბუთიც ბარათაშვილთა სამფლობელოს უჩენებებს, აღნიშნულის გარდა, უკვე მარნეულისა და დმანისის რაიონებშიც<sup>6</sup>. ასეთი საბატონის ჩამოყალ-იბებისათვის, ცხადია, არამცირედი დრო იყო საჭირო. მართლაც, მე-15 ს. მეორე ნახევარში ბარათაშვილები ამ მხარეში არა მარტო ჩანან უკვე, არამედ პოულობენ კიდევაც. მათ ამ დროს სპეციალური მემატიანეც უჩნდებათ, რომელიც ბაგრატის მეფობის ისტორიის სა-ფარველით, არსებითად ამ საგვარეულოს განდიდებისათვის შრო-მობს. დასახელებულ წყაროს ტენდენციური მოთხოვნით, როცა, 1477 წ., უზუნ-პასანი საქართველოს შემოესია და სომხითს მოვიდა, „ორ-ბეთის ძირსა დიდად კარგად დახვდეს ბარათიანი“, ე. ი. მტერს სა-თანადო პასუხი გასცესო. მაგრამ ტფილისის აღების შემდგომ პასა-ნის მიერ, ურთიერთობა შეცვლილა: ყაენს ბარათიანი „მიუნდვია“, „მრავალნი მიუცია და აღუცსნია პირთამდინ“. მიუხედავად ამისა, მოკვდა თუ არა პასანი, „ჩაუხდეს ბარათიანი, დაიფორაქეს ელი“. როცა, 1486 წ., „იაყუბ-ყაენმა დალაშქრა ეს მხარე, — მაშინაც თითქოს,

1. ქრნ. ქ. II 192, 290; შეაღ. იქნ. 318; იხტ. ხაბ. III 42. 2. იხტ. ხაბ. II 4. 3. ქრნ. ქ. II 305. 4. ნაწილობრივ, შეიქმნა კურადღება იმითაც აიხსნება, რა თქმა უნდა, რომ მას ცოლად ბარათიანის ქალი ჰყავდა. 5. ქრნ. ქ. II 349... მოამბე. 1924 წ., წ. I, 173 შემდგ. „ბარათიანთ გაქრის წიგნი, გამოც. ხ. კაბაძის მიერ“.

მტრისათვის, მთავარი პასუხის მიმცემი ბარათიანი ყოფილია, მაგრა დევნო სამხედრო ამბებშიც ყველაზე აქტუალური აქ ბარათაშვილი ჩანან. საფიქრებელია რომ მათ ამ დროს ბეჭრი ისარგებლეს, კერძოდ, იმის გამო, რომ ჯერ ბაგრატ მეფის, ხოლო შემდეგ კონსტანტინე მეფის კარზე ბარათაშვილი დიდად ყოფილან დანინაურებული. კონსტანტინეს თავის რძლადაც და სადედოფლოდაც მოუყვანა ბარათაშვილის ასული<sup>2</sup>.

საიდანდა გაჩინდენ ეს ბარათაშვილი? უკვე ვახუშტიმ აღნიშნა, რომ ამ კითხვაზე პასუხს იძლევა საგვარეულო გარდმოცემა, რომელსაც დოკუმენტალური მასალაც უჭერს მხარს: „... ბარათაშვილი, რომელთა უძრავთ გაჩინისა და გარდაბნის საერთოობის, ტვილისის სახრით, ვიდრე ლორე-ფანატიამდე, თვინერ მეფისა სახასოთა და შენირულობათა ეკლესიასათა. ხოლო იტყვიან ესენ ჩამომავლობასა ქაჩიბაძისასა, რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელი მათნი, მეფეთაგან წყალობისანი. კვალად ყაფლანის შვილი და აბაშის შვილი — სამთა ძმათა შვილობასა. არამედ ყაფლანის შვილი იტყვის გვარობასა მათსა, განა ორბელიანობასა. გარნა იყო ორბელიანი სხვა და ქაჩიბაძე სხვა გვარომ არამედ ოდენ განიყვნენ ძმანი, ბარათასაგან არიან ბარათიანი, რომლისა მიერ ენოდა ადგილსა მათ საბარათიანოდ. ხოლო აბაშისაგან — აბაშის შვილი და ერეთვე სხვანი, რომელი არიან ბარათიანთაგანნივე. განა საგონებელ არს, ყაფლანიანთაცა მესამეს ძმას ენოდა ორბელი, და მის მიერ ორბელიანი ინოდნენ, თვარე წინათქმული არა განმარტლდებიან..., ხოლო ზურაბის შვილს, იარალიშვილს და სოლარაშვილს იტყვიან არა ბარათიანობასა, არამედ მამული და სასაფლაონ მათნი აჩენენ მასვე ყოფასა<sup>3</sup>. შემდეგ ვახუშტი მიუთითებს ბარათიანთ გუჯარზე, „რომელ არს ბერანიას“.

აღნიშნულ გენეალოგიას აშკარად ადასტურებენ ის დოკუმენტები, რომელიც მცხეთის საკათალიკოზო ტახტის უფლებებს ამტკიცებენ სოფ. ყორანთის მიმართ სომხითში. ეს სოფელი ჯერ მცხეთისათვის შეუწირავთ სალაროს მოლარეს ბარათა ქაჩიბაძეს, მის ცოლს თინათინს და მათს შვილებს დავითს, გერმანიზასა და ლაპას, რომელიც ყორანთას თავიანთს „მკვიდრ მამულს, მოუდევარსა და უსარჩელესს“ უწოდებენ<sup>4</sup>. შემდეგ ამ ბარათას უფროსი შვილი, რომელსაც მამის თანამდებობა დაუმკვიდრებია, კვლავ აძლევს დოკუმენტს მცხეთას. აქ, „ქაჩიბაძენი, სალაროს მოლარე დავით, ძმა მის გერმანიზ და

1. „ქართლის ცხოველება“ ა. გაგუმელიძე: მ. ჯანაშევიძე, ნამრიმბ 1-37 შემდ. ქხედა ძნელი საინტერვიუ, შემაგრანის ფრანგა: „უკვეან ბარათიანთა და ორბელიანთა და გამამრჯველის“, მას ხელ არ ჰორმინდა, რომ თანამდებობა მართვის მინი მოვალე არ ემსორინდება ამ დროს ჯერ ისებ დარამაშებელების. 2. ქრ. ქ. II 306. რომ ეს ქადა თავის ქრისტიანული შემცირების შესხვეული, ეს ქცევა ქართ. სახელ. სამართლის გამომდევნობა, რომელიც შევის სახელს ქვემეცნილისას დამტკიცებას შემძლება. 3. გვევრავა, მარის გმ. 40-42. ქრ. ქ. II 232; იხ. საბ. III 36-37; შემცირებული გრიგორი დოკამენტი, რომელიც ბარათის მააკეთებებს დაუმკანის გამოსახულებრივ შეფეხ ხანის, 1412-1442 წ.წ. (ხილვა გეგმულია ბარათისას, მათ ცოლის თანამოსისა და მეოდების დავითისა და გერმანიზმაგან). რომელიც ეკაველა ქანიძამეუბი არიან), შაგრამ ეს იშვევს ხილვის თარიღისა და მეოდების დავითისა და გერმანიზმაგან).

შვილნი მათნი ლაპა, ბარათა, სურამელი და „ქავთარ“ აცხადებული რომ მათ, „სივაჟისა მიუმხდრობითა და ავთა მზაკვართა კაცთა ენი-თა და შემოძებლებითა“, ერთ ხანს ყორანთ „უკუუჭერიათ“, ე. წაუ-რომევიათ, ეხლა-კი ისევ უბრუნებენ კათალიკოზს, მშობლების სურ-ვილის შესასრულებლად. ამასთანავე საბუთი შეიცავს რამდენსამე საყურადღებო ცნობას: მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეს ქაჩიბაძენი თავიათ თავს „სამშვილდის მებატონებს“ ეძახიან; შემდეგ საინ-ტერესოა, რომ ამ საბუთის მტკიცებით, ყორანთა ბარათას და თინა-თინის „ნაღვანი“ ყოფილა, ე. შეძენთლი; ქრონილოგისათვის ისიც საინტერესოა, რომ დავითი მამის საბუთს „ძველ სიგელს“ უწოდებს<sup>1</sup>. თითქმის სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ამ დავით ქაჩიბაძის უკანასკნელი შვილი ქავთარია ის ქავთარი, რომლის ოჯახი, როგორც ზემოთ ვნახეთ, გაიყარა 1523 წ. და რომელიც უკვე ბარათა შვილებით იხსენიება<sup>2</sup>. ხოლო, უფრო ზოგადად, ყორანთას შემწირველ ქაჩიბა-ძეთა გაბარათაშვილება უკვე სრულიად უეჭველი ხდება 1529 წლის საბუთიდან, რომელშიც „ბარათაშვილი აბაში და მისი ძმისნული დავით“ აცხადებენ: „ჩვენთა გვართაგან სააღაპოდ შემონირული სოფელი ყორანთა ამონ ყველილიყო“ და „ან ჩვენ ახლად მოგახსენე და დაგიმტ-კიცეთ“-ო<sup>3</sup>. უკანასკნელ კვერს უკრავს ამ არგუმენტებს ლუარსაბ მეფის განაჩენი, რომელშიც გერმანოზ ბარათაშვილი მოიხსენიებს, რომ ჩვენმა გვარმა კაცმა დიდმა ბარათამა ყორანთა შესწირა“-ო<sup>4</sup>. მართლაც, მთელი მე-16 ს. სიგრძეზე ეს მხარე საბარათაშვილოდ იხსენიება: 1587 წ., მაგ. ერაჯ, გულბა და საჩინო ბარათაშვილები მცხეთიდან ვალად ალებული თეთრის გასასტუმრებლად სწირავენ საკათალიკოსო ტახტს სოფლებს ყორანთას, სამშვილდეს და სამტრედოს<sup>5</sup>, ხოლო შემდეგ, ამავე მიზეზის გამო, მცხეთავსე აძლევენ დასახელე-ბულ სოფლებს მოსაზღვრე ნასოფლარ ველკეთილს<sup>6</sup>. ამინგად, ვახ-უშტის სიტყვები მართლდება და ბარათაშვილების წარმომავლობა ქაჩიბაძეთაგან სადავოდ აღარ უნდა იყოს მიჩნეული. შეიძლება მე-ტიც ითქვას: წარმოდგენილი მასალა სარწმუნოს ხდის თედო უორ-დანის მოსაზრებას, რომ ბარათაშვილი მას „დიდ ბარათას“ ეძახის. ეს „სიდიდე“, თვით საგვარეულოს წერტია შეგნებაში, საფიქრე-ბელია, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ განსაკუთრებულ დამ-სახურებასთან, რომელიც ბარათას მიძლოდა საბარათიანო სენიორი-ის საქმეში. რომ ეს სენიორია არსებითად სწორედ მე-15 ს-ში ყალ-იბდება, ამას საუკეთესოდ მონმობს თვით ფაქტი ახალი საგვარეუ-ლო სახელის ჩამოყალიბებისა<sup>8</sup>. ხოლო თუ ეს ყოველივე ასეა, მაშინ

1. ქრნ. II. 271; იხტ. ხაბ. III. 38-39. 2. ახ. აგრეთვე ქრნ. II. 352. 3. ქრნ. II. 373. იხტ. ხაბ. III. 59. 4. ქრნ. II. 373. 5. ქრნ. II. 425.

6. ქრნ. II. 426. იხტ. ხაბ. 55-56. 7. ქრნ. II. 353; ხატ. ხატ. I. 66. 8. ეს ზოგადი საკოხოს აკეთოს განხილული აქებ სპეციალურ მინიერაფიაში. ერთი საბუთი, ქრნ. II. 188, საბარათიანის მხერების კეცვა 1362 წლისათვის, მაგრამ იგი მრავალმხრივ საექვთ ღოკუმენზად და ყალიბ უნდა იყოს. შეადრ. შიხი განსხვავებული გარანტი, საჭ. ხატ. I. 244.

ალბათ სიმართლეს არ დავშორდებით თუ ვიფიქრებთ, რომ ჩარჩო ქაჩიბაძეს სხვებზე ნაკლები, თუ არ მეტი, არ რგებია იმ „დარბაზის ერთა“ შორის, რომელთაც მეცებმა, მე-15 ს. დამდეგს, მამულები „განუყვინეს და უბოძეს“, როცა აქ პვლავ დაამკვიდრეს თავიანთი ხელისუფლება. თუ ასე მოიქცა ალექსანდრე მეფე ლორს მხარეში, საფიქრელია, რომ ანალოგიურადვე ამბავი უნდა მომხდარიყო ლორესთან მჭიდროდ დაკავშირებულ, მეზობელ სამშვილდის მხარეშიაც და, საერთოდ, ქვემო-ქართლში, რომელიც განსაკუთრებით დაზარალდა თემურისაგან.

საიდან გაჩნდნენ ქაჩიბაძეები? ეს უფრო ძნელი საკითხია — აქ უკვე წყაროების მაქსიმალურ ნაკლებობას განვიცდით. თ. უორ-დანიას ქაჩიბა ამ შემთხვევისათვის პირის სახელად მიუწევია, სახლ-დობრ, „დიდი“ ბარათას მამად, მაგრამ თავის მოსაზრებათა საფუძველი მას განმარტებული არა აქვს და არც გვგონა, რომ ეს გუმანი გამართლდეს. ქაჩიბაძე უფრო ძველი გვარი უნდა იყოს.

ამ მხრივ ჩევნის ყურადღებას იყრინბს ერთი ფაქტი. ფიტარე-თის ტაძრის ცნობილ წარწერაში იხსენიებს ვინმე ქავთარი, რომელიც ყოფილა „ამირეჯიბი თვითმყრობელისა ძლიერისა მეფედ-მეფისა გიორგისი“. წარწერის უკანასკნელი წანაკითხით, რომელიც ექვთ. თაყაიშვილს ეკუთვნის, ქავთარს აუშენებია ფიტარეთის მონასტერი და ლვთისმშობლის საყდარი და მისთვისვე შეუწირავს ტანძია და თევდორწმინდანი. ფიტარეთის მონასტერი იყო მთავარი სასაფლაო ბარათაშვილთა, კერძოდ, ამ საგვარეულოსაგან გამოყოფილ შტოს, ყაფლანიშვილ-ორბელიანებისა. ამათვე „სამკვიდრო სასახლე“ იყო სოფელი ტანძია!, სადაც, სულხან-საბა ორბელიანიც. თევდორწმინდანიც, როგორც ექვთ. თაყაიშვილმა გამოარვია, აგრეთვე ბოლნისის ხეობაში, ერ. ამავე საბარათაშვილოში, მდებარეობდა. ყოველივე ეს უკვე ამახვილებს ინტერესს ქავთარის ვინობისადმი. ეს ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდება, როცა მოვიგონებთ, რომ „ქავთარი“, საზოგადოდ, საყვარელი სახელი იყო ბარათაშვილებში, იმდენად რომ ამ საგვარეულოს ერთერთს მრავალრიცხოვან შტოთაგანს „ქავთარიშვილებიც“-ი შეერქვა. საკითხს საპოლოოს გადასწყვეტდა გვარის სახელი, რომ ეს უკანასკნელი უცილობლად იკითხებოდეს: წარწერა-ში იგი, სამნუხაროდ, დაქარაგმებულია „ქაჯისძე“ ჯგუფის სახით. ქარაგმას არქეოლოგები სხვადასხვანაირად ხსნია: ბროსე კითხულობს „ქუჯაფაძე“-დ, თაყაიშვილი — „ქაჯაფაისძე“-დ, თ. უორდანია — „ქოტფასძე“-დ<sup>2</sup>. ცხადია, რომ აქ ხმოვნები სავსებით ნებისმიერად არის ჩასმული. ხოლო თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ,

1. ქრნ. II 497. 2. ლანგეს მიაგიპუშ, ტ. I-ზე ლიკ. შე- 1852, ვე 112 შემდ. ი. იქნ. ტაბ. III წარწერის პალეოგრაფიული პირი; ექ. თაყაიშვილი, ხომხით-ხაორელის ძეგლების წარწერები; ქრნ. II 177.

გაცილებით უფრო მეტი საბუთი გვექნება ჩვენთვის საინტერესო სიტყვა „ქაჯიფაისძე“-დ წავიკითხოთ და მიღებული ფორმა „ქაჩიბაისძის“ მხოლოდ ვარიანტულ ტრანსკრიფციად მივიჩნიოთ, რომელიც, იქნებ, შეციფიური წრის გამოქმის სხვაობასაც ემყარებოდა. ფრიად სარწმუნო ხდება, რომ ამირეჯიბი ქავთარ ქაჯიფაისძე ქაჩიბაძე-ბარათაშვილების ერთი უშორეულესი, ისტორიაში ცნობილი, წინაპართაგანია. ამის შემდეგ ყურადღება უნდა შევაჩიროთ წარწერის ორს, მკაფიო და ხაზმოსმულ, ჩვენებაზე: 1) ფიტარეთის „ალშენებაში“ „არა ვისი ჰრ-თავს, თვინიერ ჩემისა ლაშქრისა და ხრმლითა მოგებულისა“, ე.რ. რომ ეს საქმე ქავთარს შეუსრულებია მხოლოდ თავის ლაშქრითა და ხმლით ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ომში მარტოოდენ მის მიერ ნაშოვნი ფულით: 2) რომ ტანძია და თევდორწმინდან ქავთარს უყიდნა აგრეთვე მის მიერ ომში ნაშოვნი ფულით: „ვიყიდენ ტანძია და თევდორწმინდან ჩემითავე ხრმლითა მონაგებითა საფასოთა“<sup>1</sup>-ო. პირველ ცნობას ყველანი ისე განმარტავენ, თითქოს იგი ეკლესის აშენებაზე მოგვითხოვდეს. ამ აზრის გადაჭრით მიღება ძნელია. ტექსტის „ალშენება“ შეიძლება „განახლებასაც“ ნიშავდეს<sup>2</sup>. ის გარე-მოება-კი, რომ წარწერის ხასიათი „კლასიკური ხანის სილამაზეს მოგვაგონებს“ (თაყაიშვილის ავტორიტეტულ განცხადებით), მაშინ, როცა თვით ძეგლი ყველას მიერ აღიარებული, — დამატიქრებელი ხდება. ხოლო ფაქტი, რომ წარწერა შესრულებულია კარიბების შიგნით და „ასოებიც წარწერისა ღრმად არ არიან ამოჭრილი“ (თაყაიშვილი), — რაც მოწმობს წარწერის ამოჭრას უკვე ამოყვანილ კედელზე, — გვაფიქრებინებს, რომ წარწერა ძეგლზე გვიანდელი უნდა იყოს და ცნობაში ტაძრის განახლება უნდა იგულისხმებოდეს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მეორე ცნობა: ქაჯიფაისძე-ქაჩიბაძისათვის ის პუნქტები, რომელიც შემდეგ ში ბარათიანთ სამლობელოს ერთი ყველაზე უფრო ნიშანდობლივ შემადგენელი ნაწილთაგანია და საჯადომსაც-კი შეადგენს ბარათაშვილების მთავარი შტოსათვოს, ფიტარეთის წარწერის ამოჭრის დროისათვის მემკვიდრეობით მამული კი არ არის, არამედ ახლად შეძენილი ყიდვის გზით. ქაჯიფაისძე-ქაჩიბაძე ტანძიასა და თევდორწმინდაში, და იქნებ ფიტარეთშიაც, ახლად მოსული მფლობელია. რა დროს ცხოვრობს ამირეჯიბი ქავთარ ქაჯიფაძე? სამწუხაროდ, წარწერა უთარილია, თუ არ ვიანგარიშებთ ზოგადსა და გაურკვეველ ცნობას გიორგი მეფის ზეობის შესახებ. საერთოდ ფიქრობენ, რომ ეს არის მე-14 ს. პირველი ნახევრის გიორგი („ბრწყინვალე“); ბროსე, რომელსაც ემსრობა თაყაიშვილი, ამას არადამაჯერებელ საბუთებით ამტკიცებს, კერძოდ, ფიქრობს, რომ ასეთი მშვენიერი ძეგლის აშენება არ შეეძლოთ დასახელებულ ხანის

<sup>1</sup> ა. 6. ბერძენისმელი, მეტერის სამუშავი XI ს., საქ. მეტერის მოამბე, ტ. VI. ‗ქემა მეტისა ბაქარისა, – მაშეკა ბარათაშვილის მიერ თქმული 1734 წ.“ ხატ. მეტ. ხელნაშ. განც. № 303, გვ. კ. აქ მამკა ბაქარის მიმართავე: „ხარ დავითი, ხარ ვით იხა, მენობილია წყობად ვარ გამამისა, შენგან შევ ბარათ! ვინ ძირად ბარათ, ქავთარის მომე ქაჩიბაძისა, გაქოს მონამა, დაწყოთ მონამა, ეს არა აქცნდეს ზოგთა მხადასა.“

შემდეგაო. მაგრამ ასეთ მოსაზრებას, სხვა არა იყოს რა, მუქალის აშენებისა და წარწერის ამოქრის თანადროულობის დაუსაბუთებულობა ენინააღმდეგება. თ. უორდანია ზოგად პალეოგრაფიულ მოსაზრებას ემყარება, რაც აგრეთვე სრულებით არადამარწმუნებელია. საკითხი გადაუწყვეტელი რჩება. მხოლოდ აქ ჩვენ უნებლიერ გვაგონდება ცნობილი მამუკა ბარათაშვილის ნათქვამი ბარათაშვილთა წარმომავლობის შესახებ: „ვინ ძირად ბარათ, ქავთარის მოძე ქაჩიბაძისა“. აქ თითქოს ის აზრი უნდა იყოს გამოხატული, რომ ბარათაშვილები წარმოსდგებიან ბარათა ქავთარის ძის ქაჩიბაძისაგან. იქნებ მამუკას ჰქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ „დიდ“ ბარათას მამას ქავთარ ერქვა სახელად? მაშინ ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს ქავთარი ამირეჯიბი ქავთარია და იგი ცხოვრობს ბაგრატ და გიორგი მეფეების დროს, ე. მე-14 ს. დამლევს? ან შესაძლოა უფრო სარწმუნო იყოს ამ ცნობის მეორეგვარი გაეგება: ბარათაშვილები წარმოსდგებიან ბარათასაგან, რომელიც არის შორეული შთამომავალი („მოძე!“) ამ იშვიათი სიტყვის ნამდვილი აზრია საძიებელი) ქავთარ ქაჩიბაძისა, რომელიც იქნებ მართლაც გიორგი ბრწყინვალესდროინდელი პირი იყო. საკითხი ჯერ არ შეიძლება გადაუწყეტილად იყოს მიჩნეული.

მამუკა ბარათაშვილის ცნობა ახალ შუქში ჩნდება ერთი გარემოების ნყალობით. ბარათაშვილთა ჩამომავლობით ჯერ კიდევ ძველადვე დაინტერესებულან თვით საგვარეულოს წევრები და ვილაცას ამათგან სათანადო თხრობაც შეუთხზავს. ამ გენეალოგიური თხრობით, რომელშიაც ისტორიული სინამდვილე და ლეგენდა საკმაოდ გამჭვირვალედ არის ერთმანეთში არეული, ბარათაშვილთა და მათი განაყოფი საგვარეულოს წინაპარი არის ვითომიც ვინმე ბირიან აბაში, რომელიც საქართველოში მოსულა 768 წ., ქრისტიანული წელთაღრიცხვით. იგი ყოფილა „კაცი ამირთ-ამირი“, „დიდი კრებულის ელით“, მეფეს ბაგრატს, დავითის ძეს, დიდი მამული მიუცია აბაშისათვის, — ვერეს, ბედნის, არჯენის, ფარავნის ბორცვისა და ლელვის მდინარეები „თავისის ხევისთავითა“, — და მოყვრადაც მოჰკიდებია მას. თვითონ აბაში ვითომიც ორბეთსა და გმირთ-კვეთილს დასახლებულა. მისი გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს, რომელთაც მამის მამული და ადგილი დარჩენიათ, გვარადაც ვითომიც აბაშიშვილები შერქმევიათ. მაგრამ „გარდაიცვალა რამდენიმე დრო და უამი და დაერქო ქართველ ქაჩიბაძე, რამდენიმე წელინადი ქართველ ქაჩიბაძე ვიყავით“. შემდეგ კვლავ გარდაიცვალა დრო და უამი და დაგვერქვა ბარათიანი. ამ ბარათაშვილობაში ვესახლენით ენაგეთს“. აქ გაყრილან მეცე ალექსანდრე გიორგის ძის დროს, 317 წლით ამ დოკუმენტის შედგენამდის. გაყრილი, იოანე ბარათაშვილის შვილი, რომელთაც მთლად ცხრა ატასი კომლი გლეხი და აზნაური პრეცეპიათ მამისაგან,

1. თომისა და მამუკას მშობა დადგენილია პ. ინგორიშვილის მიერ ახალი ხაარქევო ცნობების ნიადაგში.

სხვადასხვა ადგილას დამსხდარან: უფროსი აბაში — სამშენილდულისა და გუნდა-ალექსანდრე უმცროსი, დავითი-გარეჯას. დასასრულ, „მემატიანე“ ერთ ცნობასაც ანუდის მკითხველს: „ქველი წიგნი და გუჯრები, ბირიან აბაშისა და ქაჩიბაძობისა, ყველა მანგლისის სამალავში ბირიანის წიგნები ლანგ-თემურ დანვა; და ქართველ ქაჩიბაძობის წიგნი, მანგლელი საბა, ქვათახევს იყო, იმას ჰქონდა. ის მაგლელი საბა ლანგ-თემურ ქვათახევს, საყდარში, დანვა, წიგნები და გურჯები ძველი იქ დაიკარგა. და ბარათაშვილობის წიგნები და გაყის წიგნები არის, როგორცა გაყილლან და ვის რა ვის რგებია, ხეობა თუ მამული“.

ამ თხრობის ჩვენებათა გაგებისათვის ყურადღება უნდა მიექცეს დოკუმენტის ბიბლიოგრაფიულ ცნობას: წარმოდგენილი პირი, 1754-1755 წ., გადმოუწერია იქსე მოლარეთუხუცესს იმ „გურჯიშირიდან“, რომელიც ძეგლის ბეთანიური ეკზემპლარის მიხედვით გაუკეთებია ვინმე დეკანოზს იქსე 1704 წ., 7 მარტს, „უამთა მეფობისა გიორგის-საა, ჯან შინობასა ბატონიშვილის ვახტანგისაა“.

ეს პირის პირი ჰკუთვნებია თომა კანჭაშვილს, რომელიც სხვა წყაროებიდან ცნობილი თომა ბარათაშვილია, რასაც ცხად-ჰყოფს მინანერში დაცული ჩვენებაც. ხოლო აღნიშნული თომა ძმა ყოფილა იმ მამუკას, რომლის გენეალოგიური მითითება ზემოთ იყო მოტანილი. ეხლა ნათელია რომ მამუკას გენეალოგია დამყარებულია სხვა ხასიათის წყაროებზე, ვიდრე წარმოდგენილი თხრობა. პირველი თითქმის მთლიანად ეთანხმება დოკუმენტალურ ცნობებს, მეორე-კი თითქმის ამ უკანასკნელთა შევსებას ლამობს. ერთი ოჯახის წევრთა ეს განსხვავებული ცნობები თავიანთი საგვარეულოს შესახებ მოწმობს რომ ეს გენეალოგიები საერთოდ ახალი წარმოშობისა იყო და მათ ჯერ კიდევ დადგენილი და საყოველთაოდ მიღებული სახე არ ჰქონდათ. შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, საკითხი დაგვესვა ხომ არ უდრის „ბეთანიის გუჯრის“ „ქართველი“ მამუკას ჩვენებებს „ქავთარს“, ე. ხომ არა გვაქვს აქ ერთდაიმავე ცნობის ტრანსფორმაციები, ამათუმ გზით წარმოშობილი, მაგრამ ამ მხრივ დაბრკოლებას წარმოადგენს მოცემული ტერმინების განსხვავებული ფუნქციები: „ქართველი“ მსაზღვრელია და განმარტება, „ქავთარი“-კი — პირის სახელი. რა თქმა უნდა, „ბეთანიის გუჯარში“ ბევრი რამ შეთხზულია. ასეთი ჩანს, მაგ.: ცნობა ბირიან აბაშის შესახებ. მაგრამ თხრობის ორი ჩვენება ჩვენ საყურადღებოდ მიგვაჩინა, პირველი ცნობა, რომელიც ამტკიცებს ლანგ-თემურის მიერ ქაჩიბაძე-ბარათაშვილთა ძველი საბუთების განადგურებას, მხოლოდ იმის მოწმობაა, რომ უკვე მე-18 ს. დამდეგს თვით საგვარეულოში არ მოიპოვებოდა არავითარი დოკუმენტალური მასალა, თემურის ხანაზე ადრინდელი. საგვარეულო არქვის დასაბამი მე-14 საუკუნეს ველარ აღწევდა. მეორე ჩვენება, კიდევ უფრო მეტი ცნობისმოყვარეობის აღმძრელი ისაა, რომელიც ამტკიცებს, რომ ერთ დროს საგვარეულოს „ქართველ ქაჩიბაძე“ ეწოდებო-

და და მხოლოდ შემდეგ შეერქვა მას პარათაშვილობა. ეს მტკნარი მიზანი თხრობაში სამჯერ არის განმეორებული და თან ერთი კონკრეტული ცნობაცაა დართული. სახელდობრ, რომ „ქართველ ქაჩიბაძობის წიგნი“ საბა მანგლელთან ერთად დაიღუპა ქვათახევში, როცა თემურმა ეს მონასტერი დაწვა.

რას წიგნას „ქართველი“ ამ შემთხვევაში? როგორც უკვე ვამბობდით, ეს ტერმინი აქ მსაზღვრელის როლში გვევლინება, იგი მიუთითებს იმაზე რომ ეს ქაჩიბაძენი შტო იყვნენ უფრო ჭრცელი საგვარეულოსი, რომლის სხვა განატოტები თუ ძირითადი ტან სხვა-გან დარჩა. „ქართველ ქაჩიბაძე“ არა ქართველ ქაჩიბაძეს გულისხ-მობს. ამასთან ერთად ჩვენ დაუჯერებელი გვგონა, რომ მოცემული ცნობა გამოგონილი იყოს, იგი მეტად წიგნდობლივია და კონკრეტ-ული. ეს ცნობა რომ გამოგონილი და შეთხული იყოს, მაში უფრო ბუნებრივი იქნებოდა ავტორს იგი ბირიამ აბაშთან დაეკავშირებინა: მისი თხრობით ხომ სწორედ ბირიამ აბაშია მოსული, „ქართველ ქაჩიბაძე“-კი აბაშის ადგილობრივ და მერმინდელ შთამომავლთა სახელია. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ რაღაც გადმოცემასა თუ სხვა გზით დაცულ, მოგონებასთან გვაქვს საქმე. თვით ამ გვარსახელის სტრუქტურა იძლევა ერთგვარ საშუალებას საიდუმლოების გახსნის ცდისათვის.

ის ძირითადი ელემენტი, რომელიც ქართულად გაფორმებული სახით წარმოდგენილია ამ გვარსახელში — „ქაჩიბა“, უკვე პირვე-ლივე შეხედვით არა ქართული წარმოების შთაბეჭდილებას სტოვებს. თუ სწორია ზემოთ, თავის ადგილას გამოთქმული მოსაზრება ამირევინი ქავთარის ვინაობის შესახებ, მაშინ ჩვენს მა წარმოების განსხვავებუ-ლი ფორმაც გვაქვს — „ქაჩიბა“. ამ ფაქტების თავისებურების შეს-წავლა ჩვენთვის დიდად სარწმუნოს ხდის მათს მომდინარეობას დასავლეთ საქართველოდან.

ჯერ ერთი, მოვიგონოთ, რომ იგივე გვარი, მხოლოდ მეგრუ-ლად გაფორმებული, დღესაც ცოცხალია: „ქაჩიბაია“, „ქაჩიბაძის“ ნათესაობა ეჭვს გარეშეა. მეგრული ფაქტი იმითაც არის საინტერესო, რომ იგი თითქოს მოძრაობის გზაზედაც მიუთითებს. მსგავსივე აღ-ნაგობის არაერთ სხვა მეგრულ გვართან ერთად (ჩაჩიბაია, ალჩიბა-ია, კაკუაბაია-კაკუპავა, ეზუგბაია, ქეცბაია და სხვა). მოცემულიც უეჭველად აფხაზური წარმოშობისაა: მათ ახასიათებთ აფხაზურის გვარისახელთა ერთი ჯგუფის სეციფიკურ დაბოლოება -ბა, რომელსაც შემდეგში მეგრული იდენტური ფუნქციის დაბოლოება -ია წაპმატე-ბია.

ქაჩიბაძების გადმოსვლა აღმ. საქართველოში, ცხადია, ძალიან ძველი ამბავია, იგი უკავშირდება ერთს უაღრესად საყურადღებო ისტორიულ მოვლენას საქართველოს ისტორიაში, რომელიც არამც-თუ ჯერ შესწავლილი არ არის, საკითხის სახითაც წამოყენებული

არ ყოფილა. ამ წერილების ფარგლები ჩვენ საშუალებას გვაძლებული აღნიშნული პიონერები აქ ვრცლად განვიხილოთ!

ჩვენ ვგულისხმობთ იმ ფეოდალურ „კოლონიზაციას“, „იმმი-გრაციას“, რომელიც ლიხთამერეთში ლიხთიმერეთიდან მომდინარეობს გარკვეულ ხანაში. დასავლეთიდან წამოსულმა ფეოდალურმა ექსპანსიამ აღმ. საქართველო სხვადასხვადროინდელი, მეტნაკლები სომალლის და განსხვავებული ხასიათის, ტალღებით დაფარა. დაკავშირებული იყო ეს პიონერი თვით საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების სხვადასხვა საფეხურთან.

პიონერი ამ მხრივ იყო ვინმე ლიპარიტი, რომელმაც მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში „შეიძყრნა ქვეყანაზე თრიალეთისანი, აღა-გო ციხე კლდე-კართა“ და საძირკველი ჩაუყარა კლდე-კარის ერსთავთა-ერისთავების სახლს, რომელიც უძლიერეს ფეოდალურ ბუდედ იქცე-ვა და რომლის გვიანდელი წარმომადგენელი, აგრეთვე ლიპარიტი, აღმოს. საქართველოს უგვირგვინო მეფეა მე-11 ს-ში. ამ საგვარეულოს, სრული შეცდომით, ორბელიანებს ეძახიან. მაშინ როდესაც მისი ნამდვილი გვარის სახელი იყო „ბალუაში“, მეგრულ-ჭანურ გვარებისათვის დამახასიათებელ ფორმით. წარმოშობით ეს საგვარეულო არგვეთიდან, ე.ი. დღევანდელი ზემო-იმერეთიდან, მოდიოდა და მისი მამაპაპეული რეზიდენცია კაცხი იყო. ქართლელმა ბალვაშებმა თავი-ანთი უფლება თანდათან გააკრცელეს თრიალეთსა, ალგეთის ხევსა და, საერთოდ, ქვემო ქართლის იმ ნაწილზე, რომელმაც შემდეგში საბარათიანოს სახელწოდება მიიღო.

თუ ქართლელ ბალვაშების ურთიერთობა აფხაზთა მეფეებთან თავისებური ხასიათისა იყო და მათი ლიხთი-იმერეთს გადმოსვლა შესაძლოა ამ მეფეთაგან დამოკიდებულების ნაყოფი კი არ იყოს, არამედ სულ სხვა ურთიერთობების შედეგი, ყოველ შემთხვევაში, სხვა ფეოდალურ სახლების დაჯდომის აღმოს. საქართველოში უეჭველად აღნიშნულ ექსპანსიას უკავშირდება. ასეთია, მაგ., საზვერელ აზნაურების, ჩიჯავაძეების დასმა თანამედროვე ქართლის ზემო ნაწილში, იმერეთ-ამერეთის ყველაზე სამხრეთით მდებარე გზაზე. ეს დიდი აზნაურები აქ უკვე მე-10 ს. პირველ ნახევარში ჩანან. იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში პოლუბენ ერისთავი მარუშიძე, რომელიც გვარის მიხედვით (-შებე) აგრეთვე უეჭველად ლიხთიმერეთიდან მომდინარეობენ. საფიქრებელია, რომ ამავე ხანაში იმერეთ-ამერეთის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე გზაზე სხდებიან ანჩაბაძენი, რომელთა გვარისსახელიც, თავისი წარმომავლობითა და მერმინდელისტობით (ბა+ბე), „ქაჩიბაძის“ სრულ ანალოგს წარმოადგენს<sup>2</sup>. „ან-ჩაბაძის“ მიხედვით იქმნება ფოდალური რეზიდენციის სახელწოდება „ჭაბეთი“<sup>3</sup>, ხოლო ამ უკანასკნელიდან — ახალი სამფლობელო სახელი „მაჩაბელი“.

<sup>1</sup>. ეს ხაյოთის ავტორის სახელმწიფო მთინობრაფიაში აქვს განხილული. შეგახსი უაქტერი სხვაც მოიპირება. შეაღწ. შაგ., ბევრებ მთავრობის კუთხით, კონტ მოქადაგის, გვარი გრანდისაბიტე, შპრინ, აღამან გვ. 3. 2. აღვეთის ხეობაში არის ხელფეხ „აჩი-ქეთი“. რომელის სახელწოდება, შესაძლოა ანალოგიური წარმოშობა იყოს, კოველ შემთხვევაში,



ქაჩიბაძენი, ჩვენ ვფიქრობთ ამ ნაკადმა მოიყვანა ქართლ-ში იქნება ქაჩიბაძენი თავდაპირველად ბალვაშთა ან ამ უკანასკნელთა ერთ-ერთ შტოს ვასალები იყვნენ?!

ერთ ცნობილ დოკუმენტში, რომელიც გაცემულია თამარ მე-ფის მიერ 1202 წ., დაცულია ჩვენს თემასთან მეტნაკლებად დაკავშირებული საყურადღებო ფაქტები. თამარი სწირავს შიო-მღვიმეს სახეფო გლეხებს, ორ კომლს, გვარად ქქოსძეებს თუ ქოსაისძეებს. ამ ყმებს სხალტბიდან მღვიმეში გაყვანილი წყალსადენის „კაზმვა“ (მოვლა-პატრონობა) ევალებოდათ. საბუთის ერთ-ერთ მინანერში, რომელიც ამ საქმის ინიციატორსა და განმახორციელებელს, ანტომ მნიგნობართუხუცესს ეკუთვნის, დასახელებულ გლეხების შესახებ მეტად საინტერესო ცნობა ჩნდება: ქქოსძეები „აფხაზეთნი“ ყოფილან, ე. აფხაზეთიდან“, ანუ ლიხთიმერეთიდან მოსულნი თუ მოყვანილი. გარდა ამისა, სიგელი შეიცავს ერთს ახალს, ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესო ცნობას. ცალკე მინანერში მღვიმის კრებული აცხადებს, რომ რადგანაც მეფისაგან შენირული ორი კომლი „არა ეყოფოდეს მკაზმავად წყაროსა“, კრებულმა, უკვე თავის ყმათა რიცხვიდან, იმავე საქმეს ორი ახალი კომლი მიუყენა. მათგან, მეორე გლეხი გარედან მოსული ქაჩიბურაისძე ყოფილა. „გარეთ მოსული“ სხვა თემიდან მოსულს ნიშნავს. რადგანაც ეს გლეხი ქქოსძეების გვერდით იხსენიება, ინებლიერ ჩნდება მოსაზრება, რომ ისინიც „აფხაზეთნი“ ანუ აფხაზეთიდან მოსულნი იყვნენ. ამაში თვით გვარის ფორმაც ხომ კიდევ უფრო მეტად გვარნმუნებს — აქ იგივე აფხაზური დაბოლოებაა, უკვე ორმაგი ქართული სუფიქსაციით წარმოდგენილი: -ბა+ურ+ძე.

დავასკვნათ. წარმოდგენილ მოსაზრებათა მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ საქართველოს ფეოდალურ მონარქიის არსებობის სანაში სხვა ლიხთიმერელ „კოლონიზაციონებთან“ თუ „კოლონისტებთან“ ერთად ქართლში გადმოდიან ქაჯიფაისძე-ქაჩიბაძენი. მათი მოძრაობის გზაზე ნანილობრივ უნდა მიუთითებდეს „ქაჩიბაია“ — „ქაჩიბურაისძის“ არსებობის ფაქტები. სხვადასხვა სოციალურ მიშვნელობის ერთეულის დაკავშირება ამ მოძრაობაში სავსებით ბუნებრივია: მოდიოდნენ არა მარტო სენიორები, არამედ მათ თან მოსდევდათ მათი ვასალები, არიერ-ვასალები, ყმები და შინაყმები. რომელ საფეხურზე იდგნენ თვით ქაჩიბაძენი გადმოსვლის მომენტში, არ ჩანს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ არც თუ ძალიან მაღალზე. მათი განდიდება მერმინდელი ხანის საქმეა, როდესაც ისინი ბალვაშორბელთა ნაოხარზე ნელ-ნელა აშენებენ თავიანთ ძლიერებას, ორპეტ-სამშვილდის მებატონენი ხდებიან და „საორბელოსაც“ „საბარათიანოდ“ აქცევენ.

1. ჩვენ სრულიად უკადეტელ-ვეოფთ საკოთხს ქმიბიძეების წამირმაცვლის შესახებ თობელთაგან, რაღაც უს ამრი, მოგეოროს მკალევრის შეირ გაკერით გამოიუწევდი, საქებათ ქაფეუქცელო გვამონია.

აქვე გთავაზობთ ნიკოლოზ ბარათაშვილის გენეალოგიას, რომელიც ამ მოცულობით პირველად იბეჭდება. გენეალოგიური ხე იწყება გიორგი ბარათაშვილისაგან, რომელიც მოხსენიებულია ისტორიულ საბუთებში 1500 წელს. გენეალოგიურ ხეზე ჩანს, რომ პოეტის დედის ეფემია ორბელიანის და მამის-მელიტონ ბარათაშვილის გენეალოგიური ნუსხა ერთი გენეალოგიური ხს თრ ნანილია, კერძოდ — ორბელიანების გვარის გენეალოგია არის ბარათაშვილთა გენეალოგიური ხს განშტოება. ეს განშტოება იწყება ორბელი იოთამის ძე ბარათაშვილისაგან, რომელიც, ფაქტიურად, ორბელიანთა გვარის ფუძემდებელია, მისი შვილი ყაფლანი კი — პირველი ორბელიანი (იხ. ნუსხა I №15). გენეალოგიური ტაბულის ავტორია საქართველოში გენიალოგიური კვლევის ფუძემდებელი — საფრანგეთის აკადემიის ნამდვილი წევრი, ბატონი იური კონსტანტინეს ძე ჩიქოვანი. წარმოდგენილ გენეალოგიაში მთლიანად არ არის მოყვანილი არც ბარათაშვილთა და არც ორბელიანთა გვარების გენეალოგიური ტაბულები. აქ მთლიანი სახე აქვს ბარათაშვილთა და ორბელიანთა გენეალოგიური ხს იმ განშტოებებს, რომელთა წარმომადგენლები არიან პოეტის მშობლები — მელიტონი და ეფემია, აგრეთვე გამონაკლისის სახით მოცემულია იოთამიშვილი-ბარათაშვილთა ის განშტოება, რომლის წარმომადგენელიც იყო მიხეილ ბარათავევი, რადგან მკითხველთათვის ნათელი იყოს, რა კავშირი ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახს მიხეილ ბარათავეთან.

უნდა აღინიშნოს, რომ პოეტის მამა-მელიტონი სუსტად იყო გარკვეული თავის გენეალოგიაში და, ფაქტიურად, პაპის წინაპერების სახელები არ იცოდა. ამიტომაც არაერთ მის ხელნაწერში გენეალოგიური ხე არაზუსტად არის წარმოდგენილი.

ჩვენ არ ვიცით მელიტონის დიდი პაპის სახელი, თუმცა მელიტონის ერთ-ერთი ხელნაწერი ადასტურებს, რომ იგი იყო შესაბამის რუსაზე ძე ბარათაშვილის შთამომავალი.

I ნუსხაში ორბელიანთა და ბარათაშვილთა გენეალოგიური ხე შეგნებულად ერთიანად არის წარმოდგენილი, რადგან ნათელი იყოს ამ გვართა ერთიანობის სურათი.

II ნუსხაში ცალკეა არის წარმოდგენილი პოეტის დედის — ეფემიას პაპის ნიკოლოზ რევაზის ძე ორბელიანის შთამომავლობის გენეალოგიური ტაბულა. ვფიქრობთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მკვლევართათვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რადგან ამ ტაბულაში ჩანს, თუ რა ნათესაური კავშირი ჰქონდა პოეტს ორბელიანებთან. ტაბულებს ახლავს მასში ასახულ პიროვნებათა შესახებ ფრცელი საინფორმაციო ლექსიკონი, რომელიც ასევე იური ჩიქოვანის მიერ არის შედგენილი.


გენეალოგიურ ხეზე მუშაობის ავტორმა ქართული საზოგადო დოკუმენტისათვის დღემდე უცნობი ფაქტი წარმოგვიდგინა: მაგ. მიხეილ ბარათავი პოეტის ნათესავი ყოფილა არა მამის, არამედ ბებიის მარიამ (მახია) ბარათაშვილის (იხ. ნუსხა I, №25) მხრიდან.

აქვეა წარმოდგენილი პოეტის წინაპერები ანდრონიკაშვილთა გვარიდან, ნაჩვენებია, როგორი შთამომავალი იყო პოეტი მეფე ერეკლე II-ისა.

გენეალოგიურ ხეზე ნაჩვენებია პიროვნებათა დაბადების და გარდაცვალების თარიღები, თუ ეს ინფორმაცია არ გაგვაჩინა, მინიშნებულია ამ პირის ისტორიულ წყაროებში მოხსენიების თარიღი. ამ შემთხვევაში წელი მინიშნებულია 0-ით.


## ԹՐԱՎԻԿ ՀԱՅԿՈՎԱՅՐՈՒՅՈՒՆ

o 1500



15. ყაფლან ორბელის ძე ორბელიანი, დაიღუპა ბრძოლაში 1671 წელს. სახლთუხუცესი, მდივანბეგი. ცოლად ჰყავდა მესქეთის ამილახორის ქალი თამარი, მარაბდის ომში (1624) იბრძოდა სიმონ-ხანის მხარეზე, იყო პირველი ორბელიანი, რომლიდანაც მოდის ეს გვარი.
19. ასლან (ასლანბეგ) ყაფლანის ძე ორბელიანი (1636-1702). მოლარ-ეთუხუცესი, სომხითის მოურავი. მეუღლე კათალიკოს ევფემიზის ძმისნული თამარ ლევანის ასული დიასამიძე.
23. ქაიხოსრო ასლანის ძე ორბელიანი, (ჩანს 1707 წელს. მოლარეთუხუცესი, | მეუღლე ლელა (მონაზონბაში ელისაბედ.) ამირეჯიბი (?-1702), || მეუღლე თინათინ N.
24. აბელ გარსევანის ძე ანდრონიკაშვილი, ქაზიყის მოურავი (მოხსენიებულია 1665-1703). ქეთევანი, ერეკლე II-ის ასული.
27. ქაიხოსრო ქაიხოსროს ძე ორბელიანი (?-1747), ქართლის პირველი კეჭილი, სომხით-საქართვის სარდალ-მდივანპეგი.
28. პაატა აბელის ძე ანდრონიკაშვილი, ეშიკალაბაში, ქაზიყის მოურავი, მოკლული იქნა ტურა ვაჩაძის მიერ.
31. რევაზ ქაიხოსროს ძე ორბელიანი, გარდაიცვალა 23. II. 1769. მამასთან ერთად ორბელიანების ერთ-ერთ შტოს ემტერებოდა, კერძოდ დემეტრეს. სომხით-საქართველოს სარდალი, მდივანბეგი.
32. თამაზ (თომა) პაატას ძე (მოხსენიება 1727-1773 წლებში) ეშიკალაბაში, ქაზიყის მოურავი. გიორგი არაგვის ერისთავის ქალიშვილი.
38. ნიკოლოზ რევაზის ძე ორბელიანი (1742-1803), მეუღლე თამარ პაატას ასული აბაშიძე (1740-1804).
40. მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი (1795-1860), 37 ნიკოლოზ (ნინია) ლუარსაბის ძე — გარდაიცვალა 1803 წლამდე, მეუღლე დარეჯან (დარია).
41. ზურაბ (დიმიტრი) ნიკოლოზის ძე ორბელიანი (1766-1827), მეფის კარზე მილახვარი, თბილისის ბაჟის ზედამხედველი, კოლექსკი-სოვეტნიკი, მეუღლე ხორებან (ანა-ხანუმ) ზაქარიას ასული (1786-1833).
42. ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი (15.12.1817-9.10.1845).
46. ეკატერინე მელიტონის ასული ბარათაშვილი (1821-?), მეუღლე რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავი (1813-1881).
49. ბარბარე მელიტონის ასული ბარათაშვილი (1825-1919), მეუღლე დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილი.
50. ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი, (1828-1906), მეუღლე ლეონიდ გერმანიზის ძე ბარათაშვილი (1826-1875)
56. სოფიო მელიტონის ასული ბარათაშვილი (1841-1916), მეუღლე ვახილ ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილი 1843-1905.
60. ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავი (1850-1815), პოეტის დისნული, მეუღლე ეკატერინა თამამშევა.
62. ელისაბედ დიმიტრის ასული ვეზირიშვილი (1861-1918), პოეტის დის — ბარბარეს შვილი. ტრაგიკულად დაიღუპა 1918 წლის 12 მარტს თავის შვილებთან არჩილთან (71) და ნინასთან ერთად. ისინ დახოცეს ოსებმა. მეუღლე დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილი (1825-1898).
72. ილია ვახილის ძე მაჩაბელი (1891-1938), მსახიობი, მოლვანეობდა კიევში, მოსკოვში, ნ. რაჭუტინის მეგობარი. დახვრიტეს 1938 წელს. იყო საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი 1937-38 წლებში.

ნიკოლოზ რევაზის ძი მრგვალიანი (იხ. ნისა 1 №38)



2. გიორგი ნიკოლოზის ძე (?-1819), მეუე გიორგი XII-ის ნიზირი, მილახვარი, სახლთუხუცესი 1801 წლიდან, კაპიტანი. იყო ენების მცოდნე. მეუღლე ქეთვან (UN).
3. ზურაბ (დიმიტრი) ნიკოლოზის ძე (1766-1827) ნიკოლოზ ბარათაშვილის პაპა, მილახვარი, შემდგომ კოლექსი ასესორი, თბილისის ბაჟის ზედამხედველი. მეუღლე ხორეშანი, თავად ზაქარია ანდრონიკაშვილის ასული (1786-1822). ხორეშანის დედა იყო ელენე ბატონიშვილი, მეუე ერევლე II-ის ასული.
4. ასლან ნიკოლოზის ძე (1767-27.12. 1835), მეუე გიორგი XII ეშიკალას-ბა, პოდპოლკოვნიკი. მეუღლე თინათინი, თავად გიორგი (ხატა გოგია) ციციშვილის ას. (1774-1822). თინათინის უფროსი და მარიმი იყო მეუღლე მეუე გიორგი XII-ისა. II ცოლი — ანასტასია იყო მელიქშვილი (1791-1840).
5. იოსებ ნიკოლოზის ძე (გარდ. 1816 წლამდე) მაიორი, კოლექსი ასესორი. მეუღლე თინათინი, თავ. იოსებ თუმანიშვილის ას.
6. სოლომონ ნიკოლოზის ძე (გარდ. 1819 წლამდე). მეუღლე სოფიო, თავად დავით აბაშიშვილის ასული.
8. იაკობ ნიკოლოზის ძე (1784-1843). I მეუღლე ელისაბედ (გარდ. 1857). II მეუღლე ნინო, თავად ალექსანდრე მაყაშვილის ას. (1801-1865).
9. სამარაგდონ (სამარაგდო) ნიკოლოზის ძე (1786-5.11.1838), პრაპორშჩიკი, ბაბაზის დისტანციის მთავარი პრისტავი. I მეუღლე თავად ყორხმაზ მელიქშვილის და მეორე მეუღლე ელისაბედ, თავად სოლომონ ავალ-იშვილის ას (1798-1856).
10. ქაიხოსრო გიორგის ძე (1792-1851), პრაპორშჩიკი. მეუღლე ანასტასია, თავად ბარაბ გურგენიძის ას. (1807-1867).
11. ალექსანდრე („ბაკლანად“ წოდებული) გიორგის ძე (1800-28.05. 1870), პორუჩიკი.
12. ანტონ (ტატო) გიორგის ძე (1803-14.05. 1855), შტაბს-კაპიტანი.
13. ეფემია ზურაბის (დიმიტრის) ასული (1801-4.02. 1849), ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა, მეუღლე მელიქონ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი (1795-1860).
14. გრიგოლ ზურაბის (დიმიტრის) ძე (2.10.1804-21.03.1883). ინფანტერიის გენერალი, პოლე.
15. ზაქარია ზურაბის (დიმიტრის) ძე (1806-11.07.1847 ქოლერისაგან), პოლკოვნიკი. მეუღლე ქეთვან. აზნაურ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ას. (1818-1895). იხ. აგრეთვე გვ. 192.
16. ილია ზურაბის (დიმიტრის) ძე (10. 12. 1815-8.12. 1853), გენერალ-მაიორი. 1842 წ. ტკვედ ჩაუვარდა შამილს, სადაც დაპყო რვა თვე. მეუღლე ბარბარე ილია ბატონიშვილის ასული, მეუე გიორგი XII-ის შვილიშვილი (1831-1884).
17. ეპატერინე ასლანის ას. (1802-26.12.1877), მეუღლე თავადი შალვა რევაზის ძე ერისთავი (ქსნის) (1799-1854).
18. ყაფლან (იოანე) ასლანის ძე (1809-13.07. 1878), პოდპოლკუჩიკი. მეუღლე ნინო, თავად თამაზ ქობულაშვილის ას. (1817-1839 მშობიარობით). II მეუღლე ელისაბედი, თავ. ივანე ბარათაშვილის ას. (1824-1892).
19. ანა ასლანის ას. (1810. 27.07. 1839.), მეუღლე თავადი ზურაბ

- მელქისედეკის ძე ჭავჭავაძე. (1800-1845).
20. კონსტანტინე იოსების ძე (1799-12.05.1861), პორუჩიკი 22.05. 1821. ზაფხულის (კარდანახი) ხორესანი, თავ. ვასილ ვაჩაძის ას. (1805-1874).
21. თამარ იოსების ას. (1800-?). I მეუღლე, (1813) თავადი ყორმაზ (დიმიტრი) სოლომონის ძე მელიქშვილი (1798-1858), განქორწინდნენ 1831წ. II (25.09. 1831) თავადი სოლომონ გრიგოლის ძე ჭავჭავაძე (1797-1875). შვილები ჰყავს მეორე ქორწინებიდან.
22. ნინო იოსების ას. 10.04.1827. მეუღლე თავადი ანდრონიკ (დონიკ) ზალის ძე ანდრონიკაშვილი (1786-1864).
23. ესტატე იოსების ძე (15.04.1810-10.07. 1841) კოლექსკი რეგისსტრატორი. მეუღლე მაკრინე, აზნაურ ივანე სულხანიშვილის ას. (1815-27.01.1885).
24. თამარ იაკობის ას. (1816-2.11. 1861). მეუღლე ანდრეი სტეფანეს ძე სანკოვსკი, გენერალ-მაიორი.
25. ბარბარე იაკობის ას. (15. 12. 1820-?), მეუღლე ალექსანდრე პეტრეს ძე ოპოჩიჩინი, გენერალ-მაიორი.
26. ეკატერინე იაკობის ას. (1.01. 1824-1875). ნიკოლოზ ალაპის ძე ივანოვი (1810-1873), გენერალ-ლეიტენანტი.
27. სოფიო იაკობის ას. (1829-1829). მეუღლე დიმიტრი ივანეს ძე სვიათპოლ-მირსკი. გენერალ-მაიორი (გარდ. 1899).
28. ბარბარე სამარაგდონის ას. (1825-21.08.1870), მეუღლე პოლკოვნიკი, ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი.
30. მარიამ (მაიკო) ქახისორის ას. (1816-12.02. 1849), დანშნული იყო გენერალ-ადიუტანტი, თავად ლევან მელიქშვილზე, კანონგარეშე ქორწინებაში ეყოლა მისგან შვილი — ლევანი. ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი, პოეტი არაერთი წერილის ადრესატი.
32. გიორგი ილიას ძე (26.10.1853-1924), გენერალ-მაიორი, მეუღლე მარიამ, თავ. ალექსანდრე ორბელიანის ას.
33. ელენე ყაფლანის (იოანეს) ას. (15.12.1833 —?). მეუღლე თავადი ნიკოლოზ გიორგის ძე ჩივავაძე (1828-1886).
34. ნინო ყაფლანის (იოანეს) ას. (31.01. 1839 მეუღლე თავადი დიმიტრი პაატას ძე ნულუკიძე (1830-?).
36. იოსებ კონსტანტინეს ძე (4.09. 1824-1879). გენერალ-მაიორი.
37. სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ას. (27.08. 1827-7.01. 1884). 1845. თავ. ზურაბ (ზაქარია) დიმიტრის ძე ჩილოყაშვილი (1802-1851).
38. ანასტასია კონსტანტინეს ას. (5.01.1931-30.01.1884). მეუღლე პოლკოვნიკი ივანე დიმიტრის ძე ოკლობჭიო (1818-9.12.1880).
39. ივანე (ნიკოლოზ) ესტატეს ძე (4.02.1831-11.03.1868), 28.04.1857 ელისაბედ (ლიზა), თავ. გრიგოლ პეტრეს ძე ჭავჭავაძის ას. (1840-1925).
40. გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე (20.08.1836-4.09.1880) პორუჩიკი. 21.07.1864, ნინო, თავ. სიმონ აბაშიძის ას. (1831-1919).
42. ალექსანდრე ესტატეს ძე (12.02.1835-26.01.1897) შტაბს-კაპიტანი. მეუღლე მარიამი (მაკრინე), თავად ნიკოლოზ ფალავანდიშვილის ას

## ილუსტრაციები

წიგნში გამოყენებული ილუსტრაციები და, საერთოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ არსებული იკონოგრაფიული მასალების ყველაზე სრული კოლექცია დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში.

ამ მასალების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით მუზეუმის დირექტორს ქ-ნ იზა ორჯონიშვილეს და მთელს მის ბრწყინვალე კოლექტივს.

გამომცემელი

60-ოლობის ბარათაშვილი პორტრეტის  
გარშემო



1



2



3



4



5



6




7



8



9



10

11

12

1. პოეტის თავის ქალა, გადაღებულია 1938 წლის ოქტომბერში, ნემტის დიდუბიდან მთაწმინდაზე გადმოსცენების დღეებში.
2. პოეტის პორტრეტის ქაქიში-ჩანახატი, შესრულებული პოეტის კლასელის მიხეილ თუმანიშვილის მიერ. დაცულია საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში.
3. პოეტის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ მოსე თოიძის მიერ 1916 წელს. თავდაპირველი ვარიანტი ინახება რუპერტ აკოფიანის ეკრიზ კოლექციებში.
4. პოეტის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ მოსე თოიძის მიერ 1916 წელს. საბოლოო ვარიანტი გამოქვეყნდა გამგეთ „სახალხო ფურცლის“ სურათებიან დამატებაში 1916 წელს. ორიგინალის დაცულობის აღდილი ჟენოვა.
5. პოეტის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ ა. მრევლიშვილის მიერ 1916 წელს. ნახატს საფუძვლად მ. თუმანიშვილის ქაქიში (სურათი I) დაკლირდო. ორიგინალი ინახება რუპერტ აკოფიანის ეკრიზ კოლექციაში.
6. პოეტის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ ლადო გუდიაშვილის მიერ 1938 წელს.
7. პოეტის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ ლადო გუდიაშვილის მიერ 1955 წელს, მოდებული და დამტკიცებული სახელმწიფო კომისიის მიერ.
8. პოეტის პორტრეტი, შესრულებული პოეტის დების სოფიო და ნინო ბარათაშვილების სახეთა კომპიტუტერული თანხევლით დაკვან თაქთაქიშვილის მიერ. მხატვრული დამტემავება მოქნილაკე მარინა ივანიშვილის მიერ. გამოქვეყნდა 1997 წლის დეკემბერში გამ. „ქალებსობაში“.
9. ლევან თაქთაქიშვილის ქალები პორტრეტის საფუძველზე (სურათი 8 – ქვეყნდება პირველად!) მხატვარ ლევან ჭოლომშვილის მიერ შესრულებული პოეტის პორტრეტი. შესრულებულია 2005 წელს.
10. პოეტის ცრუ პორტრეტი, გავრცელებული გამ. „მოგზაურის“ რედაქტორის ივანე როსტომაშვილის მიერ. პორტრეტზე გამოსახულია მოქალაქე ალექსანდრე დავითის ძე ციციშვილი, რომლის აღნიშვნული პორტრეტი მოეწონა ბაქარია ჭიჭინაშვილის და ა. როსტომაშვილის გადასცა გასავრცელებლად 1904 წელს.
11. პოეტის ცრუ ფოთო გავრცელებული ზიკოლობი ბარათაშვილის პორტრეტად „ლიტერატურის მეტეუმის თანამშრომლის დაკით შედღიაშვილის მიერ. ფოტოზე გამოსახულია პირი არის ლევან დიმიტრის ძე ბარათაშვილი (1830-1877 წ.).
12. პოეტის ცრუ ფოთო, არ გავრცელებულია, იყო მოსაზრება, რომ ფოტოზე გამოსახულია პირი ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო, დაიბეჭდა რამდენიმე პერიოდულ გამოცემაში. მოსაზრება არ გუმენტირებულია არ აღმოჩნდა.



7



8



9



10

1. ბარბარე ბარათაშვილი-კეტიოშვილისა (1826-1916) – პოეტის და.
2. პოეტის და სოფიო ასული ბარათაშვილი (ბარჯვის) და ილა ჭავჭავაძის და – კლასიაბედი.
3. პოეტის და – ნინო ბარათაშვილი (1828-1906).
4. პოეტის და – სოფიო ბარათაშვილი შეკლლებით ერთად – ვასილ სუმბათაშვილთან და შვილებთან – გორგასისან და კაბერენინგისან ერთად.
5. პოეტის დისტული – გორგა ვახალის ძე სუმბათაშვილი (1882?).
6. პოეტის დისტული – ნიკოლოზ რევაძის ძე ერისთავი, შეღა კაგერინე ბარათაშვილისა, – მუკლით.
7. პოეტის და – ბარბარე (ფრაგმენტი სურათისა 10).
8. პოეტის და – ნინო (ფრაგმენტი სურათისა 10).
9. პოეტის და – სოფიო (ფრაგმენტი სურათისა 10).
10. პოეტის ნათებავები: ხხელაბა (ბარებნიანგი) ლება: ბარბარე და ნინო, ბარბარეს შეღა: გორგა კეტიოშვილი, და-სოფიო; დგანის: გაბო ჩერქევშიაშვილისა (ნათებავი) და ნინო (ბარბარეს შეღოლი).



1



2



3



4



5

1. ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი (1809-1878) – პოდპორუჩიკი, პოეტის დედის – ეფემიას ბიძაშვილი, ნ. ბარათაშვილის ლექსების სახიმღერო ზმების შემრჩევი“.
2. გრიგოლ ბურაბის ძე ორბელიანი (1804-1883) – ინფანტერიის გენერალი, პოეტის ბიძა.
3. ბამეკა (ბაკარ) თამაზის ძე ორბელიანი (1800-1871) – გენერალ-მაორი, განჯის უფროსი, პოეტი შეირეცილი ნათებავი დედის მხრიდან, (იხ. ნუსხა I. თამაზ ყაფლანის ძე ორბელიანის შტო). მან წაიყვანა პოეტი განჯაში სამუშაოდ.
4. ილია ბურაბის ძე ორბელიანი (1815-1853) – გენერალ-მაიორი პოეტის ბიძა.
5. გიორგი ილიას ძე ორბელიანი (1853-1924) – გენერალ-მაიორი, პოეტის ბიძის, ილია ორბელიანის ვაჟი, ნ. ბარათაშვილის ნეშტის ჩამოსვენების ერთ-ერთი ორგანიზაციონი.

თანამედროვები



1



2



3



4



5



6

1. მანანა ორბელიანი (1807-1870) – ივანე (მარმანიშ) კრისტიანის ძეკულა, დაჟოთ იოანეს ძე ორბელიანის მეუღლე, სიღაძმაშინ ცნობილი ქალი.

2. კონსაკიანგიშვილ ქარისტელიშვილი (1818-1900) გენერალ-ლეიტენანტი, რევენის მეცნიერი, აგროზო მსტენიერი მოცემულისა მოქადაგის ქარისტელისა და შემოქმედებაშე.

3. პელაგე გრიგორიეს ძე იოსევაშვილი (1809-1875). ისერიოზისა და არტემილიური. დიდი და წერტილი ნამდვილის ნიჭის. თვით მოყვარუ იო არაგვისმეულ არამილოდ თხურიობდა და წერტილი პლატინის მესახებ.

4. მახილე ბარიანეგვაძე (1818-1875) პოეტის აჩლა მეცნიერანი, სამოგარეულო მოცემული აუტორი პოეტის სახისაგანისა (იხ. მორტრედება).

5. მახილე (მელიქისევე) ქეჩრიებ ძე ბარიანეგვა (1784-1856), პოეტის მორტრედი ნათელავი.

შიხი ძებია იყო მარიამ ბარიანაეგვავი, რომელიც მეუღლელა რეზენტის საკურნების წინ გრძესტენისა ბარიანაეგვას მეტი წარმომადგენერლობის–მელქისედეკი ბარიანაეგვან. საბათ უწყვისის უცნობისა საქორთველოში 1839-1844 წლებში. პოეტმა მას უძლენი დაქვის „საცემავი მეუგის არაკლისა“. ასევე, ამარტება წარწერით: „ამაქეცებ დანისა, აგაზებ ლინისა. შესკო? გამძინე“.

6. კარგვინიქ ალექსანდრეს ძეკულა ჭავჭავაძე – პოეტის მეცნიერანი, მისამამ სიყვარულით არის მაკაფინიშვილი და ბარიანაეგვას რომელიმე ლექტის. მის აღწევის აღმოჩენა პოეტის არაგვის აუტორიანია, პოეტის პოპულარიზაციას დიდი შეკვეთი ხელი კ ჭავჭავაძის საძლონამა პეტერბურგში.

7. ლევან ეგნეგიშვილი (1816-1892) პოეტის მეცნიერანი გამნამიადან. კავალერიის კავკასიონი.



7

## მეორედ დაბადება



1. რუსული ეკლესია განჯაში,  
რომელის გალავანშიც დაქრძალეს  
პოეტი 1845 წელს.



2. პოეტის ნეშტის გადმოსვენება  
განჯიდან 1893 წ. თბილისი.  
რეიინგბის სადგური .



3. პოეტის საფლავი მთაწმინდაზე.



1



2

## ცხადთუმრი

ლექსეგი  
გერმანულის  
ტერმები

ტერმი 1852 წელი

3

1. იღია ჭავჭავაძე – პოეტის შემოქმედების უმთავრესი პოპულარიზაცირი.
2. ქურნალი „ეისკარი“. 1852 № 4. საბაც პირველად დაიბეჭდა პოეტის ლექსები. რედაქტორი იყო პოეტის მემკობრი გიორგი ერისთავი.
3. ნაკრობი ბარათაშვილის თხმულებათა აკადემიური გამოცემა სამსონ ფირცხალავას რედაქციით. მხატვარი ი. შარლემანი. 1922 წ.

ივანე ლოლაშვილი  
 ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ----- 5  
 ლევან თაქთაქიშვილი  
 ქართულ ენაზე დაპეტდილ თხზულებათა ბიბლიოგრაფია ----- 11

□ თხზულებები

I. ლ ე ქ ს ე ბ ი:	
ბულბული ვარდზედ-----	17
ქეთევან -----	18
შემოღამება მთაწმინდაზედ -----	20
ხმა იდუმალი -----	22
ძია გ...სთან -----	23
ღამე ყაბახზედ -----	24
ფიქრი მტკვრის პირას -----	26
ჩონგურს -----	28
ჩემს ვარსკვლავს -----	29
ნაპოლეონ -----	30
თავადის ჭ...ძის ასულს, ეკ...ნას -----	31
საყურე -----	32
ჩჩივილი -----	33
სული ობოლი -----	34
** (სატრფოვ, მახსოვეს...) -----	35
ჩემი ლოცვა -----	36
** (აღმოხდა მნათი...) -----	37
ჩემთ მეგობართ -----	38
** (არ უკისენო, სატრფოო...) -----	39
** (ვპოვე ტაძარი...) -----	40
ნა... ფორტეპანზედ მომღერალი -----	41
** (მიყვარს თვალები...) -----	42
სუმბული და მნირი -----	43
** (შენი დალალინი...) -----	45
** (რად ჰყვედრი კაცსა...) -----	46
** (მირბის, მიმაფრენს...) -----	47
კრიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ -----	49
საფლავი მეფის ირაკლისა -----	50
** (სულო ბოროტო...) -----	51
** (შევიშრობ ცრემლას...) -----	52
ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტინისა და ჩენინელთა, წელსა 1844-სა მძღვანელობასა ქვეშე ღუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის	
ორბელიანისა -----	53
ჩინარი -----	55
** (მადლი შენს გამჩენს...) -----	56
** (დამქროლა ქარმან სასტიქმან...) -----	57

** (როს ბედნიერ ვარ...)-----	58
** (ციხა ფერს...) -----	59
** (ცლოცავ ღლებს ჩემის გაჩენის...)-----	60
ბოემ „ბედი ქართლისა.“ -----	61

## VARIA

სახუმარო ეპიგრამა	
ელენეს და შარიაში -----	79
ყრმობისდროინდელი ნაწერები	
გარედა და და -----	80
ნარგაძი და ყაყაჩიო -----	81
ქაბებსური მოიხსნობა -----	82
შესმა აგრიკოლას -----	84
Плака шахро по виси -----	86

რედაქციები ----- 87

წერილები (1831-1845)

I. გრიგოლ ორბელიანისადმი -----	97
II. გასგე -----	98
III. მიხეილ თუმანიშვილისადმი -----	100
IV. გრიგოლ ორბელიანისადმი -----	102
V. გასგე -----	103
VI. გასვე -----	105
VII. მაიკო ორბელიანისადმი -----	107
VIII. გრიგოლ ორბელიანისადმი -----	109
IX. ზაქარია ორბელიანისადმი -----	112
X. მასვე -----	114
XI. გრიგოლ ორბელიანისადმი -----	115
XII. ზაქარია ორბელიანისადმი -----	117
XIII. მაიკო ორბელიანისადმი -----	119
XIV. მასვე -----	122
XV. მასვე -----	123
XVI. ბაბალე საგინაშვილისადმი -----	124
XVII. ალექსანდრე საგინაშვილისადმი -----	125
XVIII. გრიგოლ ორბელიანისადმი -----	126

## ტექსტისათვის

6. ბარათაშვილის ნაწერების ქრონოლოგიური ნუსხა -----	129
კომენტარები -----	174
ა. მხატვრული ნაწერები -----	174
ბ. წერილები -----	191
ლექსიკონი -----	206

□ მოგონებანი		
კონსტანტინე მამაცაშვილი	-----	213
იონა მეუნარგია	-----	217
ლევან თაქთაქიშვილი		
□ პორტრეტისათვის	-----	241
სომონ ჯანაშია		
□ გენეალოგია	-----	251
გენეალოგიური ნუსხები — რედაქტორისაგან	-----	263
□ ილუსტრაციები	-----	271

